

უელვა კვესვეკე

გიორგი უაჩისუკაქე

ქ ა რ თ უ ლ ი
რ ე ა ლ ის ტ უ რ ი
ფ ე რ წ ე რ უ ლ ი
პ ო რ ტ რ ე ტ ის
ს ა თ ა ე ე ბ თ ა წ

სასაქონლო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»

19 თბილისი 58



ამ შრომას, რომელიც ახალი დროის ერთ პირველ ქარაუკულა მხატვართაგანის ცხოვრებას და შეშოქმედებას ასახავს, ავტორი პატივისცემით უძღვნის ქართველ საბჭოთა მხატვრებს და საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მოსწავლე ახალგაზრდობას.

სსოპკაის ნანაქვლევი

- ვითა დაეღამდი, ისე გაკთენიდი -
დავით გურამიშვილი

„ქართველმა ახალგაზრდობამ აუცილებლად უნდა იცოდეს, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორია, არამედ ისიც, თუ როგორ და საიდან შეადგენენ ხოლმე ამ ისტორიას; პირადად მე ამას ძალზე მნიშვნელოვნად ვთვლი...“

ნიკო ნიკოლაძის ნათქვამი

თემისათვის

ხანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, — ამბობს ქართული ანდაზა და მართლაც, ამ ბრძნული ხალხური ანდაზის აზრს ამართლებს ქართველი ყმა გლეხის ოჯახიდან გამოსული ადამიანის — გიორგი¹ მაისურაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითი.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გიორგი მაისურაძის შემოყვანის პატივი უპირატესად ახალი ქართული პოეზიის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელს და კულტურის ამაგდარს ეკუთვნის, როგორცაა ალექსანდრე ქავჭავაძე.

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში მმართველ და გაბატონებულ კლასის წარმომადგენლებს ალექსანდრე გარსევანის ძე ქავჭავაძემ პირველმა მისცა მაგალითი უადრესად პატრიოტული და დიდად ჰუმანური მოქმედებისა, მისცა

¹ მხატვარზე არსებულ ლიტერატურაში იგი ყველა შემთხვევაში იწოდება — გრიგოლად (იხილეთ: „დროება“, 1885, № 129; „საბჭოთა ხელოვნება“, 1940, № 9; მ. დუდუჩაეა — „ახალი ქართული ხელოვნება“, 1951, BC3, წერილი მაისურაძეზე და სხვა). ასევე იწოდება მხატვარი ზოგადი საარქივო დოკუმენტის მიხედვითაც; რიგ საარქივო დოკუმენტებში მას „იავორიც“ კი ჰქვია. მაგრამ, როგორც ეს უკანასკნელ ხანებში მოპოვებულ საბუთებიდან გამოირკვა, საფლავის ქვაზე წარწერილი სახელი მხატვრისა — გიორგი, მართლაც ყოფილა მისი ნამდვილი ნათლობის სახელი. მხატვარი სწორედ ამ სახელით მოიხსენიება „დაბადებისა“ და მონათვლის მოწმობაში; მისი ძმის ადამის „მიმართვაში სამხატვრო აკადემიისადმი“; ასევე უწოდებდა მამას — გიორგის — მხატვრის ქალიშვილიც. ზემოთ თქმულის საფუძველზე ჩვენ შრომაში მხატვრის სახელად ყოველთვის ვიორგია ნახმარი.

მაგალითი ნიქიერი ყმის განთავისუფლება-გათარხნებისა და განთავისუფლებულ ყმაზე ზრუნვისა, რათა უქანასკნელს ამით სამსახური გაეწია თავისა ხალხისათვის, თავისი სამშობლოსათვის...

გიორგი მანსურაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან იმდროინდელმა ცხოვრების პირობებმა, გარდა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა, დააკავშირა მაღალი წრიდან გამოსული ზოგიერთი ქართველი ქალისა თუ კაცის სახელიც; გიორგის აღზრდაში ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად იმათაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით.

გიორგი მანსურაძემ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ ქართული სახვითი კულტურა შეძლებისდაგვარად განეითარებია და გაემდიდრებია. მაგრამ იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირემ და უკულმართმა პირობებმა ფრთები შეაკვეცა მის შემოქმედებას და მას, როგორც ადამიანს და მხატვარს, ასპარეზი დაუხშო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ელინური, იტალიური, ჰოლანდიური, ფრანგული, რუსული თუ ქართული სახვითი ხელოვნების აყვავებას ხელს უწყობდა დიდი საზოგადოებრივი მოთხოვნილება, ხალხის სიყვარული ხელოვნებისადმი, გამოქომაგება, დამკვეთელთა მზრუნველობა და სათანადო ტექნოლოგიური პირობებისა და საშუალებათა არსებობა... გიორგი მანსურაძეს ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა, სამწუხაროდ, განსხვავებულ პირობებში უხდებოდა...

გიორგი მანსურაძე იმდროინდელ საქართველოში მოკლებული იყო არა მარტო ფართო სამოქმედო ასპარეზსა და სათანადო შემოქმედებით გარემოცვას, მოკლებული იყო არა მარტო მომთხოვნელსა და მეცენატს, არამედ მოკლებული იყო იმ დროის სახვით ხელოვნებაში მიმდინარე დიდ მოძრაობასთან ზიარებისა და გაცნობის საშუალებასაც, რაც ასე აუცილებელია საერთოდ ყოველი მხატვრისათვის.

გ. მანსურაძეს მხოლოდ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ხვდა წილად ბედნიერება ყოფილიყო იმ დიდი ძვრების მეთვალყურე, რასაც ადგილი ჰქონდა მისავე ეპოქის რუსულ და ევროპულ ხელოვნებაში.

საქართველოში — ქუთაისში — მცხოვრები მანსურაძე მოწყვეტილი იყო ვრცელ სამოღვაწეო ასპარეზს და იმ დროისათვის ერთ მივიწყებულ და ჩამორჩენილ პროვინციულ ქალაქში იყო გამომწყვდეული. უდაბნოს აქლემივით, რომელიც თავს კუზში მომარაგებულ წყლითა და ცხიმით ირჩენს ხოლმე, მანსურაძეც იმ მხატვრული კულტურით იკვებებოდა მთელ ცხოვრების მანძილზე, რაც მას ერთხელ პეტერბურგში ყოფნისას მიეღო.

მოწინავე კულტურისა და შემოქმედებითი ძვრების კერებს მოწყვეტილ გიორგი მანსურაძე თითქმის ოცდაათხუთმეტი წლის განმავლობაში იმ ცოდნისა და სახვითი ოსტატობის ჩვევათა მარაგით ინახავდა თავს, რაც მას პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს მიეღო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახატავი მასალები იმ დროს ქუთაისში კი არა, თბილისშიაც არ იშოვებოდა. ოთხმოციან წლებში ქართველ თუ ჩამოსულ მხატვრებს სახატავი ტილო, ფუძეთფენილსათვის საკირო წამლები, ზეთისა თუ აკვარელის ფერები, სხვადასხვაგვარი ფუნჯები და ყალმები, შასტეხინი და სხვა ხელსაწყოები, თან მოჰქონდათ რუსეთიდან. ჩვენში ეს მასალა ძნელი საშოვნელი იყო.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „კაეკაზსკი კალენდარ-შიაც“ კი, სადაც განცხადებების მოთავეების ფართო პრაქტიკა იყო, სახატავ ხელსაწყოთა შესახებ კრინტიც არაა დაძრული.

გასული საუკუნის მიწურულამდე საქართველოში დამკვეთელიც იშვიათად მოიპოვებოდა, ასეთები თუ მაინც იყვნენ, უმთავრესად თბილისში ცხოვრობდნენ, სადაც თავი მოეყარა იმ დროის არისტოკრატის, მეფის მოხელეებს და იმჟამად ახალფუნადგმულ სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლებს... საქართველოში ასეთ ქალაქად, თითქმის ოთხმოციან წლებამდე, ქალაქი თბილისი გვევლინება, ხოლო საქართველოს სხვა ქალაქები პროვინციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; ამ ტიპის დასახლებულ ადგილებში სავაზმო თუ სავაჭრო, ასევე სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენელთა მონაწილეობა კულტურის ამა თუ იმ ფრონტზე, აგრეთვე მათი კულტურული მოთხოვნილებანი, ფრიად დაბალი იყო.

დამკვეთელთა სიმრავლე ჩვენში შესამჩნევი ხდება დაახლოებით ორმოცდაათიან წლებიდან. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ფერწერული პორტრეტის ჟანრის განვითარებას, ხოლო პორტრეტული ფერწერა კი რეალისტური ტენდენციების გაძლიერებას იწვევს ხოლმე მხატვრობაში. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საქართველოს ცხოვრებაში XIX საუკუნის შორეულ ნახევარში ისეთი ახალი ძალები შემოდიან, რომლებიც ქართულ საპორტრეტო ჟანრის ფერწერის განვითარებას არა მარტო ახალი ძალითა და სიძლიერით სწევენ წინ, არამედ ახალ ასპექტებსა და ახალ შემოქმედებით მეთოდსაც კი ემყარებიან.

დასახელებული ხანის ცნობილი მხატვრები და უცნობ ქართველ მხატვართა შემკვიდრებობაც საპორტრეტო ჟანრში შემოქმედებითი მეთოდის მხრივ იმავე პოზიციებზე დგას, რომელზეც იდგა იმ დროის ქართული მწერლობა და თეატრი... დასახელებული დროის მხატვრობა რამდენადმე ე. წ. კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდანაც კი ასახავს სინამდვილეს.

შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მხატვრის გიგო გაბაშვილისა და მისი პლეადის წინამორბედ ცნობილ თუ უცნობ ქართველ მხატვრებს და მათ შორის გიორგი მაისურაძესაც უდავოდ წინ მიჰყავდათ ქართული საპორტრეტო ჟანრის განვითარება.

გიორგი მაისურაძის შემოქმედება არსებითად განსხვავდება საქართველოში მომუშავე მისი დროის სხვა მხატვრების შემოქმედებისაგან. მის მიერ

შექმნილ პორტრეტებზე ასახული პაროვნებანი სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენელნი არიან. მაგრამ მეტწილად რაზნოჩინელებს ხატავდა მხატვარი და ეს ერთგვარ დემოკრატიულ ხასიათს ანიჭებს მის შემოქმედებას. ასევე რამდენადმე განსხვავებულია და თავისებური მისი ხატვის მანერაც.

გ. მაისურაძე ქართულ მხატვრობაში, თუნდაც იმ პედაგოგიური მოღვაწეობით, რომელსაც იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ათეული წლების მანძილზე ეწეოდა, განსაკუთრებით თავისი შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში, მთლიანად რეალისტური მხატვრობის პოზიციებზე იდგა. ამით იგი ერთგვარად ამკვიდრებს ნიადაგს ქართული რეალისტური მხატვრობის, კერძოდ ფერწერის აყვავებისათვის.

„ხალხის კულტურაზე ერთი შეხედვით მხოლოდ არქიტექტურისა, მხატვრობისა და ნაბეჭდი წიგნის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთო, — იტყვოდა ხოლმე მოწაფეებთან საუბრისას მეტად სიტყვაძუნწი ჩვენი ხატვის მასწავლებელი, — ლიტერატურისა და მუსიკის ათვისებას დრო და სხვა რამეებიც უნდაო“¹.

გ. მაისურაძემ თავის საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე ქართული სახვითი კულტურის დანერგვისა და აყვავების საქმეს შესწირა. ახლა შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არცთუ მაინცდამაინც მრავალჭიცივანია უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი, რასაკვირველია, არც ისე მცირე იქნებოდა, როგორაც დღეს არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ის, რაც დღემდეა აღმოჩენილი, საფუძველს გვაძლევს იგი საყურადღებო მხატვრად მივიჩნიოთ და ქართველ მკითხველს გავაცნოთ.

წლების განმავლობაში მაისურაძის შესახებ ლიტერატურაში თითქმის არაფერი არ იყო ცნობილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსულ კატალოგს² და რუსი ხელოვნებათმცოდნის ა. ი. ლეონოვის წერილს³. ამ წერილებსა და ინფორმაციებში მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ თითქმის არაფერი არაა თქმული, თუ არის ცალკეული ცნობები, ისიც ვრცელი არაა და შეცდომებს შეიცავს.

1940 წელს პირველად დაიბეჭდა შედარებით ვრცელი წერილი მაისურაძის შემოქმედების შესახებ და ეს წერილი გახდა მომდევნო წლებში მაისურაძის შესახებ დაბეჭდილი ცალკეული წერილების თუ შენიშვნების წყარო⁴.

¹ სიმონ ქვარიაძის მონათხრობი ხატვის მასწავლებლის გ. მაისურაძის შესახებ. ხელნაწერი, ჩაწერილია ჩემს მიერ 1939 წელს.

² Выставка произведений живописи, графики и скульптуры Груз. ССР. 1937 г., стр. 41—72.

³ Журн. „Искусство“, 1937 г.

⁴ „საბჭოთა ხელოვნება“, 1940 წ., № 9 (სხვათა შორის მ. დუდუჩავას წიგნში „ახალი ქართული ხელოვნება“, 1950 წ., გვ. 22, ჟურნალის გამოცემის წელი და ნომერი სწორად არ არის ნაჩვენები). ი. ბალახაშვილი, „ძველი თბილისი“, 1957, სახელგამი, გვ. 186 — 187.

გიორგი მაისურაძე ქართველი ხალხის კულტურის ისტორიას როგორც ადამიანი და მხატვარი შემოუნახა და არ დაუკარგა მისმავე უტყუარმა ნიჭმა; არ დაუკარგა, რადგან იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სანთელივით იყო ანთებული და მთელი თავისი შემოქმედების სურნელსა და გუნდარუქს სწორედ თავისი ხალხის სასახელოდ და სასიყვარულოდ აკმევდა.

გიორგი მაისურაძე, უკულმართი ცხოვრების პირობებისაგან სვეგამწარებელი მხატვარი, თანადროული ყოფისა და კულტურის პირობებში ხელახლა შემოდის ცხოვრებაში. დღეს მას შეიძლება მივუყენოთ გურამიშვილის სიტყვები: „ვითა დავლამდი, ისე გავთენდი“.

თემის შესწავლის ისტორიისათვის.

(წყაროებო და მოგონებები)

რუსთაველის პროსპექტზე, № 13 შენობაში, ადრე, ვიდრე საქართველოს ხელოვნების მუზეუმი დაარსდებოდა¹, გალერეაში დაცული სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ფონდების მასალებით გამართული იყო შესანიშნავი და საკმარის მდიდარი საგამოფენო ექსპოზიცია.

ქართული სახვითი ხელოვნება ექსპოზიციაში, განსაკუთრებით XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე, თითქმის მხოლოდ პორტრეტული ჟანრის ნაწარმოებებით იყო წარმოდგენილი. იმეამად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი; ლექციებს გვიკითხავდნენ: აწ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორები — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ვაჩიშვილი და სხვები; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები თავიანთი სურვილით ისმენდნენ პროფესორების: კორნელ კეკელიძის, შალვა ნუცუბიძისა და გრიგოლ წერეთლის ლექციებს... იმდროინდელ ახალგაზრდობაში ზემოხსენებული პირნი განსაკუთრებულ ინტერესს აღვიძებდნენ ლიტერატურისა, სახვითი ხელოვნებისა და თეატრისადმი. ამ ლექციებიდან მიღებული შთაბეჭდილებანი დღემდე რჩებიან წარუშლელად, მაგრამ განსაკუთრებით დარჩა ჩვენს შესხიერებაში ის სიყვარული, რომელსაც პროფ. ლუარსაბ ანდრო-

¹ ადრე მას ეწოდებოდა ხელოვნების ისტორიისა და კულტურის მუზეუმი.

ნიკაშვილი შთააგონებდა და უღვიძებდა ახალგაზრდობას თეატრალური და სახეითი ხელოვნებისადმი. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ხოლმე ახალი დროის სახეითი ხელოვნებისა და საბჭოთა თეატრის პრობლემებს.

სტუდენტობაც ხშირად დადიოდა თეატრებსა და სურათების გალერეაში. აქ გავიგონეთ პირველად ლუარსაბ ანდრონიკაშვილისაგან სახელი მხატვარ ანდრონიკაშვილისა, მაგრამ დღევანდლამდე არც ამ მხატვრის ვინაობაზე და არც მისი მემკვიდრეობის შესახებ, გარდა ჯანდიერის ერთადერთი პორტრეტისა არავისთვის არაფერი არაა ცნობილი¹.

საქართველოს სურათების გალერეაში მე პირველად ვნახე აგრეთვე პორტრეტი ალექსანდრე ბაგრატიონისა, უკანასკნელი მეფის ძის ბაგრატის ძისა, შეძენილი (როგორც ეს შემდეგ გამოირკვა) საქართველოს ერთგული გალერეის მიერ 1925 წლის 25/III 30 მანეთად მ. გრუზინსკისაგან².

სახეითი ხელოვნებით დაინტერესებაში იმ წრისათვის, რომელშიც მე მიხდებოდა ყოფნა, მოულოდნელი და გასაკვირველი არაფერი არ უნდა ყოფილიყო, რადგან უმრავლესობა მათგან იმეამად საქართველოს სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და თავისუფალ დროს ახალგაზრდები სურათების გალერეაში ვატარებდით ხოლმე.

ეს იყო 1927 წლის გაზაფხულზე. უნივერსიტეტიდან რუსთაველის პროსპექტით მივიდიოდი, მიწოდდა პროფესორთან — ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან მივსულიყავი ბინაზე; იგი მაშინ საპიორის (შესანგრეთა ქუჩა, აწინდელი ძნელაძის) ქუჩაზე ცხოვრობდა. როცა სასტუმრო „თბილისის“ შენობას (მაშინ პროფკავშირების სასახლე) მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ პროფესორი აღმართით ამოდიოდა. მივესალმე, მან ჩვეული თავაზიანობით და ყურადღებით მიმიწვია სურათების გალერეაში. ნაშუადღევი იყო... მარჯვნივ, ლალიძის წყლები³ წინ, ჩალის სავარძლებში ჩამსხდარი ხალხი მოჩანდა, ქუჩაში შედარებით უმნიშვნელო მოძრაობა იყო... მე პროფესორს მოვყვებოდი მორიდებით, იგი ნელა მიდიოდა, გატაცებით მიამბობდა ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთ დადგმაზე. განსაკუთრებით აღტაცებით ლაპარაკობდა უშანგი ჩხეიძეზე... როცა გალერეის ფართო, გაშლილი საფეხურები ავიარეთ და დარბაზში შევედით, როცა უკან დარჩა კავკასიის ომებში ნდავლ ზარბაზნათა ლულები, რომლებიც შენობის წინ. სკვერში აქეთ-იქით იყო გამოდგმული, შევნიშნე, რომ პროფესორი მოწიწებით მიესალმა სავარძელში მჯდომ ხანდაზმულ ჯგუხში ტანის მამაკაცს; ამ მამაკაცში მაშინვე შევიცანი ცნობილი ქართველი მოღვაწე და მწერალი ნიკო ნიკოლაძე. ადრე არსად, არასდროს არ მენახა და სურათით ვიცნობდი.

ლ. ანდრონიკაშვილმა გულთბილი საუბარი გაუმართა. ლაპარაკი ჩამო-

¹ იხ. დასახელებული „Каталог...“

² იხ. საქ. სურათების გალერეის საინვენტარო დავთარი დაცული საქ. ხელოვნების მუზეუმში.

ვარდა თეატრზე, მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, სახელმწიფო უნივერსიტეტზე.

მოსაუბრენი შენობის მარცხენა მკლავში იდგნენ... ლ. ანდრონიკაშვილმა ყურადღება აღექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტს მიაქცია, რომელიც გ. მაისურაძის მიერ იყო შესრულებული და მხატვარი ანდრონიკაშვილიც ასხენა რატომღაც. სიჩუმე ჩამოვარდა.

ნ. ნიკოლაძე ჩაფიქრდა, მსუქანი, ღონიერი ხელის თითები შეათამაშა, თვალები მიაპყრო იმ მხარეს, სადაც ა. ბაგრატიონის პორტრეტი ეკიდა და თითქოს ცდილობდა რალაციის მოგონებას, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა — „მაისურაძე... გიორგი ივანიჩი, — ასე ვეძახდით მას გიმნაზიელები... ეს იყო ქუთაისში... ბავშვობისას, იგი გვასწავლიდა ხატვას, ხაზვას და სუფთა წერას... გიორგი ივანიჩი გიმნაზიის გახსნის დღიდან მუშაობდა. მას ჰქონდა ქუთათურთა პორტრეტები, გიმნაზიაშიც ეკიდა მისი ნახატი... ქართველმა ახალგაზრდობამ აუცილებლად საპიროა იცოდეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისტორია, არამედ ისიც, თუ როგორ და საიდან შეადგენენ ამ ისტორიას...“ ნ. ნიკოლაძეს მაშინ მაისურაძეზე ლ. ანდრონიკაშვილისათვის ამის მეტი თითქმის არაფერი არ უთქვამს...

შემდეგში ყურადღება მაისურაძემ კიდევ ერთხელ მიიქცია, მაგრამ არც მაშინ მინახავს რაიმე მნიშვნელოვანი და არსებითი მის შესახებ; ერთგან წავიკითხე კიდევაც; „რაც შეეხება მაისურაძეს, — წერდა ერთ-ერთი ავტორი, — მის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ერთადერთი პორტრეტი, რომლითაც ის წარმოდგენილია, სავსებით შემთხვევითი მოვლენაა და ამ ნაწარმოების მიხედვით შეუძლებელია მხატვრის შემოქმედებითი სახის აღდგენა“.

მაშინ მხატვრის შესახებ ამის მეტი არაფერი იყო ცნობილი.

დღესაც სანანებლად მაქვს, რომ მაშინ სურათების გალერეაში ნ. ნიკოლაძეს, ქართული კულტურის მართლაც ბუმბერაზს, არაფერი ვკითხე მის ყოფილ მასწავლებლისა და თითქმის მის თანამედროვე მხატვარზე.

კიდევ ერთი შემთხვევა მქონდა, როდესაც უშუალოდ ჩემი ყურით გავიგონე იმ მხატვრის სახელი და გვარი, რომლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე, ვიდრე ამ მონოგრაფიის დაწერამდე, მრავალი წლის განმავლობაში (1937 — 1956) ვაწარმოებდი კვლევა-ძიებას.

ეს 1933 წლის გაზაფხულზე მოხდა. უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, № 86 აუდიტორიაში ტევა აღარ იყო, ლექციას კითხულობდა აკად. ნიკო მარი. აუდიტორიაში შესვლა ძნელი იყო. ხალხი ღელავდა, ახალგაზრდობის ორი ბანაკი უპირისპირდებოდა ერთმანეთს... ლექციის დამთავრების შემდეგ აკად. ნიკო მარი გამოვიდა უნივერსიტეტის ეზოში, მას გარს ერტყა, როგორც მაშინ.

¹ იხ. გაზ. „Заря Востока“, № 1449, 12/IV — 1927 წ. ვანდიკის ხელმოწერით (ვანდიკი არის ფსევდონიმი ვახტანგ კოტეტიშვილისა). წერილში მოხსენებული პორტრეტი გულისხმობს ა. ბაგრატიონის პორტრეტს.

ეძახდნენ, „მარისტები“. ისე მოხდა, რომ შემთხვევით ამ ჯგუფს გაეყვი. შემდგომში, როცა ეს საკირო გახდა, ღიბანს ვიგონებდი ვინ იყვნენ მაშინ ნ. მართან, მაგრამ გარკვევით ყოველთვის უნივერსიტეტში მოსწავლე ორ ახალგაზრდა — ა. ღლონტი და მ. ჩხენკელი დამედგებოდა ხოლმე თვალწინ, მათთან ერთად მაშინ, სხვათა შორის, იმყოფებოდა ენათმეცნიერი მიშა ჩხაიძეც.

ეზოში რომ გამოვიდა ნ. მარი, შედგა და ლაპარაკი დაიწყო, იგი პაერში თითოთ რაღაც სქემას ხაზავდა. საუბარში ქუთათისიც გაიხსენა, თქვა ისიც, რომ მას ქუთათისშიც უსწავლია და სქემის გამოხაზვასთან დაკავშირებით მისი ბავშვობის ხატვა-ხაზვის მასწავლებელი მაისურაძეც ახსენა... მაგრამ არც მისი სახელი და არც მამის სახელი არ უთქვამს. მეხსიერებაში ჩამჩრა მის მიერ მაშინ რამდენჯერმე განმეორებული რუსული ფრაზა, ნათქვამი ხატვა-ხაზვის გაკვეთილების გამო: „მასთან ნასწავლი შემდეგში მე ძალიან გამოამადგა“. ეს შემთხვევა მხოლოდ მოგვიანებით აღსდგა მეხსიერებაში, აღსდგა მაშინ, როცა საამისო მოთხოვნისგან გაჩნდა. უახლოეს მომდევნო წლებში მე აღარ მქონდა შემთხვევა შევხვედროდი კიდევ ვინმეს ისეთს, რომელსაც თუნდაც გაკვრით ეხსენებინოს მაისურაძე, ანდა პირადად სცნობოდა იგი.

ახალი დროის ქართულმა ხელოვნებამ ჩვენი ყურადღება გვიან მიიქცია, როდესაც მუშაობა მუზეუმ „მეტეხის“ — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფერწერის განყოფილებაში დავიწყე; ამ განყოფილებას მაშინ და მომდევნო თითქმის ხუთი წლის მანძილზე, ვიდრე მუზეუმში ემუშაობდი, განაგებდა პროფესორი შალვა ამირანაშვილი. გ. მაისურაძის „აღმოჩენა“ და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეც სწორედ ამ დროიდან იწყება.

დადგა 1937 წელი. საზოგადოებამ ამ წილს ნახა საიუბილეო გამოფენაზე ქართული საბჭოთა მხატვრების მიღწევები, რაც მაშინ აჩვენეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე.

ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში — ქალაქ მოსკოვში — ქართულ ხელოვნების დეკადის ჩასატარებლად ემზადებოდა. იმჟამად ჩვენში სახვითი კულტურის ორი საგამოფენო ცენტრი: საბჭოთა მხატვრების სურათების გალერეია და ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ არსებობდა.

ქართული ხელოვნების გამოფენის საქმეს ადგილობრივ, ხელოვნების საქმეთა სამმართველო მეთაურობდა, უშუალოდ კი მის მოწყობას ახორციელებდა მუზეუმი და სურათების გალერეია.

იმჟამად მუზეუმის დირექტორი თეატრისმცოდნე გ. ვ. ბუხნიკაშვილი იყო. მუზეუმის ფერწერის განყოფილებას განაგებდა პროფ. შ. ი. ამირანაშვილი, ხოლო არქიტექტურის განყოფილებას — პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილი, გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებას კი მეცნ. დამსახურებული მოღვაწე ი. თ. სონღულაშვილი განაგებდა.

მაშინ დეკადის (სახვითი ხელოვნების) ორგანიზაციის საქმე საკავშირო ხელოვნების სამმართველოს მიერ გაპიროვნებული იყო ქართული კულტურის ისეთ გულშემატკივარ რუს ხელოვნებისმცოდნეზე, როგორც არის ა. ი. ლეონოვი. საბჭოთა პერიოდის სახვითი ხელოვნების მასალის შერჩევას ხელმძღვანელობდნენ მხატვრები: ვ. ქიქოძე და ვ. კეშელავა. დეკადასთან დაკავშირებით ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ პირდაპირ და იმავე დროს საპატიო მოვალეობას შეადგენდა ქართული ხელოვნების სათანადო და ამომწურავი სახით ჩვენება, დაწყებული უძველესი დროიდან ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მუშაობის ჩასატარებლად მცირე დროის მონაკვეთი იყო მოცემული. მუზეუმის ფერწერის განყოფილებიდან მაშინ ხელოვნებათმცოდნე ა. ი. ლეონოვთან მუშაობა პირადად მე მომისდა.

შესარჩევი, საგამოფენო ექსპონატების გამოყოფას ფონდიდან, პროფ. შ. ი. ამირანაშვილის დავალებით, ვაწარმოებდით რამდენიმე პირი. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო გარემოება: საგამოფენო ექსპონატების შერჩევის ფუძედ მაშინ, რადგანაც მუზეუმი მეტისმეტ სივიწროვეს განიცდიდა, აღებული იყო საინვენტარო დავთარი და ყველა ექსპონატი თვალდათვალ არ ყოფილა. მაშინ ნახული, მათი ნახვა შექმნილი პირობების გამო შეუძლებელიც იყო.

საინვენტარო დავთარს კი — იქ, სადაც ჩაწერის ფურცელი თავდებოდა, მიწერილი ჰქონდა შენიშვნა, გაკეთებული ერთ-ერთი თანამშრომლის ხელით, რმის შესახებ, რომ თითქოს უკანასკნელი შემოწმების მიხედვით ფერწერის განყოფილების ფონდში სახეზე არ აღმოჩენილიყოს ის ინვენტარი, რომელთაც დავთარში არ ჰქონდათ რიგითი ნომრის (წინა არეზე) პირდაპირ ლურჯი ფანქრით გაკეთებული ე. წ. „პტიჩკა“ (V — შ. კ.). ამ შენიშვნას ხელს აწერდა საქმისათვის პასუხისმგებელი პირი. ამ შენიშვნის მიხედვით გ. მაისურაძის „ავტოპორტრეტი“ დაკარგულად იყო მიჩნეული, რადგან მისი რიგითი ნომრის წინ არ იდგა აღნიშნული პირობითი ნიშანი; ამიტომ იყო რომ ხელოვნების დეკადაზე მხატვარი გ. მაისურაძე მაშინ მხოლოდ ერთი ნაწარმოებით — ალექსანდრე ბაგრატიის ძე ბაგრატიონის პორტრეტით იყო წარმოდგენილი; ფართო საზოგადოება დეკადაზე ვერ გაეცნო იმ ერთადერთ, მეტად საინტერესო ექსპონატს, — როგორც იყო მხატვარ მაისურაძის „ავტოპორტრეტი“, მიუხედავად იმისა, რომ ეს „ავტოპორტრეტი“ მუზეუმში დეკადამდე თითქმის ერთი ათეული და უფრო მეტი წლითაც აღრე იყო შემოსული.

შემდგომში სწორედ შემოსენებული გაუგებრობა გახდა საბაზი იმისა, რომ ეს ავტოპორტრეტი ახლად იქნა „აღმოჩენილი“ მუზეუმის ფერწერის განყოფილებაში.

მაშინ დეკადასთან დაკავშირებით ფერწერის განყოფილებამ განყოფილების თანამშრომლებს ესა თუ ის დავალება მისცა, მთლად მუშაობას განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი შ. ამირანაშვილი ხელმძღვა-

¹ იხ. დასახელებული „Каталог Выставки“...

ნელობდა. დირექტორთან შეთანხმებით, ჩვენ დაგვევალა იმ მხატვრებზე ბიოგრაფიული მასალების შეკრება, რომლებიც ჩვენში ოქტომბრის რევოლუციის წინა ეპოქაში მუშაობდნენ და რომელთა ნამუშევრებიც უნდა გამოეთანთა მოსკოვში გამოფენაზე. ასეთ მხატვართა რიცხვი ძალიან დიდიც არ იყო. აქ შედიოდნენ: მაისურაძე, ოენათაოეები (იონათამიშვილები?)¹, რ. გველესიანი, ა. ბერიძე, ა. გოგიაშვილი, გ. გაბაშვილი, ა. მრევილიშვილი, ტ. მომცელიძე, დ. გურამიშვილი, ი. გუგუნიავა, ვ. შარვაშიძე, შ. ქიქოძე, პიტახია და სხვები.

მეცნიერული საკვლევადიებო მუშაობა, ახალი დროის ქართული სახვითი ხელოვნებისა, ხელოვნების მუზეუმის სისტემაში იმ დროს ის-ის იყო ფეხს იდგამდა; მუზეუმში ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების ცალკე გამოყოფის ტენდენცია პირველად მიახლოებით მხოლოდ 1940 წელს გაჩნდა... და მის მომდევნო დროში კიდევ იქნა მოყვანილი სისრულეში.

ბიოგრაფიული მასალის და მხატვრის შემოქმედების შესახებ ცნობების შეკრება მცირე დროში არც ისე ადვილი საქმე იყო. მიუხედავად ამისა მაშინ მასალა მაინც იქნა შეკრებილი, უმთავრესად გადმონაცემების და მონათხრობთა საფუძველზე.

ბიოგრაფიულ მასალების შეკრებაში მაშინ დახმარება გავვიწია არა ერთმა და ორმა პირმა². მათი მეშვეობითა და ძველ ქართულ და რუსულ პრესაში შემონახულ მასალების საფუძველზე მოხერხდა, მართალია, ძალზე უმნიშვნელო, მაგრამ ისეთი ხასიათის პირველადი ცნობების შეკრება მაინც, რაც მიახლოებით წარმოდგენას იძლეოდა ამა თუ იმ მხატვრის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მაშინ გ. მაისურაძის შესახებ სხვადასხვა პირთა დახმარებით და გ. მაისურაძის მიერვე შესრულებულ ა. ბაგრატიონის პორტრეტის ზურგის მხარეზე წარწერილ ტექსტის მიხედვით დადგინდა იქნა, რომ გ. მაისურაძე იყო მხატვარი, რომელიც ცხოვრობდა: „ქალაქსა შინა სანქტ-პეტერბურღსა“ „1839 წელსა“ და რომ იგივე ავტორი ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტისა. მაგრამ ამის მეტი მაშინ სხვა ვერაფერი იქნა გარკვეული.

ქართველ მხატვრებზე შეკრებილ ძუნწ და თითქმის არაფრისმთქმელ ცნობების გამო მაშინ ხელოვნებათმცოდნე ა. ი. ლეონოვმა საყვედურიც კი გამოთქვა; ეს საყვედური გახდა სწორედ საბაბი გ. მაისურაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის. გადავწყვიტე, ვცდილიყავი აღმედგინა იმ მივიწყებულ ქართველ მხატვართა ცხოვრება და შემოქმედება, რომელთა შესახებაც

¹ იხ. იონა ბატონიშვილი — „კალმასობა“, მეორე ტომი, გვ. 8, და „K. K.“ 1846 წლიდან ვიდრე ბოლომდე.

² ესარგებლობთ შემთხვევით და მადლობით მოვიხსენიებ აქ იმ პირებს, რომლებმაც მაშინ დახმარება აღმოგიჩინეს მასალის მოპოვებაში, კერძოდ: ნ. ერისთავს, შ. ამირანაშვილს, გ. ბუზნიკაშვილს, დ. ლომაძეს, ი. სონდულაშვილს, ა. ფორაქიშვილს, ინგ. კეზერელ-კობაძეს, მ. ლომიანიძეს, გ. ნათიძეს, გ. ზაზიაშვილს, დ. კაკაბაძეს და ყველას, ვინც კი დამეხმარა.

მაშინ ჩვენში მცირეოდენი ცნობები თუ მოიპოვებოდა¹. ამისათვის კი აუცილებელი გახდა ხელოვნების მუზეუმის ახალი ქართული მხატვრობის სიმუშეებისა და, საერთოდ, ფერწერის ფონდების შესწავლა, რის საშუალებაც მომეცა 1937 — 38 წლებში, მაშინ სწორედ ამ საინვენტარო დავთარზე მიწერილი შენიშვნის საშუალებით გახდა შესაძლებელი აღმოჩენა გ. მაისურაძის დაკარგულად მიჩნეული ავტოპორტრეტისა.

იმკამად მუზეუმში საჭირო გახდა დაწერილებითი ცნობები ფერწერის განყოფილების ექსპონატთა შესახებაც; ბინის სივნიწროვის გამო ექსპონატები ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თვითეთლის შემოწმება, თუ განყოფილება არ დაიკეტებოდა, შეუძლებელი იყო. განყოფილება მნახველთათვის მართლაც დაიჭურა და ძირითადადში აღწერაზე მუშაობდა. სწორედ ამ დროს ესტუმრა მუზეუმს ენობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი და მისი მეუღლე. ჩვენთან მოვიდნენ დირექტორი და საკმაოდ მსხვილი მამაკაცი, უქულოდ, თხელი, უკან გადავარცხნილი თმებით, საყელო გახსნილი ჰქონდა, თეთრი „ტოლსტოვკა“ და ნაცრისფერი ტილოს შარვალი ეცვა. მას ახლდა გამხდარი ქერა ქალი.

სტუმრისათვის უნდა გვეჩვენებინა ფერწერის ფონდების ექსპონატება: ვაჩვენეთ ანჩის ცვილოვანი ხატი, უბისის ხატები, რომლებიც მაშინ ფერწერის განყოფილებაში იყო დაცული.

ა. ტოლსტოის გაკვირვებას და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი ქართულ ხელოვნებას „სასწაულს“ უწოდებდა. შემდეგში იგი უფრო გააოცა ქართული ქედური ხელოვნებისა და ხელსაქმის ნიმუშების ნახვამ...

სხვათა შორის ამ სტუმრობის დროს პირველად ნახა მუზეუმის უფროსმა მეთვალყურემ ი. კაჯელაშვილმა ერთ-ერთ თაროში მოზრდილი კონვერტი, სწორედ ამ კონვერტში იქნა პირველად ნახული გ. მაისურაძის დაკარგულად ჩათვლილი „ავტოპორტრეტი“. სურათს ზურგზე წარწერა ჰქონდა, ამ წარწერით გავიგეთ, თუ რას წარმოადგენდა იგი; ნაჩქარევი განმარტებით მივაწოდეთ მწერალს; მან ნახა და აღტაცებულმა წამოიძახა: „Редко приходилось мне лично читать подобную повесть о душевной жизни человека“².

იმ დღის შემდეგ ფონდებში, რასაკვირველია, მაისურაძის ავტოპორტრეტსაც მიეცა მისი ადგილი; მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ, სამხატვრო აკადემია დამთავრებულ ქართველი მხატვრის — მაისურაძის ეს „ავტოპორტრეტი“ მაშინ აღარ მოხვდა მოსკოვში გამართულ ქართულ სახვითი ხელოვნების³ პირველ გამოფენაზე.

ეს შეცდომა არსებითად დამწებული იყო იმის გამო, რომ „ავტოპორტრეტი“, საინვენტარო დავთარში გაკეთებულ შენიშვნის მიხედვით, სახეზე არარსებულად, ე. ი. დაკარგულად ითვლებოდა; ხოლო იმ სიჩქარის დროს მუზეუმის სივნიწროვეში მას ძებნას აბა ვინ დაუწყებდა?

¹ იხ. შ. კვასხვაძე, ანტონ გოგიაშვილი, 1947 წ. საბლიტგაპი.

² იხ. „ჩანაწერებისა და საარქივო მასალების კოლექცია“, ხელნაწერი. დაცულია ჩვენთან.

ეს ავტოპორტრეტი ამის შემდეგ სხვა ექსპონატებთან ერთად აღწერილი და გატარებული იქნა ხელოვნების მუზეუმის კატალოგში, თითქმის ერთი წლის შემდეგველი მუშაობის შედეგად.

გ. მასიურაძის „ავტოპორტრეტის“ მეორე მხარეზე გაკეთებული მინაწერი პირდაპირ მიგვიჩვენებდა ორ ისეთ პიროვნებაზე, რომელთაც შეელოთ კვლევის საქმეში დახმარების გაწევა. ერთი მათგანი მხატვრის შვილიშვილი — ნადეჟდა აშირაჯიბი (კალანდაძისა) იყო, მეორე კი ცნობილი ქართველი მოღვაწე და ქართული კულტურის მოამაგე იოსებ ინიედაშვილი¹.

ამ პირთა მიერ მოწოდებული ცნობები თუ მოგონებანი, ჩაწერილი ჩვენს მიერ, უშუალოდ დაედო საფუძვლად მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიის აღდგენას; ამ სურათმა კვლევა დააკეთებინა აგრეთვე პირადად მხატვრის ქალიშვილთან: ოლიპიადა მასიურაძე-თევზაძესთან და შვილიშვილთან მარგარიტა რევაზის ასულ ამირეჯიბთან. ხსენებულ პირთაგან შეკრებილმა ცნობებმა საშუალება მოგვცა დავედგინა დრო მასიურაძის მოღვაწეობისა, ხოლო ხანის დადგენით კი შესაძლო გახდა იმ პირთა ვინაობის დადგენა, რომელთაც მასიურაძესთან უნდა ესწავლათ. პირველი მათგანი ისტორიკოსი სიმონ ქვარიაძე იყო.

ს. ქვარიაძე არა მარტო მხატვრის ზოგიერთ თანამედროვეზე, არამედ მთელ რიგ დოკუმენტალურ მასალაზეც მიუთითა, ხოლო მის მიერ დასახელებული დოკუმენტის პოვნის შედეგად ნათელი გახდა პერიოდული პრესის შესწავლის აუცილებლობა.

ბიოგრაფიის დეტალების თანდათანობით შესწავლის საფუძველზე, ოთხი-ხუთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ გამოვაქვეყნეთ მასალები². მაშინ პირველად იქნა ნახული მხატვრის თანამედროვის მიერ დაწერილი ნეკროლოგი, მოგონებების სახით ჩაიწერა მხატვრის მახლობელთა, მოწაფეთა და ნაცნობთა ნაამბობი. აღმოჩენილ იქნა მხატვრის სხვა ნაწარმოებები.

სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ პროფ. შ. ამირანაშვილის მიერ მოცემულ მისამართზე აღმოჩნდა კიდევ ერთი აქამდე უცნობი ნაწარმოები. ეს იყო კუზმინას ბინაზე.

ხანშესულ სუსტ მანდილოსან — კუზმინასთან შეხვედრა მეტად საინტერესო აღმოჩნდა. მას მრავალი ათეული წლის განმავლობაში ემუშავნა მოახლედ აფხაზეთის უკანასკნელ მთავართა — შარვაშიძეთა ოჯახში. კუზმინასაგან ჩაწერილი მოგონებანიც შეემატა საერთო მასალებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მდიდარი საარქივო მასალა, რომელიც ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს არის აღმოჩენილი საქართველოსა და რუსეთის არქივთა

¹ ნ ამირეჯიბი გარდაიცვალა 1939 წ.; ი. ინიედაშვილი კი — 1952 წ.

² იხ. ტურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1940 წ., № 9, გვ. 27 — 32; რედაქციამ დაბეჭდა რა წერილი, იგი ავტორთან შეუთანხმებლად შეკვეცა, ამის გამო წერილიდან ამოვარდა ისეთი რამ, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში.

საცავებში. ეს მასალა ნათელს ფენს არა მარტო მხატვრის ცხოვრებას, არამედ მრავალ შემთხვევაში თვით ეპოქასაც კი. მითითებულ წყაროთა და მოგონებათა შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი სრულ წარმოდგენას გვაძლევდნენ მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მხატვრის ეპოქისეული სინამდვილის დასადგენად გამოყენებულ ლიტერატურიდან აქ დასახელებული უნდა იქნეს ერთა მეტად საინტერესო წყარო, როგორც არის ე. წ. „Кавказский календарь“

ჩვენ ეპოქის დახასიათებისა, მისი ეკონომიური წყობის, მისი კულტურისა და, საერთოდ, ყოფაცხოვრების დასახასიათებლად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და შრომაში ვიყენებთ კიდევაც მემუარულ და ეპისტოლარულ მასალას, ისეთ მასალასაც კი, რომელშიაც პირდაპირ არც კი მოიხსენიება ხოლმე მხატვარი, მაგრამ რომელი მასალაც, კვლევის საერთო პრინციპების მიხედვით, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ხოლმე პარალელისა, ანალოგიისა, ან არაპირდაპირი — ირიბი დოკუმენტაციის სახით..

ასეთ ცნობებზე და არაპირდაპირი ხასიათის მითითებებზე დამყარებით კვლევისას მრავალი რამ იქნა გახსნილი. აქ ჩვენ ერთგვარად სქემატურად, მაგრამ მაინც თანამიმდევრულად შევეცდებით წარმოვადგინოთ ერთგვარი ისტორია კვლევა-ძიებისა.

მხატვრის შეილიშვილებმა ნადედა ამირეჯიბმა და პიანისტმა ქალმა — მარგარტა რევაზის ასულმა ამირეჯიბმა¹ მიუთითეს თბილისში მცხოვრებ მხატვრის ქალიშვილზე — ოლიმპიდა გიორგის ასულ მაისურაძე-თევზაძისაზე, დასახელებულ ორ პირთაგან ცნობების ჩაწერის შემდეგ ცნობები ჩაწერილ იქნა მხატვრის ქალიშვილისაგან². ოლიმპიდა გიორგის ასული ღრმად მოხუცებული იყო და როცა გაიგო მისვლის მიზეზი, ოდნავ წამოიწია ლოგინიდან, ხელი გამომიწოდა და თვლებზე ცრემლი მოადგა: „მაშ, მამიჩემის ცხოვრებით განა არის ვინმე დაინტერესებული? რამდენი ხანია... ეს პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, როცა მის შესახებ მეკითხებიან. თქვენ იცით, რომ იგი მხატვარი იყო?“³.

შეკითხვებზე, მის მიერ მოცემული პასუხები, სახელდახელოდ იყო ჩაწერილი ფანქრით. მას სახე ჩამოჰკნობოდა, მაგრამ მაინც შემორჩენოდა ახალგაზრდობის მოშობლავი იერი. იგი ლაპარაკობდა სვენებ-სვენებით, ეტყობოდა, რომ გულის ასტმა აწუხებდა. პირველ შეხვედრისთანავე გაოცებას იწვევდა ერთი გარემოება — ნახული სამი პიროვნება საოცრად ჰგვანდნენ ერთმანეთს,

¹ ცხოვრობდა ყოფ. ეორესის (ახლა მარჯანიშვილისა) და პლესანოვის გამზირის კუთხის სახლში, მარჯანიშვილის თეატრის მხარეს.

² მხატვრის ქალიშვილი ოლიმპიდა გიორგის ასული მაისურაძე-თევზაძისა იმეამად ცხოვრობდა ყოფილი ვერის, ელბაქიძის დღემართი № 3-ში კახერგინის ბინაზე. მხატვრის ქალიშვილი 1940 წლის შემდეგ მე აღარ მინახავს, მისი დისწულის (ე. პ. კალანდაძის ასული) გადმოცემით იგი გარდაიცვალა სამამულო ომის დამთავრებისას; 1945 წელს.

³ იხ. „ჩანაწერებისა და საარქივო მასალების კოლექცია“.

ზოლო ცალ-ცალკე კი ყოველი მათგანი იმ ადამიანს ჰგავდა, რომლის პორტრეტიც, აკვარელით შესრულებული, ხელოვნების მუზეუმში ინახებოდა.

ოლიმპიდა გიორგის ასულმა მიუთითა ისეთ პირებზედაც, რომლებიც მისი მამის მოწაფენი ყოფილან. გაირკვა რომ ცნობათა მიღება შეიძლებოდა სიმონ ქვარიანისაგან და აგრეთვე შარვაშიძეებისაგან (თუკი, რასაკვირველია, ცოცხლები იყვნენ).

ამ შემთხვევამ ზედმეტად დაადასტურა მარტბელებმა და სანდოობა კუზმინას გადმონაცემისა; დაადასტურა სიმართლე „ავტოპორტრეტის“ მეორე მხარეზე მინაწერისა იმის შესახებ, რომ აკაკი წერეთელი მაისურაძის მოწაფე იყო.

მხატვრის ქალიშვილმა მიუთითა მამის გარდაცვალების წელზე, დასაფლავების ადგილზე, დედისა და მისი მშობლების ვინაობაზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქმე კვლევისათვის აუცილებლად საჭირო, სწორ და მართალ კვლზე დააყენა.

აქვე გაირკვა, რომ მაისურაძე უკავშირდებოდა ცეხნოვსკების იმ ოჯახს, რომელსაც ქუთაისში მეთაურობდა პოლონეთის უკანასკნელი აჯანყების (30 — 40 წწ.) მონაწილე, რომელიც საქართველოში გადმოსახლების შემდეგ მოჰქიდებოდა ოჯახს და ქუთაისში ცოლად შეერთო რაჭველი ბიბილაშვილის ქალი. ამრიგად, აღმოჩენილი იქნა ერთი ახალი წყაროც, რომელსაც უნდა მოეცა ახალი მასალა მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვევისათვის.

ამ დროს დაიბეჭდა წერილი ეურნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“. ეს იყო არსებითად პირველი წერილი¹, რომელმაც მიუჩინა თავისი ადგილი მაისურაძეს ქართული ხელოვნების ისტორიაში. წერილში პირველად იქნა უარყოფილი მცდარი და შეუძომომბელი შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს მხატვარს უმაღლესი სამხატვრო სპეციალური განათლება არ ჰქონდეს მიღებულა²; ამ ცდას არცთუ უშედეგოდ ჩაუვლია; ამის შემდეგ მუზეუმში მიტანილ იქნა და შექმნილი მუზეუმის მიერვე: „სახე დვთისა“, „ნ. აბულაძის პორტრეტი“, „ა. ჭიჭინაძის პორტრეტი“ და სხვ.

მხატვრის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგიერთი დღემდე უცნობი ნაწარმოების მაისურაძისათვის მიწერაც. მრავალ საკითხს მოფინა ნათელი ცნობარბა „Кавказский календарь“.

საქართველოს მწერალთა მუზეუმის იკონოგრაფიული განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა გ. პ. მოზლოკელმა საინტერესო ცნობები მოგვავროდა მაისურაძის პორტრეტთა შესახებ.

პირველ ხანებში, ჩვენში ზოგიერთი სპეციალისტი თუ არასპეციალისტიც დებულებას მასზედ, რომ გ. მაისურაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა იყო, შემდეგ ჭავჭავაძის მიერვე განთავისუფლებული და პეტერბურგს გაგზავნილი სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად და რომ შემდგომ იგი ქუთაისში მასწავლებ-

¹ იხ. ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1940 წ., № 8, იხ. სტატია — „გ. ი. მაისურაძე“.

² იხ. მ. დუდუჩავა — „ახალი ქართული ხელოვნება“, 1957, „ხელოვნება“, გვ. 22.

ლად მუშაობდა, მითად სთვლიდა, ჩვენ კი მაინც გვჯეროდა, რომ ჩვენი შეხედულების დამადასტურებელი მასალები საარქივო ფონდებში უეჭველად იქნებოდა დაცული.

გვჯეროდა, რომ სათანადო საარქივო მასალები იქნებოდა ლენინგრადის ცენტრალურ არქივში და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში — „ქუთაისის სასწავლებლის დირექციის“, „აკაკასიის სასწავლო ოლქისა“ და „მეფის ნაცვლის კანცელარიის“ ფონდებში.

ამ საკითხზე აღრე, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ფონდების შესახებ წერილიც კი გაიგზავნა საქართველოს წიგნის პალატის ხაზით, მაგრამ მას შედეგი არ გამოუღია. სამამულო ომის პერიოდში კვლევა-ძიება ამ საკითხზე შეწყვეტილი იქნა: ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც საკავშირო საბჭატვრო აკადემიის საკვლევო ინსტიტუტმა ქართული სახვითი ხელოვნების საკითხების შესწავლა დაიწყო, მოთხოვნილება არსებულ ქართულ ლიტერატურაზე გაიზარდა. ინსტიტუტმა სხვა შრომებთან ერთად რუსულ ენაზე ათარგმნინა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილი (1940 წ.) წერილი გიორგი მაისურაძეზე და წერილში მოცემულ მასალების მიხედვით მიაგნო კვალს¹ ლენინგრადის არქივში მაისურაძის შესახებ. ეს მასალები მეც მომაწოდეს; ეს მასალები ჩემს მიერ, როგორც ლენინგრადის, ასევე საქართველოს არქივებში მუშაობისას აღმოჩენილ სხვა მასალებთან ერთად, გამოყენებულია წინამდებარე შრომაში.

მომდევნო დროში მაისურაძის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს შეეხო აგრეთვე ხელოვნებათმცოდნე მ. ი. დუდუჩავა², მაისურაძის შესახებ წერილი გამოაქვეყნა ლ. შარვაშიძემაც³. ამავე საკითხს შეეხო შარვაშიძე სხვა ადგილასაც⁴.

¹ თბილისის სამხატვრო აკადემიაში 1950 წლის 27 მარტს მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნე ფ. ს. როგინსკიამ, მოხსენებაში გამოთქმული ცალკეული დებულებანი თუ შეხედულებანი სადავო იყო იმთავითვე.

ფ. ს. როგინსკიამ თავისი სურვილით გადმომცა ასლები იმ მასალის ნაწილისა, რაც ინსტიტუტს მოუპოვებინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუცხადებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის მასალა, რაც ფ. ს. როგინსკიასაგან მივიღე (ჩემთან ერთად ამ არქივის მასალის პირები მიიღო ხელოვნებათმცოდნე მ. ი. დუდუჩავამაც), არქივში ამოიკრიბილი იყო ოა მოძიებული ახალაზნა და ხელოვნებათმცოდნის ნ. ეზერსკიას მიერ (იხ. ლენინგრადის ცენტ. არქ. საქმეთა გაცემის დღიური საფონდო ერთეულზე). „ლიტ. გაზეთი“, 1950 წ. 26. III. როზინსკია. „ალ. ავქივაძე და გ. მაისურაძე“. სხვათა შორის მკვლევარის გვარი რედაქციას არა აქვს სწორად მოცემული. უნდა იყოს როგინსკია. ეს არც შეცდომების გასწორებაშია გატანილი. ეს წერილი განხილვას მოითხოვს და ჩვენ მკითხველის ყურადღებას სათანადო ადგილზე შევანერგებთ.

² იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1950, № 2, 3, მ. დუდუჩავას წერილი; მ. დუდუჩავა — „ახალი ქართ. ხელოვნება“, 1950 წ.; გამ. „ხელოვნება“; გვ. 17, 25. ასევე ი. ბალახაშვილი — „ძველი თბილისი“, 1951 წ., გვ. 186 — 187.

³ იხ. ჟურნ. „დროშა“, ლ. შარვაშიძის რატომღაც არა აქვს მითითება არც ერთ იმ ავტორზე, რომელთაც აქვთ დაბეჭდილი რაიმე მხატვარ გ. მაისურაძეზე.

⁴ იხ. მეც. აკად. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები, 1956 წ.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას ურთიერთობა იქნა დამყარებული სალტიკოვ-შჩერდინის სახელობის ბიბლიოთეკასთან, საიდანაც საყურადღებო ცნობები გადმოგზავნეს¹. მასალების ძრებაში ყურადღებას იჩენდნენ თბილისის კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის გამგე თ. მაჭავარიანი და კაბინეტის თანამშრომლები თ. დონდუა, მ. ჯუღელი და ლ. ანანაშვილი.

ამავე პერიოდში დაიბეჭდა წერილები სხვადასხვა რუსი ავტორებისა, რომლებშიაც მაისურაძე მოიხსენიება; ასევე დაიბეჭდა წერილი დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც. მოპოებული იქნა აგრეთვე დამატებითი მასალები საქართველოს ცენტრალურ და ლენინგრადის არქივებშიაც. მრავალი რამ გაირკვა იმ ურთიერთობისა ან შესაძლო ურთიერთობათა შესახებ, რასაც ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა ადგილი მხატვარსა და მის თანამედროვე მახლობელ მეგობარ-ნაცნობთა შორის.

მთელი ის მასალა, რაც დაგროვდა ასე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, ადასტურებდა, რომ გიორგი ივანეს ძე მაისურაძის ცხოვრება და შემოქმედება ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიის, კერძოდ. სახვითი ხელოვნების ორგანული ნაწილია, რომ გ. მაისურაძე თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ახალი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების თუნდაც დასაწყისს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მონაკვეთს ასახავს.

გ. მაისურაძე თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაკავშირებულია ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან. ის პირველი ქართველია, დადი ქართველი პოეტის მიერ ყმობიდან განთავისუფლებული, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, დიდი რუსი მხატვრის, „გენიალური კარლოსის“ — ბრიულოვის სახელოსნოში.

გ. მაისურაძე ის პირველი ქართველი მხატვარია, რომლის შემოქმედებამაც რაზნოზინელებმა, დემოკრატიული ფენის წარმომადგენლებმა ჰპოვეს ასახვა.

მაისურაძე, თანამედროვეთა რეალისტური-მხატვრული ასახვის გზით და მათი ფერწერული პორტრეტების შექმნით, შეეცადა შთამომავლობისათვის დაეტოვებინა ფერწერული გალერეა, ამიტომ ჩვენ საესებით ბუნებრივად მრგვაინია მხატვარ გიორგი მაისურაძეზე ისეთი შრომის შექმნა, რომელიც ერთი მხრივ უფროს თაობას, ხოლო მეორე მხრივ ქართველ ახალგაზრდობას გააცნობს მხატვრის შემოქმედებასა და ცხოვრებას და შთაუწერგავს მათ სრულ-რულს ნიჭიერი წინამორბედისა და თანამემამულისადმი.

საყურადღებოა, რომ მაისურაძის უკრიანელი თანამედროვე დიდი პოეტი ტარას შევჩენკო, მისი ნიჭისა და უნარის გამო

¹ ესარგებლობ შემთხვევით და სალტიკოვ-შჩერდინის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორს და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეს ვ. ი. სტულენკოვას და ასევე თანამშრომლებს ე. ნ. ვინერს და ლ. ნ. გროზდოვას მადლობას ეუბნი. — მიმოწერა დაკულია ჩვენთან, იხ. „ჩანაწერებისა და საარქ. მასალების კოლექ.“.

რუსული კულტურის ისეთმა დიდმა მოღვაწეებმა გაპოისციდეს, როგორც იყვნენ ბრიულოვი და ჟუკოვსკი.
გ. მაისურაძე კი ალექსანდრე ჭავჭავაძემ ერთი წლით ადრე გაანთავისუფლა ყმობიდან საკუთარის წებით და ახალგაზრდა კაცს ცხოვრებაში შესასვლელად, მშობლიური მხარის სასახლოდ და სადიდებლად ფართოდ გაუღო ბატონყმობისაგან ძაგრად ჩაკეტილი კარები.

წინამდებარე გამოკვლევა სწორედ გიორგი მაისურაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი.

წინადადება

უიჭი

1817—1835

„და ჩემს შემდგომად მოძებნა ჩემსა
ხიხელე გზისა გაუადვილდეს“
ნიკოლოზ ბარათაშვილი

„ბიჭო! ეისი ხარ მალჩაზი“
ხალაიძე

თავი პირველი

ქართველი ხალხის ცხოვრებაში XIX საუკუნის დამდეგიდან ახალი ხანა დაიწყო. ამ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ახალ ქართულ ლიტერატურას, რომელიც შინაარსისა და ფორმის მხრივ არსებითად განსხვავდებოდა კლასიკური და აღორძინების ხანის ლიტერატურისაგან. ამავე საუკუნეში ჩაისახა, განვითარდა და გაიფურჩქნა ქართული თეატრიც. ამ საუკუნეშივე აღმოცენდა, განვითარდა და დამკვიდრდა ახალი ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებიც.

ახალი დრო ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას დიდი აღორძინებისა და განახლების პირობებს უქმნიდა.

მომხდარი ისტორიული გარდატეხის ნათელ შეფასებას ჯერ კიდევ საუკუნის პირველ ნახევარშივე იძლეოდა გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“. იგი აღფრთოვანებული მიმართავდა მეფეს:

„ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!..“

პოეტი ამბობს, რომ აღსრულდა ხელმწიფური აზრი ირაკლისა. და განაგრძობს, რომ საქართველოს შვილებს:

„მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო...
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“

ამავე დროს პოეტის სიტყვებით ისინი:

„და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!“¹

მრავალი ისტორიული მოვლენით ხასიათდება ჩვენი ხალხის ცხოვრების ახალი დროის დასაწყისი; ისტორიულ წარსულში ჩვენი ქვეყანა სხვა მოწინავე ქვეყნებს არ ჩამოუვარდებოდა და რიგ შემთხვევაში კიდევაც უსწრებდა კულტურული თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც დასავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა ოსმალოებმა ჩაიგდეს ხელთ, ჩვენი ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოს მოწყვეტილი აღმოჩნდა. შეუძლებელი გახდა იმ მოწინავე კულტურის წვდომა, რასაც მე-18 — 19 საუკუნის მსოფლიოს მოწინავე ხალხები ქმნიდნენ. კულტურის დიდი მოძრაობის ფერხულში ჩაბმულ ჩვენს ქვეყანას იმეჟამად რუსეთი აკავშირებდა ახალი დროის კულტურის ყოველ დარგთან.

„განჩხნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის გასათლება“² —

ამბობდა სახელოვანი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ამავე გარემოებას ხაზს უსვამდა ახალი ქართული კულტურის მედროშე დიდი ილია ჭავჭავაძე.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით—როგორც ილია ჭავჭავაძე იტყვის— „დამშვიდდა დიდი ხნის დაუშმვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და ჭოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქლეგა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, გათავდა რბევა და აკლებდა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა უშიშარი ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს“³.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით შექმნილმა ვითარებამ არისტოკრატიული ფენებიდან გამოსულ ქართველ ახალგაზრდობას ფართოდ გაუხსნა კარები განათლებისაკენ⁴. დაბალ ფენებს კი ამის შესაძლებლობანი არ გააჩნდათ.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, აქ პირველად უნდა დავასახელოთ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მიერ გათარხნებული წინანდლედი ბიჭი — გიორგი მაისურაძე.

გიორგი მაისურაძე დაიბადა ალექსანდრე გარსევანის ძე კავკაზაძის ყმის — ივანე სულხანის ძე მაისურაძის ოჯახში სოფელ წინანდალში⁶. მხატვრის ქალიშვილს — ოლიმპიადას გადმოცემით, გიორგი ივანეს ძე მაისურაძის პაპას — სულხანს თუ მის წინაპრებს რაჭიდან გამოქცეულთ კახეთში გარსევან კავკაზაძის მამულში — წინანდალში შეუფარებიათ თავი⁶. ივანე სულხანის ძეს ცოლად შეურთავეს კახელი ქალი ელისაბედ ივანეს ასული, რომლის გვარიც დღემდე არ არის ცნობილი. მხატვრის დედის გვარი არც იმ მოწიბრაში აღინიშნება. რომელიც გაცემულია საქართველოს — იმერეთის წმინდა სინოდის კანტორის მიერ 1843 წლის თებერვლის 12 დღეს⁷. ივანე და ელისაბედ. მაისურაძეებს ხუთი შვილი ჰყოლიათ; მხატვრის ქალიშვილი — ოლიმპიადა ასახელებდა: ზაქარიას, სოლომონს, გრიგოლს, ქალიშვილს, რომლის სახელიც მას აღარ ახსოვდა⁸, და ადამს⁹.

გიორგი მაისურაძის დაბადების თარიღის შესახებ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არის გამოთქმული. პირველი ცნობა ამ საკითხზე დაიბეჭდა მხატვრის გარდაცვალებიდან 13 დღის შემდეგ გაზეთ „დროება“-ში. გაზეთის იმ დროს გიორგი ქართველიშვილს სცემდა, ხოლო რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი, „დროების“ სტამბა ეკუთვნოდა სტეფ. მელიქიშვილს¹⁰; 1885 წლის 19 ივნისს გაზეთ „დროებაში“ № 129, „შინაური ქრონიკის“ რუბრიკის ქვეშ რედაქცია მხატვრის წლოვანების შესახებ წერდა: „ამ თვის ექვსს ქუთაისში გარდაიცვალა 97 წლის მოხუცი გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე“.

ამავე საკითხზე ხელოვნებათმცოდნე მ. დუდუჩავა წერს: „გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე (დაიბადა 1814 წ.)“... და თან სქოლიოში შენიშნავს: „დაბადების მოყვანილი თარიღი დადგენილია საქ. სახ. ხელოვნების მუზეუმის მეცნ. თანამშრ. გ. ჯაფარიძის მიერ“¹¹. იგივე თარიღი აქვს მითითებული მ. დუდუჩავას სხვა ადგილას¹². დაბადების თარიღის შესახებ. არსებითს არაფერს არ ამბობს მკვლევარი ფ. როგინსკია¹³.

ფ. როგინსკია მხატვრის დაბადების თარიღად 1814 წ. ვარაუდობს. მაისურაძის დაბადების თარიღს იძლევა ასევე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი შ. ამირანაშვილი და მას „ახალი მონაცემების“ საფუძველზე 1810 (?) წლით განასაზღვრავს¹⁴.

საგულისხმოა, რომ ჩვენში ზოგიერთი მკვლევარი-მეცნიერი, არამცთუ მხატვარ გ. მაისურაძეს, არამედ, საერთოდ, ახალ ქართულ მხატვრობასაც, ე. ი. მე-19 — 20 საუკუნის მხატვრობასაც კი არ აქცევს ხოლმე ყურადღებას¹⁵.

გაოცებას იწვევს უკანასკნელ ხანებში დაბეჭდილი ერთი სტატია, მიძღვნილი გ. მაისურაძისადმი; სტატიის ავტორი¹⁶ ისე წერს, თითქოს გ. მაისურაძეზე ათი მონოგრაფია მიიწი იყოს გამოქვეყნებული და მისი ცხოვრების ყოველი დეტალი საყოველთაოდ ცნობილი და დადგენილი იყოს; იგი წერს შემოქმედების შესახებ, მიუთითებს სურათების დაწერის თარიღებზე. მაგრამ არც ერთ

შემთხვევაში არ იძლევა მაისურაძის არამცთუ დაბადების, არამედ მისი ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვან თარიღს და იმედი განცხადებით კმაყოფილდება, რომ „გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე განთავისუფლებული ყმა გლეხი. პირველი ქართველი მხატვარი იყო, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგის სახატვრო აკადემიაში“.

საკითხით დაინტერესებული მკითხველის გაოცებას იწვევს, რომ მკვლევარი გ. მაისურაძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ არც ერთ უკვე გამოქვეყნებულ შრომას არ ასახელებს¹⁷.

იგავე ავტორი მაისურაძეს შეეხო ასევე 1956 წელს 7/VIII საქ. მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხულ მოხსენებაშიც, მაგრამ მან არც აქ მიუთითა რატომღაც მხატვრის დაბადების თარიღსა და მხატვრისადმი მიძღვნილ ნაბეჭდ შრომებზე¹⁸. საერთოდ არც თეზისებში და არც მოხსენებაში მის მიერ რატომღაც მითითებული არ არის ბიოგრაფიული თარიღებიც.

გ. მაისურაძის დაბადების თარიღის განმსაზღვრელად, როგორც გ. მაისურაძის შესახებ დაბეჭდილ ჩვენს წერილის, ასევე მხატვრის საფლავის ქვაზე წარწერილ წლოვანების მიხედვითაც. დღემდე რჩებოდა 97 წლის ასაკი¹⁹.

გ. მაისურაძის სამსახურებრივ სიებშიც კი დაბადების თარიღებად მოცემულია 1814²⁰, 1815²¹, 1816²² და 1817²³ წელიც კი, ხოლო ნამდვილი დოკუმენტი, რომელსაც სათანადო ოფიციალური საბუთის ძალა ექნებოდა, ვიდრე ასეთი უკანასკნელად არ იქნა მოპოვებული. თითქმის 15 წლის ძიებებს შემდეგ, ადრე ცნობილ. არ იყო.

ამ საბუთის მიხედვით გ. ი. მაისურაძე დაბადებულა სოფ. წინანდალში 1817 წლის 6 ივნისს (ძვ. სტ.) და იგი მოუნათლავთ ორი კვირის შემდეგ, ე. ი. 1817 წლის 20 ივნისს * (ძვ. სტ.).

საერთოდ იმ ავტორებს, რომელთაც მხატვრის დაბადების ნამდვილ თარიღად აღრეული თარიღები მიაჩნდათ და ასევე ჩვენ მიერ მითითებულ მეტრიკული მოწმობის შემდგენსაც კი, მხედველობიდან გამოორჩენიათ ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტი; ახლად აღმოჩენილი მოწმობაც ადასტურებს²⁴, რომ მეტრიკა შედგენილია გვიან, 1843 წელს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დოკუმენტში დაბადების წელი ჩაწერილია იმის მიხედვით, თუ როგორ აწყობდა ეს ამ შემთხვევაში სამხატვრო აკადემიაში მოსწავლე მაისურაძეს.

ამ დოკუმენტის შედგენის ისტორიის გასათვალისწინებლად ინტერესს მოკლებული არაა იმ საარქივო მასალის გაცნობა, რომელც ჩვენ აქ მოგვაქვს.

* გ. მაისურაძე გარდაიცვალა იმ რიცხვსა და თვეში, რომელ თვესა და რიცხვშიც დაიბადა, ე. ი. 6 ივნისს.

ფ. 5

№ 653

საქართველო-იმერეთის
სინოდალური კანტორა
№ 1332

23 აპრილი, 1841 წ.
თბილისი

საიმპერატორო სამხატვრო
აკადემიის საშმართველოში
გლუხი გენერალ-მაიორ თავად ქვეკა-
ვადისა ადამ მაისურადივი (წაიკითხე —
მაისურაძე შ. კ.) გამოითხოვდა რა სა-
ქართველო-იმერეთის სინოდალურ კან-
ტორიდან ამა წლის 7 მარტს შემოტა-
ნილ თხოვნით მეტრიკულ მოწმობას
მისი ღვიძლი ძმის, განთავისუფლებული
გორგის დაბადებისა და მონათვლის
შესახებ, რომელიც სწავლობს თქვენ-
თან აკადემიაში ფერწერას, განგვი-
მარტავდა, რომ ასეთ მოწმობას თო-
ქოს ითხოვდა სამხატვრო აკადემი.

ხოლო იმის შესახებ, თუ რა ცნობები და ნამდვილად ქირდება თუ არა აკადე-
მიას მაისურადის მიერ გამოთხოვნილი საბუთები, აუცილებლად (უნდა ეს იცო-
დეს) სინოდალურმა კანტორამ; ეს კანტორა უმორჩილესად გთხოვთ აცნობოთ:
ნამდვილად აქვს თუ არა საქირდება აკადემიის მმართველობას, ზემოთ აღნიშ-
ნულ განთავისუფლებული ყმის გიორგი მაისურადის დაბადების და მონათვლის
მეტრიკული მოწმობისა და სახელდობრ რაგვარისა?

პროტიერვი ლამიტრი ალექსევი
მღვინის მკაიერ (მ. ა. კ. ო. ვ. ი.)²⁵.

აღნიშნულ მომართვაზე იმპერატორის კარის სამინისტრო საქართველო-
იმერეთის კანტორას სწერდა შემდეგს:

„საქართველო-იმერეთის
სინოდალური კანტორას.

ფ. 4

იმპერატორის კარის
სამინისტრო

საიმპერატორო სამხატვრო
აკადემია

9 ივლისი 1848 *

საქართველო-იმერეთის სინოდალურ
კანტორის ამა წლის 29 აპრილის № 1332
მომართვაზე საიმპერატორო სამხატვრო
აკადემიის სამმართველოს პატივი აქვს
მოგახსენოთ ამით, რომ გააზატებულ
გიორგი ივანეს ძე მაისურაძეს, რომე-
ლიც იმყოფება აკადემიაში თავისუფალ-

* უნდა იყოს 1841. პირის გადამღების შეცდომა.

მომსვლელ მოწაფეთა რიცხვში, აუცილებლად ესაქიროება მოწმობა დაბადების და მონათვლის შესახებ, რამეთუ აკადემიის დებულებით ყოველ მოწაფესაგან მოითხოვება ასეთი მოწმობა, როგორც საბუთი მისი წარმოშობის დამადასტურებელი; ამასთანავე ეს მოწმობა მაისურაძეს დასკირდება მაშინაც, როცა მას, მიიღებს რა იგი აკადემიიდან მხატვრის წოდებას, მოუხდება სამსახურში შესვლა.

კონფერენც. მდივნის მაგიერ ინსპექტორი" 28.

აღნიშნული მიმოწერა ადასტურებს ოლიმპიადა გიორგის ასულის მიერ მოცემულ ცნობას მამის და-ძმათა და, კერძოდ, ღამ ივანეს ძე მაისურაძის პიროვნების შესახებაც.

აღნიშნული საბუთი ძლიერ საინტერესოა ჩვენი კულტურის ისტორიისა და, კერძოდ, თვით სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის დასახასიათებლად. იგი მეტყველებს, თუ რაოდენ ყურადღებიანი და გულისხმიერი აღამიან ყოფილა ალ. ჭავჭავაძე იმათ მიმართ, ვისაც პოეტის აზრით ქართული კულტურისათვის რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება შეეძლებოდა.

ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა მხატვრის მახლობელთა ვინაობაც; ირკვევა, საერთოდ, ქართველი მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულება ხალხისადმი, საზოგადო საქმისადმი.

1840 წელს დაწყებული საქმე, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ისეთი პიროვნება, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო, 1843 წლის 12 თებერვალს დასრულებულა; ეს საქმე, უნდა ვიფიქროთ, შემდეგში გადაზავნილი ყოფილა საიმპერატორო აკადემიის სახელზეც. ამ დოკუმენტის საქართველოს არქივთა საცავში მოხვედრა, ჩვენის აზრით, დამოკიდებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ მაისურაძის დაჯილდოებასთან. სწორედ ამიტომ გამოითხოვეს იგი მაშინ პეტერბურგის არქივიდან; ამ დოკუმენტიდან მრავალი საინტერესო რამ ირკვევა: მოგვყავს დოკუმენტი მთლიანად:

მ ო წ მ ო ბ ა

ღერბი (ორთავიანი არწივის გამოსახულებით) ფასი 90 კაპ. ვერცხლით

ფურც. 117

საქართველო-იმერეთის უწმინდეს სინოდალურ კანტორიდან, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ბრძანებულებით, გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის გლუხს გიორგი მაისურაძეს მიეცა მასზედ, რომ:

1. გიორგის ძმა აღამ მაისურაძე მის მიერ 1841 წლის 7 მარტს

სინოდალურ კანტორაში შემოტანილი თხოვნით კანტორისაგან ითხოვდა, რომ მისმა ღვიძლმა ძმამა გორგი მაისურაძემ, მიიღო რა თარხნობა ზემოთ აღნიშნული მემამულის თავად ჭავჭავაძისაგან და შეეიდა რა სასწავლებლად სამხატვრო აკადემიაში ფერწერის შესასწავლად, იგი მას, ე. ი. ადამს სთხოვს, რომ მან გამოითხოვოს მეტრიკული მოწმობა გიორგის დაბადებისა და მონათვლის საგანზე, მისი უფროსთათვის წარდგინების მიზნით, რადგანაც ისინი ასეთს მოითხოვენ მისგან. იგი თხოვნაში ამასთანავე იმაზედაც უთითებდა, რომ გიორგი დაბადებულია მისი მამის, — თავად ჭავჭავაძის გლეხის, — წინანდალში მცხოვრები ივანე მაისურაძისა და ელისაბედის (უკვე გარდაცვლილის) კანონიერ ქორწინებაში — 1817 წლის 6 ივლისს და რომ იგი მონათლულია ორი კვირის შემდგომ წინანდელი სამრევლო მღვდლის იოზ ჩიკვაძის მიერ, რომ მიმრქმელი ყოფილა გლეხი ოქროპირ მაჩიტაძე (ასევე გარდაცვლილი) და რომ ნათელის საიდუმლოს დასწრებიან წინანდლის მცხოვრებნი || მემამულის გლეხები: ადამ ფირანაშვილი, ანდრია დათუნაშვილი და გრიგოლ მუსხელიშვილი, რომელთაც შეუძლიათ ასევე დაადასტურონ გიორგის კანონიერ შეუღლებაში დაბადების გარემოება. ზემოთ მოყვანილ თხოვნის შესაბამისად სინოდალურმა კანტორამ დაასკვნა:

ფურც. 117. ზ/მ.

ა) მისი უმაღლესობის, სინოდალური კანტორის თავმჯდომარის, საქართველოს ექზარქის მეშვეობით ამ საგანზე მიემართოს მის ბრწყინვალეობას გენერალ-მაიორს თავად ჭავჭავაძეს და ეთხოვოს მას: გვაცნობოს, ნამდვილად არის მის მიერ მისი გლეხის ივანე მაისურაძის შვილი გიორგი განთავისუფლებული თუ არა და სახელდობრ რომელ წელს.

ბ) მთხოვენ ადამ მაისურაძის თხოვნის გამო ეცნობოს საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მმართველობას და ეთხოვოს, შეგვატყობინოს ნამდვილად ესაქიროება თუ არა აკადემიის მმართველობას გააზატებულ გიორგი მაისურაძის მეტრიკული მოწმობა — დაბადებისა და მონათვლის საგანზე და გ) თავად ჭავჭავაძისა და აკადემიის მმართველობისაგან პასუხის მიღებამდე გაიცეს განკარგულება მაისურაძის კანონიერ ქორწინებაში დაბადებისა, დაბადების დროისა და მონათვლის შესახებ ცნობების შეგროვების საგანზე, რაც შემდგომში სათანადოდ მოხსენდეს კანტორას.

ყოველივეს შემდეგ, სინოდალურ კანტორას შეატყობინეს: რომ ძმა, — გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის გლეხის ადამ მაისურაძისა, გიორგი, ჭავჭავაძემ ნამდვილად გაათარხნა 1837 წელს

|| და რომ ქვეყნებში ამასთანავე პირადად ითხოვა ადამ მაისურაძის მიერ ნათათვის დაბადებისა და მონათვლის მოწმობის გაცემის დაჩქარება, რადგანაც, როგორც აკადემიაში ყველა მოსწავლისათვის, ასევე თავისუფალ მიმსვლელთა რიცხვში მყოფ განათავისუფლებულ გიორგი მაისურაძისთვისაც დაბადებისა და მონათვლის მოწმობის ქონება აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც ყოველი მოსწავლისაგან აკადემიის დებულებით უნდა მოითხოვონ ასეთი მოწმობა, როგორც ერთგვარი საბუთი მისი წარმოშობის დამადასტურებელი და რომ ეს მოწმობა მაისურაძეს დასჭირდება მაშინაც, როცა იგი მიიღებს აკადემიიდან მხატვრის წოდებას და სამსახურში შესვლას დააპირებსო.

სოფელ წინანდლის მღვდელმა იობ ჩიკვაძემ, ადგილობრივი მისი ბლალოჩინის ფაციევის მეშვეობით, აჩვენა, რომ მან წმინდა ნათლობა ადამ მაისურაძის ძმის გიორგისა შესარულა 1817 წელს წინანდლის წმინდა გიორგის ტაძარში, მაგრამ სახელდობრ რომელ თვესა და რომელ რიცხვში, ეს მას აღარ ახსოვს, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაცემული აქაც სამეტრიკო რეგული; იმ ნათლობის ემს დიაკვნის მოვალეობა აუსრულებია მაშინ მასთან მყოფ იმერელ²⁷ დავითს, გვართ უცნობს; მიმრქმელი კი — საეკლესიო გლეხი ოქროპირ მაჩიტაძე ყოფილა; მოწმებელ დასწრებთან წინანდელი გლეხები: ადამ ფირანაშვილი, ანდრია დათუკაშვილი და გიორგი მუსხელიშვილი. მთხოვნელის მამისაგან და მისი მუფლის || ელისაბედისაგან ნამდვილად არის გიორგი კა-

ნონიერ ქორწინებაში დაბადებული და მისი დაბადება ნამდვილად მოხდა 6 ივნისს 1817 წლისა. მაშინ, როდესაც სინოდალური კანტორა თელავის მაზრის უფროსისაგან მოთხოვნათა შესაფერისად აღნიშნულ სამოქალაქო პირთაგან ფიცით დასტურ მიცემულ ჩვენებებს ელოდებოდა, მთხოვნელმა ადამ მაისურაძემ სინოდალურ კანტორაში 10 აგვისტოს შემოტანილ თხოვნაში და კანტორაში 1841 წლის 22 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში აჩვენა, რომ მისი ძმის, გიორგის მონათვლის დამსწრენი, მცხოვრებნი წინანდლისა — ადამ ფირანაშვილი, ანდრია დათუკაშვილი და გიორგა მუსხელიშვილი გარდაცვლილნი არიან და ვერ დაიკითხებიანო. იგი ამის გამო ითხოვდა, რომ მისი ძმის, გიორგის კანონიერ ქორწინებაში დაბადებისა და მონათვლის საგანზე დამატებით დაეკითხათ წინანდლის მცხოვრებლები: აზნაური გლაზა კოზმანოვი და გლეხები ნინია რევაზიშვილი და თევდორე ფირანაშვილი. ხოლო მისი მშობლების — გლეხ ივანე მაისურაძის მის ცოლ ელისაბედდთან, უკვე გარდაცვლილთან, ქორწინების დროის შესახებ

კი, მას—ადამს არავითარი ცნობები არ გააჩნია; ამის შესახებ, მისი ფიქრით, უნდა იცოდეს სოფ. წინანდლის მრევლის მღვდელმა იობ ჩიკვაიძემ, რადგანაც ჯგარი მან დასწერა მათ. აღნიშნულ პირთაგან კოზმანოვმა, ნინია რევაზოვმა და თევდორე ფირანაშვილმა ფიცით აჩვენეს: რომ ისინი ნამდვილად იყვნენ 1817 წ. (თვე და რიცხვი არ ახსოვთ) მოწმენი ნათლობისა, რომელიც აღასრულა მაშინ წინანდლის მღვდელმა || იობ ჩიკვაიძემ თავად კავკავაძის გლეხსა გიორგი მისისურაძესა ზედა და რომელსაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივს ივანე ნათლისმცემლის ტაძარში მაგრამ ვინ იყო მაშინ დიაკონი არ ახსოვთ; ნათლიად გიორგისა იყო მცხოვრები წინანდლისა ოქრ. აპირ მაჩიტაძე; გიორგი დაბადებულია 6 ივლისს 1817 წლისა კანონიერ შეუღლებით გლეხ ივანე მისისურაძისა და მისი მეუღლის ელისაბედისაგან. მღვდელმა იობ ჩიკვაიძემ აჩვენა, რომ მას ნამდვილად აღუსრულებია ქორწინების საიდუმლო ივანე მისისურაძისა მის უკვე გარდაცვლილ მეუღლესთან — ელისაბედდთან, მაგრამ თუ რომელ წელსა, თვესა ან რიცხვში, ხანდაზმულობის გამო აღარ ახსოვს. ქორწინებას კი დასწრებიან და იგი უნახაეთ ბასილა მამულაშვილს, დიმიტრი მსუქანაშვილს და იოსებ დათუნაშვილს. ამ პირებმა ფიცით დაადასტურეს მღვდლის ჩიკვაიძის ჩვენება. ამასთანავე თელავის მაზრის სოფ. წინანდლის გიორგის ტაძრის მღვდლის იობ ჩიკვაიძის 1827 წლის სააღსარებო დაეთარში ივანე სულხანის ძე მისისურაძისა და მისი მეუღლის ელისაბედ ივანეს ასულის ოჯახში ჩაწერილია მათი შვილი გიორგი 10, 1828 — 12, 1829 — 13, 1830 — 14, 1831 — 15, 1832 — 16, 1833 — 17, 1834 — 18, 1835 — 19, 1836 — 20, 1837 — 21 წლისა *. ყოველივე ზემოთ აღნიშნული: საფუძველზე სინოდალურმა კანტორამ 1842 წლის 11 ნოემბრიდან დაასკვნა: ვინაიდან წინანდლის სამრევლო ეკლესიის მღვდელმა იობ ჩიკვაიძემ და იქაურმა მცხოვრებლებმა, აზნაურმა კოზმანოვმა და გლეხებმა ნინია რევაზიშვილმა და თევდორე ფირანაშვილმა, პირველმა სამღვდელთ, ხოლო უკანასკნელებმა კი ფიცით დაადასტურეს, რომ მთხოვნელის — ადამ მისისურაძის — ძმა დაიბადა კანონიერ ქორწინებაში, გენერალ-მაიორის (ახლა გენერალ-ლეიტენანტის) თავად ალექსანდრე კავკავაძის გლეხის ივანე მისისურაძისა და მისი მეუღლის ელისაბედის ქორწინებიდან,

* 1827 წლისათვის აღებული ასაკი სწორად არ არის ნაჩვენები, ხოლო 1828 წლიდან კი კალმის შეცდომასთან ვეკეს საქვე. უნდა იყოს — 11 და ასე შევღვე: 1837 წელზე უნდა იყოს ნაჩვენები 20 წელი და არა ისე, როგორც არის (21).

1817 წელს; ზემოთ მითითებულ საერო პირთა ჩვენებით 6 ივლისს იგი ნამდვილად მონათლულა იობ ჩიკვაიძის მიერ იმავე 1817 წელს წინანდალში მცხოვრებ ოქროპირ მაჩიტაძის ნათლობით. ივანე და ელისაბედ მაისურაძეების ქორწინების ნამდვილობას ადასტურებენ ზემოთ მოხსენებული მღვდელი ჩიკვაიძე, ასევე გლეხები: ბასილ მამულაშვილი, დიმიტრი მსუქანაშვილი, რომლებიც ფიცით ადასტურებენ, რომ ეს აღესრულა დიდი ხნის წინათ. ამასთანავე წინანდლის სამრევლო ეკლესიის აღსარების სიებში იგი, გიორგი მაისურაძე, თავის მშობლებთან 1828 წლიდან 1838 წლამდე ჩათვლით აღინიშნება როგორც კანონიერად შობილი; ამ ცნობების მიხედვით სინოდალური კანტორა ფიქრობს, რომ გენერალ-ლეიტენანტ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ განთავისუფლებულ გიორგი მაისურაძის გლეხ ივანე მაისურაძისა და მისი მეუღლე ელისაბედისაგან კანონიერ ქორწინებაში დაბადება 1817 წელს, || ნამდვილია და მონათულა მისი იმავე წელსვე საექვოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული. ყოველივე ამისა და ზემოთ მითითებული ცნობების საფუძველზე სინოდალური კანტორა მოწმობას უწერს გიორგი მაისურაძეს მისი შობის კანონიერებისა და დაბადების დროისა. ასევე ნათლისღების ნამდვილობის დასადასტურებლად და აძლევს იას, მთხოვნელს ადამ მაისურაძეს, რის დასადასტურებლადაც ეძლევა მას ესე სინოდალურ კანტორიდან სახაზინო ბეჭდის დასმით ათას რუბლს ორმოცდა სამსა წელსა თებერვლის თორმეტსა დღესა.

დღ. 20

წერილი საქართველო-იმერეთის წმინდა სინოდის კანტორისა პროტორიერი დ. მ. ი. ტ. რ. ა. ლ. ე. კ. ს. ე. ვ. ი. მღვინის მაგიერ — მაკაროვი 28.

ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ 1940 წლის პუბლიკაციით მოცემული მხატვრის დაბადების თარიღი. ასევე გახ. „დროების“ ქრონიკისა და საფლავის წარწერაზე თუ მოგონებებზე დამყარებულიც, აგრეთვე ყველა ავტორის მიერ დღემდე მოცემული დაბადების თარიღებიც, არასწორად უნდა იქნას ჩათვლილი და ერთადერთ — ოფიციალურ დოკუმენტზე დამყარებულ — მხატვრის დაბადების თარიღად მიჩნეული უნდა იქნას 1817 წლის 6 ივლისი (ახალი სტილით 18 ივლისი).

გიორგი როგორც ვთქვით, დაიბადა სოფელ წინანდალში და მონათლული იქნა დაბადებიდან ორი კვირის გავლის შემდგომ წინანდლის წმინდა იოანეს სახელობის ტაძარში მრევლის მღვდლის იობ ჩიკვაიძის მიერ; მისი მიმრქმელა ყოფილა საეკლესიო გლეხი — ოქროპირ მაჩიტაძე, მცხოვრები ასევე წინანდლისა. დიაკონი კი დავით — იმერელი ²⁹

როგორც მხატვრის ქალიშვილმა გვიამბო, მამას მისთვის არაერთხელ უამბნია თავის ბავშვობისა და ყრობის შესახებ, უამბნია იმ დღეებზე, რომელიც მხატვარს წინანდალში გაუტარებია.

ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების აღმწერელს, იონა მეუნარგიას საკმაოდ საინტერესოდ აქვს აღწერილი პოეტის ცხოვრება და ის გარემო³⁰, რომელშიაც უზნებოდა პოეტს ცხოვრება. საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი აგრეთვე რუსი მოწინავე ადამიანებისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ურთიერთობა³¹.

ანდრეი ფადეევი იგონებს, რომ ალექსანდრეს სახლის კარები „მუდამ ღია იყო მეგობრებისა, ნაცნობებისა და მრავალრიცხოვან სტუმრებისათვის“... იგივე ავტორი წერს, რომ თუკი ვინმე ცნობილი და თვალსაჩინო პიროვნება ჩამოვიდოდა პეტერბურგიდან ან სხვა მხრიდან, უეკველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სტუმარი იყო. მის სადარბაზო კედლებზე გამოკრული იყო ანტიური შპალერი, რომელზეც მითოლოგიური სცენები ეხატა³².

სტუმრიანობისა და მასპინძლის გულუხვობის შესახებ მიუთითებს აგრეთვე ბარონი თედორე ტორნაუც³³.

ნიევეგოროდელთა ცნობილი მეისტორიე ე. პოტო ნიევეგოროდელთა 44-ე დრაგუნთა პოლკის ისტორიაში მოგვითხრობს, რომ იქ „გამოჩნდა თავადი ალექსანდრე გარსევანისძე ჭავჭავაძე და მან თან მოიტანა ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების შესაძლებლობანიც. ჭავჭავაძის პოლკში ჩამოსვლასთან ერთად სტუმართმოყვარე ქართულ საზოგადოებაში გულღია ლხინზე ჩვენმა ნიევეგოროდელებმაც იწყეს გამოჩენა, აქ მათი შემაკავშირებელი რგოლი იყო ქართველი კაცი, რომელიც იმავე დროს ნიევეგოროდელიც იყო. ეს იყო სწორედ ის თავადი ჭავჭავაძე, რომელსაც მთელი საქართველო პატივსა სცემდა, როგორც წარჩინებულ გვარიშვილს, როგორც ერთ-ერთ უმამაცეს მეონარს და რაც მთავარია, როგორც უდიდეს პოეტს, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მშობლიურ ლიტერატურაში“.

პოტო მიუთითებს, რომ: „დაახლოების პირველი ნაბიჯები, იმავე თავად ჭავჭავაძის სახლში, მის ცნობილ მამულში წინანდალში იქნა გადადგმული“³⁴.

პოტოსვე მოწმობით, წინანდალში სტუმრობა განსაკუთრებით განახლებულა. 1835 წლიდან.

ქეთევან ორბელიანის მოწმობით: „ყოველი რუსი, ვინც გადმოვიდოდა, იმათ სახლებში იყო“³⁵ ხოლმე; ს. ცაიშვილს მოჰყავს გრიგოლ დადიანის მოგონება, სადაც ნათქვამია: „ყოველდღე დიდი სტუმრობა ჰქონდათ, ვინც კი მოვიდოდა პეტერბურგიდან, გვარდიიდან და სხვა დიდ კაცობა ექსპედიციანი, აქ მოდიოდნენ-ო“³⁶.

მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად და გარკვევით იმ დიდ წრეს, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის გარშემო იკრიბებოდა, ახასიათებს ცნობილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი; ალექსანდრე ჭავჭავაძის დალუპვის გამო და-

წერილ ნეკროლოგში იგი წერს: „მისი შესანიშნავი ოჯახი ერთადერთი იყო თბილისში, სადაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხედუბოდათ წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელიც კარგად პასუხობდა განათლებული, ევროპული საზოგადოების წესებს“-ო³⁷.

ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახისათვის დამახასიათებელ ფართე კულტურული ინტერესებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რაც საკმაოდ ცნობილია ლიტერატურადან; კერძოდ, ჩანს, რომ იგი თავის ბავშვების აღზრდისას დიდ ინტერესს იჩენდა მუსიკაზე, სახვითი ხელოვნებისა და ენებისადმი.

ცნობილია ასევე ახვერდოვების ურთიერთობა ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახთან: ამ საკითხის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა მკვლევარი ირ. ანდრონიკაშვილი წიგნში — „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“³⁸.

ინტერესი ხატვისადმი, რომელსაც ახვერდოვების ოჯახი იჩენდა³⁹, ბუნებრივია, უნდა გავრცელებულიყო იმ ყმა ბიჭუნდაც, რომელიც ალექსანდრე ჰავკავაძის მამულში — წინანდალში ცხოვრობდა.

ი. ანდრონიკაშვილი შენიშნავს, რომ: „ახვერდოვებისა და ჰავკავაძეების ოჯახს არა მარტო ახალი მეგობრობა აკავშირებდათ, არამედ ეს ორი ოჯახი ერთ სახლად ცხოვრობდა და ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ“⁴⁰.

ი. ანდრონიკაშვილს მოჰყავს საყურადღებო ცნობა ხარლამოვას მიხედვით იმ პირთა შესახებაც, რომლებიც მუდმივი სტუმრები იყვნენ ახვერდოვების სახლში. ესენი იყვნენ ბუტურღინი, ვეროიგინები, სიმბორსკი, არსენიევი, რინკევიჩი, ისკრიცი, ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვი, ადრე ვ. კ. კოუხელბეკერი და სხვა გადმოსახლებული დეკაბრისტება.

სხვათა შორის ხარლამოვას მოწმობით ახვერდოვას სტუმარი ყოფილა ერმოლოვის ადიუტანტი გრაფი სამუილოვიც⁴¹.

საყურადღებოა, რომ საქართველოში ჩამოსული რუსი მოქალაქენი, რომელთაც ეხერხებოდათ ხატვა, ყოველთვის დიდი ყურადღებით ექცეოდნენ საქართველოს პეიზაჟისა და ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების მხატვრობაში ასახვის საქმეს.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოში მოგზაურობდა და მუშაობდა არა ერთი და ორი პროფესიონალი რუსი და უცხოელი მხატვარი; მოგზაურობდნენ ასევე მოყვარულნიც მხატვრობისა.

პროფესიონალ მხატვრებიდან, როგორც ამას „ნიევეგოროდელთა“ ისტორიის ფურცლებზე ვხედავთ, არა ერთი და ორი მხატვარი ასახავდა იმ მხარეს, სადაც ყრმა მაისურაძეს უხდებოდა ცხოვრება; ყურადღებას იქცევს რუსი მხატვრის მიხეილ ივანოვის მუშაობა საქართველოში, რომელსაც საკმაოდ საინტერესო პეიზაჟები ჰქონდა საქართველოს ლანდშაფტებისა⁴². მაგრამ უფრო ახლოს გ. მაისურაძის სიყრმის ათათან დაკავშირებული არის ვლადიმერ ივანეს ძე მაშკოვის მოღვაწეობა საქართველოში, რომელიც პასკევიჩის

დროს, 1830 წლამდე მოღვაწეობდა ჩვენში; შეუძლებელია ამ მხატვარს არ ჰქონოდა ურთიერთობა იმ დროის ისეთ გამოჩენილ მოღვაწესთან, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო. ვ. მაშკოვმა ჩვენში საინტერესო პეიზაჟები შექმნა⁴³.

ტორნაუ წერს, რომ: 1831-32 წლის ზამთარში, ე. ი. მაშინ, როცა საქართველოში მთავარმართებლად ბარონ როზენი იმყოფებოდა, „32 — წლის შეთქმულების“ პერიოდში, ჭავჭავაძეებმა ქალაქში მხოლოდ ერთი ზამთარი გაატარეს. ტორნაუსვე მოწმობით ვლადიმერ დიმიტრის ძე ვოლხოვსკი ალ. ჭავჭავაძის ძველი მეგობარი ყოფილა.

საერთოდ, ის გარემო, რომელიც გარს ერტყა ყმა ბიქს, რომელსაც განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ხატვისადმი, ცხადია. დიდ გავლენას იქონიებდა მასზე. ტყუილად კი არ წერს ალ. ჭავჭავაძე ერთ საბუთში — „თარხნობის სიგელში“: „გავანთავისუფლე, მხოლოდ მის მიერ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში გამოჩენილ უჩვეულო წარმატებათა გამო“⁴⁴.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც ჩანს, ფართო ურთიერთობა და კეთილი განწყობილება ჰქონია არა მარტო ინტელიგენციასთან და განათლებულ ფენებთან, არამედ კახეთის მოსახლეობასთან და თავის ყმებთანაც. სწორედ ამის გამო „საიღუმლო თვალყურის დევნება“⁴⁵ კი ყოფილა დაწესებული ალ. ჭავჭავაძესა და მის ოჯახზე.

ამ საიღუმლო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჭავჭავაძესთან დადიოდნენ და მსჯელობდნენ ხოლმე: გიორგი ავალიშვილი, იოსებ ბოდბელი, ერისთავი, შარვაშიძე ნიეგეგოროდელ პოლკიდან, პოდპორუჩიკი ახვერდოვი, თავადი ვახვახიშვილი, გლეხები, ქალაქელები და სხვ.

საზევითი ხელოვნებისადმი რომ ინტერესს იჩენდნენ კახეთში, მრავალი შემთხვევით დასტურდება; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქ პროფ. ა. ხახანაშვილის მიერ მითითებული ისაი ჯანჯულაშვილი, რომელსაც იგი მიაწერეს გიორგი XII-სა და მეფისწულ ალექსანდრეს პორტრეტების შექმნას⁴⁶. უნდა მიუვითოთ აგრეთვე ჩოლოყაშვილის ყმა მხატვარზე⁴⁷ და ასევე თვით ჩოლოყაშვილზედაც; აქ შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე მხატვარი ანდრონიკაშვილი⁴⁸, იონათამიშვილები, რომლებიც მოხსენებული ყავს იოანე ბატონიშვილს; საინტერესოა, რომ იონათამიშვილები ახლაც ცხოვრობენ ქართლში — ხაშურის რაიონში⁴⁹.

არსებობს აგრეთვე მითითება 1832 წელს ტარასი მონაზონთან ნაპოვნი სურათის შესახებ, რომელსაც თავის დროზე სოლომონ რაზმაძის იგავის „დათვისა და ცხერის“ ილუსტრაციად მიიჩნევდნენ; ტარასის განმარტებით კი იგი უნდა ყოფილიყო საქართველოს ალეგორია; ტარასისავე მოწმობით იგი შესრულებული ყოფილა დაახლოებით 1817 წელს და მიუერთმევიათ იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის⁵⁰. ეს სურათი შეუსრულებია იოანე ბატონიშვილს.

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ იოანე ბატონიშვილს, თვითონაც სცოდნია ხატვა.

გარსევან და ალექსანდრე ჰავკავაძეების დამოკიდებულების შესახებ სახვითი ხელოვნებისადმი და საერთოდ მხატვრული კულტურის დონის შესახებ, ნათელ წარმოდგენას იძლევა თუნდაც ის ძეგლი, რომელიც ცნობილია წინანდლის ბაღის სახელწოდებით.

წინანდლის სასახლე და მისი გარემო შეიძლება ჩაითვალოს იმ ნიადაგად, რომელზედაც აღმოცენდა და გაიფურჩქნა გიორგი ივანეს ძე მაისურაძის ნიჭი. თუ რას წარმოადგენდა წინანდლის სასახლე და სახვითი ხელოვნების რა განძეულს ინახავდა იგი, ამის შესახებ, თავი რომ დავანებოთ შამილის ჯარების მიერ მის აოხრებას⁵¹, ახლა მსჯელობა ძნელია, რადგან 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ წინანდალში არსებითი ცვლილებები მოხდა.

მაგრამ იმის მიხედვით, რაც ჩვენთვის დღეს ცნობილია, — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის წიგნთსაცავისა და სამკითხველოს დირექტორის — დოცენტ გიორგი ნიკოლოზის ძე ნათიძის გადმოცემით, — ნათელი ხდება, თუ რა გარემოებამ და პირობებმა გამოიწვიეს და შეუწყვეს ხელი წინანდელი ბიქის — გიორგი ივანეს ძე მაისურაძის — გატაცებას ფერწერით.

„1920 წელს, — მიაშრო ერთხელ გ. ნ. ნათიძემ, — საქართველოს ეროვნულ გალერეაში, ყოფილ „დიდების ტაძრის“ შენობაში, რომელიც ის ის იყო უნდა დაარსებულიყო და რაც ფაქტიურად პირველი ცდა იყო ქართველ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა თავმოყრის საქმეში, — გალერეის დირექტორთან დ. შვეკარდნაძესთან მოვიდა აკადემიკოსი ე. ე. ლანსერე და განაცხადა: „წინანდალში, ჰავკავაძის ყოფილ მამულში, შეიძლება მოიძებნოს ისეთი რამ, რაც თქვენთვის მეტად საინტერესო იქნებაო“.

მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გალერეისა მართლაც მოაწყო ექსპედიცია წინანდალში; იქ ნახეს მრავალი საინტერესო რამ; ალექსანდრე ჰავკავაძის დროინდელ სურათებიდან სასადილო დარბაზში ვან-ზორის „ნატურ-მორტი“ ეკიდა თურმე. როცა გალერეის დირექტორმა ჰკითხა, სად არის სხვა სურათებიო, უთხრეს: სურათები გომურის თავზე ჰყრიან და მართლაც გამოურიდნან არა ერთი და ორი სურათი იქნა გამოტანილი; ქათმის პატივით იყო დაფარული არა ერთი და ორი მეტად საინტერესო ნაწარმოებები დასავლეთ-ევროპული მხატვრობისა. ეს ტილოები დღეს ჩვენთან მუზეუმში ინახება; იქიდან, სხვათა შორის, ჩამოტანილია: უცნობი ჰოლანდიელი მხატვრის ნამუშევარი „მამალა იხვებში“, რომელიც მე-17 საუკუნით თარიღდება; იქიდანვეა „ქათამი ყვავილებში“, ვან-ზონის „ნატურ-მორტი“, უცნობ ჰოლანდიელ მხატვრისავე — „ლტოლვა“, მე-17 საუკუნის უცნობი იტალიელი მხატვრის „ვენერას ტუალეტი“ და „წმინდა ოჯახი“, იქიდანვეა „პარისის არჩევანი“, „ქ. ვაინბერგის ქალების ეშმაკობა“ და სხვა მრავალი.

ამ სურათებს ზურგის მხარეს წითელ ლუქზე ორთავიანი არწივის გამოსახუ-

ლებანი ერთყა. იქვე დაკრული იყო პატარა ეტიკეტები წარწერით „Из каде-
HETA...“, რაც გარკვევით მიუთითებდა მასზედ, რომ სურათები ეკატერინე
II-დან მოდიოდა.

სხვათა შორის მუზეუმ „მეტეხის“ მიერ შემდეგ დროში გამართულმა ექს-
პედიციამ კახეთში (1935 წელს) თან ჩამოიტანა ასევე პოეტ ალექსანდრე ჭავჭა-
ვაძის მამის გარსევან ჭავჭავაძის პორტრეტი და პორტრეტი პოეტის დედის
მარიამის — გარსევანის მეუღლისაც⁵².

ზემოთ მოყვანილი ცნობა მიუთითებს არა მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძის
დიდ კულტურაზე, არამედ იმაზეც, რომ პოეტი დიდად აფასებდა სახვით ხე-
ლოვნებას. ამიტომ საგსებით ბუნებრივია ის გულისხმებოდა, რაც მას გ. მაისუ-
რადისადმი გამოუჩენია.

მამის მონათხრობის მიხედვით ოლიმპიადა გიორგის ასული ადასტუ-
რებდა, რომ გიორგის სიყრმიდანვე გამოუჩენია სიყვარული და ინტერესი ხატ-
ვისადმი.

„მამას, პირველ ხანებში, უვლია რა თავისუფლად თავის მებატონის, — შემ-
დეგ მისი განმანთავისუფლებლის, — სასახლეში — წინანდალში, იქ ხშირად
უნახავს თურმე დარბაზებში გამოფენილი საინტერესო სურათები. წინანდალ-
შივე ზაფხულობით არა ერთხელ უნახავს, თუ როგორ ვარჯიშობდნენ ხატვაში
ჭავჭავაძის ქალიშვილები და ამის გავლენით, მასაც უხატავს ნახშირით. მისი
გატაცება მხატვრობით აღრევე შეუმჩნევიათ.

წინანდალში ჩასულ სტუმარს, თუ მას რაიმე აკავშირებდა ხატვასთან, მამა-
ჩემს ვერ აშორებდნენ; პატარა გიორგი მხატვარს თუ ხატვის მოყვარულ სტუ-
მარს აჩრდილივით უკან დასდევდა თურმე. ალექსანდრე გარსევანის ძე მამაჩე-
მის ნახატებს ყურადღებას ჯერ კიდევ მის რუსეთში გადაზღვანამდე (გადასახ-
ლებამდე. შ. კ.) აქცევდა... მამაჩემს ჭავჭავაძიანთა ოჯახის და მათი სტუმრების
ყურადღება აღრევე მოუქცევია, განსაკუთრებით ეს ყურადღება გაძლიერებულა
რუსეთში წაყვანის წინა წლებში (უნდა ვიგულისხმოთ 1833-34 წ. წ. შ. კ.) პატა-
რასათვის ყველაფერი ჰქონიათ — ქაღალდი, ფანქარი და საღებავები. აღრე მამა-
ჩემისათვის ფერებით მუშაობა უსწავლება ზაფხულობით წინანდალში ჩამო-
სულ ჭავჭავაძიანთ ოჯახის ნათესავ ქალს (ჩვენი ვარაუდით ეს ქალი უნდა იყოს
პრასკოვია, ნიკოლოზ ახვერდოვას ასული. შ. კ.).

მამა იტყოდა ხოლმე: „გაიგო რა ჩემმა გამანთავისუფლებელმა, — ასე ეძახ-
და იგი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეს, — სულიერმა მამამ, თავის შინა-
ურებისაგან ჩემს შესახებ მიწერილი წერილით, ჩემი ხატვის შესახებ, მოსკოვს
დამიბარა. როცა ეს მითხრეს, პირველად ვერც კი დავიჯერე, მაგრამ შემდეგ მე
მართლაც გამამგზავრეს... და მე, შვილო, იცი? — მეტყოდა ხოლმე მამა, —
თვითონ ალექსანდრემ გამიწვია რუსეთშიო. ბევრ რამეს საინტერესოს გვიამ-
ბობდა მამა, მაგრამ იმ დროიდან ამ დრომდე ლამის არის თავიც დამავიწყდა“⁵³.

გ. მაისურაძის ქალიშვილის მოგონების მიხედვით ხერხდება მხატვრის ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი სურათის წარმოდგენა.

როგორც აღნიშნული გეჟონდა, ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ არსებულ ლიტერატურაში მრავალი ისეთი ცნობა მოიპოვება, რომელიც ჩვენი შრომისათვის მნიშვნელოვანია.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ საარქივო მასალას და ლიტერატურულ წყაროებს, რომლებიც ეხებიან გ. მაისურაძის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა იგი პოეტთან კავშირში იყო.

1833 წლის 15 იანვარს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე დააპატიმრეს; დაახლოებით 8 თვის ძიების შემდეგ, მ სექტემბერს გაანთავისუფლეს პატიმრობიდან და ამ დროიდან მოყოლებული იგი თითქმის გაუსვლელად ცხოვრობდა თავის მამულში წინანდალში; როგორც ადრე გეჟონდა აღნიშნული, აქ ალექსანდრეზე, ვიდრე მას გადაასახლებდნენ, დაწესებული იყო სპეციალური საიდუმლო მეთვალყურეობა⁵⁴.

ონა მეუნარგაის მიხედვით ალექსანდრე ჭავჭავაძე ქ. ტამბოვის ოთხი წლით გადაუსახლებიათ და იქიდან იგი საქართველოში 1837 წელს დაბრუნებულა⁵⁵. მაგრამ აკადემიკოს პოეტ იოსებ გრიშაშვილს თავის მეტად საინტერესოდ და დიდი ერთდღიით დაწერილ ნარკვევში აქვს მითითება იმაზე, რომ „ა. ბერეჟეს ცნობით: „ჭავჭავაძე გაიგზავნა ტამბოვის 1834 წელს 18 იანვარს, ყაზახთა ჯარის იასაულ გრუდაევის თან გაყოლებით“ (ა. ბერეჟეს „უბის წიგნაკიდან“, — მიმითითა მიხეილ ხელთუბნელმა)⁵⁶. საქართველოს ცენტრალურ არქივშიაც არის შემონახული მასალა, რომელიც არსებითად ადასტურებს ბერეჟეს მიერ მოცემულ ამ ცნობას, მაგრამ იგი თარიღების მიხედვით ოდნავ ცვლის მას.

უკანასკნელ ხანებში, გ. მაისურაძის ცხოვრების და შემოქმედების შესწავლის დროს, ჩვენ მოგვაწოდეს ისეთი მეტად საინტერესო მასალა და საჭირო საარქივო ცნობები, რომლებიც ალექსანდრე ჭავჭავაძის გადასახლებას ეხება და პირდაპირ კავშირშია გ. მაისურაძის რუსეთში გამგზავრების საკითხთან⁵⁶.

როგორც ირკვევა, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე თვალყურის დევნება კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსის ბარონ როზენ პირველის მიერ დავალებული ჰქონია შავი ზღვის ყაზახთა ჯარების იასაულს გრუდაევს, რომელიც სპეციალურად საამისოდ ყოფილა მიჩენილი ჭავჭავაძის მამულში. იასაულ გრუდაევსვე წაუყვანია ალექსანდრე ჭავჭავაძე გადასახლებაში. პირველი დოკუმენტი — 425, რომელიც მისი უმაღლეს კეთილშობილებისაგან საიდუმლოდ ყოფილა გაგზავნილი იასაულ გრუდაევს სახელზე, დათარიღებულია 1833 წლის 23 დეკემბრით. ამ საიდუმლო ქაღალდში გკითხულობთ: „მისი უმაღლესობის იმპერატორობითი უდიდებულისობის ბრძანებულების შესასრულებლად კავალერიაში მყოფი გენერალმაიორი თავადი ჭავჭავაძე იგზავნება საქართველოდან საცხოვრებლად ქალაქ ტამბოვში, სადაც იმყოფებოდეს იქნება იგი მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ, რის გამოც, ვნიშნავ რა თქვენ მაღალკეთილშობილებას

ამ გენერლის გასაცილებლად, გიბრძანებთ იმგზავროთ მასთან ერთად აქ თან დართული მარშრუტით ქ. ტამბოვისა. და ადგილზე მისვლისას გამოცხადდებით რა იქაურ სამოქალაქო გუბერნატორთან, თვითონ დაბრუნდეთ თბილისში; მგზავრობის დროს კი იხელმძღვანელებთ თავად ჭავჭავაძის მიმართ იმავე დარიგებებით, რაც ჩვენს მიერ იყო მოცემული მაშინ, როცა მასთან ერთად კახეთში გაემგზავრეთ“⁵⁷.

ამავე საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ 1) ტამბოვამდე სამგზავროდ და უკან დასაბრუნებლად 3024 $\frac{1}{2}$ ვერსის სამი ცხენით გავლის საფასურად ხაზინიდან უნდა მიეღო ვერცხლით 88 მან. 86 კაპ. და ასიგნაციებით 738 მან. 15 კაპ. 2) კვების ფული დებულებით გრუდაეცს ერგებოდა დღელამეში 2 მანეთი. მგზავრობა ნაჯარაუდევო იყო სამ თვეს. ეს საიდუმლო მიმართვა, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია 23 დეკემბერს 1833 წლისა. ამავე საქმეში 168 ფურცელზე მოცემულია გადასახლების მარშრუტით თბილისიდან ტამბოვამდე, რაც განსაზღვრულია 1512 $\frac{1}{4}$ ⁵⁸ ვერსით; ამ მარშრუტს უზის თარიღი 22 დეკემბერი. მომდევნო მიმართვები № 426, № 427 და № 428 შედგენილია გამგზავრებამდე, პირველი მიმართულია მე-8 კლასის თანრიგის ხაზინადრის ორლოვსკისადმი, № 427 კი — გენერალ-მაიორ ჭავჭავაძისადმი, რომელშიც აცნობებენ მას, რომ მისი უდიდებულესობის იმპერატორის ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც უკვე გამოეცხადა ჭავჭავაძეს, იგი იგზავნება მის სამყოფელ ადგილას — ტამბოვში და მგზავრობისათვის საჭირო ფული უკვე გაცემულია.

№ 428 მიმართვა ტამბოვის სამოქალაქო გუბერნატორისადმი იტყობინება რომ ჩატარდა გამოკვლევა თბილისში აღმოჩენილი შეთქმულებისა და რომ ამ შეთქმულებასთან დაკავშირებით გენერალ-მაიორი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე გადმოგზავნილია საცხოვრებლად ტამბოვში. იგი მიჰყავს შავი ზღვის ყაზახთა ჯარის ესაულს გრუდაეცს და რომ საჭიროა თავადზე ადგილობრივ საიდუმლო თვალყურის დევნების დაწესება⁵⁹.

არქივში დაცულ საბუთის მიხედვით, რომელიც შედგენილია გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის მიერ ვლადიკავკაეის ციხე-სიმაგრეში 1834 წლის 24 იანვარს და მიღებულია იმავე დღეს ადრესატის, ვლადიკავკაეის კომენდანტის გენერალ-მაიორისა და კავალერიის ორანსკის მიერ, ირკვევა, რომ ამ დღეს იგი უკვე ვლადიკავკაეში ყოფილა და მისთვის დილის 9 საათზე გამოუცხადებიათ, რომ მომზადებულიყო გზის გასაგრძელებლად, რაზედაც ჭავჭავაძეს განუმარტავს, და მოუთხოვნია „სათანადო კონვოი“, და „მე-მაქვს უფლება უმაღლესად დიდხანს შეჩერებისა“. როგორც საბუთებიდან ჩანს, ჭავჭავაძე 26 იანვარსაც ვლადიკავკაეში ყოფილა⁶⁰.

ირკვევა, რომ ტამბოვში ჩასულ ალექსანდრე ჭავჭავაძეს უმაღლეს წერილით მიუმართავს მისი ძველი ნაცნობისათვის, საქართველოს ყოფილ მთავარმართებელ გრაფ პასკევიჩ-ერევანსკისათვის, სადაც თხოვდა პასკევიჩს, მოეხერხებინა მისთვის უმაღლესი წყალობის მიღება, პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა და

მეფის ნახვა. ჰავეჰაჰაძეს ფელდმარშლის საშუალებით მეფისათვის მოხსენებითი ბარათიც კი გაუგზავნია⁶¹, როგორც ამას ი. ანდრონიკაშვილი მიუთითებს.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მასალებს, რომლებიც ი. ანდრონიკაშვილს ტამბოვის საოლქო საარქივო სამმართველოში უპოვია⁶². ამ მასალების მიხედვით ირკვევა, რომ შერისხული პოეტი ტამბოვის გადასახლებიდან გაუწვევიათ 1835 წლის 24 აპრილს და რომ იგი ამ გაწვევიდან 10 დღის შემდეგ, ე. ი. 4 მაისს გამგზავრებულა ტამბოვიდან. სხვათა შორის ამ ამბებთან დაკავშირებით გავრცელებულა ხმები, რასაც მთავარმართველი ბარონ გ. როზენიც კი შეუშფოთებია და მას ამის გამო სამხედრო მინისტრისათვისაც კი მიუმართავს⁶³. ირკვევა, რომ ალექსანდრე ჰავეჰაჰაძეს მომდევნო, ე. ი. 1835 წელიც პეტერბურგში გაუტარებია. ჰავეჰაჰაძის პეტერბურგს ყოფნა და მისი ბარონ როზენტან შეხედრა, უნდა ვიფიქროთ, რომ ფართოდ ყოფილა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში მათთვის მაინც, ვინც იმ დროს საქართველოს ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევის გამო გრიგოლ ორბელიანი სალომე ჰავეჰაჰაძისადმი — მწერლის მეუღლისადმი — გაგზავნილ წერილში, სალომეს ატყობინებს: „ამას წინათ ვნახე ლენერალ ლეიტენანტი ბარონ როზენი, რომელიც იყო დივიზიონის კამანდირად საქართველოში (იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი რომან ფეოდორის ძე. შ. კ.), დიან, კარგად მიმილო, გაუხარდა ჩემი მასთან მისვლა, — მიამბო თქვენი ამბავი, კნიაზისა (ალექსანდრე ჰავეჰაჰაძე. შ. კ.), რომელიც ენახა პეტერბურგში და ბატონიშვილის თეკლეს მოსვლა საქართველოში“⁶⁴. ორბელიანი ცოტა ქვემოთ დასძენს: „ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგად არის მიღებული პეტერბურგში“⁶⁵.

ამ წერილის მიხედვით ჩანს, რომ 1835 წელს ჰავეჰაჰაძე საქართველოში არ იყო. 1834 — 36 წლებში, როგორც ამაზე მიუთითებს ი. ანდრონიკაშვილიც, ალექსანდრე ცხოვრობდა პეტერბურგში და სულ მუდამ ხვდებოდა ახვერდოვას, სხვათა შორის ალექსანდრეს თანის დედის სიკვდილს ამბავი პირველად მისგან გაუგია; იგი ისწორდა ფალავანდიშვილს:

„პრასკოვია ნიკოლაევნასაგან ესცან გუშინ ჩემზედ მოწვენილი უბედურება, რომელსაც ვაგონებას ყოველდღე მოველოდი და თქვენი წიგნიც იმისგან მივიღე“ — ი. ი.⁶⁶. ამ ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილისადმი მიწერილ წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ჰავეჰაჰაძე 1836 წლის 22 ივნისს სანქტ პეტერბურგში იმყოფებოდა, რადგან ამ წერილის ბოლოში დასმულია ზემოთ მითითებული თარიღი.

ს. მალაქელიძის მიერ „საისტორიო მოამბეში“ (№2, 1946, გვ. 247) გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით ჩანს, რომ ალექსანდრე ჰავეჰაჰაძე 1836 წლის სექტემბერშიც პეტერბურგს ყოფილა, ხოლო ი. ანდრონიკაშვილის მტკიცების მიხედვით არა უგვიანეს 1836 წლის ნოემბრისა იგი სამშობლოში დაბრუნებულა.

ი. ანდრონიკაშვილი იმოწმებს გერმანელ მოგზაურ კოხს, რომელსაც ალექსანდრე ჰავეჰაჰაძე თბილისში უნახავს 1836 წლის დეკემბერს და აღუნიშნავს,

რომ ჰავეჰავაძე არის „უგანათლებულესი ქართველი, რომელსაც თავისი ზანგარძლივი ყოფნისას პეტერბურგში და დასავლეთ ევროპაში ისეთი ცოდნა შეუძენია, როგორც საძებნელია შორეულ ამიერკავკასიაში“.

საყოფადღებოა, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ჩამოდის მ. ი. ლერმონტოვი, დიდი რუსი პოეტი, რომელიც განსაკუთრებით გატაცებული იყო ხატვით; საყოველთაოდ ცნობილია ლერმონტოვის ჩანახატები, ავტოლითოგრაფები და სურათები მიძღვნილი საქართველოს პეიზაჟისა და ყოფის ასახვისადმი.

ალექსანდრე ჰავეჰავაძე, რომელიც არა უგვიანეს 1836 წლის დასასრულისა დაბრუნდა საქართველოში, რუსეთში ყოფნისას, საქვეყნო საქმის გარდა, თავის ოჯახსა და მის გარშემო მყოფ პირებსაც კი არ აკლებდა ყურადღებას; იგი ამ პერიოდში განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს გიორგი ივანეს ძე მაისურაძისადმი.

დიდი პოეტის საინტერესო ბიოგრაფიის ეს მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი დღემდე უცნობი იყო და მის შესახებ, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, ჰავეჰავაძეზე არსებულ ლიტერატურაშიც კი არაფერი არ არის თქმული, ასევე არაფერია ნათქვამი მათი ურთიერთობის შესახებ მაისურაძეზე არსებულ ლიტერატურაშიც⁶⁷.

ცნობილია, რომ ალექსანდრე 1836 წელშიაც პეტერბურგში იყო. ამას მიუთითებს თითქმის ყველა მკვლევარი; ცნობილია ისიც, რომ 1839 წელს იგი უკვე თბილისში იყო და 4 აპრილს დანაშნული იქნა კავკასიის მხარის მთავარმართველობის საბჭოს წევრად. ცნობილია ისიც, რომ 1837 წლის 12 ოქტომბერსა და მის მომდევნო პერიოდში იგი თბილისში იყო, მაგრამ სად იყო ალექსანდრე ჰავეჰავაძე 1836 წლის ნოემბრიდან 1837 წლის 12 ოქტომბრამდე, ეს პოეტის არც ერთ მკვლევარსა თუ ბიოგრაფს შენიშნული და დადგენილი არა აქვს. როგორც ახლა საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, ამ პერიოდში ალექსანდრე ჰავეჰავაძეს თავის ყმა გლეხის, წინანდლევი ჰაბუჯის ცხოვრებას გზის სწორად წარმართვისათვის უზრუნვია.

დღეს საბოლოოდ გარკვეულად და დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ალექსანდრე ჰავეჰავაძე 1837 წლის ივნისსა, ივლისსა და აგვისტოში პეტერბურგში იმყოფებოდა და იქ ზრუნავდა, რათა ნიქიერი ჰაბუჯი, მომავალი მხატვარი გიორგი მაისურაძე გაენთავისუფლებინა ყაზობიდან.

პეტერბურგში გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე იყო შემჩნეული ალექსანდრე ჰავეჰავაძის ოჯახის, და კერძოდ ალექსანდრეს მიერაც, გიორგი მაისურაძის უნარი და ნიჭი, რის გამოც მას ყურადღებით ექცეოდნენ თურმე ყოველთვის.

მხატვრის შვილიშვილის გადმონაცემით მხატვრის მშობლებს ახარებდათ თურმე მათ შვილს რომ ანებივრებდნენ, მაგრამ იმავე დროს მათ ეშინოდათ კიდევ და ამბობდნენ: „მხატვრობით როგორ უნდა იცხოვროს გლეხკაცმა“-ო.

როგორც ჩანს, იმეამად კახეთში ყოფილა ისეთი პირი, რომელსაც მხატვრობაში, კერძოდ ფერწერის დარგში უმუშაენია; საფიქრებელია, რომ მაშინ კახეთში, ამ უცნობ ქართველ მხატვარს გარდა ქაბუკი გიორგისათვის ხატვის საქმე ესწავლებინოს არა ქართველ მხატვარსაც, იმეამად ჯარის ნაწილებში იყოფს.

ასეთ ვარჯიშს განსაკუთრებით ადგილი უნდა ჰქონოდა გამგზავრების წინა წლის განმავლობაში; საფიქრებელია, რომ სწორედ ამის გამო და მოსკოვში ჩატარებულ სწავლის გამოც არის მითითებული თარხნობის სიგელში: — „В поощрение оказанных им в течение двухлетнего учения его необыкновенных успехов в живописи и рисовании, в чем видя его охоту и дарование“⁶⁸...

მოტანილ საბუთის მიხედვით დამტკიცებულად და უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ შეილი ყმა გლეხის ივანე სულხანის ძე მაისურაძისა — გიორგი მაისურაძე თავის პატრონთან პეტერბურგს გამგზავრებულა თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, 1835 წლის აპრილში მაინც და მას, თანამგზავრებთან ერთად საკმაოდ გრძელი გზის გავლისა და მოსკოვში ნაცნობებთან შეხვედრის და იქ შეჩერებისა და ცხოვრების შემდგომ, მიუღწევია პეტრეს ქალაქისათვის, სადაც მისი გათარხნების საქმეზე საბოლოოდ 1837 წლის 13 აგვისტოს მოუწერიათ ხელი.

არსებითად ალექსანდრე კავკავაძის მიერ წინანდელი ქაბუკის პეტრეს ქალაქში ჩაყვანის პირველ დღიდან იწყება ის გზა მხატვრისა, რომელიც განვლო განთავისუფლებულმა ყმამ, შემდგომში ცნობილმა ქართველმა პორტრეტისტმა და ხატვის მასწავლებელმა გიორგი მაისურაძემ.

პეტრე ღიღის ქალაქი

1835 ~ 1850

ცულათ სომ შინც არ ჩივლის
ეს განწირული სულის კვეთება.

ნ. ბარათაშვილი

*Люблю тебя Петра творения,
Люблю твои города, суровый вид,
Невы державное течение,
Герцовой ее гранит,
Твоих оград узор чугунный,
Изразочный султан, блеск без лунный.*

А.С. Пушкин

თავი მეორე

„6 ნოემბერს, 1846 წელს, როდესაც პოეტი სრულიად ჯანმრთელი იყო, უცებ ქალაქში ხმა გავრცელდა ჰავკვაჰაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს (ჰავკვაჰაძის ქუჩაზე; ახლანდელი გოლოვინის პროსპექტის გვერდით, საცა „პარიჟის სასტუმროა“⁶⁹), ყველას უნდოდა შეეტყო ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლითა და ჯანმრთელობით საესე პოეტს.

სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო... ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს... ალექსანდრემ ჩფიქრა ქუჩერის მიშველება, წამოიწია და როს უნდა სწვდომოდა ალვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოხედა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. დაეცა თავით, გრძნობამიხილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა დიდხანს აღარ უცოცხლია..

ის მოკვდა იმავე ღამეს“⁷⁰...

„თავგატეხილი ჰავკვაჰაძე ესვენა მაგიდაზე იმ დარბაზში, სადაც პირველი შემთხვევა იყო, რომ ამ დარბაზის სიმხიარულე მწუხარებით და ცრემლებით შეიცვალა“⁷¹.

თუ მართალია რომ ადამიანი, მიუხედავად მანძილისა და ღროისა, წინასწარ გრძნობს ხოლმე იმ მოახლოებულ უბედურებას, რომელიც მას თავზე უნდა დაატყდეს, მაშინ 1846 წლის 6 ნოემბრის ღამეს პეტერბურგს მყოფი მგრძნობიარე კაბუეი მაისურაძე გულის ბაგაბუგს უნდა გაეღვიძებია...

და ალბათ უნდა ეგრძნო ის უბედურება, რომელიც იმ დღეს თავს დაატყდა ქართველ ხალხს, პოეტის ოჯახსა და განსაკუთრებით კი პირადად მას — მაისურაძეს. გული უგრძნობდა, ალბათ, რომ იმ დამით შეწყდა იმ გულის ცემა, რომელმაც იგი ასე ახლო მიიღო, გრძნობდა ალბათ, რომ იმ დამით დაღუპდნენ ბაგენი, რომელნიც მას რჩევასა და დარიგებას აძლევდნენ, გრძნობდა ალბათ, რომ სამუდამოდ წყდებოდა მოძრაობა იმ მარჯვენასი, რომელმაც იგი გაანთავისუფლა ბატონყმობის სამარცხვინო უღლის ტარებისაგან, და იგი, — ქართული ზღაპრის გმირივით, — ცხოვრების გზაჯვარედინზე გამოსული, ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას დააყენა.

გიორგი მაისურაძის შვილიშვილის მარგარიტა რევაზის ასულ ამირეჯიბის თქმით მისი პაპა ალექსანდრე ჭავჭავაძეს „რუსეთში წაუყვანია, და ვიღრე გაანთავისუფლებდა, მოსკოვს ჰყოლია და ხატვაც უსწავლებია“⁷². მხატვრის ქალიშვილის — ოლიმპიადას გადმოცემითაც — „მამას პეტერბურგში წასვლამდე უცხოვრია და უსწავლია ერთი თუ ორი წელი მოსკოვში, სადაც მას ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ნათესავთან უცხოვრია. რამდენადაც ახლა მაგონდება, იგი გარსევანის მეუღლის — მარიამის ძმა უნდა ყოფილიყოს“⁷³.

მართლაც, რამდენადაც ახლა ეს ცნობილია, იმ ხანად გიორგი ავალიშვილი რუსეთში ცხოვრობდა; იგი მოსკოვს იყო დამკვიდრებული და არამც თუ ნათესავისა და მახლობლის მიერ წარდგინებულ ქართველ კაცს, არამედ ხშირად შორეულთა მიერ წარდგენილთაც კი დიდ ყურადღებას აქცევდა თურმე⁷⁴.

გ. ავალიშვილს მოსკოვში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად ფართო ნაცნობობა და საკმაოდ კარგი მოწყობილი ოჯახიც ჰქონდა; ა. გაწერელიას პუბლიკაციის მიხედვით ვგებულობთ, რომ გრიგოლ ორბელიანი ავალიშვილს შეხვედრია ქართველთა კოლონიის მოსკოვში.

„11 სა (1831 წ.) წაველ დოხსკის მონასტერში ჩემის ნათლია არხიმანდრიტის — ათანასის სანახავად, მაგრამ მწირველი იყო...“

აქედან წაველ კნიაზ ავალოვთან სადილად, რომლისა შემდეგ წავედით — ორნივე ბატონიშვილ ოქროპირთან და იქიდან ვეახელით დედოფალ მარიამს“⁷⁵, ხოლო 13 ოქტომბერს კი: „მეველ ავალოვთან და დავრჩი მუნ ეს დამე. — ლაპარაკი გვექონდა მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე, რომელიცა აქვსთ მრავალი და კარგი ნათქვამები დიმიტრი იოსელიანის მიერ“⁷⁵.

გიორგი ავალიშვილი იყო ამავდარი კაცი. — „ქართველი მწიგნობარი. ხშირად თბილისიდან პეტერბურგში მიმავალნი, ან მოგზაურნი მასთან ჩერდებოდნენ და საუბარს მათავდნენ ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე და სხვ.“⁷⁶.

ჩვენთვის კვლევისას ცხადი გახდა, რომ ამ პერიოდიდან თვით მხატვრის პიროვნებასთან დაკავშირებული რაიმე საბუთის პოვნა შეუძლებელი იქნებოდა;

მაგრამ, რადგანაც გიორგი მაისურაძის ცხოვრება ბედმა იმთავითვე ცშობილი ქართველი პოეტის პიროვნებას და მის განათლებულ ოჯახს დაუკავშირა, ცხადი იყო, რომ ცხოვრება მაისურაძისა, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, სწორედ ქვეყნაძიანთ ოჯახთან განუყრელად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამის გამო იყო, რომ იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ალექსანდრე ქავჭავაძეს და მისი ოჯახის ცხოვრებას მივაქციეთ და დაწვრილებით ვსწავლობდით ა. ქავჭავაძის შესახებ ყოველგვარ ლიტერატურულ თუ საარქივო წყაროს, რომელზედაც კი ხელი მიგვიწვდებოდა.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე გაირკვა, რომ ალექსანდრე ქავჭავაძე როგორც 1834 — 35 წლებში, ასევე 1836 წელსაც, ვიდრე ნოემბრის თვემდე, პეტერბურგში⁷⁷ იმყოფებოდა.

საბუთებს ალექსანდრე ქავჭავაძის შესახებ საკმაო გარკვეულობით შემოუნახავს პოეტის ცხოვრების ქრონიკა, სწორედ ამ ცხოვრებასთან არის უშუალო კავშირში ჩვენი მხატვრის ცხოვრებაც და ამდენად, მამასადამე, გარკვევია ამ თარიღებისა ნათელს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხებსაც, ამიტომ ყურადღება უპირველეს ყოვლისა სწორედ ა. ქავჭავაძის ცხოვრების ქრონიკაზე უნდა შევაჩეროთ. ამ ქრონიკის მიხედვით კი ასეთი სურათი იხატება:

1. 1834 წლის 24 აპრილს ა. გ. ქავჭავაძე გადასახლებიდან გაწვეული იქნა პეტერბურგს, სადაც იგი ტამბოვიდან 4 მისს გაემგზავრა.
2. 1834 წლის 30 აგვისტოს გ. ვ. როზენი მოახსენებს მინისტრს თბილისში გავრცელებული ხმების გამო ა. ქავჭავაძის განთავისუფლების შესახებ.
3. 1835 წელს ალექსანდრე ქავჭავაძე პეტერბურგშია. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ მითითებულ გრ. ორბელიანის წერილი პოეტის მეუღლის — სალომე ქავჭავაძისადმი, სადაც იგი სწერს: „შევიტყვე კნიაზი (ალექსანდრე ქავჭავაძე. შ. კ.) ჩემთვის თურმე ჰსცდილობს პეტერბურგში“. ამასვე ადასტურებს, როგორც პოეტი აკად. ი. გრიშაშვილი წერს, ცენტრ. არქივში დაცული ერთი დოკუმენტიც, საიდანაც ჩანს, რომ ალ. ქავჭავაძეს 1835 წელს ზაზინიდან სესხად გამოუთხოვნია სამასი ათასი მანეთი ასიგნაციებით“⁷⁸.
- ა. ქავჭავაძის 1835 წელს პეტერბურგში ყოფნის შესახებ მიუთითებს ი. ანდრონიკაშვილიც.

4. რაც შეეხება 1836 წელს, ამის შესახებ ქავჭავაძეზე არსებულ ლიტერატურაში გარკვეულად მოიპოვება მითითება იმაზე, რომ ნოემბრის თვემდე იგი იმყოფებოდა პეტერბურგში.

1836 წლის მაისსა და ივნისში მის პეტერბურგში ყოფნას ადასტურებს როგორც ჩვენს მიერ, ასევე ლიტერატურაში არაერთხელ მითითებული წერილი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილისადმი, დათარიღებული 22 ივლისით.

უკანასკნელად მოხერხდა იმის დაზუსტებაც, რომ ქავჭავაძე სანქტ-პეტერ-

ბურგში იყო 1836 წლის 16 სექტემბერსაც⁷⁹. ასევე გარკვეულად უნდა ჩაითვალოს დღეისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძის 1836 წლის დეკემბრისათვის თბილისში ყოფნის გარემოებაც, რაზედაც გერმანელი მოგზაური ე. კოხი მიუთითებს⁸⁰.

ა. ჭავჭავაძეზე არსებული ლიტერატურის მიხედვით ცნობილი იყო ისიც, რომ იგი 1837 წლის ოქტომბერში თბილისში იმყოფებოდა.

1837 წლის 12 (ახალი სტილი 25) ოქტომბერს იგი თბილისში უნახავს რიჩარდ ვილბრეკემს⁸¹.

მაგრამ გაურკვეველად რჩებოდა, თუ'სად იყო ა. გ. ჭავჭავაძე 1836 წლის დეკემბრიდან, ვიდრე 1837 წლის ოქტომბრამდე, ე. ი. თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

ეს საკითხი დღემდე გაურკვეველი რჩებოდა როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ასევე გიორგი მათაბრაძის შესახებ არსებულ ლიტერატურაშიც. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ალ. ჭავჭავაძე ამ დროის მონაკვეთში დაკავებული იყო თავისი საკუთარი ნიქიერი ყმის ბედილობაზე ზრუნვით.

1837 წელს სანქტ-პეტერბურგის სამოქალაქო სასამართლოს პალატის მეორე დეპარტამენტში გენერალ-მაიორისა და კავალერის — თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის თხოვნით შედგენილ განთავისუფლების სიგელში პირდაპირაა მითითებული, რომ „მხოლოდ იმ უჩვეულო წარმატებათა წაქეზებისათვის, რაც მან (მათაბრაძემ. შ. კ.) გამოიჩინა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში⁸², ვანთავისუფლებო“.

გრ. ორბელიანის წერილიდან ცნობილია, რომ 1835 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე გენერალ ლეიტენანტ ბარონ როზენს უნახავს პეტერბურგში; ამგვარივე ხასიათის მითითება არის გრ. ორბელიანის მიერ სალომე ჭავჭავაძისადმი მიწერილ, 23 მარტით დათარიღებულ წერილშიაც.

ხსენებულ წელს, როცა ალექსანდრე პეტერბურგს იმყოფებოდა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი, როგორც ამას არკვევს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებს შორის შემონახული ერთი წერილი, სამი პირის მიერ ერთ მთლიან ფურცელზე დაწერილი (ბარათი დაწერილია სალომე ჭავჭავაძისა, ნინო გრიბოედოვისა და ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ), გაგზავნილი „22 მაისს 1835 წელსა წინანდლიდან“*, რის მიხედვითაც ჩანს, რომ ა. ჭავჭავაძის საქართველოში არ ყოფნისას მის ოჯახს წინანდალში უცხოვრია (1835 წლის მაისისათვის); ამ ბარათიდანვე, კერძოდ ეკატერინე ჭავჭავაძის მინაწერიდან ირკვევა, რომ მათ კავშირი ჰქონიათ (და უვლიათ, როგორც წერს თვითონ — „დღეს თელავს ვიყავით“-ო⁸³) იმ პუნქტთან, რომელიც იმდროინდელ კახეთის სამომოსვლო გზას ქალაქ თბილისთან აკავშირებდა. იბადება კითხვა — თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე 1835 — 36 წელს, ვიდრე დეკემბრამდე, არ იმყოფებოდა თბილისში, ხოლო 1837 წლის ივნისში ასევე პეტერბურგში იყო და იქ გაათარხნა გ. მათაბრაძე, მაშინ სად, ვინთან, ან რა პირობებში უნდ მიეღო სამხატვრო გა-

* „22 мая, 1835 года, Циниандали“.

ნათლება მაისურაძეს ან რის საფუძველზე შეიძლებოდა თქმა გათარხნების სიგელში „უკანასკნელი ორი წლის“ წარმატებათა შესახებ?

სიგელში მიცემული დახასიათება ცხადია, რომ გარკვეულ სასწავლო პირობებს გულისხმობს.

კავკავაძიანთა ზემოთ მითითებული წერილი ორბელიანისადმი, რომელიც წინანდლიდან არის გამგზავნილი და ადასტურებს, რომ ალექსანდრე კავკავაძის ოჯახს 1835 წლის მაისში წინანდალში უცხოვრია, პირდაპირ მიუთითებს, რომ სიმართლეს შეეფერება მხატვრის მახლობელთა გადმონაცემი სამხატვრო განათლების მიცემის მიზნით ა. კავკავაძის მიერ, კაბუჯი გ. მაისურაძის წინანდლიდან რუსეთში გაწვევის შესახებ.

ეს გაწვევისა და გამგზავრების ფაქტი, რომელსაც დღესდღეობით უშუალოდ ადასტურებს ალ. კავკავაძის მიერ შედგენილი დოკუმენტიც, შესაძლოა ვინმეს ერთი შეხედვით სადავოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ, როგორც ანდრონიკაშვილი და კ-ნი დრანსე თავის მოგონებაში მიგვითითებენ,⁸⁴ 1854 წელს წინანდალში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით სამუდამოდ უნდა იყოს დაღუპული ის საარქივო ხასიათის მასალა თუ მიმოწერა, რომელიც დაგვიდასტურებდა გ. მაისურაძის კავკავაძის მიერ გაწვევას.

მიუხედავად ამისა, შემორჩენილი და ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული წერილობითი თუ ზეპირი დამოწმებანიც, ასევე თარიღებისა და ფაქტების შეპირისპირება-შეჯერებაც საკმარისად ჩანან, და ჩვენც უნდა დავემყოფილეთ ამით, ვიდრე ახალი და ზედმეტად დამადასტურებელი მასალა არ იქნება მოპოვებული.

გ. მაისურაძე თელავიდან თბილისში უნდა გამგზავრებულიყო 1835 წელს, არა უადრეს მაისისა.

თბილისიდან კი გ. მაისურაძე 1835 წლის მაისის ბოლოს და ივნისის თვის დასაწყისში უნდა გამოემგზავრებულიყო. კაბუჯი კავკავაძის ოჯახმა, უნდა ვიფიქროთ, ალბათ სათანადოდ შემოსა შორეულ მგზავრობისათვის. ცხადია, მომავალი მხატვრის მშობლებს ივანეს და ელისაბედს იმდენი სახსრები არ ექნებოდათ, რომ შეილი გასამგზავრებლად მოემზადებინათ.

გადმონაცემის მიხედვით დედას შეილისათვის უბეში კენჭი ჩაუღვია და ადრე გამოკერილი ავგაროზი მარცხენა ილიის ქვეშ ჩაუყერებია. გიორგის გამგზავრების დროს მშობლები იქვე მდგარან, ეტლთან. ისინი იმ დროს წინანდალში იმ ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდნენ, სადაც გიორგი მონათლეს.

გზა, რომელიც რუსეთში მიმავალმა კაბუჯმა მაშინ ნინო კავკავაძესთან ერთად თელავიდან თბილისამდე გამოიარა, — აკურაზე, მუქუზანზე, ბაკურციხეზე, დედოფლის წყაროზე, მაჩხანანზე, ნუკრიანზე, ლოკინის ხევზე, მულანლოზე, სართიქალაზე, ვაზიანზე და ორხევზე გამოვლით, — მას ადრე, სხვა დროსაც ზაველო...

უცხო მხარეში მიმავალ კაბუჯს გული, ალბათ, სიხარულით უთრთოდა და

იმავ დროს მწუხარებითაც უმძიმდებოდა; უკან რჩებოდა არა მარტო დედ-
მამა, ძმები, ნაცნობ-ნათესაეები და ტოლები, არამედ მისთვის გულშემატყვიარი
ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახიც. პეტერბურგს მიმავალი ჰაბუკი მაშინ მხოლოდ
თავასი ნიჭით იყო ცნობილი, ჩვევა და ცოდნა მას არ გააჩნდა; მან იცოდა, რომ
ამ ცოდნისა და ჩვევის მისაღებად მიჰყავდათ იგი რუსეთში.

გ. მაისურაძემ ფიქრებში და თრთოლვაში განვლო 159 ვერსი, გაწოლილი
სოფელ წინანდლიდან ვიდრე ქალაქ თბილისამდე.

გიორგი მაისურაძე თბილისიდან რუსეთისკენ ალბათ ნინოს უნდა გაემგზავ-
რებინა, არა უგვიანეს მაისის უკანასკნელ რიცხვებისა.

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისიდან გამგზავრებისათვის საჭირო ხარჯები
გაღებული იქნებოდა ჰავკავაძეთა მიერ; მიუხედავად სათანადო წყაროთა უქონ-
ლობისა, — შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მაისურაძის რუსეთში გამგზავრების
საქმეში თბილისიდან ჩარეული იქნებოდნენ იმ დროის ცნობილი და გავლენიანი
პირები, რათა ჰაბუკისადმი გზაში მისი პატრონის შესაფერისი ყურადღება და
მზრუნველობა გამოეჩინათ. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არსებული წესის
მიხედვით, გიორგი მაისურაძე თბილისიდან დილით უნდა გამგზავრებულიყო
და ალბათ იმ ადგილიდან, საიდანაც გადიოდა სამგზავრო ფოსტა და სადაც
ძველად მოთავსებული იყო ეგრეთ წოდებული „რაზგონაია პოჩტა“ — აწინ-
დელ სამხედრო კუჩაზე.

გასავლელი გზა მეტად შორი და გრძელი იყო. რუსეთს მიმავალ ჰაბუკს
ასეთი მანძილი არასდროს არ გაევილო და ალბათ არც ასეთი ლანდშაფტი ენახა
როდისმე; პირველი მგზავრობისას რაც თვალში უნდა მოხვედროდა იმამავალ
მხატვარს, ალბათ, შორიდანვე შენიშნული მცხეთის ჯვარი და სახუროთმო-
ძღვრებო ხელოვნების სასწაული — სვეტიცხოველი იქნებოდა.

მცხეთიდან გასვლისას კი ცადმიბჯენილი ბებრის ციხე, მცხეთის შემო-
სასვლელს რომ იცავს, რუსეთში მიმავალ ჰაბუკს, ალბათ, ერთხელ კიდევ მოა-
გონებდა ამბებს ლეკთა შემოსევისა და მის თანამემამულეთა გაცხარებულ თავ-
დაცვითი ბრძოლებისა... მას გააოცებდა სარკის თვალივით დაცემული ბაზალე-
თის ტბა და დუშეთიდან გასულს იმ „თეთრი სასახლის“ ხილვა, რომელსაც იმ
დროს ჰილძიანთ სიმაგრესაც ეძახდნენ.

ახალგაზრდა მგზავრს ალბათ გაიტაცებდა ანანურის სიმაგრე ეკლესიითურთ,
არაგვის გაშლილი ჰალეები, მღეთის აღმართი, მარმარილოს სითეთრით მბზინავი
მყინვარწყვერი და მის კალთებზე შეყუდროებული სამება, გერგეთის ენა,
გველეშაპის ლაშვივით გადმოგდებული, და დარიალის შავკლდოვანი ვიწროები,
სადაც მას თერგის ღრიალისგან ალბათ ყურთასმენა ქონდა წართმეული.

ეკიპაჟს (თავის წერილებში ს. დოდაშვილი „ბრიჩკას“ რომ ეძახის), რომ-
ლითაც მაისურაძე მგზავრობდა, ცხადია, სათანადო შესვენებით უნდა ევლო,
რადგანაც იგი არ იყო სპეციალური საკურიერო ან სხვა რაიმე განსაკუთრებულ
დანიშნულების სამგზავრო საშუალება.

ამ მგზავრობის შესახებ ჩვენამდე არავითარ წერილობით ცნობებს არ მოუღწევია. მაგრამ საერთოდ ცნობილია მარშრუტი იმ გზისა, რომელიც მაისურაძეს უნდა გაეწეო. იგი გაივლიდა ქ. ვლადიკავკაეს (ჩვენ აქ ვუთითებთ ძირითად შეჩერების ადგილებს. შ. კ.), სტავროპოლს, ეკატერინოდარს, ნოვოჩერკასკს, ყაზანსკაიას, ვორონეის, ტულას და ასე მიიღწევდა მოსკოვს.

გ. მაისურაძის მგზავრობის თარიღები ამ მარშრუტით ჩვენამდე არ შემონახულა, არც გადმონაცემი არსებობს მის შესახებ, მაგრამ თუ რა დრო უნდა მონდომოდა ამ გზის გავლას და როდის უნდა ყოფილიყო დაახლოებით მაისურაძე მოსკოვში, ამის დადგენა დოკუმენტებით შესაძლებელია, შესატყვისი ანალოგთა მიხედვით⁸⁵ (ამის მაგალითებიც საქმაოდ ბლომად მოიპოვება ლიტერატურაში). თუ დღეში საშუალოდ საქართველოს მთიან რაიონში დღიურ მოძრაობის სიანწრაფეს 70-დან 80 ვერსამდე ვიანგარიშებთ, მაშინ ეს მანძილი რუსეთის გადაშლილ ველებზე, შეიძლება გადიდდეს 10 — 15 ვერსის რაოდენობით; ამის მიხედვით კი გამოდის, რომ თბილისიდან მოსკოვამდე მგზავრობას, იმ შემთხვევაშიაც, თუ მხედველობაში მივიღებთ შეჩერებებს, შეკეთებებს და მოულოდნელ დაბრკოლებებს⁸⁶, დასჭირდებოდა არა ნაკლებ ერთი თვისა, ხოლო ექსტრა ფოსტით მგზავრობას — არა უმეტეს 24 დღისა⁸⁷.

გიორგი მაისურაძეს, ამ გამოანგარიშების მიხედვით, მოსკოვისათვის უნდა მიეღწია ივლისის თვეში 1835 წლისა.

მოსკოვში იმჟამად ალექსანდრე ჰავეკეაძის არა ერთი და ორი ნაცნობი ცნობრობდა, მაგრამ ჰავეკეაძისათვის ყველაზე ახლობელი, რასაკვირველია, იყო გიორგი ავალიშვილი — განათლებული ქართველი მოღვაწე; იგი ამავე დროს ალექსანდრე ჰავეკეაძის ბიძა, დედის ძმაც იყო და, რაზენადაც ეს ცნობილია ლიტერატურიდან, მისი სახლის კარები არამც თუ ალექსანდრესათვის, საერთოდ ღია იყო საქართველოდან პეტერბურგსა და პეტერბურგიდან საქართველოში მომავალი ყოველი კარგი ქართველისათვის.

საერთოდ ცნობილია ისიც, რომ გ. ავალიშვილი დიდი გავლენით სარგებლობდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა წრეში, თვით ნეფისწულთა შორისაც კი. მოსკოვში ჩასული ჰაბუკი საფიქრებელია, პირველ რიგში მარიაამის ძმან — გიორგი ავალიშვილს მიაკითხავდა.

როგორც ეს ჩანს გრიგოლ. ორბელიანის 1831 წლის ერთ-ერთი ჩანაწერიდან⁸⁸, გ. ავალიშვილს უცხოვრია იმ მიდამოებში, სადაც ქართველთა მონასტერი — დონის მონასტერი — იყო. საყურადღებოა, რომ ურთიერთობა ქართველთა შორის 1831 წელშიც კი საკრძობი ყოფილა; გრ. ორბელიანი წერს: „წაველ კნიაზ ავალოვთან“, იქიდან კი წასულან „ორნივ ბატონიშვილს ოქროპირთან და იქედამ ვეახელთ დედოფალ მარიაამს“.

გ. ავალიშვილთან დაბინავებული მაისურაძე ხატვას სწავლობდა მოსკოვში მანამ, ვიდრე მას ალექსანდრე პეტერბურგში ჩაიყვანდა და გაათარხნებდა.

საფიქრებელია, რომ სწორედ მოსკოვში ყოფნის დროს შეეყვანოს ალექსანდრე ჭავჭავაძეს გიორგი მაისურაძე, გიორგი ავალიშვილის მეშვეობით, მოსკოველ ქართველთა წრეში.

ვისთან უნდა ესწავლა ხატვის საქმე მოსკოვში გიორგი მაისურაძეს და ისიც ორი წლის განმავლობაში (1835 — 36 წწ.) ჯერჯერობით ამის თქმა მეტად ძნელია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მასწავლებელი იმ ქართველთა წრის მეშვეობით, რომელშიც გიორგის მოუხდა ყოფნა პირველ ჩასვლის დღიდანვე, ალბათ მოიძებნებოდა.

საფიქრებელია, რომ მოსკოვში იყო ქართველთა წრესთან ახლო მდგარი ისეთი რუსი მხატვარიც, რომელსაც შეეძლებოდა მაისურაძისათვის ეხელმძღვანელა.

მაგალითად, ცნობილია, რომ ასევე ყმათა წრიდან გამოსულს, შემდეგში ცნობილ დიდ უკრაინელ პოეტსა და მხატვარს ტ. გ. შევჩენკოს, თანამედროვეს მაისურაძისა, ოცდაათიან წლებში ხატვას ასწავლიდა სწავლული „ოსტატი“ შირიაევი, შირიაევი კი იმ სტუპინინის მოწაფე იყო, რომელმაც არზამასის სკოლა დააარსა⁸⁰. არზამასის სკოლიდან გამოსული მხატვრები კი მოსკოვშიაც იყვნენ. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მოსკოვში ყოფნისას მაისურაძე ა. გ. ვენეციანოვის, უფრო მეტად კი ყოფილი ყმა მხატვრის — ვ. ა. ტროპინინის ყურადღების ღირსიც გამხდარიყოს. ხომ ცნობილია საერთოდ ამ მხატვრის დიდი ყურადღება ყმა გლეხთაგან გამოსულ ახალგაზრდობისადმი.

გ. მაისურაძის მოსკოვში ჩასვლა ემთხვევა მეტად საინტერესო პერიოდს. ეს არის ის დრო, როდესაც რუსეთში იტალიიდან ბრუნდება საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი სურათის „კომპეის უკანასკნელი დღის“ ტრადიკული პლანით გააზრებული კომპოზიციის ავტორი — მხატვარი კარლოს ბრიულოვი, რომელსაც „ეზიზღებოდა თვითმპყრობელობა და ირონიულად უყურებდა ნიკოლოზ I პიროვნებას“⁸⁰.

რუსეთში დაბრუნებულმა ბრიულოვმა 1835 წლის მაისში მონაწილეობა მიიღო ხელოვნებისა და მეცნიერების მოყვარულის ვ. პ. დემიდოვის მიერ მოწყობილ სამხატვრო სამეცნიერო ექსპედიციაში. ეს ის დრო იყო, როცა მას ოფიციალურად უხმობდნენ ყაზანისა და ისაკის საკრებულოს ტაძრის მოსახატავად, როცა მას სთხოვდნენ დაეწყო მუშაობა სამხატვრო აკადემიაში პროფესორად⁸¹.

იგი ექსპედიციიდან მოსკოვში დაბრუნდა და აქ იყო 1835 წლის დეკემბრიდან ვიდრე 1836 წლის მაისამდე. მოსკოვში კ. ბრიულოვის ჩამოსვლამდე ჩამოყალიბებული იყო ე. წ. „სამხატვრო კლასები“. სწორედ ეს „კლასები“ დაედო საფუძვლად შემდეგში „მოსკოვის ფერწერისა და ძეგლწერის სკოლას“. ამ სკოლაში შესვლის უფლება ჰქონდა ყმებსაც კი⁸².

საერთოდ ცნობილია, რომ ბრიულოვი თავისი ავტორიტეტის გამოყენებით ცდილობდა ხოლმე სამხატვრო აკადემიაში, უპირველეს ყოვლისა, ყმა გლეხთაგან გამოსული მხატვრების მოწყობას.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ამ სამხატვრო კლასებში მეცადინეობას, ზოგიერთ გაკლენიან პირთა დახმარებით, დასწრებოდა თვითონ მაისურაძეც.

გ. მაისურაძის მოსკოვში ყოფნის ეს პერიოდი სხვა მხრივაც არის ღირსშესანიშნავი. იმაჟამად მოსკოვში ცხოვრობდა უდიდესი რუსი პოეტი ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი. ცნობილია ისიც, რომ აქ პუშკინი ბრიულოვს შეხვდა მოქანდაკე ვიტალის ბინაზე: „1835 წლის 25 დეკემბერს კარლოს პეტრეს ძე მოსკოვში ჩამოვიდა... იგი გაჩერდა ტვერსკოიზე — ჩაშნიკოვის ყოფილ სახლში; იგი ჩამოსვლისთანავე გაეპარა ი. ტ. დურნოვთან — თავის ამხანაგთან აკადემიიდან; როცა ა. ა. პეროვსკიმ ცნობილ მხატვრის ჩამოსვლის ამბავი გაიგო, ბრიულოვის ნებართვის გარეშე თვითონვე გადაიტანა ბრიულოვის ჩემოდანი თავის ბინაში ოლსუფაევის სახლში ტვერსკოიზე...“ და ბრიულოვიც „დათანხმდა იქ ცხოვრებაზე... ა. ს. პუშკინი სწორედ აქ ეწვია კარლო პეტრეს ძეს“...

შემდეგ ჩანაწერში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ბრიულოვი.

ნ. ა. რამაზანოვის გადმოცემის მიხედვით ბრიულოვმა აქ „იმავე სიუჟეტზე მეორე ესკიზი დაწერა ფერადი საღებავებით ა. ა. პეროვსკისათვის, ამ უკანასკნელისათვის ასევე მან დაწერა კიდევ „სვეტლანა, რომელიც მკითხაობს““²².

სხვათა შორის ამ მოგონების ავტორს შემოუწინახავს ჩვენამდე ცნობები ბრიულოვის მოსკოვში ყოფნისა და ცხოვრების პირობების შესახებაც.

ჩვენ ამაზე მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით იმის გამო ვამახვილებთ, რომ ამას ჩვენი მონოგრაფიისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა.

იგი ნათელს ფენს მაისურაძის ცხოვრების ყველაზე ბუნდოვან მოსკოვის პერიოდს და აშუქებს ადამიანებთან იმ ურთიერთობის ამბებსაც, რომელსაც ჩვენ შემდგომში მისი პეტერბურგში ცხოვრების ქამს ვნახავთ.

მეორეს მხრივ კი ამ ამბებს ასევე გარკვეული მნიშვნელობა აქვს რუსულ-ქართული კულტურის ურთიერთობის ისტორიის საკითხის დადგენისათვის.

ამის მიხედვით, საინტერესოა, რომ ბაკრატიონთა მეშვეობით ბრიულოვთან გაცნობილი ქართველი, — კახეთიდან ჩასული გ. მაისურაძე — შეუძლებელია რომ შეუძმნეველი დარჩენოდა ა. ა. პეროვსკისაც.

ალექსი ალექსის ძე პეროვსკი იყო ხარკოვის უნივერსიტეტისა და ს...სწავლო ოლქის მზრუნველი. ცნობილია, რომ იგი პირადად იცნობდა ქართველ ფილოსოფოსს სოლომონ დოდაშვილს. აქ ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ა. პეროვსკი იცნობდა რუს მწერლებს პუშკინს, ჟუკოვსკის, ვიაზემსკის, მხატვრებს ტროპინინს, ბრიულოვს და სხვებს.

იგი იყო ლიტერატორი. მას ეკუთვნის რომანი „Монастырка“. ამ რომანმა ფართოდ გაუთქვა სახელი მის ავტორს; პეროვსკი ლიტერატურაში ცნობილია ანტონ პოგორელსკის სახელით. წარმოშობით იგი უკრაინელი იყო სოფ. პოგორელიდან.

ა. ა. პეროვსკის უძღვნა სწორედ სოლომონ დოდაშვილმა თავისი ბრწყინვალე შრომა „ლოლიკა“⁸⁴.

ცხადია, რომ გ. ავალიშვილის მიერ მოსკოველ ქართველთა წრეში და კერძოდ ბაკრატიონებთან დაკავშირებული გ. მაისურაძეც ამ ამბის მეთვალყურე იქნებოდა.

მოსკოვში ყოფნის დროს კარლოს პეტრეს ძე გარშემორტყმული ყოფილა მხატვრებით. მასთან დადიოდნენ ტროპინინი, ვიტალი, დობროკლონსკები, ექიმი შერემეტევსკი და სხვები. ინტერესს არაა მოკლებული, რომ ტროპინინს მიეწერება საქ. ხელოვნების სახვითი მუზეუმის ფერწერის განყოფილებაში დატული ერთ-ერთი „უცნობი ქართველი ქალის“ გამოსახულება.

რამაზანოვის გადმოცემით ა. ა. პეროვსკის, რომელსაც ამოძრავებდა სურვილი ბრიულოვისათვის ჩამოეშორებინა ყოველივე ის, რასაც შეეძლო მხატვრობისათვის მუშაობაში ხელი შეეშალა, გაუცია ბრძანება, რათა უარი ეთქვათ მიღებაზე ყველა მახლობლისათვისაც კი. მოსკოვში ბრიულოვს უავადმყოფია კიდევაც. მოსკოვში მხატვარს თურმე პარტივით ექცეოდა ყველა და პურმარისაც კი უმართავდნენ. ბრწყინვალე სადილი გადაუხდიათ ახლად გახსნილ სამხატვრო კლასში, რომელიც მოთაყებელი ყოფილა ნიციტინსკზე ყოფილ დოღგორუკოვების სახლში. აქ სადილზე მომღერალ ლავროვს უმღერია ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ შეთხზული კუპლეტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. იმ დღეს სადილი განსაკუთრებით იმით აღნიშნულა, რომ ბრიულოვის თხოვნით ბატონყმობის უღლისაგან სამხატვრო ჩასწავლებლის ორი მოსწავლე გაუთავისუფლებიათ. ერთ-ერთი მათგანის, ლიპნინის შესახებ ბრიულოვი შემდეგშეიც კი პეტერბურგიდან სწერდა მოსკოვში: „Пришлите моего сынишку“. სწორედ აქ, ამ დროს გააკეთა ტროპინინმა ბრიულოვის ფერწერული პორტრეტი, ხოლო მოქანდაკე ვიტალიმ კი — ბიუსტი.

ა. პეროვსკიდან ბრიულოვის ბარგი ვიტალისთან გადაუტანიათ.

სხვათა შორის ა. ს. პუშკინი, ნ. ნ. პუშკინისადმი 1836 წლის 4 მაისს გაგზავნილ წერილში წერს: „მე უკვე მოვასწარი ბრიულოვთან სტუმრობა, ვნახე სახელოსნოში, რომელილაც მოქანდაკესთან, რომელთანაც იგი ცხოვრობს. (როგორც რამაზანოვის მოგონებებიდან არის ცნობილი, ბრიულოვი უკანასკნელ ხანებში, გამგზავრებამდე ცხოვრობდა მოქანდაკე ვიტალისთან, რომელიც პუშკინს კარგად იცნობდა. მიუხედავად ამისა, პუშკინი ამ წერილში წერს ვიტალის შესახებ: „у какого-то скульптора-“. საერთოდ ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა იქნას მხედველობაში მიღებული; იგი პუშკინის წერის მანერისა და ბარათების შედგენისათვის დამახასიათებელია). „იგი მე ძალიან მომწონს. იგი მწუხარებას შეუბუყრია... ის ნამდვილი მხატვარია... კეთილია, მზადაა აღამიანთა დასახმარებლად... პეროვსკიმ გადაიყვანა თავის ბინაზე, ჩაეტია იქ და ამუშავებს... მე ძალიან მინდა ბრიულოვის პეტერბურგს ჩამოყვანა“.

პუშკინი სხვა ადგილზე 1836 წ. 11 მაისს წერს: „მე ვიყავი პეროვსკის-თან, რომელმაც მიჩვენა ბრიულოვის დაუმთავრებელი სურათი. ტყვეობაში მასთან მყოფი ბრიულოვი გაქცეულა...“

1836 წლის 14-16 მაისს იმავე ადრესატს პუშკინი სწერდა: „ვიწვევ ბრიულოვს ჩემთან, პეტერბურგში, მაგრამ იგი ავად არის, ხინდრას შეუპყრია“.

იმავე წლის 18 მაისით დათარიღებულ წერილში პუშკინი სწერს: „ახლა ჩემგან წავიდა. იმაგრებს გულს და მოდის პეტერბურგში, ეშინია ჰაეისა და მონობისა, მე ვცდილობ დავამშვიდო და გავამხნევო იგი; სხვათა შორის თვითონ მე როცა მომამგონდება ხოლმე, რომ ჟურნალისტი ვარ, შიშით გული მიმდის“⁸⁵.

ბრიულოვი მოსკოვიდან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაემგზავრა 1836 წლის 18 მაისს. რამაზანოვი ამ გამგზავრების გამო წერს შემდეგს: „მეორე დღეს მთლიანად მეგობართა და მახლობელთა, ასევე პატივისცემელთა წრემ თავი მოიყარა დილიუენების კანტორაში, საიდანაც ცნობილი მხატვარი ბრიულოვი ვსესიუატსკოემდე გააცილეს“ (რამაზანოვის მიერ მოყვანილი ამბები და „ვსესიუატსკოეს“ — ქართველები რომ სვენცკას ეძახდნენ — დასახლება ყურადსაღებია განსაკუთრებით).

სწორედ მოსკოვში და სვენცკაში მცხოვრებ ქართველებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მაისურაძე მოსკოვში ცხოვრების პერიოდში.

ზემოთ აღწერილ ამბების ფონზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ა. ს. პუშკინის ერთ-ერთ წერაღს, რომელსაც ქართველოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, მაგრამ, რომელსაც, მიუხედავად ამისა, რატომღაც დღემდის პუშკინისა თუ რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობის ობიექტის არც ერთი შემსწავლელი ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პუშკინის წერილი უცნობ ადრესატისადმი⁸⁶, სადაც დიდი პოეტი პატარა ქალაქის ნაგლეჯზე წერს: „შენ გინდოდა გეხილა თბილისელი ფერმწერალი: — შეუთანხმდი მას, თუ როდის მივიდეთ ჩვენ ერთად, — შეგიძლია შენ ხეალ ჩემთან ისადილო? ა. პ.“ (ხელმოწერაა. შ. კ.)⁸⁷.

ამ წერილის გამო ამავე ჟურნალში დაბეჭდილ შენიშვნაში, რომელიც ცნობილ პუშკინოლოგს ნ. თ. ლერნერს⁸⁸ ეკუთვნის, ჩვენ ვკითხულობთ: „ა. ს. პუშკინის ბარათი სახელდახელოდ დაწერილია ფანქრით პატარა ქალაქის ნაგლეჯზე. ხელდასმა — პუშკინისათვის ძალზე დამახასიათებელი მონოგრაფიისა, შედგენილია პოეტის სახელისა და გვარის საწყისი ასოებით. იგი ხშირად გვხვდება ხოლმე პუშკინის ავტოგრაფების ბოლოს. თარიღი არა აქვს; ვბეჭდავთ ამ ბარათს, რომელიც ჯერ კიდევ არსად არ დაბეჭდილია, მისი ლიტერატურული ფონდის არქივში მომპოვებელის, ს. ა. ვენგეროვის თავაზიან ნებართვით.“

ეს ბარათი ჩაწებებულია იმ დოკუმენტებში პუშკინის გამოფენის ანგარიშისა, რომელიც გამართული იყო ფონდის მიერ 1880 წელს. ამ ბარათთანვე არის

წერილი ცნობილი მხატვრის ა. რეზანოვისა ვ. გრიგოროვიჩისადმი. „აი ის ორი ძვირფასი ნაფლეთი,—სწერს რეზანოვი (5 ნომბერი, 1880 წ.) გრიგოროვიჩს,—რომელთა შესახებაც მე თქვენ გუშინ გელაპარაკებოდით. ა. ს. პუშკინის ბარათს თქვენ უკვე მოუძებნეთ დანიშნულება, ხოლო ვ. ა. ქუკოვსკის ნახაზს კი მოეჭეცით თქვენი კეთილი შეხედულებისამებრ“. ქუკოვსკის ნახაზი, რომელიც ასევე იწოდება „დოკუმენტების“ ფონდში, განეკუთვნება დადგმას „Жизнь за царя“. „შეიძლება ვიფიქროთ, რომ პუშკინის ბარათი რეზანოვთან მოხვდა ქუკოვსკისაგან, და შესაძლოა იგი ქუკოვსკისადმი ყოფილიყოს მიმართული⁹⁸; ვინ იყო ის ფერმწერალი, რომელზეც პუშკინი ლაპარაკობს, ჩვენთვის უცნობია. (ხელს აწერს) ნ. ლერნერი“.

ზემოთ მოყვანილი ლერნერის საინტერესო შენიშვნაში, რომელიც პუშკინის ბარათს ეხება, ორი საყურადღებო მომენტია ხაზგასმული. ერთის მხრივ ჩანს, რომ ეს ბარათი იმ წრიდან უნდა მოდიოდეს, რომელიც არა ქუკოვსკისთან, არამედ უშუალოდ კ. პ. ბრიულოვთან არის დაკავშირებული. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ზემოთ მოტანილი წერილი პუშკინისა, ჩვენ ფიქრით, პუშკინის მიერ მოწერილი კ. ბრიულოვისადმი, მოხვედრილიყო ა. რეზანოვთან, ხოლო რეზანოვიდან კი — დ. ვ. გრიგოროვიჩთან¹⁰⁰, ხოლო გრიგოროვიჩიდან კი იმ ფონდში, სადაც იგი ლერნერს აღმოუჩენია.

ქუკოვსკის ნახაზებთან ამ ბარათის პოვნა სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ იგი ქუკოვსკისადმი ყოფილიყოს მიმართული. ეს ნათელი გახდება განსაკუთრებით მაშინ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პუშკინს ამ ბარათის დაწერა არ შეეძლო 1837 წლის თუნდაც 26 იანვრის შემდგომ, ხოლო ბარათის დაწერის უფრო ადრინდელ თარიღად კი არ შეიძლება აღებული იქნას 1836 წელზე ადრინდელი ხანა. არ შეიძლება, რადგან, როგორც ცნობილია საერთოდ, დღემდე გამოქვეყნებულ მასალათა მიხედვით თბილისელი მხატვრის ყოფნა 1836 წლამდე მოსკოვსა და პეტერბურგში არაა დადასტურებული. ბარათში კი პირდაპირ აღინიშნება: „შენ გინდა ნახო თბილისელი ფერმწერალი“. ცხადია, აქ ლაპარაკია ფერმწერალზე, რომელიც საქართველოს მკვიდრია. და ჩასულა კ. თბილისიდან.

ზემოთ მითითებული წლების მიხედვით მოსკოვში მაშინ არავინ არ იყო ისეთი, რომელზეც პუშკინს შეეძლებოდა ასეთი რამე ეთქვა, ხოლო მეორეს მხრივ კი, მოსკოვში იმ დროს იმყოფებოდა ალექსანდრე ჰავჭავაძის მიერ იქ ჩაყვანილი და „განსაკუთრებულ წარმატებებით“ მხატვრობის დარგში მომუშავე ახალგაზრდა გ. მაისურაძე.

იგი სწრაფად და დიდი წარმატებით მიდიოდა წინ, ალექსანდრე ჰავჭავაძე იმეამად, როგორც ეს დღეს ცნობილია, იმყოფებოდა რუსეთში და უნდა ვიფიქროთ, 1835—36 წლების განმავლობაში არა ერთხელ მოინახულებდა ჰაბუკს. ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს ჰავჭავაძის ყურადღება მაისურაძისადმი საერთოდ, კერძოდ კი — ჰავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათიც.

ტექსტი ბარათისა ჩანს, რომ მიმართულია პირისადმი, რომელიც მხატვრობით არის დაინტერესებული და ერკვევა მასში. პუშკინის წერილის მიხედვით ასევე ჩანს, რომ თბილისელი მხატვრის ნახვა ნდომია აღრესატს. თუ მივიღებთ მხედველობაში ბრიულოვის ყურადღებას ყმა მხატვრებისადმი საერთოდ, მაშინ უდავოა, რომ ეს წერილი მიმართული უნდა იყოს ბრიულოვისადმი. ჩვენ ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს ერთის მხრივ ბრიულოვის სიახლოვე იმ მოღვაწეთა წრესთან, რომლებიც ერთგვარად იყვნენ დაკავშირებულნი ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლებთან და მათთან დაახლოებულ პირებთან, როგორც იყვნენ მაგალითად: გამომცემელი სმირდინი, პოგარელსკი (პეროვსკი), გრიბოედოვი, პუშკინი, რომლებიც იცნობდნენ, საერთოდ, ქართველ მოღვაწეებს სოლომონ დოდაშვილს, გიორგი ავალიშვილს, შალიკაშვილებს, რომან ბაგრატიონს და სხვას. ეს უკანასკნელი უახლოესი მეგობარიც კი იყო კ. ბრიულოვისა.

აქ განსაკუთრებით საგულისხმოა პეროვსკის პიროვნება, მისი ურთიერთობა ბრიულოვთან. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმ დროს რუსეთში მცხოვრებ ქართველთა და რუს მოღვაწეთა ურთიერთობაზე. ამის შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მრავალი რამ ნახოს საქართველოში გამოცემულ ლიტერატურის მიხედვითაც კი ¹⁰¹.

აქ ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ყურადღება მივაქციოთ ისეთ ცნობებს, როგორიცაა ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული პუშკინის ფრაზა: „УГОВАРИТЬ С НИМ“; იგი ნამდვილად იმეამდ პეტერბურგიდან მოსკოვს ჩამოსულ ჭაბუკ მაისურაძის პატრონს — ქართველ პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს გულისხმობს. საერთოდ ცნობილია, რომ პუშკინმა ისეთ შემთხვევაშიაც კი, როცა ეს აუცილებელი იყო, გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებით, თავი მოარიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ხსენებას, თითქოს და მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რა ხდებოდა იმ დროს „თბილ ციმბირში“.

მაგრამ პუშკინი რომ ნამდვილად იცნობდა ლიცეელ ჭავჭავაძეს, პოეტს, ვაჟკაცს, რუსული დრამატურგიის მშვენიერს — ა. ს. გრიბოედოვის სიმამრს და რომ უნდა სცოდნოდა, საიდანაც იყო ჩასული იმეამდ მოსკოვს მცხოვრები ჭაბუკი მაისურაძე (მოიჯონეთ პუშკინის მამის წერილი თავის ქალიშვილ ოლდასადმი, სადაც იგი წერს, რომ ლეონი ძელებურად აღტაცებულია თბილისით და კავკასიით და მას ამქვეყნიურ სამოთხეს უწოდებსო, სადაც იგი აცნობებს. რომ ლევ პუშკინმა რთელი საქართველო შემოიარა და 15 დღე გრიბოედოვის უბედური ქვრების სოფელში გაატარა. რომ ლევ პუშკინი ამ 15 დღეს თავის ცხოვრებია ბედნიერ დღედ თვლის და რომ იგი მოკვადობებულია ჭკუითა და თავაზიანობით მისი განსვენებული მეუღლისა). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს წერილი სწორედ იმ დროს ეკუთვნის (1835 წლის 9 ივლისი), როცა წინანდლიდან მაისურაძე უკვე რუსეთს გაემგზავრა: საერთოდ რუსეთში მყოფ პუშკინის ოჯახს ჭავჭა-

ვაძიანთ ოჯახის შესახებ ლევ პუშკინი ამ წერილით ერთხელ კიდევ ზედმეტად შეახსენებდა ქვეყნაძეთა ოჯახის არსებობას.

აქვე უნდა მიეთითოს იმაზედაც, რომ პუშკინმა ტრაპეზუნდში მყოფ ფრანგ კონსულს ვ. ფონტანიეს შეცდომა გაუწვორა. ფონტანიემ თავის ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში „Voyages en Orient“ ქვეყნაძის გვარი დამახინჯებულად—Tsitsevase მოიტანა, პუშკინმა იგი შეასწორა, როგორც „Черевеадзе“¹⁰². გ. ლეონიძის მართებული მითითებით პუშკინის მიერ მოცემული ქვეყნაძის გვარის დაწერილობაში ამგვარი ხასიათის კორექტივის შეტანა უდავოდ ადასტურებს იმას, რომ პუშკინმა არამც თუ ქვეყნაძის გვარის დაწერილობა იცოდა, არამედ პირადად პოეტსაც კარგად იცნობდა.

უდავოა, რომ დასახელებულ პერიოდში, პუშკინისა და ბრიულოვის მოსკოვში ყოფნისას, კ. ბრიულოვს აჩვენეს ის პირი, ვის შესახებაც წერდა მას პუშკინი: „გინდა შენ მისი ნახეა“-ო.

ვფიქრობთ, რომ ამ ფრაზის მიხედვით თბილისელი ახალგაზრდა მხატვრის წარდგინებაში მონაწილე უნდა ყოფილიყო ა. პეროვსკიც, რომელთანაც იმჟამად კ. ბრიულოვი ცხოვრობდა და რომელიც სოლომონ დოდაშვილთან მეგობრობის გამო საქართველოდან ჩასულებს, თითქმის ყველას, თავის უახლოეს ადამიანებად სთვლიდა. სწორედ ეს პეროვსკი უნდა ყოფილიყო ამ შეხვედრის მონაწილე.

რუსეთში მცხოვრებ ქართველებიდან მონაწილე უნდა ყოფილიყვნენ ასევე პუშკინის და ბრიულოვის მცნობი ზოგიერთი პირიც, მაგალითად რ. ბაგრატიონი (რ. ბაგრატიონის და კ. ბრიულოვის მეგობრობის შესახებ ჩვენ შემდეგ შევჩერდებით), შალიკაშვილები და სხვ.

ჩვენ მიერ მოცემული წერილის კომენტირება დაბრკოლებას სრულებით არ ქნის და შინაარსის მიხედვით ემთხვევა ჩვენს მიერ წარმოღვენილ ტექსტიკულ „თბილისელი ფერმწერელს“ აზრის არსებით განმარტებას.

ამ ბარათში, სხვათა შორის, არის ერთი ისეთი ადგილიც, რომელიც რამდენადმე აბუნდოვანებს, გაუგებარს ხდის წერილს. აქ პუშკინი უტყობ ადრესატს წერს: „შეუთანხმე მას, თუ როდის მივიღეთ ჩვენ მასთან“-ო. ერთი შეხედვით, ამ კონტექსტის მიხედვით ისე გამოდის, რომ თითქოს, როცა პუშკინი წერს: „შეუთანხმე მას“, ამ ფრაზაში თვითონ ფერმწერალს გულისხმობდეს. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, წერილის კონტექსტის მიხედვით, ამას ამტკიცებს შემდეგი:

1. ცნობილია, რომ იმჟამად მოსკოვში არ იმყოფებოდა ისეთი თბილისელი მხატვარი, რომლის მიმართაც პუშკინს შეეძლო ეთქვა ადრესატისათვის — ბრიულოვისათვის — „შეუთანხმე მას, თუ როდის მივიღეთ ჩვენ მასთან“-ო.

მამასადამე, აქ პუშკინი უნდა გულისხმობდეს არა პირადად იმას. ვინც უნდა ნახონ, ე. ი. მხატვარს, არამედ იმ პირს, რომელსაც მათი მიყვანა შეეძლო მხატვართან, ან რომელთანაც უნდა ენახათ იგი (მხატვარი) ბინაზე. ისინი ამ

შემთხვევაში გულისხმობენ უსათუოდ მოსკოვში მყოფ ალექსანდრე ჰავკავაძეს და უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი შეხვედრა უსათუოდ შემდგარა კიდევ.

ამ გარემოებას ერთის მხრივ ადასტურებს:

1. არსებული ურთიერთობა ბაგრატიონთა შთამომავლობისა ბრიულოვსა და პუშკინთან. ამას ადასტურებს ასევე ჰავკავაძის დამოკიდებულება გრაზოვლოვთან და პუშკინთან და თუნდაც იმჟამად რუსეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეებთან.

2. ამ შემთხვევაში არც ბარათში გვართა მოუხსენებლობა არის ჩვენს მიერ მოცემული კომენტარის საპირისპირო, თუ გავიხსენებთ, რომ ასეთი რამ, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი იყო პუშკინისათვის. პუშკინი თავის ნაწერებში, ასევე წერილებსა თუ შენიშვნებში იშვიათად ასახელებს ხოლმე პიროვნებებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომელთა ხსენებაც სახიფათოა მისთვის საცენზურო პირობების გამო. ამდენად გასაგებია დასახელებულ ბარათში პიროვნების მოუხსენებლობაც.

მაგრამ არის მეორე მხარე საქმისა, რაც უფრო გასაოცარია; ეს მეორე მხარე იმავე დროს წარმოადგენს სინამდვილეს: პუშკინის ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ყოველთვის ვერ აქცევდა ასეთ რამეებს სათანადო ყურადღებას. მაგალითისათვის აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ მივეუთოთ თუნდაც ერთ ცნობილ შემთხვევაზე.

1836 წლის 4 მაისს პუშკინისადმი მიწერილი წერილის მიხედვით ცნობილია, რომ ა. ს. პუშკინს ბრიულოვის სახელისნოში უნახავს, როგორც თვითონ წერს, „ვიღაც მოქანდაკე, რომელიც მასთან (იგულისხმება ბრიულოვთან. შ. კ.) ცხოვრობს“¹⁰³. ამას პუშკინი კი წერს ისეთი ცნობილი რუსი მოქანდაკის შესახებ, როგორც იყო ვიტალი. ხსენებული მოქანდაკე იმჟამად რუსეთში საქმალ იყო ცნობილი, განსაკუთრებით კი იმ ოჯახში, სადაც კ. ბრიულოვი იმყოფებოდა. პუშკინი ამ წერილშივე პორტრეტის შესრულების გამო დასძენს, „ძალიან მომეწონა“.

ამგვარი ხასიათის კაზუსი, რომელიც პუშკინის ცხოვრებაში არც ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო, ცხადყოფს, თუ რატომაა, რომ პატარა წერილში თბილისელი ფერმწერლის ნახვის შესახებ არაა მოხსენებული არც იმ თბილისელი ფერმწერლის ვინაობა, რომელიც მათ უნდა ენახათ და არც იმ პირისა (ვფიქრობთ, ეს უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ჰავკავაძე), ვისაც ადრესატი ამ შემთხვევაში, — ჩვენი აზრით ბრიულოვი, — უნდა მოლაპარაკებოდა.

წერილში ყმა მხატვრის, მაისურაძის ვინაობის ხსენება, არც ისე ატყვილებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ეს მხატვარი, სწორედ მასთან (ალექსანდრე ჰავკავაძის მასპინძლის — გ. ავალიშვილის სახლი სტუმრებისათვის აღბათ. იგივე ჰავკავაძის სახლად იზიულებოდა), ჰავკავაძესთან იყო. ისინიც ამის გამო იმასთან უნდა მისულოყვნენ.

ზემოთ მოტანილი ბარათის ამგვარი გაშიფრვა, ვფიქრობთ, სავსებით ნათ-

ლად ხატავს სურათს და უდავოდ ხდის იმ ყურადღებას და სიყვარულს, რაც კ. 3. ბრიულოვს გამოუჩენია გიორგი მაისურაძის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხვისას და მისი იქ სწავლის მთელი დროის მანძილზე.

მართლაც და გ. მაისურაძისათვის ხატვაში მეცადინეობას, და იმ ცოდნას, რაც მოსკოვში ორი წლის განმავლობაში მიიღო, ამაოდ არ ჩაუვლია.

შესაძლოა, რომ დამწყები ახალგაზრდა ქართველი მხატვარი მოსკოვში ყოფნისა და სწავლის დროს იქ ტროპინინსაც კი ხვდებოდა ხოლმე. არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ მოსკოველ ქართველთა და კერძოდ ბაგრატიონთა წრეში თითქოს სწორედ ამ პერიოდში აკეთებდა ტროპინინი რომელიღაც თავადის ასულის პორტრეტს; საერთოდ გადმოცემა ტროპინინს მააწერს მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა მიხედვით შესრულებულ არაერთ პორტრეტს.

ა. ჭავჭავაძემ, უნდა ვიფიქროთ საარქივო მონაცემთა მიხედვით, გ. მაისურაძე მოსკოვში რამდენიმე ხნით თავის მოსკოველ ნათესავებთან დატოვა, ხოლო თვითონ თბილისში დაბრუნდა გადაუღებელი საქმის გამო; და მართლაც, ლიტერატურაში ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძე 1836 წლის 6 ნოემბრიდან თბილისში იყო, რომ იგი აქ ნოემბერში მოგზაურმა კონხაც კი ნახა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისიდან პეტერბურგს კვლავ გამგზავრებისას უნდა წასულიყო მოსკოვზე გავლით 1837 წლის აპრილის მიწურულს; მას მოსკოვიდან კი პეტერბურგს წაუყვანია ჭაბუკი გიორგი მაისურაძეც.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც დღეს ამას ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო მასალები ადასტურებენ, პეტერბურგს დარჩენილა ივენისს, იელისსა და აგვისტოს, ე. ი. ვიდრე არ მაუღვაკარებია წინანდლეელი ბიკის გიორგი ივანეს ძე მაისურაძის საქმე, რის შემდეგაც 1837 წლის 12 ოქტომბერს (ახალი სტილით 24 ოქტომბერი) მის ნაცნობებსა და მეგობრებს მათთვის საყვარელი პოეტი და ადამანი ისევ თბილისში დაბრუნებული უნახავთ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბრუნებას აქ, საქართველოში, გულის ფანქარით ელოდა არა მარტო პოეტის ოჯახი, არამედ პოეტის მამულში მცხოვრები გ. მაისურაძის მშობლებიც.



გიორგი მაისურაძე უკვე პეტერბურგში იყო; მასთან იყო მისი მფარველი და პატრონი ქართველი პოეტი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე.

ორი წელი ამოკრებდა მაისურაძეს სოფელ წინანდალს.

წინანდლეელი ბიკი ცხოვრებისათვის მეორედ წმინდა პეტრეს ქალაქში დაიბადა და მის სამშობლო ქვეყნისათვის მეორედ დაბადებაში უდიდესი ღვაწლი და მშობლიური ამაგი სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიუძღვოდა.

მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში იშვიათად შეიძლება დაკასახელოთ ისეთი მეორე აქტი, როგორც არის სიგელი თარხნობისა, მიცემული ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ გიორგი მაისურაძეზე. ამ დოკუმენტის იშვიათობის და განსაკუთრებულობის გამო იგი მოგვყავს მთლიანად:

„შტამპი“: 1000 მანეთამდე ღირებულ სიგელისათვის
ფასი`სამი მანეთი

წელსა ათას რვას ოცდაჩვიდმეტსა დღესა ივნისისა, მე გენერალ-მაიორმა და კავალერმა თავადმა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძემ სამუდამოდ მივცე თავისუფლება ჩემ საკუთარ გლეხს გრიგოლ მაისურაძეს შვილს ივანესი, უტოლოს, უქანასკნელი რევიზიით, საქართველოში თელავის მაზრაში, სოფელ წინანდალში ჩემზე მოწერილს; მხოლოდ იმ უჩვეულო წარმატებითა წაქეზებისათვის, რაც მან გამოიჩინა უქანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში, ვხედავ რა მის მონღომებას და ნიჭს და მსურს რა ყოველივე ეს განვითარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადო სარგებლობისათვის, ასევე სასარგებლოდ მხატვრობისა, ვჩუქნი მე მას თავისუფლებას პირობით, მისთვის სრულებით არა შემაბოჰყველით; სახელდობრ: პირველი, რომ მან განთავისუფლებდეს თანავე, თავისთავის სრულყოფისათვის შევიდეს სანქტპეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მეორე, თუ იგი აკადემიის დამთავრებისათვის განკუთვნილ დროის განმავლობაში თავისი წარმატებით ჯილდოთ დაიმსახურებს მეორე ოქროს მედალს, მაშინ იგი მოვალე იქნება იმუშაოს თავის ხელოვნებით საქართველოში სასარგებლოდ ჩემდა ორი წელი; მესამე — თუ ჯილდოთ მიიღებს პირველ ვერცხლის მედალს იგი — მაისურაძე ჩემდა სასარგებლოდ საქართველოში იმუშავეს სამ წელს; მეოთხე — თუ კი იგი დაიმსახურებს მეორე ვერცხლის მედალს, მაშინ ოთხი წელი უნდა იმუშაოს; მეხუთე — თუ კი იგი განკუთვნილ დროში ვერ მოასწრებს ვერცერთ წარმატების ნიშნის დამსახურებას, მაშინ იგი ვალდებულია საქართველოში თავის ხელოვნებით იმუშაოს ჩემდა სასარგებლოდ ხუთი წელი, ხოლო ამ უამის გავლის შემდეგ იცხოვრებს იქ, სადაც მას მოესურვება, და მეექვსე იმ შემთხვევაში თუ მისი წარმატებითი ხარისხი აყვანილ იქნება იქამდე, რომ იგი აკადემიის დამთავრებისას ღირსყოფილ იქნება როგორც მხატვარი პირველ ოქროს მედალისა, მაშინ, მის მიერ ჩემ მიზანთა სავესებით გამართლებისათვის. ვათავისუფლებ მას ჩემდამი ყოველგვარი ვალდებულებიდან. სახელმწიფო გადასახადები და ვალდებულებები მომავალ რევიზიამდე, მის მაგიერ შესრულებულ იქნება, მისი მიწერის ადგილის მიხედვით ზემოთ აღნიშნულ ჩემს მამულში.

დადასტურებულად ყოველივესი მიეცა ესე განთავისუფლების სიგელი ჩემი, მოწმეთა და თვითონ მაისურაძის ხელმოწერით ჩემი ბეჰდის ლერბის დასმით მას, ს. პეტერბურგში. ამ განთავისუფლების სიგელზე — გენერალ მაიორმა თავადმა ალექსანდრე გარსევანისძემ ჭავჭავაძემ ხელი მოვაწერე მასზე, რომ გლეხი ჩემი გრიგოლ მაისურაძე ზემოთ მოხსენებულ პირობით სამუდამოთ გავანთავისუფლო. ამ განთავისუფლების სიგელით ჩემთვის დაწერილ პირობებს დიდი სიამოვნებით მივიღებ და ვალდებულებას ვიღებ შევასრულო შეძლებისდაგვარად. გააზატებული გრიგოლ მაისურაძე.

ამ განთავისუფლების სიგელის დადებაზე გენერალ-მაიორი ზაქარია ონისიმეს შვილი იოსელიმანისა მოწმეთ დაესწრო და ხელი მოაწერა, ამ განთავისუფლების სიგელის დადებაზედ თავადთაგან გამოსული მოხელე 10 კლასისა, ანდრია კოზმინი — სადილსკი მოწმე იყო და ხელი მოაწერა.

ესე განთავისუფლების სიგელი სანქტ-პეტერბურგის სამოქალაქო სასამართლოს პალატის მეორე დეპარტამენტში, გენერალ-მაიორმა და კავალერმა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, თხოვნით დასამოწმებლად წარმოადგინა და თანახმად პალატაში შედგენილ დღევანდელ რიცხვის რეზოლუციისა, მისი მე-3 წიგნში № 31 ჩაწერის შემდგომ ამავე წარწერით გასცა აგვისტოს 13-სა დღესა 1837 წელსა.

თანამსაჯული ხელმოწერა

მდივანი გრიგოლ მატუსევიჩი

ლუქის ბეჟელი

ამ წარწერასთან

მისი უმაღლესი იმპერატორობის

სამოქალაქო პალატის ბეჟელია.

მაგიდის უფროსი სპრ.....“

(ც. ხ. ი. აქ. ლენინგრადში 1848 წ. ფ. 7, ხურგი 7. ფ. 1841, აღ. 08, ხაჭუე 86.)¹⁰⁰

მოტანილი დოკუმენტის მიხედვით საბოლოოდ გარკვეულია, რომ მისურაძე ალექსანდრე ჭავჭავაძემ გაათარხნა ქ. პეტერბურგში 1837 წლის ივნისში, ხოლო აქტის საბოლოო ძალაში შესვლა კ, ე. ი. ხელმოწერა მოხდა 1837 წლის აგვისტოს 13 დღესა; აგრეთვე გარკვევითაა ნათქვამი, რომ სამუდამოდ მივეცი თავისუფლება ჩემს საკუთარ გლახს გიორგი მისურაძეს შვილს ივანესიო, ისიც გარკვეულია, რომ გიორგი მაშინ ყოფილა უცოლო და რომ ადრე უცხოვრია სოფელ წინანდალში. სიგელში ასევე ნათლადაა ნათქვამი, რომ მისურაძე გაუნთავისუფლებია „ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში გამოჩენილი უჩვეულო წარმატებათა წაქეზებისათვის“, რომ ახალგაზრდა ყოფილა „მონდომებული და ამასთანავე ნიკიერიც“.

განსაკუთრებით საინტერესოა სიგელის ერთი ადგილი ალექსანდრე ჭავჭავაძის დასახასიათებლად; იგი პოეტის დიდ საზოგადოებრივ შეგნებაზე მიუთითებს: „განვითარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადოებრივ საქმისათვისო“. ჩანს, რომ ასევე დიდ მნიშვნელობას აძლევდა პოეტი მხატვრობასაც — „სასარგებლოდ მხატვრობისა ვჩუქნი მას თავისუფლებასო“.

განსაკუთრებით საინტერესოა სიგელის ის ადგილი, სადაც განთავისუფლების პირობაა წარმოდგენილი; სხვათა შორის, სიგელში მოცემული პირობა არ უნდა იქნას სიტყვა სიტყვით პირდაპირ გაგებული. ცალკეული მუხლები ამ შემთხვევაში წაქეზებისა და წახალისების მიზნით არის წამოყენებული; ხომ ცნობილია, რომ ერთხელ განთავისუფლებული ყმის ისევ ყმად გადაქცევის

უფლება არ არსებობდა საერთოდ. ალექსანდრე ჭავჭავაძემ ასევე კარგად იცოდა ისიც, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ როგორი ხარისხითაც არ უნდა დაემთავრებინა იგი მოსწავლეს, აკადემია მას კანონის მიხედვით მაინც ანთავისუფლებდა მოხარკეობისაგან. აქედან ცხადია, რომ აქტში მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდის წაქეზებისათვის წერს ჭავჭავაძე ამ პირობებს და ამით ამავე დროს იგი ნათლად გამოხატავს თავის მაღალ მოქალაქეობრივ მიზნებსაც: „ჩემ მიზანთა სავსებით გამართლებისათვის ვანთავისუფლებ მას ჩემდამი ყოველგვარი ვალდებულებებიდან“. ამ სიგელის მიხედვით იგი ყოველგვარ ვალდებულებებსა და სახელმწიფოებრივ გადასახადებს, კუთვნილს ახალგაზრდისა, თავის თავზე იღებს.

საერთოდ, ეს სიგელი უბრწყინვალესი ძეგლია ქართველი მოღვაწის მაღალ-საზოგადოებრივი შეგნების დამადასტურებელი.

მოტანილი სიგელის მიხედვით ირკვევა ზოგიერთი აქამდე გაურკვეველი საკითხი პეტერბურგში მცხოვრები ქართველების ურთიერთობიდანაც. მოტანილ დოკუმენტში ვკითხულობთ — „ამ განთავისუფლების სიგელის დადებაზე გენერალ-მაიორი ზაქარია ონისიძეს შვილი იოსელიმანისა¹⁰⁵ მოწმედ დაესწრო და ხელი მოაწერაო“. — არავის დაბადებია აქამდე კითხვა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მოწმე ასეთი უცნაური გვარით „იოსელიმანი“, მაგრამ, როგორც ახლა გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, „იოსელიმანი“ იგივე იოსელიანია; მაშასადამე გარკვეულია, რომ მისიურაძის პეტერბურგში განთავისუფლებას დასწრება გენერალ-მაიორი ზაქარია ონისიძეს ძე იოსელიანი. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მოქმედება ჭავჭავაძისა სამაგალითო იქნებოდა როგორც პეტერბურგელებისათვის, ასევე საქართველოში მცხოვრებ მრავალი ადამიანისათვისაც.

ცნობილია, რომ უკრაინელი პოეტი და მხატვარი ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო მისიურაძის განთავისუფლებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაანთავისუფლეს ქალაქ პეტერბურგში, იმავე უბნის პალატაში, სადაც ადრე გიორგი მისიურაძე. მაგრამ შევჩენკო გაანთავისუფლეს არა პატრონის ნება-სურვილით, არამედ, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურაში, პოეტ ჟუკოვსკის. ლოტარიაში გათამამებულ ბრიულოვის მიერ შესრულებულ პორტრეტის საფასურით.

აქ კი საგულისხმოა, რომ ქართველი პოეტი თვითონვე ზრუნავდა და ანთავისუფლებდა საკუთარ ყვას. ხოლო რუსეთში კი პოეტები და მხატვრები ცდილობდნენ ნიჭიერ ყმათა განთავისუფლებას და იძულებული იყვნენ თვითონ გაეყოფიდათ ისინი. ამიტომაც, რომ შევჩენკოს განთავისუფლების სიგელში ერთი სიტყვაც არაა დაძრული იმ მიზნების შესახებ, რაზედაც მისიურაძეზე მიცემულ სიგელშია ლაპარაკი; ეს გასაგებიც უნდა იყოს, ვინაიდან ენგელგარტი მხოლოდ და მხოლოდ მიღებული სასყიდლისათვის ანთავისუფლებდა შევჩენკოს.

ტ. შვეჩენკოს თარხნობის სიგელი ერთი წლით გვიანაა გაცემული, ამ შემთხვევაში ქართველი მკითხველისათვის ეს სიგელი მაისურაძეზე მიცემულ სიგელთან შედარების თვალსაზრისითაც კი მეტად საინტერესოა. ამის გამოა, რომ ჩვენ მას სქოლიოში ვაქვეყნებთ ¹⁰⁶.

გიორგი მაისურაძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დაწყების პირველ დღიდანვე სამეცადინოდ დადიოდა იმ დროს რუსეთში მეტად სახელგანთქმულ და მოწინავე, საზღვარგარეთიდან ერთი წლისა თუ ცოტა მეტი ხნის წინათ დაბრუნებულ, ხოლო პეტერბურგს კი 1836 წლის 27 მაისს ჩასულ მხატვრის კარლოს პეტრეს ძე ბრიულოვის სახელოსნოში.

როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ბრიულოვს მაისურაძე ჯერ კიდევ მისი მოსკოვში ყოფნის დროიდან უნდა ხსომებოდა. ბრიულოვისათვის ცნობილთ იყო ისიც ალბათ, რომ გათარხნებული ყმის პატრონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყოფილი ლიცეელი, მეტად იყო დაინტერესებული კახეთიდან ჩამოყვანილი ჭავჭავაძის ბედითა და წარმატებებით. პირველ რიგში სწორედ ამით უნდა იქნას ახსნილი ის, რომ მაისურაძე იმთავითვე ბრიულოვის სახელოსნოში მოხვდა სასწავლებლად. ბრიულოვის სახელოსნოში მოხვედრა იმ დროს, სხვათა შორის, მეტისმეტად ძნელი იყო, რადგან მისი სახელი ისე ჰქუხდა მაშინ, რომ ყველას მასთან უნდოდა მოხვედრა — სწავლა და მუშაობა.

გარდა ზემოთ თქმულისა, მაისურაძის ბრიულოვთან მოხვედრის მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ თვით ბრიულოვი განსაკუთრებული ინტერესით და ყურადღებით ექცეოდა ხოლმე იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ყმათაგან იყვნენ გამოსულნი.

ყმათაგან გამოსულთაღმე სწორედ ამგვარი ყურადღებით უნდა აიხსნას ის, რომ ბრიულოვი ყურადღებას არ აკლებდა ხოლმე მაისურაძეს ¹⁰⁷.

შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მაისურაძეს ბედმა მართლაც გაუღიმა. მან მეცადინეობა იმთავითვე ბრიულოვის სახელოსნოში დაიწყო ¹⁰⁸. ცხადია ისიც, რომ მაისურაძე ბრიულოვს, როგორც დამწყები მხატვარი და ახალგაზრდა კაცი, უსათუოდ ადრევე თვალში უნდა მოსვლოდა, რომ იგი მსმენელად თავის კლასში მიეღო.

და მართლაც, გ. მაისურაძე მისი განათვისუფლებიდან თითქმის ორი თვის შემდეგ თხოვნით მიმართავს საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მმართველობას, რათა მას, როგორც გათარხნებულსა და როგორც სამხატვრო აკადემიის გარეშე მოსწავლეს, მისცენ სათანადო მოწმობა ქალაქში ცხოვრების საგანზე ¹⁰⁹.

გ. მაისურაძეს, როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, თავის თარხნობის სიგელი სწორედ 1837 წლის 27 სექტემბერს შეტანილ თხოვნასთან ერთად გადაუცია დირექციისათვის.

თხოვნის საპასუხოდ აკადემიას დაახლოებით 18 დღის შემდეგ მისთვის მიუცია ბილეთი 577 ნომრით ¹¹⁰. ამით მაისურაძეს ნება ეძლეოდა, როგორც აკადემიის გარეშე მოწაფეს, აკადემიის კლასებში ხატვის ხელოვნებაში მეცადი-

ნეობისა და პეტერბურგში ცხოვრებისა ც წლის ვადით, ძანამ სხვა საქმიანობას აირჩევდა — „უცილურეს შემთხვევაში კი მანამ, სანამ იგი ღირსი გახდებოდა თავისუფალი (კლასგარეშე) მხატვრის წოდების მიღებისა“. — მაისურაძეს ამ ბილეთის მიხედვით შეეძლო თვისუფლად ეცხოვრა პეტერბურგში.

ბილეთი მან 1837 წლის 16 ოქტომბერს მიიღო და მიღების გამო ხელიც კი მოაწერა. ამავე საგანზე პეტერბურგის ობერპოლიცემისტერისათვის სამხატვრო აკადემიას მიმართავს კი გაუგზავნია, რომლითაც აკადემია აცნობებს პოლიცემისტერს დაწერილებით ყოველივეს დაწყებული მოსწავლის კინაობიდან გათავებული თვით სწავლის ხანგრძლიობის ვადის აღნიშვნით¹¹¹.

მხატვრის ქალიშვილის გადმოცემითაც პეტერბურგს ჩაყვანილ მაისურაძეს იქ უცხოვრია რომელიღაც ბატონიშვილის ოჯახში. მაგრამ სახელდობრ რომელი ბატონიშვილისა, ქალიშვილს აღარ ახსოვდა.

ჩვენი აზრითაც მაისურაძეს პეტერბურგში მცხოვრები ბაგრატიონის ოჯახში უნდა ეცხოვრა, რადგანაც ამ საქმეებში თავიდანვე ჩარეული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე.

და მართლაც, შემდეგში მოპოვებულმა საარქივო მასალებმა, ასევე მაისურაძის მიერ შესრულებულმა პორტრეტმა ალექსანდრე ბაგრატიონისა და სხვა მასალებმაც, ვფიქრობთ, დღეისათვის ჩვენი ვარაუდის სინამდვილე სავესებით დაადასტურა.

ცნობილია, რომ ბაგრატი შვილი იყო გიორგი XII-სა პირველი ცოლის — ქეთევან ანდრონიკაშვილისაგან, და რომ იგი დაიბადა 1776 წელს, საქართველოში სამეფო კარზე ყოფნისას მონაწილეობდა ყოველ საქმეში. ბაგრატი მეფის ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გადასახლეს რუსეთში 1801 წელს, სადაც იგი ჯერ კამერგერად იყო, ხოლო შემდეგ კი იმპერატორმა გენერალ-ლეიტენანტობა და სენატორობაც უბოძა.

ბაგრატი თავგამოდებით ცდილობდა დაედო ღვაწლი და ამაგი ქართული კულტურის მოღვაწეთა აღზრდისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად. ბაგრატი ამაგი სოლომონ დოდაშვილზე.

ბაგრატი ბაგრატიონი ავტორია ქართულ ენაზე დაბეჭდილ რამდენიმე ორიგინალური თუ ნათარგმნი წიგნისაც¹¹².

ბაგრატი პეტერბურგში ცხოვრობდა სწორედ იმ მიდამოებში, სადაც სამხატვრო აკადემია იყო მოთავსებული და არის დღესაც.

ინტერესს არაა მოკლებული აქ იმის აღნიშვნაც, რომ გარდა ბაგრატი ბაგრატიონისა მაისურაძეს ყურადღებით ექცეოდა ასევე მხატვრობის დიდი მოყვარული და მხატვრობის დარგში მომუშავე ისეთი პირი, როგორც იყო არაერთი და ორი სურათის ავტორი, ცნობილი მეცნიერი პეტრე რომანოს ძე ბაგრატიონიც¹¹³.

პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემია ბინას მხოლოდ ნამდვილ მოსწავლეებს აძლევდა ხოლმე, გარეშეებს კი არა. ცნობილია, რომ აკა-

დემია მოთავსებული იყო ვასილევის კუნძულზე და ამ კუნძულის სწორედ მე-12 ხაზზე მდებარეობდა სახლი ქართული ბატონიშვილის ბაგრატიისა¹¹⁴, სადაც უკვე დიდი ხნიდან ცხოვრობდა ბაგრატი თავისი ოჯახით.

გ. მაისურაძე იმ თავითვე სწორედ ამ ოჯახში შეიფარა. და აქ იგი ცხოვრობდა, ვიდრე აკადემიას არ დაამთავრებდა. გ. მაისურაძეს, ვიდრე ბაგრატი გარდაიცვლებოდა (1841 წ. 8 მაისი), ცხადია, მისი სახით დიდი მხარდაჭერაც ექნებოდა ყველგან. პეტერბურგში მას ბაგრატი ალექსანდრე ქავკავაძის მაგივრობას უწევდა; სწორედ ეს აძლევდა უფლებას ბაგრატი ბაგრატიონს, მიემართა შუამავლობით 1838 წლის 31 მაისს¹¹⁵ ალექსი ნიკოლოზის ძე ოლენინისათვის¹¹⁶ და ეთქვა: „მაქვს რა მონაწილეობა თქვენ მაღალ კეთილშობილები-სადმი რწმუნებულ სამხატვრო აკადემიაში გარეშე მოსწავლის, გიორგი მაისურაძის განათლებაში, რომელსაც აქვს კეშმარიტი სურვილი იყოს მხატვარი — ფერწერის დარგში, ხოლო ჩემის მხრივ კი მთელი ჩემი შესაძლებლობით მსურს დავეხმარო ამ ახალგაზრდა კაცს, მის კეთილშობილ სურვილთა განხორციელებაში, მაგრამ მართო მე ჩემის მხრივ ვარ რა უძლური, მიცევ მას ასეთი ბედნიერება, ვბედავ, უმდაბლესი თხოვნით თქვენი მაღალ კეთილშობილების შეწუხებასო“. და შემდეგ თხოვდა: „დაეხმაროთ ამ ღარიბ და ყოველგვარ ქონებასა და საშუალებას მოკლებულს მხატვრობის შესწავლაში თქვენი მოწყალე ყურადღებით და შეიტანოთ იგი, მაისურაძე აკადემიის აღსაზრდელთა რიცხვში სახაზინო ხარჯზეო“ და სხვ.

ზემოთ მოტანილი შუამდგომლობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ გიორგი ცხოვრობდა ბაგრატი ბინაზე. მიუთითებს, რომ ბაგრატიონისათვის კარგად ყოფილა ცნობილი მაისურაძის მდგომარეობა.

მეფისწულ ბაგრატიის შუამდგომლობაზე ოლენინის ასეთი რეზოლუციაა დადებული: „მიეცეს პასუხი, რომ მისი უმაღლესი იმპერატორობის უკანასკნელი ბრძანებულებით მოწაფეთა მიღება საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე აკრძალულია“. ამ რეზოლუციის საფუძველზე სამხატვრო აკადემიის მეფისწულ ბაგრატიონისათვის უარით უპასუხნია¹¹⁷.

სწორედ ამ „სახელმწიფო ხარჯზე“ მიღების აკრძალვით იყო ალბათ გამოწვეული ის, რომ გ. მაისურაძემ ვერ მიიღო სახელმწიფო, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტიპენდია.

მოტანილი საბუთები, ვფიქრობთ, უდავოს ხდიან ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს, მაისურაძის ბაგრატი ბაგრატიონის ოჯახში ცხოვრების შესახებ.

გ. მაისურაძის ბაგრატი ბაგრატიონის ოჯახში ცხოვრების დროს არის შესრულებული ალექსანდრე ბაგრატიის ძე ბაგრატიონის პორტრეტიც¹¹⁸, დახატული პეტერბურგში 1839 წლის 7 აგვისტოს, — 2 წლით ადრე, ვიდრე ალექსანდრეს მამა ბაგრატი გარდაიცვლებოდა. მოსაზრებას, რომ ალექსანდრე ქავკავაძეს გიორგი მაისურაძე ბაგრატი ბაგრატიონთან უნდა დაებინავებინოს, ზურგს უმაგ-

რებს აგრეთვე ალექსანდრე ჰევკავაძის მიერ მიცემული პასუხი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მიერ დასმულ ერთ საკითხზედაც. 1832 წლის 6 თებერვლის პასუხში ალექსანდრე ამბობს: „მეფისწულ ბაგრატი-სათვისაც, პეტერბურგში რომ სენატორად არის, მიმიწერია... წერილები და მის-განაც მიმიღია ასეთივე. მას ცოლად ჰყავდა ჩემი ნათესავი და მე ჩემი მოსკოვ-ში ყოფნის დროს 1810 და 1812 წლებში მათთან ვჩერდებოდი ხოლმეო“¹¹⁰. მაშასადამე, ეს მიუთითებს, რომ ურთიერთობა .ჰევკავაძესა და ბაგრატიონს შორის უფრო ადრეც კი ყოფილა.

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალექსანდრე ჰევკავა-ძის პეტერბურგში ჩაყვანილსა და სამხატვრო აკადემიაში, იქაურ ქართველთა დახმარებითაც, მოწყობილ ჰაბუეს, რომელსაც ბინა ბაგრატის ოჯახში ჰქონდა, გარდა ბაგრატიისა, მფარველობდა და ყურადღებას აქცევდა ასევე თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონიც.

თეიმურაზ ბაგრატიონი სწორედ მაისურაძის სამხატვრო აკადემიაში მო-წყობის წელს იქნა არჩეული რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის წევრად¹²⁰.

თეიმურაზი, ცნობილია, რომ მფლობელი იყო მეტად მდიდარი ბიბლიო-თეკისა, რაც შემდეგში მან ანდერძის მიხედვით „ხალხის სახმარად დასტო-ვა“¹²¹. სხვათა შორის თეიმურაზი მაისურაძის მიერ აკადემიის დამთავრები-დან ორი წლის გავლის შემდგომ გარდაიცვალა. ცხადია, რომ ისეთ განათლე-ბულ კაცს, როგორც თეიმურაზი იყო, შეუძლებელია ყურადღება არ მიექცია ისეთი ქართველი ახალგაზრდა მხატვრისათვის როგორც მაისურაძე იყო.

არსებობს ასევე ბაგრატი ბაგრატიონის ისეთი ხელნაწერებიც, რომლებიც გიორგი მაისურაძის მიერ არის გადაწერილი. არ არის გამორიცხული შესაძ-ლებლობა იმისა, რომ გიორგის გადაეწეროს პეტერბურგში ცხოვრების ყამს ხელთნაწერები იმ სხვა ბატონიშვილებისაც, რომლებიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდნენ (ბაგრატი, თეიმურაზი, იოანე). აქ გამოთქმულ მოსაზრებაში არათფერი არ იქნება გასაოცარი და დაუჯერებელი, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თეიმურაზმა 1810 წელს რუსეთში წასვლისას თან წაიყვანა და იქ აღზარ-და 11 წლის სოლომონ რაზმაძე: ისეთი კაცისათვის. რომელიც კოპენჰაგენის ანტიკვართა საზოგადოებისა და ასევე პარიზის სააზიო საზოგადოების წევრიც იყო, ასეთი რამ სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. თეიმურაზის გარდა-ცვალების გამო (1846 წელს) მარი ფელისიტე ბროსეს მიერ დაწერილი წერა-ლი¹²² გვაფიქრებინებს, რომ მაისურაძე თვითონ მარი ბროსესაც იცნობდა და, შესაძლოა, რომ მაისურაძეს იგი მაშინაც შეხვედროდა, როცა მის მზრუნველსა და მოამაგეს ასაფლავებდნენ.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზი მაისურაძის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ყოფნის-მთელ პეროდში პეტერბურგში ცხოვრობდა. შესაძლოა.

1847 წელს საქართველოში სამოგზაუროდ წამოსულ მარი ფელისტე ბროსეს ბაგრატიონთა ოჯახში მყოფი წინანდელი ბიჭის წერილიც კი წამოედოს შორეულ კახეთში მცხოვრებ მშობლებისა და მზრუნველებისათვის გადასაცემად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იოანე ბატონიშვილის, გიორგი XII ძის ღვაწლიც... ჩვენ ვფიქრობთ, რომ პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეთა წრეში მყოფი გ. მაისურაძე შეუძლებელია შეუქმნეველი დარჩენოდა ისეთ კულტურულს: და განათლებულ ადამიანს, როგორც იოანე ბატონიშვილი იყო.

საერთოდ გადმოვიცემის მიხედვით ბაგრატიონთა გვართან მაისურაძის ურთიერთობაზე ჩემთვის მიუთითებია მხატვრის ქალიშვილსაც: „მამას ხშირად გადაუწერია თურმე მის პეტერბურგელ მასპინძელთა მიერ შედგენილ ხელნაწერებში“¹²³. ვფიქრობთ, რომ ამასვე გულისხმობდა ალბათ ისტორიკოსი ვარლამ დონდუა, როცა მან ერთხელ ჩემთან კერძო საუბრის დროს აღვნიშნა: „მაისურაძის გვარი რომელიღაც ბაგრატიონის ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით მახსოვს“, და რომ იქ მაისურაძე თავის თავს მოიხსენიებს, როგორც ხელნაწერის გადამწერს“¹²⁴.

გ. მაისურაძე იმ დროისათვის სანიმუშო წრეში მოხვდა. ამ წრეს მისთვის მხოლოდ კარგი მაგალითის მიცემა შეეძლო.

მეორეს მხრივ უნდა აღვნიშნოს, რომ მაისურაძის პიროვნების ფორმირებაზე სხვა გარემოც არა ნაკლებ მოქმედებდა. იგი უმეტეს წილად მაინც სამხატვრო აკადემიის კედლებში იმყოფებოდა; ამიტომ, ცხადია, რომ აკადემიის გარემო და წრე მონაწილეობდა თავისებურ ზემოქმედებას მაშინ უკვე დაჯერებულ კვაბუჯზე.

გ. მაისურაძის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მისვლის დროისათვის სასწავლებლებს უკვე თავისებური და რამდენადმე მყარი წესები ჰქონდა შემუშავებული. ეს ტრადიციები 1764 წლის 6 აპრილიდან მოდიოდა და ჩვენთვის საინტერესო პერიოდამდე რამდენჯერმე იყო გადასინჯული. აქო დრო. როცა აკადემია იღებდა მხოლოდ „დაბადებიდან 5 — 6 წლის ასაკის ბავშვებს და არა უმეტესისა, ყველა წოდებისას — გარდა ყმისა“¹²⁵.

დიდი ხნის წინათ დედოფალმა ეკატერინე მეორემ საზეიმო ვითარებაში ჩაუყარა საფუძველი იმ აკადემიის შენობას, სადაც შემდეგში სწავლობდა მაისურაძე. მაშინ ბალავარში ჩაატანეს ოქროს დაფა მასზე ამოკვეთილი ასეთი წარწერით: „მისი უდიდებულესობის თანდასწრებით ჩაეყარა საფუძველი სანკტპეტერბურგის სამხატვრო აკადემიას... ზაფხულსა, ქრისტეს დაბადების აქეთ 1765 წელსა, მისი უდიდებულესობის მმართველობის მეოთხე წელსა“¹²⁶. მაშინ პროფესორთა შემადგენლობამ ზემოდან ყუთზე დააღაგა ქვები, თვით დედოფალმაც კი დაადო დიდი ქვა... „შემდეგ აიღო ქაფჩა და კირით ამოლესა ეს აღგიო, სწორედ მაშინ გაისმა იახტებზე დაღმული 31 ზარბაზნის ფინთინი და ხმა საყვირთა და ლიტავრებისა“¹²⁶. ამ დღის შემდეგ აკადემია ყველა ნახვის მსურველთათვის ღია ყოფილა 8 დღის განმავლობაში.

აკადემიაში ჯერ კიდევ 1795 წლის 28 აგვისტოდან წესად იყო შეძოლ-
ბული, რომ პროფესორებსა და ადიუნქტ პროფესორებს ვალდებული გაეხა-
დათ მოწაფენი, რათა მათ თავიანთი უნარის მიხედვით ეხატათ და ემუშაეათ
პროფესორთან სახელოსნოში, პროფესორთა მეთვალყურეობის ქვეშ. ეს წესი
სხვათა შორის ტრადიციულად გრძელდებოდა მაშინაც, როცა გრ. მისიურაძე
პეტერბურგის აკადემიაში ბრიულოვის სახელოსნოში სწავლობდა. მაშასადამე,
ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისიურაძისათვის.

ასევე შორეულ წარსულიდანვე ცდილობდნენ, რომ აკადემიაში დაენერ-
გათ გამოფენათა ტრადიცია.

ცნობილი რუსი არქიტექტორის ვ. ბაქენოვის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნე-
ნით (1799 წ.) აკადემიის ცხოვრებაში ისეთი ახალი ნორმები დაწესდა, რომლე-
ბიც გ. მისიურაძის დროსაც ძალაში იყო. ამ ნორმებს ალბათ გ. მისიურაძისთვისაც
არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ბაქენოვი ურჩევდა მეფეს, რომ ამიერიდან
მაინც აღარ დაეშვა ისეთი განურჩეველი მიღება მცირეწლოვან ბავშვებსა, რო-
გორც ამას აქამდე ჰქონდა ადგილი. ბაქენოვის დროიდან იქნა შემოღებული აკა-
დემიაში ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება — აღსაზრდელების ერმიტაჟში
პრაქტიკაზე მივლინებისა. ერმიტაჟში გატარებულ დღეებს მოხუცობის უამს
ქუთაისის დავიწყებაში გამომწყვდეული მხატვარი თურმე ყოველთვის სიამოვნე-
ბებით და კმაყოფილებით იგონებდა¹²⁷.

იმ დროიდან მოყოლებული თითქმის რეგულუციამდე სამხატვრო აკადე-
მიის აღსაზრდელები ამ კანონის ძალით ერმიტაჟში იღებდნენ ხოლმე პირებს
სურათთა და ესტამპთა ორიგინალებიდან. სხვათა შორის, გ. პ. მოზდოკელმა,
თბილისის კერძო საცავთა კარგმა მცოდნემ და კოლექციათა მცნობმა, ერთხელ
ჩვენ გ. მისიურაძის მიერ შესრულებულ ლითოგრაფიის არსებობაზეც მიგვი-
თითა, რაც მოზდოკელის აღწერისა და გადმოცემის მიხედვით უნდა ყოფილ-
იყო პირი მხატვარ გრიოზის ჭურათიდან „გოგონა მტრედით“¹²⁸.

ბაქენოვის დროსვე იყო შემოღებული ი. წ. „იენისის გამოფენები“, სადაც
გარეშე მხატვარსაც კი, ვინც აკადემიაში არ ირიცხებოდა, ჰქონდა უფლება
თავის ნაწარმოებთა გამოფენისა.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ადრე მეცნიერულ დისციპლინებს
არ ასწავლიდნენ. მეცნიერულ დისციპლინათა სწავლება შემოღებულ იქნა
ცნობილი მეცენატის ა. ს. სტროგონოვის დანიშვნის შემდეგ (1821 წ. 23/1).
ასწავლიდნენ მათემატიკას, ქიმიას, მითოლოგიას, ლიტერატურას და სხვას. იმ
დროს ყველა საგანს მხოლოდ ერთი მასწავლებელი ასწავლიდა.

1802 წელს აკადემიის საბჭოს შუამდგომლობით მისაღები ასაკის მდგომ-
არეობა თითქოს გაუმჯობესდა: მეფემ შემსვლელთათვის 8 — 9 წლის ასაკი
მიიჩნია საკიროდ. ასევე შემცირდა ამ ღონისძიებებით სწავლის არსებული
15-წლიანი ხანგრძლიობაც იმ მოტივით, რომ „გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელ-
თაც შეუძლიათ ადრე შეასრულონ თავიანთი სწავლის საქმე“.

აკადემიაში ასწავლიდნენ ენებსაც: რუსულს, ფრანგულს, გერმანულს, საგნებს: მათემატიკას, ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას, კატეხიზმოს, მუსიკას და ცეკვებს; ხსენებულ წლებში მოხდა არსებითი გაფართოება სამეცნიერო კურსის მოცულობისა.

მესამე ასაკიდან (14-17 წლამდე) სავალდებულო წესით ეკითხებოდით „ობტიკა“ და „პერსპექტივა“, „ეუსთეტიკა“ ანუ „მგონობელობის თეორია“ და „თეორია მშვენიერ ხელოვნებათა“, მეოთხე — უმაღლეს ასაკში, გარდა სამხატვრო საგნებისა, ასწავლიდნენ რიგ სპეციალურ საგნებსაც: „ალგებრისა და ემბლემების თეორიას“, „მხატვრობისა და მხატვართა ისტორიას“ და „ახსნა-განმარტებით კითხვას ისტორიკოსთა და მოლექსეთა, გემოვნების შესაქმნელად და სილამაზისათვის მისაბაძად მათ შემოქმედებაში“.

განსაკუთრებით დიდ საქმეს აკეთებდა აკადემია ქალაქისათვის. ამ მხრივ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მიერ ჩატარებული მუშაობა, არამც თუ მაისურაძისა და მის თანამედროვეთათვის, არამედ ჩვენ დროშიაც სანიშნოდ რჩება.

აკადემიას ევალეობდა თვალყურის დევნება ქალაქებისა და სატახტო ქალაქის გამშვენიერებაზე. ძეგლთა დაღვმა არსებული კანონით დასაშვები იყო მარტოოდენ აკადემიის ნებართვის საფუძველზე.

ამავე ხანებში აკადემიამ ერთ-ერთი პეტერბურგელი წიგნით მოვაპრე თავის კომისიონერად გამოაცხადა რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე და მას მიანდო „აკადემიაში წარმოებული საგნების გასაღება“, ე. ი. გაყიდვა: „ეს დაეხმარება რუსეთის ხალხებში სახვითი ხელოვნების და ცოდნის გავრცელებას“¹²².

გ. მაისურაძის სასწავლებელში ყოფნის დროს აკადემიის რეპუტაცია ძალზე მაღალი იყო. დიდად აფასებდნენ აკადემიკოს მხატვრის და საერთოდ მხატვრის წოდებას.

ცნობილია, მაგალითად, რომ საიმპერატორო თეატრის ერთ-ერთმა ცნობილმა მსახიობმა აკადემიაში მხატვრის სახელის მოსაპოვებლად თავის პეიზაჟი წარადგინა. მას აკადემიის სამეცნიერო საბჭომ უარი უთხრა, რადგან „შეუფერებელია და უხერხული. რომ აქტიორი აკადემიის წევრი იყოს და ჯერ არ ყოფილა მაგალითი იმისა, რომ ვინმე ამ წოდებიდან დარჩენილიყოს ამა წოდებაში და მიღებულ ყოფილიყოს რომელიმე აკადემიაში იდესმე წევრად“.

აკადემიაში იღვენებოდნენ აგრეთვე ყმათა წრიდან გამოსული პირნიც. ცნობილია, რომ თავისუფლ მსმენელს, ყმათაგან გამოსულ ღებროვინს ჯერ მიაკუთვნეს ვერცხლის მედალი, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ ყმა იყო წარმოშობით (უნდა ვიფიქროთ ყმა ყოფილი — რადგანაც ცნობილია, რომ ყმებს არ ღებულობდნენ აკადემიაში), წილად მხოლოდ „მოწმობა“ არგუენს.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს ახალგაზრდობა თურმე სმას ეტანებოდა, ჯავრისაგან სასმელი ხანდახან მაისურაძესაც კი დაუღევია:

„თითონ შამაც სვამდა ხოლმე თურმე დარდებისაგან, განსაკუთრებით მაშინ. როცა თავის სოფელი და ნაცნობები მოენატრებოდა, წინანდალში კი მას იშვიათად თუ დაუღვია ხოლმე“¹³⁰.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად ა. ნ. ოლენინის¹³¹ დანიშვნით სასწავლებლის ცხოვრებაში, როგორც ამას მასალები უჩვენებენ, ახალი ერა დაწყებულა.

ახალმა პრეზიდენტმა ყოველივე ის, რაც კარგი და დადებითი იყო ძველ წესებსა და დადგენილებებში, ძალაში დატოვა, უვარგისი უკუ აგლო და მათ ნაცვლად ახალ ღონისძიებათა გატარებას შეუდგა. გ. მაისურაძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწორედ ოლენინის პრეზიდენტობის ხანაში მოხვდა.

ა. ნ. ოლენინი ძალზე ენერგიული და გაუტეხელი კაცი ყოფილა. მან პირველმა მიაჩცია ყურადღება აკადემიის პანსიონერთა ჩაცმულობას (296 კაცი), რადგანაც მოძველებული იყო; ასევე ცუდ მდგომარეობაში იყო ქვეშაგებიც. ოლენინი ბევრს ზრუნავდა აღსაზრდელებზე, მაგრამ ამის მიუხედავად თავისი შეხედულებებით ძალზე „შეზღუდული კაცი ყოფილა. ყველაფერი ეს მის მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. შეიძლება ამითაც იყო გამოწვეული, რომ ბაგრატი ბატონიშვილს უარი უთხრა მაისურაძის პანსიონერად აყვანის თაობაზე. ოლენინი რომ უარყოფითად ყოფილა განწყობილი დაბალი ფენებიდან გამოსულ ადამიანებისადმი, ეს ჩანს მის ნაწერებიდანაც. ერთ ადგილზე იგი წერს. „ამ წოდების ხალხი (ყმათაგან გამოსული) თავისუფალ სახანძრო აღსაზრდელებთან ერთად იზრდებოდნენ და სწორედ წოდებათა ასეთი აღრევის შედეგი იყო ის, რომ აღსაზრდელებს შორის ზნეობრიობა გაქრაო“. როგორც ვხედავთ, ოლენინი მოსწავლეთა შორის ზნეობრივობის გაქრობის საბაბს და მიზეზს ხედავს იმაში, რომ სახანძროებთან ერთად იზრდებიან ყმათაგან გამოსული პირები. ამის შემდეგ გასაკვირი აღარაფერია, რომ ოლენინს ყმათაგან გამოსულ გ. მაისურაძის საქმისათვის ყური არ უთხოვებია.

გ. მაისურაძის აკადემიაში მისვლის დროისათვის იქ მუშაობდა მრავალი ცნობილი პირი.

აკადემიას ამშვენებდა ამ დროს მხატვარ გედინის დახმარებით მიღებული პერიკლეს ეპოქის ქანდაკებები, რომლებიც აკადემიურ დარბაზში იდგა. ძნელია ახლა იმის წარმოდგენა, თუ რას განიცდიდა ხოლმე ამ ქანდაკებების ხილვისას წინანდელი ბიჭი. სამხატვრო აკადემიაში მაისურაძის დროს მუშაობდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე თელიორე პეტრეს ძე ტოლსტოი¹³², რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა ხოლმე საერთოდ ყმათა წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს.

გ. მაისურაძის აკადემიაში მისვლის დროისათვის, 1830 წლიდან, უკვე შემოღებული იყო ახალი აკადემიური შტატი და „დამატებანი სამხატვრო აკადემიის დადგენილებებისადმი“. ამ დამატებათა საფუძველზე სწავლების კურსი 12 წლიდან 6 წლამდე შემცირდა. სწორედ ამ დამატებათა მიხედვით გაიარა

სწავლების კურსი მაისურაძემაც. მისი მიღების დროისათვის აღსაზრდელთა მისაღები ასაკი უკვე 14 წლით განისაზღვრებოდა.

აკადემიის აღსაზრდელები ორ განყოფილებად იყოფოდნენ: უმაღლესად, რომლებსაც ეწოდებოდა აკადემისტები პირველი ხარისხისა, და უმდაბლესად, რომლებიც მეორე ხარისხის აკადემისტებად იწოდებდნენ. აკადემიაში „მრჩეველთა“ წოდება გაუქმდა და შემოიღეს წოდება „პროფესორისა“, მეორე და მესამე ხარისხისა, რომლებსაც ადგილს აძლევდნენ არა ვაკანსიის განათავისუფლების მიხედვით, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მხოლოდ შრომებისა და ცოდნის საფუძველზე.

სწორედ ამ ცვლილებათა შედეგად დამტკიცებული იქნა დებულება, რომელიც ითვალისწინებდა აკადემიაში თავისუფალ მსმენელთა მიღებას. მათ ნება ეძლეოდათ არა მარტო ხატვის საქმის სწავლისა, არამედ „მხატვრობის სწავლისაც“.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან დაიწყო ასევე აკადემიაში კითხვა სხვადასხვა საგნებისაც. ასე მაგალითად, მაშინ აკადემიაში კითხულობდა არქიტექტორი შჩედრინი სააღმშენებლო ხელოვნებას, კონფერენც-მდივანი გრიკოროვიჩი — მხატვრობათა თეორიის კურსს, პროფესორი ი. ვ. ბუიალსკი — ანატომიას. „ამ უკანასკნელ საგანში მეცადინეობისათვის ჯერ კიდევ შეხუების მეთვალყურეობის ქვეშ ღებავდნენ ხოლმე გუდონისა, ფიშერისა და კოზლოვსკის ქანდაკებებს, ზამთარში კი ბუიალსკის მედიკო-ქირურგიულ აკადემიიდან მოქონდა ხოლმე ნამდვილი ანატომიური პრეპარატები“. გ. მაიურაძე, სხვათა შორის, სწორედ ამ დროს სწავლობდა აკადემიაში. გ. მაისურაძის ჩვენამდე შემონახული მემკვიდრეობა ნათლად ადასტურებს იმას, თუ ხაოდენ კარგად ყოფილა დაყენებული მაშინ აკადემიაში ანატომიის სწავლების საქმე. გ. მაისურაძის, როგორც პროფესიონალური მხატვრის, აღზრდის საქმეში ანატომიის სწავლებას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

იმდროინდელი აკადემიის სურათი არ იქნებოდა სწორად დახატული, თუ ზემოთ მითითებულ დადებით ღონისძიებებთან ერთად არ აღვნიშნავდით იმ მხარეებსაც, რაც არსებითად ბოჭავდა როგორც აკადემიას, ასევე მის პროფესორებსაც და აღსაზრდელებსაც. ერთი ასეთი შემზღულდავი ღონისძიებათაგანი იყო იმპერატორ ნიკოლოზ პირველის 1829 წლის 9 თებერვლის ბრძანებულება მეფის მიერ სამხატვრო აკადემიის თავის მფარველობაში აყვანის შესახებ...

ეს ღონისძიება ფაქტიურად დეკარისტული მოძრაობის შემდგომ რუსეთის იმპერიაში ასე თუ ისე გადარჩენილ თავისუფლებათა შემზღულდაც იყო. ამ გზით აკადემია საბოლოოდ შედიოდა საიმპერატორო კარის მინისტრის გამგებლობაში... რაც მართლაც მოხდა. 1830 წლიდან აკადემიას წესდება უკვე ამჯერად საიმპერატორო კარის მინისტრმა მისცა. აკადემიაში 1832 წელს მეფის განკარგულებით გადააქვთ გრანიტის ჭფინქსები, რომლებიც იმთავითვე

აკადემიისათვის. მისი ნავთსაყუდელისათვის იყენებ განკუთვნილნი. ეს სფინქსები ღროებით, სანამ გრანიტის პედესტალს აღმართავდნენ, ნევის სანაპიროზე, სამხატვრო აკადემიის ე. წ. მრგვალ ეზოში იდგნენ.

გიორგი მაისურაძის აკადემიაში მისვლის ღროისათვის აკადემიის ინტერიერის დიდი გადაკეთებანი წარმოებდა. ამ ღროს შეიქმნა სპეციალური გალერეა თაბაშირიდან ჩამოსხმულ პირების იქ მოთავსების მიზნით. ეს ექსპონატები ადრე აკადემიის ანტიკურ და წრიულ დარბაზში იყო ხოლმე მოთავსებული; ამ ღროსვე იქნა გადაკეთებული კონფერენც-დარბაზი რაფაელის დარბაზებად. ხოლო კონფერენც-დარბაზს კი მიეცა ის დარბაზი, რომელსაც რევოლუციამდე ეკატერინესას ეძახდნენ, რადგანაც ამ დარბაზში გალბერგის მიერ შესრულებული ეკატერინე II ფიგურა იდგა. აკადემიაში იყო აგრეთვე ტიციანის დარბაზი, ხოლო მის გვერდით კი — ბიბლიოთეკა.

აკადემიის ანტიკურ დარბაზებში მოთავსებული იყო ანტიკური ქანდაკებები და პირები ცნობილი მხატვრების სურათებიდან, რომლებიც აკადემიისათვის ეჩუქებიანა მეფეს.

ასე გადააკეთეს როტონდაც, რომლის გუმბათშიაც მოთავსებული იყო შებუევის მიერ დაწერილი სურათი — „სამხატვრო აკადემიის დაარსება 1764 წელს“. ამიტომ იყო, რომ ამ დარბაზს „შებუევისას“ ეძახდნენ ხოლმე. სწორედ გ. მაისურაძის აკადემიაში მისვლის წინ (1833 — 1834 წწ.) არქიტექტორ ტონის პროექტით ინიცირმა ადამმა ააშენა „ახალი აკადემიური ნავთსაყუდელი“.

ნავთსაყუდლის გრანიტის პოსტამენტებზე, რომლებიც ისე იდგნენ, თითქოსდა სივრცეში შექრილანო, დადგეს მართლაცდა გასაოცარი, ადამიანთა ყურადღების მიმჯაკველი, განსაცვიფრებელი სფინქსები. სხვათა შორის, სანაპიროზე დადგმულ სფინქსების საფასურად მაშინ გადახდილი იყო 65.000 მანეთი.

გიორგი მაისურაძემ ეს იშვიათი და ზედმეტად მკაცრი ანსამბლი ალბათ პირველად მაშინ ნახა, როდესაც იგი, ნევის ხილზე გადავლით, აკადემიისაკენ მიმავალ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ქართველ პოეტსა და მის პატრონს ალექსანდრე ჰავჭავაძეს მიჰყვებოდა გვერდით.

ვინ იცის, როგორ უთრთოდა მაშინ გული სრბოლვაში შეჩერებული „ბრინჯაოს მხედრის“ ქანდაკების პირველ მხილველ წინანდლულ ქაბუკს, მაგრამ სფინქსების ხილვამ იგი ალბათ მეტისმეტად გააოცა. შემდეგში იგი თურმე ხშირად იდგა სფინქსებს შორის და მღუმარე, ხელებდაკრეფილი ფიქრობდა ხოლმე თავის ქვეყანაზე, თავის მომავალზე, თავის მშობლებზე, მის განმათავრსუფლებელ ქართველ პოეტზე.

1836 წლის 15 ივნისს, ოლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ. აკადემიაში გადახდილი იქნა ზეიმი უბრწყინვალესი ტალანტის, აკადემიის ერთ-ერთ აღზრდილთაგანის საპატივსაცემოდ. „ზეიმი, რომლის მაგვარსაც ჯერ კიდევ არას-

დროს არა ჰქონია ადგილი სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის ცხოვრებაში“. კ. პ. ბრიულოვს აკადემიაში ამხანაგური სადილი მოუწყვეს. აქ მოსწავლეთა გუნდი კითხულობდა მისალმებებს დაწერილს ლექსად, რომელიც არქიტექტურის კურსის მოსწავლეს ნორევს დაეწერა. „ორკესტრი. უკრავდა მარშს, — მოგვითხრობს დამსწრე თანამედროვე, — შუა დარბაზში გამოდგმული იყო მეფის მიერ აკადემიისათვის ნაჩუქარი ბრიულოვის „პომპეის უკანასკნელი დღე“. შესანიშნავად იყო გაწყობილი მაგიდა, ყველანი სადილობდნენ“¹³³.

სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი იმ ფონდს, რომლითაც უნდა დახმარებოდნენ ხოლმე მხატვართა ქვრივ-ობლებს; ამ ფონდში იმ დღეს ხელისმყოფრით იეგროვდა 2390 მანეთი, რაც კაიონს საძინისტოას დაუმტკიცებია 1837 წლის 15 ივლისს და სათანადო სტატუტიც შეუქმნია.

1838 წელსაც გ. მაისურაძე აკადემიაში იყო და დაესწრო ვ. კ. შებუევის მიერ ის-ის იყო ახლად დამთავრებული სურათის — „საიდუმლო სერობისადმი“ მიძღვნილ საზეიმო სხდომას, რომელიც სამხატვრო აკადემიამ მოაწყო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წინანდლევი ბიჭი ესწრებოდა ასეთ დიდსა და ბრწყინვალე საზეიმო აქტს.


ვინ იცის, რა ფიქრები უტრიალებდა თავში იმ სალამოს მას. ცხადია, ასეთი ამბების ხილვას დამწყები ახალგაზრდისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ვიღრე გ. მაისურაძე აკადემიაში სწავლას დაიწყებდა, აკადემიაში ცუდი სამუშაო პირობები იყო: სახატავ კლასებში მეცადინეობა სალამობით სწარმოებდა, რის გამოც სახატავ კლასებს სანათურებით ვნათებდნენ. ძნელი იყო მუშაობა, განსაკუთრებით ნატურის კლასებში, რადგან ძალიან ციოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სანთლის კვამლის გასაყვანი მილები შენობის კედლებში იყო გაკეთებული, ამ მილებიდან კი სიცივის მეტი არაფერი შემოდოდა. გ. მაისურაძის აკადემიაში მისვლის დროისათვის კლასებს უკვე ანათებდნენ „კენკეტების“ დიდი რაოდენობით, რის გამოც დარბაზში აღარც კვამლი იყო, არც სიმყარაღე და კვამლის გასაყვანი მილებიც აღარ იყო საჭირო.

ამგვარ ღონისძიებებს გატარებს ის დაღები იმ შედეგი ჰქონდა, რომ მოსწავლენ აღარ ცივდებოდნენ და ნაკლებად აცდენდნენ ხოლმე ხატვის საათებს.

აკადემიაში აუცილებელი იყო, მესამე ასაკის მოსწავლეს ამოერჩია თავისი საბოლოო სპეციალობა, რაც მოსწავლის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. აკადემიაში იყო ხოლმე ისეთი შემთხვევები, როცა მოსწავლე ამა თუ იმ სპეციალობაზე უარს აცხადებდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც იძულებულს ღდიდნენ ემუშავნა მისთვის არასასურველ სპეციალობაზე.

1840 წლიდან გაუქმდა აკადემიასთან არსებული სალამზრდლო სასწავლებელი. მეფის ბრძანებულების მიხედვით ყველას შეეძლო ეკლო აკადემიაში



და დასწრებოდა მეცადინეობას სამხატვრო კლასებში თავისუფალ მსმენელის სახით, ვისაც კი, რასაკვირველია, ეს მოესურვებოდა. ამავე ბრძანებულებით აკადემიაში მასწავლებელთა ყოლა აღარ იყო მიჩნეული საჭიროდ. ეს ბრძანებულება გამოცემული იყო მაისურაძის აკადემიაში მისვლის შესახებ წესს.

საერთოდ დეკაბრისტული მოძრაობის მომდევნო პერიოდში, რეაქციის თანდათან გამწვავების ხანაში, მესამე წოდების წინააღმდეგ მიმართულმა განწყობილებებმა თვით აკადემიაშიც იჩინა თავი; აკადემიის საბჭო და ხელმძღვანელობა დაწვრილებით ჩერდებოდა ყმათა წრიდან გამოსულ ადამიანთა აკადემიაში დაშვების საკითხზე. საბჭო აღნიშნავდა, რომ — „განათლებული ხალხის ცხოვრების მაგალითის მიხედვით ჩვენც მხატვრობის შესასწავლად მხოლოდ თავისუფალი წოდების ხალხი უნდა დავეშვათო“. საბჭო სასტიკად ილაშქრებდა ყმათა მიღების წინააღმდეგ, და დაასკენიდა, რომ „როგორც ებგვაჩენა გამოცილებამ, იმ ყმებისაგან, რომლებიც აკადემიაში მხატვრობას სწავლობდნენ, თითქმის არც ერთი არ გამოდგა წესიერი ადამიანიო“¹³⁴.

ზემოთ მითითებულ შეხედულებათა გათვალისწინების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდა, განსაკუთრებით ზოგიერთ უფროს, ყმობიდან განთავისუფლებულ მხატვრებისადმი. მაგრამ ვიდრე აკადემიაში. კ. პ. ბრიულოვი მუშაობდა, ყმათა წრიდან გამოსულ მოსწავლეთა ბედი მტკიცე ხელში იმყოფებოდა. ბრიულოვი ყურადღებასა და მფარველობას არ აკლდება მათ.

აკადემიაში მოსწავლეთა განვითარებისათვის, მათი გემოვნებისა და სპეციალურ ცოდნა-ჩვევის გამომუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერმიტაჟში გამოფენილი მასალის დათვალიერებას, და იმ წესს, რაც დადგენილი იყო მაისურაძის პეტერბურგს ყოფნის დროისათვის.

აკადემიის მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ ერმიტაჟში გამოფენილ სურათიდან პირის გადაღებისა. ერმიტაჟი ღია იყო მნახველთათვის დილის 10 საათიდან, გარდა ორშაბათისა, ყოველდღე. მოსწავლეები სათანადო ბილეთს იღებდნენ ხოლმე. გ. მაისურაძეს, როგორც ამის შესახებ ცნობა შემოუნახავს მხატვრის ქალიშვილს, გადაუღია ხოლმე ერმიტაჟში პირი არა ერთი და ორი სურათიდან.

გ. მაისურაძის აკადემიაში სწავლის პერიოდიდან, დღემდე მხოლოდ ერთი სურათია ცნობილი. არც მხატვრის აკადემიური ნახატები, არც ფერწერა. და არც ეტიუდები ჩვენამდე არ შემონახულა. ამის გამოა, რომ მისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ეხლა მეტად ძნელია რისიმე გარკვეულის თქმა. უნდა ვიფიქროთ, რომ მაისურაძე ალბათ ისევე მუშაობდა და ისევე იყო შეზღუდული სამხატვრო აკადემიაში შემოღებულ სასწავლო წესებით, როგორც სხვა მრავალი მისი ამხანაგი. 1830 წლის 19 დეკემბერს დამტკიცებული დებულების მიხედვით კი დღეს შესაძლოა აღდგენა მუშაობის იმ წესებისა, რომლის მიხედვითაც უნდა ემუშავნა მოსწავლე მაისურაძეს აკადემიაში. მაისურაძე

ყოველდღე დადიოდა კლასებში სამეცადინოდ და იქ დაყენებულ მოდელიდან ხატავდა ხოლმე. წლის განმავლობაში თორმეტი მოდელი უნდა დაეხატა. კლასში მეცადინეობის დროს გიორგის მისი მასწავლებელი ბრიულოვი ყოველდღიურად ისევე ნახულობდა, როგორც სხვა მოსწავლეებს. დიდი მასწავლებელი უსწორებდა მას ნამუშევრებს და თანაც შეასწავლიდა ხერხებს იმისა, თუ როგორ უნდა მიადწიოს მხატვარმა თავის ხელოვნებაში სრულყოფილობას.

საარქივო მასალებიდან ცნობილია დღეს, რომ კ. პ. ბრიულოვი ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს მაისურაძის წარმატებებს და მიღებული წესის მიხედვით მათ შესახებ საჭიროებისას მოახსენებდა ხოლმე საბჭოს.

ბრიულოვი მაისურაძეს ისევე, როგორც სხვა თავის მოწაფეებსაც, უნდა ეიფიქროთ, ასწავლიდა ძველი და ახალი პროპორციების საფუძვლებს. სწორედ ასეთი თვალყურის დევნებისა და აღზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი მაისურაძისათვის ალექსანდრე ბაგრატიის ძე ბაგრატიონის პორტრეტის შექმნაც¹²⁵. ამ პორტრეტის ზურგის მხარეზე გაკეთებულ ქართულ წარწერაზე ვკითხულობთ: „სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის ბაგრატიის ძის ალექსანდრესი არის პატრეტი ესე, რომელიც მსახურობს კაზაკის ათამანის პოლკსა შინა აფიცრად. წლასა არის 20-სა კ-ს, დავხატე მე გიორგიმ ივანეს ძემ მაისურაძემ წელსა, 1839-სა ჩყლთ-სა, თვესა აგვისტოს 7-სა-ზ-სა, ქალაქსა შინა სან-პეტერბურსა“.

დასახელებული პორტრეტი საქართველოს ეროვნულ გალერეის საინვენტარო დავთარში ასეა ჩაწერილი: „ს. ე. გ. № 623; ავტორი გ. მაისურაძე; სახელწოდება საგნისა — ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტი რუსულ სამხედრო სამოსში; ზომა 55×45; მასალა — ზეთი, ტილო; დრო შექმნისა და ვისგან — მ. გრუზინისკისაგან 1925 წელსა 25/III ფასი — 30 მანეთად“.

1927 წლის 12 აპრილს „ზარია ვოსტოკაში“ ვანდიკი (ე. კოტეტიშვილი. შ. კ.) ამ სურათის გამო სწერდა: — „რაც შეეხება მაისურაძეს, მის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ერთადერთი სურათი, რომლითაც იგია წარმოდგენილი, შემთხვევითად უნდა ჩაითვალოს და ამ ნაწარმოების მიხედვით შეუძლებელია მხატვრის შემოქმედებითი სახის აღდგენა“.

უპირველეს ყოვლისა აქ ჯერ ცოტა რამ უნდა ითქვას სურათის მუზეუმში მოხვედრის თაობაზედაც. რგი მუზეუმში სურათზე გამოსახულ პირის შთამომავალს — გრუზინისკაის მოუტანია. სურათის ზურგის მხარეზე წარწერილის მიხედვით ცხადია, რომ სურათი დაუხატავთ სანკტ-პეტერბურგში 1839 წლის 7 აგვისტოს (დაუმთავრებია). თუ გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც ნათქვამია აქამდე ჩვენს მიერ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს პორტრეტი უსათუოდ ნატურიდან არის დაწერილი, მით უმეტეს, რომ აკადემია მსმენელთაგან მაშინ უშუალოდ ნატურაზე მუშაობას მოითხოვდა; ამის მიხედვით

ალექსანდრეს პორტრეტი, რასაკვირველია, ბაგრატიონის ოჯახში შესრულებულ სურათად უნდა მივიჩნიოთ; განსაკუთრებით კი იმის გამოც, რომ მაისურაძეს, როგორც ცნობილია, პეტერბურგში ცხოვრებისას სხვა ბინა და საცხოვრებელი არ გააჩნდა.

ჩვენს მიერ აქ ხსენებული სურათი, როგორც ამას ზედ წარწერილიც ადასტურებს, მაისურაძის მიერ შესრულებულია მისი აკადემიაში შესვლის მეორე წელს. ჩვენს მოსაზრებას სურათის აღვილის დაწერის შესახებ ზურგს უმაგრებს ბაგრატი ბატონიშვილის მიერ შეტანილი შუამდგომლობაც ოლენინის სახელზე ¹³⁶.

ამ მიმართვის მიხედვით ბაგრატი თავის თავს მაისურაძის აღზრდის საქმეში თანამონაწილედ თვლის. მიმართვიდან ირკვევა, რომ ქაბუქს აკადემიაში შესვლის დღიდანვე განსაკუთრებული სურვილები ჰქონია ფერწერის დარგში მუშაობისა; თავისთავად მიმართვაში ამგვარი რაიმეს თქმა კი იმაზე მიუთითებს, რომ ბაგრატი ქაბუქის საქმიანობის კურსში ყოფილა თავიდანვე.

თუ ვინ იყო ბაგრატი, ან როგორ მოხვდა იგი სანქტ-პეტერბურგში, ეს ჩვენი გამოკვლევის საგანს არ შეადგენს და ამის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია მასალები ნახოს სათანადო ლიტერატურაში ¹³⁷.

ხოლო რაც შეეხება ალექსანდრე ბაგრატის ძეს, იგი, როგორც სურათზე წარწერიდან ჩანს, 1819 წელს უნდა იყოს დაბადებული პეტერბურგში ¹³⁸. ალექსანდრეს დედა — ეკატერინე ჩოლოყაშვილის ქალი იყო. ალექსანდრე ბაგრატის ძეს ცოლად ჰყავდა ელენე თარხნიშვილის ქალი, რომლისაგანაც შეეძინა შვილები: ილია, პეტრე, გიორგი და მიხეილი. ალექსანდრე ბაგრატის ძე გარდაიცვალა თარკმელების ანთებისაგან თავის მამულში, სოფ. ახალქალაქში დაახლოებით 1865 წელს.

ჩვენამდე მოღწეულ მაისურაძის ფერწერულ ტილოთა შორის ა. ბ. ბაგრატიონის პორტრეტი ყველაზე აღრეული ხანით დათარიღებული სურათია და ამის გამო იგი, სხვა მხრივ რომ არაფერი ვთქვათ, განსაკუთრებით საინტერესო არის.

ბაგრატი ბაგრატიონის ვაჟებს, სხვათა შორის, სოლომონ დოდაშვილიც ასწავლიდა, როგორც ეს მისი წერილებიდანაც ჩანს ¹³⁹. ბაგრატი 1827 წელს, ს. ხუციშვილის თქმით (იხ. დოდაშვილის წერილების „შენიშვნები“), მხოლოდ ორი შვილი ჰყოლია: „სოლომონ დოდაშვილი ასწავლიდა ბაგრატი ბატონიშვილის ვაჟებს დავითსა და ნიკოლოზს“. ეს შენიშვნა ერთგვარად შესწორებას საჭიროებს, რადგან გ. მაისურაძის მიერ შესრულებული პორტრეტის მიხედვით, ბაგრატის ვაჟი ალექსანდრე იმ დროისათვის (1827 წ.) 8 წლის მაინც უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონის პორტრეტი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რაოდენ ჩქარა წასულა წინ დამწყები მხატვარი აკადემიაში სწავლის წლებში.

პორტრეტში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს გამოსახული პირისათვის დამახასიათებელი გარეგნობის მხატვრული სიმართლით გადმოცემა, რაც თვალთა გამოშტეტყველებისა და მათი ოდნავი ასიმეტრიული განლაგებით არის გადმოცემული.

ჭკვიანი და დაკვირვებული, მაგრამ ახალგაზრდული გამოხედვა მხატვრის მიერ გადმოცემულია პირდაპირი და გამჭოლავი ცქერით. სახის ნაკვეთები შესრულებული მატერიალურობისა და მოდელირების კარგი გრძნობით, უშუალოდ გადმოსცემს ახალგაზრდა კაცის სათუთს, მაგრამ იმავე დროს ფიზიკურად მკვირვსა და სისხლსავსე სახის ნაკვეთებს.

ფიგურა, დაყენებული სამემოთხედ ანფასში, შემოსილია ყაზახთა ჯარის ნაწილების ოფიცერთა სამოსით, მაგრამ ჩაცმულობის მიხედვით იგი არის პოლკის ზორუნეი¹⁴⁰ — მედროშე. ჯერ კიდევ დამწყები მხატვარი ამ პორტრეტში საგრძნობი განსხვავებულობით გადმოსცემს მხატვრული თვალსაზრისით ჩაცმულობისა თუ რეგალიების მასალათა განსხვავებულ ხასიათს, თმისა და უღვაშების გადმოცემისასაც კი იგი ახერხებს მათი განსხვავებული ფაქტურისა და ფერადოვნების გადმოცემასაც.

საინტერესოა, რომ როგორც თმები, წარბები თუ უღვაშები არა მარტო ფაქტურულია, არამედ ორგანულადაც არიან დაკავშირებული, — მხატვრის გამოსახვაში, — ჰაბუკური იერის მატარებელ კანთან. იმდროინდელი სამოსის ერთგვარი განხვევულობა, ერთგვარი ფუტლიარისებურება, რაც ასე ნიშანდობლივი იყო მაშინდელი სამხედრო ტანსაცმელისათვის, მხატვარს სურათში მოდელირების გზით კარგად აქვს გადმოცემული. საერთოდ ამ პორტრეტიდან მაყურებელს უცქერის წარმოსადეგი, ჰაბუკური იერის, მაგრამ თავის წარმოშობით გაამაყებელი, იმავე დროს, თავისი მდგომარეობით რამდენადმე ფრთებშეკვეცილი, — თავისსავე შერყეულ მდგომარეობაში გარკვეული ახალგაზრდა კაცის სევდიანი ფიგურა.

პორტრეტი მთლიანად ამ განწყობილებას გამოხატავს. ფიგურის მოთავსება სასურათო სიბრტყეზე მოწმობს ჯერ კიდევ დამწყები მხატვრის საინტერესო და მხატვრული კომპონირების შესანიშნავ ალღოს.

ფიგურა სასურათო სიბრტყეში ჩაწერილია იმ დროს მიღებულ წესისამებრ, წელზევით გაოსახვით.

გამა ფერადებისა რამდენადმე მშვიდი, ცივია და ოდნავ ნაზი. ამ პორტრეტში ჯერ კიდევ იგრძნობა ნაწილობრივ თუნდაც სხეულის გადმოცემაში წერის ბრტყლური (плоскостная) მანერა, მაგრამ ამ პორტრეტის ზემოთმოცემულ დახასიათების მიხედვითაც ჩანს, რომ მხატვარი მთელი არსებით ცდილობს სახის მხატვრულ ინდივიდუალიზირებას, რომ მისთვის უმთავრეს ამოცანას გამოსახავი პირის ცხოვრებისა და ხასიათის მხატვრული გახსნა, მისი ჩვენება წარმოადგენს.

სხვათა შორის, კ. პ. ბრიულოვის სახელოსნოში მისულ ახალგაზრდა მხატვარს, როგორც ამას ბაგრატიონის პორტრეტიც აჩვენებს, პირველ რიგში თავის მასწავლებლისაგან შეუთვისებია არა ფორმალური არსი, მანერა მუშაობისა, არამედ ის, რაც ნამდვილად არსებითი და მთავარია. ჩანს, რომ ქაისურაძეს იმთავითვე გაუგია ბრიულოვის სკოლისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი — საპორტრეტო ენარის სფეროში მასწავლებლისათვის ასე ნიშანდობლივი.

მაისურაძე ამ პორტრეტში ამჟღავნებს იმ დიდი შემოქმედებით ინტერესს გამოსასახავი პიროვნებისადმი, რის გარეშეც მუშაობას მხატვრისათვის არავითარი აზრი არა აქვს ხოლმე.

ბრიულოვი ასწავლიდა თავის მსმენელებს: „ხატეთ ანტიკის მიხედვით — ანტიკურ გალერეიაში. ეს ისე აუცნებელია ხელოვნებაში, როგორც ცხიმი საკმელში; ნატურის კლასში კი ეცადეთ, გადმოსცეთ ცოცხალი სხეული ისე, როგორც ის არის მშვენიერი... მხოლოდ საჭიროა მისი წვდომა, ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა ცოდნა საჭირო... თქვენ აქ ნატურა უნდა შეისწავლოთ, ნატურა, რომელიც თქვენ თვალწინ დგას. ეცადეთ, რომ გაიგოთ და იგრძნოთ ყოველი მასი ნიუანსი და თავისებურება“. (რამაზანოვი)...

და ბაგრატიონის პორტრეტშიც, მართალია, ჯერ კიდევ დამწყებმა მხატვარმა აჩვენა იმ სკოლაში მიღებული ჩვევები და მიდგომა, რომელსაც მისი დიდი მასწავლებელი კ. ბრიულოვი ნერგავდა თავის მოწაფეებს შორის.

გ. მაისურაძე მთელი მონდომებით და მთელი შესაძლებლობით სწავლობდა, მაგრამ სიღარიბე, რომელიც თან დასდევს ხოლმე, ღარიბ ადამიანს, მას პეტერბურგშიაც არ შორდებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მაისურაძის მასპინძელი — ბაგრატი — ამ პერიოდისათვის უკვე ალბათ ავადმყოფობდა კიდევაც და ამის გამო სათანადო ყურადღებასაც ვერ აქცევდა ჰაბუსს. ალექსანდრე ჰავკვაძე კი იმ დროს ათაგვარი საქმეებით იყო დაკავებული და საფიქრებელია, ვერც ის იცოდნა. უგზავნიდა თუ არა რამეს ალექსანდრე ჰავკვაძე ან სხვა ვინმე მაისურაძეს პეტერბურგში, ჯერჯერობით, სათანადო მასალების უქონლობის გამო მეტად ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, რომ ახალგაზრდა კაცი 1840 წლისათვის მატერიალურად მეტისმეტად შევიწროვებულად ყოფილა. ჩანს, რომ მას არსადან არ ჰქონია დახმარება. ამას ადასტურებს თხოვნა მაისურაძისა, შეტანილი საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის სამმართველოში 1840 წლის 1-ლ მაისს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ვსწავლობ რა ხატვას ნატურიდან და ასევე ფერწერასაც, უდიდეს მატერიალურ სივიწროვეს განვიციდი და ხატვის კლასში დასწრებისათვის საჭირო ბილეთის შეძენაც კი არ შემიძლიაო და იგი აკადემიიდან დახმარებას მოითხოვს. ამავე თხოვნიდან ირკვევა, რომ მაისურაძეს საბჭოსათვის იმპერატორის ფერწერულ პორტრეტიდან გაკეთებული პირიკი წარუდგენია¹⁴¹. აკადემიის საბჭოს, მაისურაძის თხოვნა, როგორც ამას

მმართველობის ეურნალიდან ამონაწერი აღასტურებს, დაუქმყოფილება და მისთვის 10 მანეთი მიუცაით ვერცხლით, იმ პირობით, რომ 9 მანეთით დაეფარა გადასახადი სკოლისა⁴¹².

პეტერბურგში სამხატვრო აკადემიაში სწავლისას გიორგი მაისურაძეს ისევე, როგორც სხვას, უნდა ვიფიქროთ. რომ არა ერთი და ორი აკადემიური თუ თავისუფალი ხასიათის სამუშაო ექნებოდა შესრულებული. მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ და ახლა მათზე რაიმეს თქმა მეტისმეტად ძნელია. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გახსნილი იქნას გ. მაისურაძის ჯერ კიდევ აქამდე უცნობი ნამუშევრები საერთოდ და კერძოდ პეტერბურგის პერიოდისა.

როგორც შეიძლება დავასკვნათ დღეს, გ. მაისურაძე განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ბაგრატ ბაგრატიონის გარდაცვალების (1841 წ. 8/VI-ს) შემდეგ. მეტისმეტად შევიწროებულსა და უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილ ჰაბუკს სამხატვრო აკადემიის საბჭოსათვის თხოვნით მიუმართავს, რათა განცხადებასთან ერთად წარდგენილ მის მიერ ნატურიდან დაწერილ პორტრეტის საფუძველზე მისთვის თავისუფალი, კლასიკარეშე მხატვრის წოდება მიენიჭებიათ⁴¹³.

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აკადემიაში სწავლებისათვის დაწესებული იყო 6 წელი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მაისურაძე კი მხატვრის წოდების მიღების მიზნით ამის გამო სადიპლომო სამუშაოს აღგენს 4 წლის მუშაობის შემდგომ... წარდგენილი სამუშაო, თავისთავად ცხადია. საბჭოს ვერ დააკმაყოფილებდა⁴¹⁴.

უნდა ვიფიქროთ, რომ იმეამად აკადემიის მოთხოვნილება ალბათ უფრო მაღალი იყო, ვიდრე მაისურაძის საამისოდ წარდგენილი ნამუშევარი. ამ დროს ეკუთვნის სწორედ ჩვენს მიერ აღრე მოტანილი დოკუმენტი — მიმოწერა „საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორისა“ და „საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის სამმართველოს“ შორის⁴¹⁵ მეტრიკის გაცემის საგანზე.

როგორც მეტრიკის შემცვლელი „მოწმობიდან“ ჩანს, გიორგის მოუწერია თავისი ძმის — ადამისათვის, რომ ამ უკანასკნელს მისთვის გადაეგზავნა პეტერბურგში დაბადების საბუთი, რაც აუცილებელი იყო მისთვის აკადემიის დამთავრებისა და ასევე სამსახურში შესვლის შემთხვევისათვის. როგორც ჩანს, ამ მიმოწერას აღგილი ჰქონია 1841 წლის 7 მარტს⁴¹⁶, უნდა ვიფიქროთ რომ ამ საგანზე წერილი მას მიუწერია ა. ჰაუპვაძისთვისაც.

ხოლო საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას კი 1841 წლის 21 მარტს 1332 ნომრით თბილისიდან გადაუგზავნია მიმართვა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მმართველობისათვის იმის შესახებ, მართლა სჭირდებოდა თუ არა აკადემიას ასეთი მოწმობა, რაზედაც აკადემიას დადებითი პასუხი მიუცია მხოლოდ 1841 წლის 9 ივნისს⁴¹⁷.

გ. მაისურაძეს ალბათ მეტრიკული ამონაწერი ესაჭიროებოდა იმ თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც მას აკადემიის სამხატვრო საბჭოში ჰქონდა შეტანილი 1841 სექტემბერს. სინამდვილეში კი დაბადების მოწმობის შედგენა — მიუხედავად მისი დიდი საჭიროებისა — მხოლოდ 1843 წლის 12 თებერვლისათვის დასრულებულა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოწმობაც მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა გადაგზავნილი; თუ მხედველობაში მივიღებთ სინოდალური კანტორის მიერ სამხატვრო აკადემიის სახელზე გადაგზავნილ წერილობით შეკითხვას, სადაც აღნიშნულია, რომ მხატვრის ძმა ადამი მოვიდა და განვეიმარტაედა, რომ მის ძმას ასეთი მოწმობა ესაჭიროებაო, — მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ პეტერბურგში მცხოვრებ გიორგის და საქართველოში მცხოვრებ მის ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს, ერთმანეთთან წერილობითი კავშირი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ კიდევ. (სამწუხაროდ ასეთი მიმოწერა ჯერჯერობით არ არის მიკვლეული და აღმოჩენილი), მაგრამ ამის მიუხედავად ჩანს, რომ ახალგაზრდა მხატვარი დიდ გასაჭირს განიცდიდა, ალბათ ამიტომ იყო, რომ იგი აკადემიის დამთავრებას განსაკუთრებით ჩქარობდა.

1842 წლის 16 ივნისს მას განმეორებით შეაქვეს თხოვნა, რათა ნება დართონ მისი ნაცნობი ქართველი თავადის მიხედვით პორტრეტის დაწერისა¹⁴⁸. რაზედაც სამხატვრო აკადემიის საბჭო ნებას იმ პირობით რთავს, თუ იგი, მაისურაძე, დაიცავს სათანადო წესებს¹⁴⁹.

საქმის მიხედვით ჩანს, რომ მაისურაძე, მის მიერ წარდგენილ პორტრეტის მიხედვით, საბჭოს ამჯერადაც არ დაუკმაყოფილებია და წოდების მინიჭების საქმე კვლავ გადადებულია.

თითქმის ერთი წლის მუშაობის შემდეგ მაისურაძეს, როგორც ის სწერს თხოვნაში, კვლავ წარუდგენია „თავისი ნამუშევრები“, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რამდენიმე, და ზათ საფუძველზე საბჭოსათვის წოდების მინიჭება უთხოვია, ვინაიდან უამისოდ „მე არ შემიძლია სამშობლოში დაბრუნება“-ო¹⁵⁰.

ამჯერად აკადემიის საბჭოს მაისურაძის ნამუშევრები განუხილავს და წარდგენილ მასალების საფუძველზე იგი ღირსად უცნვინათ აკადემიის დამთავრებისა, რის მიხედვითაც დაუდგენიათ გაცემა ატესტატისა 1844 წლის 12 ოქტომბრის თარიღი¹⁵¹.

გიორგი მაისურაძე, როგორც ეხლა ეს ახლად მოპოვებულ საარქივო მასალიდან ჩანს, რუსეთიდან საქართველოში საბოლოოდ მხოლოდ 1850 წლის პირველ რიცხვებში დაბრუნებულა.

აკადემიის დამთავრებიდან მომდევნო დროში, თითქმის ხუთი წლის განმავლობაში გ. მაისურაძე ძირითადად პეტერბურგში იმყოფებოდა.

მოპოვებულ მასალების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაისურაძე აკადემიის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოსულა და აქ ერთი წელი

თუ წელიწადნახევარი დარჩენილა, რის შემდეგაც იგი კვლავ პეტერბურგს გამგზავრებულია და 1850 წლამდე იქ იმყოფებოდა.

ჩვენი აზრით, სწორედ 1844 თუ 1845 წლის შემოდგომაზე საქართველოში ყოფნის დროს უნდა იყოს შესრულებული მაისურაძის მიერ ალექსანდრე ჰავკავაძის პორტრეტი, რომელიც საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში ინახებოდა აღრე № 30-ით; მაისურაძეს იმავე ხანებში უნდა შეესრულებინოს ასევე სალომე ორბელიანის — პოეტ ალ. ჰავკავაძის მეუღლის პორტრეტიც.

გ. მაისურაძეს უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენის აზრით, სურათზე გაკეთებული წარწერის ხელის მიხედვითაც კი, ასევე თეკლე ბატონიშვილის პორტრეტიც. საფიქრებელია, რომ მაისურაძის მიერ იყო გაკეთებული დავით დადიანის პორტრეტებიდან პორტრეტი ზუგდიდის მუზეუმის ფონდისა (იხ. ი. მეუნარგას წიგნში ს. ცაიშვილის რედაქციით. შიგ დართული პორტრეტი).

პირველი სამი პორტრეტი შესრულებულია ალბათ მაისურაძის იმჯერად საქართველოში ყოფნის დროს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გიორგი მაისურაძეს რუსეთიდან დაბრუნების დროს შეესრულებინოს სხვა პორტრეტებიც, მაგრამ მათი დადგენა მომავალი კვლევებიებისა და მუშაობის საქმეა.

პეტერბურგის პერიოდი, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიაც მხატვარს უხდებოდა ცხოვრება, შემოქმედებითი მუშაობის მხრივ შეუძლებელია ისე ღარიბი ყოფილიყო, როგორაც იგი დღეს გამოიყურება.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოფ, ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტი გვაძლევს იმის უფლებას, ვიფიქროთ. რომ მაისურაძე პეტერბურგში ყოფნისას არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ ალექსანდრეს პორტრეტის გაკეთებით და სხვათა პორტრეტის შექმნაზეც იმუშავებდა. ამას მოითხოვდა მისგან, როგორც მისივე საქმის ინტერესები, ასევე პატივისცემა იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა წრეშიაც იგი ცხოვრობდა და იზრდებოდა.

მაგრამ თუ ჩვენამდე პეტერბურგის პერიოდის სხვა ნაწარმოებებს არ მოუღწევია, ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ალბათ მათ შენახვასა და დაცვაზე მომდევნო დროში მინცდ მაინც ბევრს არაიენ ზრუნავდა. თუ კი მაინც რამე გადაჩა, ისიც ჯერჯერობით კიდევ ვერ არის სათანადოდ გამოვლენებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გიორგის ნამუშევრები მხატვრის სამშობლოშიაც კი, ამ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩნდება ხოლმე სათითაოდ და თანაც ძალზე ნელა.

პეტერბურგის პერიოდმა გ. მაისურაძე. როგორც მხატვარი, საბოლოოდ ჩამოაყალიბა და კიდევ უფრო გაუღრმავა ფერწერისადმი ის სიყვარული, რომელიც დაბადებიდანვე გამოჰყვება ხოლმე ადამიანებს.

საგულისხმოა, რომ იგი საქართველოში დაბრუნების შემდგომ უმეტესად სწორედ დემოკრატიულ ფენებიდან გამოსულ ადამიანთა ასახვაზე მუშაობს.

1843 წლის 20 თებერვალს პროფესორ კ. ბრიულოვის წარდგინება (ოქმი № 257), რომლითაც იგი საბჭოს თხოვდა ნიჟიერ ფერმწერლის გ. მაისურაძისათვის აღმოეჩინათ რაიმე ფულადი დახმარება¹⁵², საბჭოს დაუკმაყოფილებია და გამოუტანია დადგენილება დახმარების გაცემაზე.

დადგენილება დახმარების გაცემის შესახებ სისრულეში მოუყვანიათ.

მაგრამ აკადემიის დამთავრების მომდევნო წლებში, სანამ მაისურაძე საქართველოში დაინიშნებოდა მასწავლებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ძხატვარს პეტერბურგში ძალზე მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება.

1846 წლიდან კი, მან ის უკანასკნელი იმედიც დაკარგა, რომელმაც იგი ცხოვრების გზაზე დააყენა¹⁵³, გარდაიცვალა ალ. ჭავჭავაძე, აკადემია დაამთავრებულ მხატვარს წინ ჯერ კიდევ მძიმე გზა ჰქონდა გასაუღელი. შორს იყო მისგან მისი მამული, იქ იყო დარჩენილი მის მიერ შესრულებული პორტრეტებიც¹⁵⁴.

მხატვრის ცხოვრების პეტერბურგის პერიოდი, როგორც ამას ადასტურებს წინამდებარე მონოგრაფიაში პიზველად გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტი,¹⁵⁵ დამთავრებულა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის 1846 წლის 14 მარტის რაპორტით სენატისადმი¹⁵⁵-ა.

გ. მაისურაძის პეტერბურგის ხანის ცხოვრება არსებითად დამთავრდა სენატის 1846 წლის 28 მარტის დღის იმ ბრძანებულებით, რომელსაც პირველად ამ მონოგრაფიაში¹⁵⁶ ვაქვეყნებთ.

დასრულდა პეტერბურგში სწავლის პერიოდი გ. მაისურაძისათვის... მაგრამ იგი თავისუფალი, საშობლოდან კვლავ პეტერბურგს დაბრუნებული, იქ ცხოვრობს და ქმნის, ვიდრე არ დაუძახებენ საქართველოში.

მისი კარგი პატრონი ალექსანდრე ჭავჭავაძე ისე მოკვდა, რომ ვერ მოესწრო მის მიერ საშობლო ქვეყნისათვის დათესილი სიკეთის შედეგთა ნახვას და მომკას, მაგრამ მან ნახა ერთი, ნახა, რომ ნიქმა და გაწეულმა ამანგმა თავისი გზა არ დაკარგა ცხოვრებაში.

ქუთაისის სისქვე

1850 ~ 1885

*„რამ ღატამრო, შე ოხერო,
ღარბებებს ბედის წუარო,
ამოდუღდი, რომ ქვეუანს
ერთნაირად გაასარო.“*

ო. ლავიტაშვილი.

*„I мене всім великій,
Всім вольній новій.
Не забудьте помянути
Незлим тихим словом“*

Тарас Шевченко.

„Warte nur, balde Ruestic auch“

Goethe

თავი მესამე

ადამიანმა, რომელმაც თავისი სიცოცხლის 35 წელი ქუთაისის ფირუზისფერი ცის ქვეშ გაატარა, ადამიანმა, რომელიც 35 წელი ემსახურა ქართველ და ასევე იმეამად ქუთაისში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წრიდან გამოსულ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, სული „სეარდო და სამაისო“ ქუთაისის მიწაზე დალია.

მისი სიკვდილის შესახებ მის სამშობლო სოფელ წინანდალშიაც კი, მხოლოდ გაზეთ „დროებაში“ — შინაურ ქრონიკაში დაბეჭდილ ამბებიდან გაიგეს.

„ამ თვის ექვსს, — წერდა მხატვრის გარდაცვალებიდან მეცამეტე დღეს გაზეთ „დროების“ რედაქცია, — ქუთაისში გარდაიცვალა 97 წლის მოხუცი გრიგოლ ივანესძე მაისურაძე. განსვენებული მხატვრობის მასწავლებელი იყო ქუთაისის საეაჟო გიმნაზიაში და გიმნაზიის მასწავლებელთა შორის ერთი უხუცესი ვეტერანთაგანი იყო.

„უმაღლესი განათლება არ მიეღო მაისურაძეს (ჩვენს სტატიაში, რომელშიაც პირველად მივუთითეთ ამ ნეკროლოგის არსებობაზე, სქოლიოში მოცემულია ავტორისეული შენიშვნა — „ხსენებული ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს, თანახმად ქალიშვილის ო. გ. მაისურაძის ასულის ცნობისა“), მაგრამ თავის ხელობაში დახელოვნებასა და ბუნებრივ ნიქს მოკლებული არ იყო განსვენებული.

ქუთაისში კერძო სახლებშიაც და სხვა დაწესებულებებშიც ხშირად შეეხვდებოთ განსვენებულის

კალმით დახატულ სურათებს: ბევრი იკონოსტასი (კანკელი) გ. ი. მაისურაძის ნახელოვნებია ქუთაისის და ამის მაზრის სოფლების ეკლესიებში. ამრიგად განსვენებულმა ცხოველ სახსოვარი დაუტოვა იმ ქვეყანას, რომელსაც ღრმა მოხუცებულობამდის შეძლებისამებრ ემსახურებოდა“¹⁵⁷ (ხაზი ჩვენია. შ. კ.).

გ. მაისურაძის გარდაცვალების შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა, სანამ მის შესახებ დაიბეჭდებოდა თუნდაც თავისთავად უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ისეთი პირველი მიმოხილვა, რომელიც ქართველ საზოგადოებას წარმოდგენას მისცემდა უმაღლესი განათლების მქონე პირველი ქართველი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე

მაშინ წერილი დიდი შემოკლებით და ამასთან, ავტორთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდა რედაქციამ. ამის გამო წერილში კორექტურულ შეცდომებს გარდა იყო ზოგი რამ ისეთიც, რაც არსებითად არ იყო სწორი. გაუგებრობის ნიადაგზე „იალტა“ და „ყირიმის“ მაგიერ სტატიაში გაჩნდა „იტალია“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სტატიაში ძირითადი ხაზი მხატვრის ცხოვრებისა, ისევე როგორც შემოქმედებისაც, უმათვრესად მოგონებებისა და სხვა მასალის საფუძველზე აღდგენილი, მაშინაც სინამდვილის შესატყვის სურათს აჩვენებდა.

ამ წერილით პირველად იქნა დადგენილი საბოლოოდ, რომ: „მაისურაძის მოღვაწეობის ხანა ქუთაისში, ემთხვევა იმ პერიოდს, როცა იქ გიმნაზიაში სწავლა უხდებოდა აკაკი წერეთელს (ქუთაისის გიმნაზია გაიხსნა 1850 წელს). საინტერესოა, რომ აკაკის ხატვა-ხაზვა და სუფთა წერა მაისურაძესთან უსწავლია. ამას ადასტურებს აკაკიზე გაცემული მოწმობაც“...

და ცოტა ქვემოთ დასახელებულ სტატიაში ვკითხულობთ: „რასაკვირველია, მხატვრისათვის მძიმე იქნებოდა პეტერბურგსა, იტალიასა და ყირიმის შემდეგ იმდროინდელ ქუთაისში ცხოვრება“¹⁵⁸ (უნდა ვიფიქროთ, რომ დედნისეული „იალტა“ ალბათ აწყობისას იქნა შეცვლილი „იტალიად“. შ. კ.).

სტატიაში იყო მითითება იმის შესახებაც, რომ მაისურაძემ სასწავლებელი დაამთავრა ორმოციან წლებში და რომ მან ამის შემდეგ ქუთაისში მასწავლებლად მუშაობა 1850 წელს დაიწყო. ამით იგულისხმებოდა, მაშასადამე, რომ მაისურაძე პეტერბურგიდან პირდაპირ ჩამოვიდა ქუთაისს.

ეს მოსაზრებანი, მაისურაძის სამშობლოში უკან დაბრუნების შესახებ. შემდეგში პირდაპირ თუ არაპირდაპირი გზით, ზოგიერთ ავტორთა მიერ შესწორებული იქნა და გამოითქვა მოსაზრება, რომ ვითომდა „თანახმად ყმობიდან განთავისუფლების პირობისა, იგი ამის შემდეგ (იგულისხმეთ მაისურაძე. შ. კ.) თუ 5 წლის განმავლობაში არა, რამდენიმე წელს მაინც მუშაობდა აღ. ჰაუპვაიხის „სასარგებლოდ“ და ეს მით უმეტეს საფიქრებელია იმიტომ, რომ, როგორც ამას თვით მხატვარი აღნიშნავს... სამახური დაიწყო მხოლოდ 1850 წელს ქალაქ ქუთაისის გიმნაზიაში“¹⁵⁹ და ასე შემდეგ.

ამავე მოსაზრებას იზიარებს, როგორც ჩანს მეორე ავტორიც, რადგან იგი

წერს: „როგორც თვლიან მხატვარი მაისურაძე 1850 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე“—თ¹⁶⁰ და ა. შ.

ამავე საკითხის შესახებ სხვა ადგილას იგივე ავტორი წერს, რომ „აკადემიის დამთავრების შემდეგ (მაშასადამე, გამოდის, რომ 1844 წელს. შ. კ.) საქართველოში დაბრუნებისას, (აქ მოტანილ ტექსტის მიხედვით გამოდის ე. წ. 1844 წელს) გიორგი მაისურაძე ხდება ხატვისა-ხაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში“¹⁶¹ გამოდის, რომ მაისურაძეს ქუთაისში მუშაობა თითქოს 1844 წელს დაუწყია. ეს ავტორი თავის პირველი დებულების მიხედვით გერ მხარს უჭერს იმ შეხედულებას, რომ თითქოს მაისურაძე „თუ 5 წლის განმავლობაში არა, რამდენიმე წელს მაინც მუშაობდა, ალ. ჭავჭავაძის სასარგებლოდ“, ხოლო მეორე შემთხვევაში კი იგი თვლის რომ „აკადემიის დამთავრების შემდეგ (ე. ი. 1844 წელს. შ. კ.) ხდება მაისურაძე ხატვისა-ხაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში“. ცხადია, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

ჩვენს მიერ აღრე (1940 წ.) გამოქვეყნებული მოსაზრება, რომ გიორგი მაისურაძე 1850 წლამდე არ დაბრუნებულა საქართველოში (გადმოცემით, აკადემიის დამთავრების შემდგომ მას უმოგზაურია და უმუშავებია ყირიმსა და იალტაში), დღეს ჩვენს მიერ მოპოვებული ახალი საარქივო მასალებით საბოლოოდ დადასტურებულია.

გიორგი ივანეს-ძე მაისურაძე, მაშასადამე, პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრა 1850 წელს. გამოემგზავრების მიზეზი და თვით მგზავრობის პირობებიც მოპოვებული საარქივო მასალების მიხედვით დღეს შეიძლება სავსებით გარკვეულად ჩაითვალოს.

გიორგი ივანეს-ძე მაისურაძე, სამშობლო ქვეყნის მოვლისა და რუსეთის ცალკეული ადგილების დათვალიერების შემდგომ კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა.

გადმოცემის მიხედვით მაისურაძეს, აკადემიის დამთავრების შემდგომ საქართველოში დაბრუნებულს, სამშობლოში ყოფნისას, დაუწერია როგორც თავისი ოჯახის წევრთა, ასევე მისთვის მახლობელ ადამიანთა პორტრეტებიც: „ამ დროს (იგულისხმება აკადემიის დამთავრების მომდევნო პერიოდი, ვიდრე 1846 წლის შემოდგომამდე. შ. კ.), როგორც მამა იტყოდა ხოლმე. მას დაუხატია, მისი განმანთავისუფლებლის, — სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტი, პოეტის გარდაცვალებამდე ერთი წლის თუ წლინახევრით ადრე... მამაჩემი სიტყვით, ქალების სურათი მას იშვიათად უხატავს... ერთი პირველთაგანი, მის მიერ დახატული ქალის პორტრეტი ალექსანდრეს მეუღლის პორტრეტი ყოფილა. შეიძლება, რომ ეს პორტრეტები დღესაც კი იყოს სადმე შემონახული. სხვათა შორის მე მახსოვს მამაჩემის მიერ დახატული, დღეაღმის პორტრეტიც — შესრულებული აკვარლით“¹⁶².

ამ ცნობების მიხედვით, სხვათა შორის, საკმაოდ დიდხანს ვეძებდი პორტ-

რეტს ალექსანდრე გარსევანის-ძე ქვეყავადის და მისი მეუღლის — სალომე ორბელიანის — ქვეყავადისა... და მართლაც, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, ფერწერის განყოფილების ფონდებში, ნახული იქნა ალექსანდრე გარსევანის-ძე ქვეყავადის პორტრეტი, რომელიც ადრე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის უცნობ ოსტატს მიეწერებოდა.

ეს პორტრეტი ადრე საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილებას შეადგენდა. საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით იგი წარმოადგენს გენერალ ლეიტენანტ ალექსანდრე გარსევანისძის ქვეყავადის პორტრეტს; ამ პორტრეტის აღრიხდელი პატრონი ნიკოლოზ ჯვანეს-ძე საგინაშვილი ყოფილა და ფონდში მისგანვე შესულა 1910-12 წლებში; ეს სურათი იქ ირიცხებოდა № 30-ით, შემდეგ კი იგი გადაცემული იყო ხელოვნების მუზეუმის ფონდში, სადაც ინახებოდა შიფრით ^{ხმ}_{მხ} 303; ხელოვნების მუზეუმის ფერწერის განყოფილებაში იგი პირველად ჩვენს მიერ იქნა აღრიცხული.

მეორე — სალომე ორბელიანის — პუეტ ალექსანდრე ქვეყავადის მეუღლის — პორტრეტი, კი მუზეუმში მოიტანა ქართული ხელოვნების ნიმუშების თავმოყრის დაუღალავმა ენტუზიასტმა ქალმა ანა ბუქყიაშვილმა-მუხრანსკაიამ — წიგნის „ბურებთან“ ავტორის ნიკო მუხრანელის მეუღლემ — 1939 წლის 29 აპრილს; სურათი მაშინ შეძენილი იქნა და აყვანილი აღრიცხვაზე ^{ხმ}_{მხ} 301), მოტანისას ა. ბ. მუხრანსკაიამ განაცხადა, რომ მუზეუმში მის მიერ ძოტანილი პორტრეტი სალომესი, გადმოცემის მიხედვით, „დახატულია სალომეს ოჯახის ე. ი. ქვეყავადეთა მიერ ყრმობიდან განთავისუფლებული კაცის ხელით“¹⁶³.

საყურადღებოა, რომ ეს პორტრეტი დაცული ყოფილა საგინაშვილების ოჯახში; საგინაშვილები ორბელიანებთან (სალომე ხომ ორბელიანის ქალი იყო) და ქვეყავადებთან ახლო ურთიერთობაში ყოფილან. საქმის ფაქტიური ძხარის მიხედვით საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის სურათიც (№ 30), რომელიც ალ. ქვეყავადის პორტრეტს წარმოადგენს, უდავოდ უნდა მიეკუთვნოს გ. მაისურაძის კალამს.

ალექსანდრე ქვეყავაძე გამოსახულია გენერალ-ლეიტენანტის ფორმაში, გენერალ-ლეიტენანტობა კი ქვეყავაძეს ებოძა 1841 წლის 4 ივლისს. მაშასადამე, ეს სურათი ამაზე ადრე არ შეიძლებოდა რომ დაწერილიყო. მეორეს მხრივ კი ცნობილია, რომ ალექსანდრე ქვეყავაძე გარდაიცვალა 1846 წლის 6 ნოემბერს. მაშასადამე, პორტრეტი ამაზე გვიანაც ვერ იქნებოდა შესრულებული. ამრიგად, პორტრეტის დაწერის სავარაუდო თარიღი მოდის იმ პერიოდზე, რომელიც გენერალ-ლეიტენანტობის მიღებიდან უბედურ შემთხვევის დრომდე გრძელდება. რეგალიებისა, ჩაცმულობისა და ჩინის მიხედვით პორტრეტზე გამოსახულია ქვეყავაძე, სინამდვილეში არსებულ მდგომარეობასთან სრული შესატყვისობით.¹⁶⁴ მაშასადამე, სურათზე გამოსახული პირის მდგომარეობა-



რეობა ნამდვილად ემთხვევა მაისურაძის საქართველოში ჩამობრუნების დროს: და ამ მხრივ იგი უეჭველად ამ პერიოდში უნდა იყოს შესრულებული. ალ. ჭავჭავაძის პორტრეტის მაისურაძეზე მიკუთვნების ჰიპოტეზა წინააღმდეგობას არ ხედება საერთოდ, მაგრამ რჩება მეორე მხარე, რომელიც თუ ანალიზის საფუძველზე ვერ იქნა სათანადოდ დამტკიცებული, მაშინ ალ. ჭავჭავაძის პორტრეტის გ. მაისურაძეზე მიკუთვნების შესაძლებლობაც საბოლოოდ უნდა იქნეს უარყოფილი.

მოსაზრებები, რომელიც გვიკარნახებს ამას, შემდეგია: 1. ურთიერთობა ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გიორგი მაისურაძეს შორის, 2. ალექსანდრე ჭავჭავაძის სამხედრო წოდებისა, ორდენებისა და რეგალიების ფაქტიური მდგომარეობა სურათის შესაძლო დაწერის დროისათვის და მათი სურათზე გადმოცემა, 3. გ. მაისურაძის ყოფნის ფაქტი საქართველოში ჭურათის დაწერის საუარაუდო პერიოდში (1844. XI — 1846. IV), 4. შედარება ა. ბაგრატიონის და ა. ჭავჭავაძის პორტრეტებისა, მათი შესრულებისა, კომპოზიციისა, მანერისა თუ სხვა სტილისტიკურ ნიშანთა მიხედვით.

ორთავე პორტრეტში თითქმის ერთნაირია დაყენება ფიგურებისა, ტორსი ორსავე შემთხვევაში კომპოზიციურად ერთნაირად არის წელს ქვემოთ გადაჭრილი. ფიგურა კორპუსით, სამი მეოთხედით ორთავე შემთხვევაში მობრუნებულია ოდნავ მარცხნივ მარჯვენა მხარის წინ წაოწევით; მარჯვენა ხელი ორთავე შემთხვევაში, — ოდნავ განსხვავებით, — მაგრამ მაინც თითქმის ერთგვარადაა მოხრილი იდაყვში და მუცლის არეზე წინ არის დადებული. მარჯვენა ილიის ქვედა არეს უკან, ორთავე შემთხვევაში მხატვარი აჩვენებს ფონს როგორც სივრცეს; ხოლო მარცხენა ხელი კი მდგომარეობის მხრივ ასევე ოდნავ განსხვავებით არის გამოხატული.

საყურადღებოა, რომ როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში ტორსი ჩვენი აზრით, დახატული უნდა იყოს მოდელის გარეშე (გამოსახული პირის); მარტოდენ ჩაცმულობისა თუ რეგალიების გამოყენებით.

ამ პორტრეტებში, გამოსახვის მხრივ მათი ერთმანეთთან მსგავსებისა და მხატვრის მიერ გამოსახული გამოხედვის ერთგვარობა, ასევე იძლევა უფლუვ ბას პორტრეტთა ერთ და იმავე ავტორზე მიწერისა.

ამ პორტრეტებში ორთავე შემთხვევაში მოცემულია თითქმის იდენტური კომპოზიცია: — მარჯვნივ მიბრუნებულ, სამი მეოთხედ ან ფასში გამოსახულ პირისახეთა, პორტრეტების თავის დაკავება, ასევე მათი თვალთახედვის მიმართულებაც, გამოსახვის მხატვრული ხერხის მხრივ სავსებით ერთნაირ მიდგომას აჩვენებენ.

თვალის გუგა ორთავე პორტრეტში მარცხნივაა მიბრუნებული ისე, რომ თვალის ფერადი გარსი მისულია თვალის უბების საზღვრამდე. მათი ცქერის მიმართულებაც თითქმის ერთნაირია.

თემბი ორსავე პორტრეტზე მათი დაწერის მხრივ, ისევე, როგორც რეგალი-

ები და ტანსაცმელიც, მხატვრის ერთ ხელს აჩვენებს. ფუნჯთა მონასში განსაკუთრებით მათეთრის (ნეჰჩია) ხმარებისას ორთავე შემთხვევაში რამდენადმე პასტოზურია. სტილისტიკური თვალსაზრისით ყველაზე არსებითი ამ ორ პორტრეტის ერთმანეთთან მსგავსების მხრივ არის ფონის დაწერილობა. ორთავე შემთხვევაში თავის არეს ირგვლივ მდებარე სივრცე წარმოდგენილია ფონის სხვა სივრცესთან შედარებით ღია და ნათელი ტონით, თითქოს და ორთავე შემთხვევაში ფიგურა გამოხატული იყოს იმგვარი ცის ფონზე, რომელი ცა მთლიანად მუქი ღრუბლებით არის დაფარული. ფონზე მხატვარი ორსავე შემთხვევაში ერთნაირად აშუქებს მხოლოდ ბეჭების ზემო და პირსახის გასწვრივ არეს. ამ მხრივ ეს ისეთი სტილისტიკური ნიშნებია, რომელიც უდაოს ხდის მას, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტი იმავე ავტორის შესრულებულია, რომელსაც ეკუთვნის პორტრეტი ალექსანდრე ბაგრატიონისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტზე მხატვრის ხელმოუწერლობა თუ ზურგის მხარეს სათანადო წარწერის უქონლობა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოკრძალებზე მიუთითებს, რაც აუცილებლად უნდა ქონოდა გ. მაისურაძეს ხსენებულ პორტრეტზე გამოსახულ პირისადმი. მაშასადამე, დასახელებული ორი პორტრეტის ერთ და იმავე ავტორზე მიკუთვნების საკითხი, ვფიქრობ, რომ საბოლოოდ გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა, რომ გ. მაისურაძის მიერ შესრულებულ ალ. ჭავჭავაძის პორტრეტს ფართო გამოვლინება მიეცეს ჩვენში, მიეცეს, რადგანაც იგი არის ერთ-ერთი პირველი აკადემიადამთავრებული ქართველი მხატვრის, სახელდობრ, გიორგი მაისურაძის მიერ შესრულებული პორტრეტი.

მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით ეს პორტრეტი უდაოდ იქცევა ყურადღებას. პორტრეტში არის ცა იმისა, რომ გამოსახული პირი მხატვარმა აჩვენოს ცხოვრებაზე ღრმად დაკვირვებული ადამიანის მხატვრულ სახედ. უცქერით ამ პორტრეტის გამოხედვას და გრძნობთ, რომ ალ. ჭავჭავაძე მართლაც ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის უდარებდა ერთმანეთს იმას, რაც იყო და იმას, რაც უნდა ყოფილიყო.

აქ ჭავჭავაძის გამოხედვაში ნამდვილად იგრძნობა ერთგვარი სკეპსისი იქ პოეტისა, რომელსაც დაუწერია „ვაჰ, დრონი, დრონი“ და „ვაჰ, სოფელსა ამას“; ალექსანდრე ჭავჭავაძის გამოხედვაში პორტრეტზე ნამდვილად იგრძნობა პოეტის მიერ გოგჩის ტბისადმი მიძღვნილი ეპიური ტონით ნათქვამ სტრიქონთა ინტონაცია... გამოხედვა მისი თითქოს იმეორებს პოეტის ნათქვამს:

„აქაც მჯდარა ძალი შალალს ტახტსა ამაყიდ,
წყალობათა და რისხვის ფრჩვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიოთ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფილნი აქაც შემსკვილიან კელავ ერთმანეთთა“¹⁸⁸.

მხატვარს პორტრეტში მართლაცდა თითქოს ერთგვარი დაპირისპირებით აქვს წარმოდგენილი ჭავჭავაძის ფიგურა მატარებელი სამხედრო ხარისხისა

და პორტრეტი ადამიანისა დახასიათებელი მაღალი ინტელექტუალური სულიერი ყოფით.

სალომე ივანეს ასული ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლის პორტრეტი, ვფიქრობთ, რომ ასევე მაისურაძეს ეკუთვნის. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული გადმონაცემი, ხოლო მეორე მხრივ კი თვით სურათის დაწერის დროის შესაძლო განსაზღვრა. ცხადია, რომ ეს პორტრეტი — სალომეს ჩაცმულობისა და სამკაულთა მიხედვით — შესრულებულია 1846 წლის 6 ნოემბრამდე, ხოლო გამოსახული ასაკის მიხედვით კი პორტრეტზე წარმოდგენილია ასაკში მყოფი მანდილოსანი, ამის გამო ამ პორტრეტის წინა პერიოდზე მიკუთვნება არ იქნებოდა მართებული. მეორეს მხრივ კი ცნობილია, რომ სალომე გარდაიცვალა ხოლერით 1847 წელს. მაშასადამე, შეუძლებელია რომ ეს პორტრეტი დახატული იყოს 1847 წლის შემდგომ.

ამ პორტრეტის მაისურაძეზე მიწერის საბუთს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პორტრეტის შესრულების მიხედვით იძლევა მაისურაძის დამოკიდებულება იმ მანდილოსანისადმი, რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, მხატვრის ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანის საქმეში მცირედი ამაგი როლი მიუძღვის.

ჩვენ ვფიქრობთ, უდავოა, რომ მხატვარს, თუ სხვა არაფერი, მადლიერებისა და თავაზიანობის ელემენტარული გრძნობა მაინც უკარანახებდა, რომ დაეწერა პორტრეტი ისეთი კლდემამოსილი და სათნოებით საესე მანდილოსანი! ა, როგორიც ყოფილა, ნათესაეთა გადმოცემით და ასევე მხატვრის გამოსახვის მიხედვითაც — სალომე ივანეს ასული ორბელიანი-ჭავჭავაძისა.

მართლაც, პორტრეტის შექმნის პერიოდისათვის, — იმდენად, რამდენადაც ეს ცნობილია იმ ხანის ფერწერის სხვა ნიმუშთა მიხედვით, შეუძლებელია დასახელებული იქნას, გარდა გ. მაისურაძისა, მეორე ისეთი ქართველი, ანდა სხვა ეროვნების საქართველოში მომუშავე მხატვარი, რომელსაც მისი მდგომარეობის მიხედვით და ჭავჭავაძიანთა ოჯახთან ურთიერთობის მიხედვითაც, რომ ქონოდეც შესაძლებლობა სალომე ჭავჭავაძის ამ პორტრეტის შესრულებისა.

ერთადერთი, რაც ამ პორტრეტის მაისურაძეზე მიწერის საქმეში დაბრკოლებას ქმნიდა, იყო ის, რომ ჩვენამდე არ არის შემონახული მაისურაძის მიერ შესრულებული ქალის პორტრეტი, შედარება რომელთანაც სალომეა პორტრეტისა მეტ გარკვეულობას და დამაჯერებლობას შეიტანდა ჩვენს მიერ მაცემულ ატრიბუციაში.

და თუ ამ პორტრეტში ფონის გამოსახვისა, წერისა და ფორმების ფერწერული ძეგლის მანერის მხრივ მაინც იგრძნობა ერთგვარი განსხვავება მაისურაძის მიერ მომდენო დროში შესრულებულ მამაკაცთა პორტრეტებთან მისი შედარებისას, უმთავრესად ეს არის განსხვავება არა სტილისტიკური, არამედ განსხვავება უფრო მაჩვენებელი იმისა, რომ ეს სურათი მხატვარს შეუსრულებია მეტი პროფესიონალური გაწაფულობის ქაშს.

საერთოდ ხსენებული პორტრეტები მაისურაძის შემოქმედების იმ ხანას მიეკუთვნება, როცა იგი სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდგომ ცოტა ხნით ბრუნდება სამშობლოში. ამის შემდეგ, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მაისურაძე პეტერბურგში იმყოფებოდა მანამ, სანამ იგი ქუთაისში დაინიშნებოდა მასწავლებლად.

მაისურაძის ცხოვრების პეტერბურგის ეს პერიოდი ყველაზე უფრო ძნელად შესასწავლი და საიდუმლოებით მოცული პერიოდია. ამ პერიოდის შესახებ ჩვენ ვერ ვნახავთ ვერაფერს არქივებში, რადგანაც მაისურაძე ამ დროს არ იყო ჯერ კიდევ დაკავშირებული არცერთ ისეთ დაწესებულებასთან, სადაც მის შესახებ უნდა შემონახულიყო რაიმე, ხოლო რაც შეეხება მის ურთიერთობას იმ დროის რუსეთში მცხოვრებ კერძო პირებთან (ქართველებთან თუ სხვებთან), ამის დადგენა მეტისმეტად ძნელია; ცნობილია, რომ ასეთი მასალა მეტისმეტად მცირედაა შემონახული. რაც შეეხება ნამუშევრებს, შესრულებულს რუსეთში მხატვრის ყოფნის დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ, რაც ადრე საქართველოში არ მოხვედრილა, როგორც მაგალითად ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტი, დროთა განმავლობაში ალბათ დაიკარგა. შესაძლოა, რომ ზოგი რამ გადარჩენილიც იყოს, მაგრამ მათ აღმოჩენამდე რაიმე გარკვეული მოსაზრების წამოყენება მეტისმეტად ძნელია.

გ. მაისურაძის საქართველოში მოღვაწეობის დასაწყისი უკავშირდება იმ ხანას, როცა კავკასიაში მეფის ნაცვლად დანიშნული იყო მ. ს. ვორონცოვი. როგორც ცნობილია, ვორონცოვი თბილისში ჩამოვიდა 1845 წელს და მოვალეობის აღსრულებას 26 მარტიდან შეუდგა. ცნობილია, რომ ვორონცოვი იყო მეფის პოლიტიკის განუხრებლად გამტარებელი პირი.

„1845 წელს გაზაფხულზე ვორონცოვი თბილისში ჩამოვიდა არა როგორც მთავარმართებელი, არამედ როგორც მეფისნაცვალი (კავკასიის ნამესტნიკი), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მინისტრის უფლება. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ მმართველს ადგილობრივ უნდა შეემუშავებინა ყველა ზომა მმართველობის ყველა დარგში გასატარებლად და თავის მოქმედების შესახებ უშუალოდ მეფისათვის მოეხსენებია. თუ მანამდე საქართველოსა და ამიერკავკასიის მმართველობის საქმენი დარგობლივად ყოველთვის შესაბამ საინისტროებს ეხებოდა და მხოლოდ იქ წყდებოდა ყოველი საქმე, რაც იწვევდა დაუბოლავებელ მიწერმოწერას და საქმეთა წარმოების არაჩვეულებრივ გაკვიანურებას, ამიერიდან ყველა საქმე ადგილობრივ წყდებოდა მეფის ნაცვლის შეხედულებისამებრ. საინისტროები მხოლოდ საქმის კურსში უნდა ყოფილიყონ იმისათვის, რომ ჯნა თუ ის მოხსენება მიეღოთ უმაღლესი დამტკიცებისათვის წარსადგენად ან უკვე დამტკიცებული გაეთვალისწინებინათ“¹⁰⁰.

მ. ს. ვორონცოვის მიზნებს ნათლად გამოხატავს ვ. ნ. ივანენკო, როცა წერს: „Связать с собою этих новых подданных нерасторжимыми узами, чтобы заставить их позабыть о единовѣрном и единоплеменном правительстве

ი... покинув несбыточные мечтания привязаться к своей юной мачехе, как к родной матери“ (167).

მთელ რიგ იმ ღონისძიებთა შორის, რომელსაც საქართველოში ვორონცოვი ატარებდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სწავლა-განათლების საქმესაც. ჯერ კიდევ 1845 წელს, როგორც ეს ენობილია ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ვორონცოვმა გასცა განკარგულება იმაზე, რომ რუსეთიდან განსაკუთრებული საჭიროების გარეშე არაერთარ შემთხვევაში არ ჩამოეყვანათ ჩინოვნაკები, ხოლო საჭიროების დროს კი აუცილებლად ასეთზე მისგან უნდა ყოფილიყო ამის ნებართვა¹⁶⁸.

საგულისხმოა, რომ გ. მაისურაძის რუსეთიდან გამოწვევა და მისი ქუთაისში დანიშვნაც კი პირდაპირ ყოფილა შეთანხმებული მ. ს. ვორონცოვთან, მაგრამ ამის შესახებ შენდევ.

ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი¹⁶⁹ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი სემიონოვი, 1849 წლის 31 დეკემბერს, ატყობინებს ე. რ. კოცებუსს — მზრუნველს ქუთაისის სასწავლებელთა დირექციისა — მისი მეფის ნაცვლის მიერ მომავალი წლის, ე. ი. 1850 წლის 1 იანვრიდან ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორად დანიშვნის შესახებ და თანაც სთხოვს ჩაიბაროს საქმეები ქუთაისის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველის იზიუმსკისაგან... (შემდგომად დადგენილიდან განსაკუთრებით მოკვლის შემთხვევას რომ დაესწრო და რომელიც თარჯიმანად მუშაობდა), და რომ მასვე ევალება ამასთანავე გამგებლობა სამაზრო სკოლისაც. მზრუნველი სთხოვს კოცებუსს, შეუდგეს იგი მრავალგობის აღსრულებას დაუყოვნებლივ, მანამდისაც კი, სანამ სკოლას გიმნაზიად გადააკეთებდნენ.

1849 წელს დაწყებული საქმე საბოლოოდ დამთავრებულა 1850 წლის 12 თებერვალს. კავკასიის სასწავლებელთა ოლქის მზრუნველი 11 თებერვალს ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველს ატყობინებს, რომ მისი ბრწყინვალეობის, კავკასიაში ბატონ მეფისნაცვლის ნებით ხვალინდელ დღეს (ე. ი. 12 თებერვალს 1850 წლისა. შ. კ.) დანიშნულია ქუთაისის გიმნაზიის საზეიმო გახსნა და ფიცის დადება იქ ახლად დანიშნულ მასწავლებლოთვის და სხვა¹⁷⁰.

ამავე საქმეში არის დაცული ფიცის ტექსტიც¹⁷¹, სადაც მასწავლებლები: გიორგი დიდებულისძე (ქართული ენა), ივანე ასათიანი (თათრული ენა), სერგებრაიაკოვი (სამაზრო კლასები), თვადი ჩიჯაჯაძე (პირველი კლასის მასწავლებელი), აბულაძე (თავისუფალ მოსწავლეთა ზედამხედველი), საქმის მწარმოებელი (ქუთაისის სასწავლებელთა დირექციისა) ყიფიანი, ხელს აწერენ ფიცის ტექსტზე: ფიცი მიუღია ასევე იმერეთის ეპარქიის მმართველს მიტროპოლიტ დავითსაც; ხოლო დასწრებრა კი, როგორც ამაზე ხელრთვა მიუთითებს, თვითონ მზრუნველიც.

11 თებერვლის № 13 მიმართვით მზრუნველი ატყობინებს დირექციას

1773

10 იანვარი 1773

**საგარეო საქმეთა
დოქტორთა**

საგარეო საქმეთა
დოქტორთა
ს. მ. მ. მ. მ.
№ 677
ს. მ. მ. მ. მ.

საგარეო საქმეთა
დოქტორთა

დოქტორთა
საგარეო საქმეთა
დოქტორთა
ს. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ.
ს. მ. მ. მ. მ.

საგარეო საქმეთა
დოქტორთა

საგარეო საქმეთა
დოქტორთა

1849 წლის 31 დეკემბრის № 1470 ბრძანებით ახალ მასწავლებელთა—ნოვაციის, გეორგიზონისა და ნადეჟდინის დამატებითი დანიშვნის შესახებ¹⁷².

გიორგი ივანეს-ძე მაისურაძე წლის დასაწყისში, ე. ი. 1850 წელს, როგორც ეს ჩანს ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტიდან და როგორც ამას ჩვენც მიუთითებდით ზემოთ, ყოფილა პეტერბურგში და მას იქიდან თხოვნით მიუპართავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის მისი საქართველოში მასწავლებლად დანიშვნის საგანზე, ხოლო მზრუნველს კი კავკასიის მეფისნაცლისათვის წარუდგენია იგი, რის შემდეგაც მეფისნაცვალს უსურვებია მაისურაძის ქუთაისის გიმნაზიაში დანიშვნა ხატვისა და სუფთა წერის მასწავლებლის თანამდებობაზე.

მზრუნველის მაგიერი პირი ატყობინებს ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველს, რომ მაისურაძის პეტერბურგიდან გამომგზავრებისა, მისი საგზურისა და ქუთაისამდე ორმაგი საგზაო ხარჯით ანაზღაურების შესახებ გასული იანვრის 31-ს წისწერა ბატონ პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს მისმა ბრწყინვალეებამ თავადმა მიხეილ სიმონის-ძემ¹⁷³.

როგორც ეს დოკუმენტი ნათლად ადასტურებს, გ. მაისურაძე 31 იანვრისათვის ჯერ კიდევ ქალაქ პეტერბურგში ყოფილა. 7 თებერვლის რიცხვით გაგზავნილ ამ დოკუმენტზე, როგორც ეს რეზოლუციდან ჩანს, უპასუხიათ ამიერკავკასიის სახაზინო პალატის მეშვეობით 1850 წლის 6 მარტს. ამ დოკუმენტით სამმართველოს მზრუნველს გაუგია, რომ 6 მარტს, პეტერბურგის სახაზინო პალატას, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის წინადადების საფუძველზე გაუცია განკარგულება იმის შესახებ, რათა არსებული კანონის საფუძველზე მიეცათ საგზური კავკასიის მხარის მკვიდრის, საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მოსწავლე გიორგი მაისურაძისათვის, რომელმაც უკვე დაამთავრა აკადემია კლასგარეშე მხატვრის ხარისხით და დანიშნულია ხატვის მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში.

მზრუნველი ატყობინებს ქუთაისის მმართველს, რომ ამ მომართვასთან ერთად ატესტატსაც № 1262¹⁷⁴ გიგზავნიით. სხვა საარქივო დოკუმენტიდან კი ვგებულობთ, რომ გ. მაისურაძე, პეტერბურგიდან გამომგზავრებული, თბილისში ჩამოსულა არა უგვიანეს მაისის დასაწყისისა, რადგან მზრუნველას სამმართველო სწერს ქუთაისის სასწავლებელთა დირექციას, რომ მაისურაძე გზის გასაველად დადგენილ ვადაში ჩამოვიდა თბილისშიო. თბილისში ჩამოსული მაისურაძე, როგორც ამავე დოკუმენტიდან ჩანს, გამოცხადებულა თბილისის გიმნაზიაში, საიდანაც იგი წარუდგენიათ მზრუნველის სამმართველოში.

მზრუნველი ამ საბუთით თხოვს ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველს, რათა გადაუგზავნოს მან მაისურაძეს კუთვნილი ჯამაგიერი მის ანგარიშზე თბილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექციაში¹⁷⁵. საყურადღე-

УПРАВЛЕНИЕ

НОМЕЧТЪ.ІІ

Наказание Казнае
Округа

г. 1876

№ 221

в. 1876

Телеграфу, Управлению
делами Училища

И. Панинскому Казнае и в. 1876
представителю Училища Казнае, сего
дела на процесс и в. 1876
г. 1876

Училищный с. 1876
и, сего дела на процесс и в. 1876
г. 1876

В. 1876
г. 1876

1876

В. 1876



ბოა, რომ კავკასიის ოლქის შტრუნველის სამმართველო დამატებით მიმართავს ქუთაისის სასწავლებელთა დირექტორს და ატყობინებს, რომ ბატონმა მეფის-ნაცვალმა კავკასიაში ინება განწყობა გიორგი მაისურაძის ხატვისა და სუფთა წერის მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში გასული იანერის 31-დან, რომელ რიცხვიდანაც უნდა მიეცეს მას ხელფასიცო¹⁷⁶.

როგორც მოტანილ საბუთიდან ჩანს, გ. მაისურაძეს ჯერ კიდევ მისი პეტერბურგში ყოფნის დროს, კავკასიაში მეფის ნაცვლის მ. ს. ვორონცოვის განკარგულებით, ხელფასი მაუღია 1850 წლის 31 იანვრიდან.

საბუთებიდან ჩანს, რომ პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებული მაისურაძე გამოცხადებულა თბილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექციაში, სადაც იგი დირექციას აუყვანია აღრიცხვაზე. როგორც ეხლა ეს დატურდება საბუთებიდან, მაისურაძე არადადაგების დროს თავისუფალი ყოფილა და მას ხელფასიც მიუღია იანერის ბოლოდანვე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ არდადაგების დროს მაისურაძე უსათუოდ წავიდოდა და მოინახულებდა თავის ოჯახს, მშობლებს და მეზობლებს. ასევე უსათუოდ ინახულებდა მისი მოამაგის, ალექსანდრე ჰავეკაძის ოჯახში დარჩენილ ადამიანებსაც.

ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ მაისურაძეს, წინანდალში თითქმის ორი თვის ყოფნის განმავლობაში, საესეს შემოქმედებითი ენერჯიით წინანდალში ყოფნისას არ დაეწერა რამდენიმე პორტრეტი მაინც. (მას ხომ აუცილებლად თან ექნებოდა ჩამოტანილი ფერწერისათვის საჭირო მასალები).

მაგრამ, საფიქრებელია, რომ ლიტერატურაში კარგად ცნობილი 1854 წლის 2 ივლისს შამილის შვილის ნაიბ ყაზი მაჰმადის მეთაურობით მოხდენილ თავდასხმის დროს ეს ნამუშევრები ალბათ დაიღუპა, ხანძარმა შთანთქა.

გ. მაისურაძე წინანდლიდან, როგორც ჩანს, თბილისში სექტემბრის ბოლოს დაბრუნებულა და ალბათ აქვე გაუგია, რომ ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველი პატივისცემით სთხოვდა კავკასიის ოლქის შტრუნველს მისდამი რწმუნებულ ქუთაისის გიმნაზიაში ხატვისა და ხაზვის მასწავლებლად გ. მაისურაძის გაგზავნას¹⁷⁷. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საგანზე მაისურაძისთან მოლაპარაკების შემდეგ შტრუნველს სემიონოვს უნდა მიეწეროს, რომ თბილისის გიმნაზიაში სამსახურისთვის მოვლინებული მასწავლებელი — ხატვისა, ხაზვისა, სამოქალაქო არქიტექტურისა და სუფთა წერისა. მხატვარი მაისურაძე თქვენი 13 სექტემბრის № 233 რაპორტის საფუძველზე თქვენთან იგზავნებო¹⁷⁸.

გ. მაისურაძეს ხატვისა, ხაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლის მოვალეობის აღსრულება დაევალა 1850 წლის 31 იანვრიდან. დოკუმენტიდან, რომელშიც ამაზე არის მითითება, ირკვევა, რომ მაისურაძისათვის წლიური ხელფასი დაუნიშნავთ 400 მანეთის რაოდენობით და 120 მანეთიც ბინისათვის, მთლიანად კი 520 მანეთი ვერცხლით — თვეში 43 მან. და 33 კა.

ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ იგი ამ წელს უცალო ყოფილა. ასაკის მხრივ კი ნაჩვენებია, თითქოს მაისურაძე დაბადებული იყოს 1814 წელს, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ შეეფერება სინამდვილეს¹⁷⁹.

ახალგაზრდა მხატვარი ქუთაისში ჩავიდა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში 1850 წლისა. ჩასვლისთანავე იგი შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. გ. მაისურაძე პეტრე დიდის ბრწყინვალე ქალაქიდან თბილისსა და წინანდალზე გავლის შემდეგ პირდაპირ ქუთაისში მოხვდა.

ქუთაისი საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამაზრო ქალაქად გამოცხადდა ჯერ კიდევ 1840 წელს, ხოლო 1846 წლის 14 დეკემბრიდან კი — საგუბერნიო ქალაქად¹⁸⁰.

50-იან წლებამდელი ქუთაისის შესახებ, ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: „დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე, მარტო ამ ადგილას იყო თითო-ოროლა სახლი, მწვანეყვავილას ძირში სახლობდნენ ებრაელები, უფრო ქვევით რიონის ნაპირზე კათოლიკეები, მათზე მოშორებით, ტყის პირას სომხები“. შემდეგ იქვე განაგრძობს ავტორი: „ორმოცდაათიან წლებში ქუთაისმა ერთბაშად შეიტკვალა სახე, მოსახლეობა გაიზარდა, ვაჭრობა გაფართოვდა, რიონის სანაპირომ ქალაქის სახე მიიღო“¹⁸¹. და მართლაც იმ დროის ქუთაისში 3.000 სულს უცხოვრია. მათგან მამრობითი 1.400, დედრობითი კი 1.600 ყოფილა. მართლმადიდებლები — სტატისტიკურ ცნობების მიხედვით — ე. ი. ქართველები და რუსები ერთად, უნდა ვიფიქროთ ბერძნებიც, სულ ყოფილან 200; კათოლიკეები (ე. ი. კათოლიკური სარწმუნოების მდიარებელი ქართველები. საგულისხმოა, რომ ამ დროს სტატისტიკურ ცნობებში არასდროს არ იხსენებენ ხოლმე ქართველებს, ისინი მოიხსენებიან მართლმადიდებელთა შორის) — 500, სომეხი გრიგორიანელები — 300, ადგილობრივი ებრაელები კი — 1.900; ვაჭრობა იმეამად ქუთაისში ხელში ჰქონიათ ებრაელებსა და სომხებს; 1850 წელს ქუთაისში ყოფილა 720 შენობა, მათ შორის 7 ეკლესია, ამათგან 6 ქვისა ყოფილა. ქუთაისში ყოფილა აგრეთვე 1 თორაც. სავაჭრო ღუქნები 280 ყოფილა, მათგან 16 ქვისა, სხვა კი ხისაგან აგებული. სახლები 440 ყოფილა¹⁸². საგულისხმოა, რომ ერთი წლის განმავლობაში ქალაქის არქიტექტურას ემატება ორი ეკლესია, ერთი თორა და თითქმის 100 სავაჭრო ღუქანი¹⁸³.

ამ დროს ქუთაისში, გარდა გიმნაზიისა, დაარსდა ქალთა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელიც, რომელიც 1847 წლის 14 მაისს გაიხსნა.

ხსენებული პერიოდის ქუთაისისა და ქუთაისში ახლად გახსნილ გიმნაზიის შესახებ საინტერესო მოგონებები აქვს შემონახული ნიკო ნიკოლაძეშვიც. იგი მოგვითხრობს, რომ რიონის მთელი მარცხენა მხარე ტყეს ჰგავდა და ძლიერ იშვიათად იყო დასახლებული. იმერელი მოსახლეობა უფრო ქუთაისის გარშემო ცხოვრობდა სოფლად, ერთმანეთზე დაშორებით, ცალ-ცალკე პატარა

სოფლებში: აბულაძეები — ჯომას, ასათიანები — ქვიტირს, ავალიანები — გუ-
მათს, მესხები — რიონს, ქვარიანები — მწვანეყვავილზე და სხვა.

ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს ასევე, რომ: „ამ მოსახლეობას ის განკერძოე-
ბული თვისება ჰქონდა, რომ თითქმის ყველა ეს მოსახლე აზნაური იყო. უყმო
და ძლიერ მცირე მიწაწყლის პატრონი, ირჩენდნენ თავს ისინი ზოგი წისქ-
ვილის მუშაობით, ზოგი ხეხილის შენებით, უფრო მეტად — კი საკუთარი ხე-
ლით, თავიანთი ვენახის მოვლით, აბრეშუმით და სიმინდის მოყვანით“¹⁸⁴.

ნიკო ნიკოლაძე დაწერილებით აღწერს იმ სკოლის ცხოვრების ამბებს, სა-
დაც მაისურაძე მუშაობდა (სხვათა შორის, როგორც ადრე გვაქვს აღნიშნული,
ნ. ნიკოლაძემ თავის მოგონების დაწერილ საკმაო დროის გავლის შემდეგ,
მაისურაძის მიერ შესრულებულ ა. ბაგრატიონის პორტრეტის ნახვისას შესძლო
ერთგვარად აღედგინა მეხსიერებაში ის დღეები, რომლებიც მას აკავ-
შირებდა ქუთაისის გიმნაზიის ხატვა-ხაზვის მასწავლებელთან — გ. მაისურა-
ძესთან). ნიკოლაძე სასწავლებელში ისე ახალგაზრდა მიუბარებიან, რომ იგი
სხვას დაჰყავდა თურმე. ერთ აღვილზე ნიკოლაძე წერს: „მოსამზადებელ
კლასში ჩემ განყოფილებაში ასამდე შეგირდი ვიყავით, უმეტესი ნაწილი მო-
წიფული ვაჟაკი... ჩვენ გვერდით მეორე მოსამზადებელი კლასიც იყო მოწა-
ფეთა ამდენივე რიცხვით. ამ 200 ყმაწვილიდან მარტო შეიღმა გავათავკეთ გიმ-
ნაზია 9 წლის შემდეგ“¹⁸⁵.

სხვათა შორის, სწორედ ამ დროს ეხება აკაკი წერეთლის მოგონებაც, სა-
დაც აღწერილია მისი ქუთაისის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მიყვანაც¹⁸⁶.
ეს არის ის ხანა, როდესაც სწორედ ამ გიმნაზიაში ხატვასა, ხაზვასა და
სუფთა წერას ასწავლიდა გ. მაისურაძე. როგორც დღეს ეს ირკვევა
საარქივო მასალებისა და მოგონებთა მიხედვითაც, მაშინ მაისურაძესთან,
შემდგომში ცნობილ სხვა მრავალ ქართველ მოღვაწეთა გარდა, სუფთა
წერა, ხატვა და ხაზვა უსწავლიათ ქართული კულტურის ისეთ გამოჩენილ
მოღვაწეებსაც, როგორცაა, მაგალითად, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე,
გიორგი წერეთელი, ბესარიონ ლოლობერიძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვები¹⁸⁷.
განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება აკაკი წერეთელს, რომელსაც მაი-
სურაძის საგნებში, როგორც ამას წლიური საგამოცდო ნიშანი ადასტურებს,
მიუღია 4¹⁸⁸.

ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში „წარსულიდან“, სხვათა შორის, არ იხსე-
ნიებს და არ ასახელებს არც ერთ იმ საგანს, რომელსაც გ. მაისურაძე ასწავ-
ლიდა გიმნაზიაში. ამის გამო ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმ-
ნება, თითქოს გიმნაზიაში ეს საგნები არც კი უნდა ყოფილიყო მაშინ. მაგრამ
საარქივო მასალის გარდა არსებობს სხვა ისეთი ოფიციალური დოკუმენტები,
რომლებიც გარკვევით მიუთითებენ იმაზე, რომ ხატვასა, ხაზვასა და სუფთა
წერას ასწავლიდნენ საქართველოშიაც.

ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც გიმნაზიებსა და სამაზრო სასწავლებ-

ლებში საგანთა სწავლებასა და განაწილებას ეხება, პირდაპირ არის მითითებული, რომ სამაზრო სკოლებში სუფთა წერა, ხატვა და ხაზვა უნდა ესწავლებინათ I, II, III კლასებში თანდათანობის მეთოდის დაცვით, ხატვა-ხაზვაში კი — საგრაფიურო და ლატოგრაფიული მასალის მიხედვით, ხოლო ფიგურები, გეომეტრიული სხეულები, პერსპექტივა, პირველადი საწყისები საორნამენტო ხელოვნებისა, ხატვა ადამიანის სხეულთა ნაწილებისა და მთლიანი ფიგურისა — ორიგინალებიდან ან ნიმუშების მიხედვით; ხოლო გიმნაზიაში კი ამავე ცირკულიარის მიხედვით უნდა ესწავლებინათ — სუფთა წერა — I, II, III კლასებში, როგორც სამაზრო სასწავლებლებში, ხატვა-ხაზვა კი — I, II, III, IV, V, VI და VII კლასებში ისევე, როგორც სამაზრო სასწავლებელში.

დამატებით მოწაფეთათვის უნდა მიეცათ ძირითადი წარმოდგენა გემოვნებისა და ფორმის სილამაზეზე საერთოდ, განსაკუთრებით კი ადამიანის ფიგურის შესახებ; უნდა შეესწავლებინათ არქიტექტურულ ნაწილთა გამოხაზვა, უნდა ეჩვენებინათ ხაზობრივი პერსპექტივის საწყისები, უკიდურეს შემთხვევაში, პრაქტიკულად მაინც... და დასასრულ, მოწაფეთათვის უნდა მიეცათ შესაძლებლობა თაბაშირიდან ჩამოსხმული ადამიანის სხეულთა უმთავრესი ნაწილების გადმოხატვისა.

იქვე მითითებაა მასზედ, რომ წარმატებათა მიხედვით დაეხმარონ მოწაფეს ნატურიდან — ადამიანის, ლანდშაფტებისა, ცხოველთა ფიგურებისა და სხვათა ხატვაში; ხოლო, თუ აღმოჩნდებიან მსურველები, ახატვინონ ფერადებითაც კი.

ხსენებული ამონაწერა საკმაო სინათლითა და გარკვეულობით ადასტურებს საერთოდ მაშინდელ სკოლებში ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერისათვის მიკუთვნებულ ადგილსა და მნიშვნელობას.

ამავე ცირკულარში ხაზგასმულია დიდი მნიშვნელობა ხსენებულ საგანთა სწავლებისა. ცირკულარი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მხატვრობის მნიშვნელობას. ცირკულარში ვკითხულობთ: „მოსწავლეებს უნდა მიეცეთ და შეუშუშავდეთ გაგება გემოვნებისა, ხოლო განსაკუთრებით კი ადამიანის ფიგურის შესახებ. მისი ძირითადი მონაცემების მიხედვით ნაჩვენები უნდა იქნას საფუძველი ხაზობრივი პერსპექტივისა“ და „თაბაშირიდან გადაღებული ადამიანის სხეულის უმთავრეს ნაწილთა წარმატებით დაძლევის დროს ხელი უნდა შეუწყნოთ მოსწავლეს ნატურიდან ფერადებით ხატვის საქმეში“¹⁸⁰.

ამის მიხედვით ცხადი ხდება, თუ რა მოთხოვნილება ჰქონდა წაყენებული გ. მაისურაძეს, როგორც მასწავლებელს ქუთაისის გიმნაზიისა, ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერის სწავლებისას.

მაისურაძესთან, როგორც ვთქვით, უკვე არა ერთი და ორი მომავალში სახელმოხვეჭილი მოღვაწე სწავლობდა. საბუთები ამის შესახებ. გარდა ზემოთ ჩვენს მიერ მითითებულისა, მომავალშიაც არა ერთი და ორი იქნება მიკვლეული. ამ საკითხთან დაკავშირებით აქვე უნდა მიეთითოს ერთ ისეთ დოკუმენტ-

ზედაც, როგორც არის აკაეის მოწმობა. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ გარემოებას¹⁰⁰.

მაგრამ იმ დროში, როდესაც მეფის მოხელეები ყოველივე ქართულს, მით უმეტეს კი, მესამე წოდებისა და ყმათაგან გამოსულ ადამიანებს ღვენიდნენ, სრულებით არ უნდა იყოს მოულოდნელი ის, რაც გ. მაისურაძის მიმართ მოიმოქმედა მაშინ ერთ-ერთმა ამის უფლების მქონე პირმა.

1850 წელს ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებლად ითვლებოდა მეფის მოხელე ე. ე. კოცებუ¹⁰¹.

გ. მაისურაძე პირველ მისვლის დღიდანვე, უნდა ვიფიქროთ, რომ კეთილსინდისიერად მუშაობდა. იგი სხვა მასწავლებლებთან ერთად სათანადო შტატშიც იყო გატარებული. მასთან ერთად მოიხსენებოდნენ საღვთო რჯულის უფროსი მასწავლებელი, 4 უფროსი და 3 უმცროსი მასწავლებელი; მოიხსენიებოდა ასევე მოსამზადებელი კლასისა და თავისუფალ მსმენელთა ზედამხედველი პირი.

ქუთაისის გიმნაზიაში ამ შტატით მაშინ ითვლებოდნენ: საღვთო რჯულის მასწავლებელი პროტოირეი — გამრეკელი (გიორგი); უფროსი მასწავლებლები — ბ. ბ. ნაგურნი (ანტონ გასპარის-ძე), გეორგაზონი (ვასილი კარლოს-ძე), ნადეჟდინი (სიმონ ალექსის-ძე); ასევე მასწავლებელი ხატვა-ხაზვისა ბ-ნი მაისურაძე, მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი თავადი ჩიჯავაძე (ნიკოლოზ გიორგის-ძე) და ზედამხედველი თავისუფლად მომსვლელი მოწაფეებისა ბ-ნი აბულაძე (ნიკოლოზ გიორგის-ძე)¹⁰².

ამ პერიოდის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მხატვრის ქალიშვილის გადმონაცემიც: „.....მაგრამ მამაჩემის შვილობიანი ყოფა მაშინ დიდხანს არ გაგრძელებულა... მამას მასთან რაღაც უსიამოვნება მოსვლოდა საგნის სწავლების თაობაზე და სკოლის დირექტორიც ამის შემდეგ ჯიბრში ჩასდგომია მას... მამა ჩქარა დაუთხოვიათ სამსახურიდან... მამა იტყოდა ხოლმე, რომ კოცებუ საერთოდ იყო ქართველების დიდი მოძულე კაციო, განსაკუთრებით კი დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანებისა“¹⁰³. და მართლაც, მომდევნო დროში ჩვენს მიერ ჩატარებულმა მუშაობამ, როგორც საქართველოში დაცულ, ასევე რუსეთში შემონახულ საარქივო მასალებზედაც, ჩვენ დაგვარწმუნა სიმართლეში ოლმპიადა გიორგის ასულის მიერ მონათხრობი ამბებისა. მასალის მოპოვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ არ არის სწორი შეხედულება თითქოს მაისურაძეს 1850 წლიდან გარდაცვალებამდე განუწყვეტლევ მსახუროს მასწავლებლად ქუთაისის გიმნაზიაში¹⁰⁴.

გ. მაისურაძე, ქუთაისის გიმნაზიაში, შეიძლება ითქვას, მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე თვის გავლის შემდგომ დიდ უსიამოვნებას წააწყდა. სხვათა შორის, ღღემდე ლიტერატურაში ეს ინციდენტი არამც თუ გაუშუქებელი რჩებოდა, არამედ საეკსებითაც უცნობი იყო. თუ რასაკვირველია, არ მივი-

ღებთ მხედველობაში ამ საკითხთან დაკავშირებულ, ქალაქ ქუთაისის საქალაქო გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობას ჩვენს წერილში¹⁹⁵.

1850 წლის 18 დეკემბერს ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომათა დაეთარში¹⁹⁶ შეტანილი ოქმის მიხედვით ჩანს, რომ გიმნაზიაში დანიშნული ყოფილა პედაგოგიური საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა კოცებუ, სხდომას დასწრებიან ნადეჟდინი, გიორგიზონი, განგესოვი და ნაკურნი. სხდომაზე პირველ საკითხად მოუხმენიათ დარჩენილ მოწაფეთაგან და მოზრდილთაგან თავისუფლად მსმენელთა ჯგუფის შექმნისა და სხვა ამგვარი სასწავლო ხასიათის ღონისძიებათა შესახებ, რაზედაც საბჭოს გამოუტანია სათანადო დადგენილებაც. მეორე საკითხი კი ოქმში ასეა ჩაწერილია:

„მოისმინეს: — გიმნაზიის საბჭოს მოხსენდა გ. მაისურაძის — ხატვისა და ხაზვის მასწავლებლის — საქმე, რომელმაც კლასში გაკვეთილების დროს უარი განაცხადა ქუთაისის დირექციის ბატონი მმართველის მიერ მიცემულ წინადადების შესრულებაზე — სახელდობრ, დაეწერა მას ბ-ნ მმართველის კარნახით დაფაზე რამდენიმე სიტყვა. ბატონ მმართველს სხვა არაფერი უნდოდა, თუ არა იმის ნახვა და გარკვევა, თუ როგორ სწერდნენ მოწაფეები. მაისურაძემ კი მმართველს მიცემულ დავალების შესრულებაზე უარი უთხრა და განუცხადა რომ იგი ამას არ გააკეთებს, რადგანაც თავისთავს იგი თვლის არა სუფთა წერის მასწავლებლად, არამედ ხატვისა, და განაცხადა რა ეს, მან მიიტოვა ყველა იქ მყოფი (კლასში. შ. კ.): ბ-ნი მმართველი (კოცებუ. შ. კ.) მისი ასისტენტებით — ნადეჟდინით და განგესოვით, ხოლო თვითონ კი გარეთ გავიდა“.

ამის გამო საბჭოს დაუდგენია: „ეცნობოს (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, დასმინონ. შ. კ.) ბ-ნ მაისურაძის ქცევის შესახებ ბ-ნ მზარუნველს კავკასიის სასწავლო ოლქისა, რათა ასეთი საქციელისათვის შემდეგში ჩვენ არ გავხდეთ პასუხისმგებელნი“¹⁹⁷ და სხვა.

ამ ინციდენტს ადგილი ჰქონია 1850 წლის დეკემბერში. როგორც ეხლა ამას აღასტურებს საარქივო მასალები, კოცებუს უაღრესად შეურაცხყოფილად უგრძენია თავი გ. მაისურაძის ამგვარი ქცევით, მაისურაძისათვის კი ალბათ ეს ქცევა იყო ერთგვარი პროტესტი ხატვაში შეზღუდვების წინააღმდეგ... მაისურაძეს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს ხომ არა ერთხელ უნახავს და სმენია თავისი დიდი მასწავლებლის ამგვარი ქცევათა შესახებ თვით მისი უდიდებულესობის — იმპერატორის მიმართაც კი.

ქ. ბრიულოვის მთელმა მოწაფეებმა, მათ შორის გ. მაისურაძემაც, იცოდნენ იმ ეპიზოდის შესახებაც კი, როცა ბრიულოვი მასთან თავის ფეხით მისულ იმპერატორს ლოგინში ჩაწოლილი დახვდა და თავი მოიკვამლეოდა, რითაც

მიხვედრა მეფე, რომ მას არ სურდა აღსრულება მისი აღმატებულების სურვილია.

გ. მაისურაძე, შეიძლება ითქვას, რამდენადმე განებივრებულიც კი იყო იმ ყურადღებიანი დამოკიდებულებით, რასაც მისდამი იჩენდნენ ა. ქავჭავაძე, კ. ბრიულოვი; ა. პუშკინი — მხატვრის ცხოვრების დასაწყისში, პეტერბურგში მცხოვრები ბაგრატიონები და თვით მაისურაძის აკადემიის ამხანაგებიც.

ცხადია, თავხედი მოხელის — კოცებუს ქცევას თავისუფალი მხატვარი ვერ აიტანდა. მაგრამ მეორეს მხრივ, ისიც ცხადია, რომ მხატვრის ქცევას ასევე ვერ აიტანდა ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მწართველი ე. ე. კოცებუც...

და იგი — მაისურაძესთან ინციდენტის შესახებ წერს რაპორტს ბ-ნ, მზრუნველისადმი.

ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის საქმეებში შემონახული არის ერთა საქმის შავი, რომელიც წარმოადგენს კოცებუს მიერ მზრუნველის სახელზე გაგზავნილ რაპორტის პირს. კოცებუ ამ რაპორტში წერს: „მაქვს პატივი თქვენ მაღალკეთილშობილებას წარმოვეუდგინო ამონაწერი ჩემდამი რწმუნებულ გიმნაზიის საბჭოს ჟურნალიდან და ამასთანავე მიხდა მოგახსენოთ ჩემი აზრი მაისურაძის შესახებ. მე მგონია, რომ მაისურაძე არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მოსწავლეებს, რამეთუ მის პირველ მოვალეობად მე ვთვლი სუფთა წერის სწორ სწავლებას“¹⁹⁸. და თან შენიშნავს, რომ მაისურაძე თვითონვე ამბობს, რომ მას უძნელდება სუფთა წერის სწავლება. რაც შეეხება ხატვისა და ხაზვის საქმეს, ამის შესახებ კოცებუ ხმას არ იღებს.

მოტანილი დოკუმენტი ნათლად აჩვენებს იმ განწყობილებას, რომელიც დირექტორს ამოძრავებდა... კოცებუს ამრიგად მ. ს. ვორონცოვისათვის უთხოვნია მაისურაძის განთავისუფლება, ვითომცდა მისი თანამდებობისათვის შეუფერებლობის გამო. სინამდვილეში კი, როგორც ეხლა საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, იმის გამო, რომ მაისურაძე უხეშად მოქცევიდა დირექტორს.

ე. ე. კოცებუმ თავისი გაიტანა; ამაში ნაწილობრივ მაისურაძის უყურადღებობასაც მიუძღოდა წილი. როგორც ჩანს, იგი არ მოელოდა და არც მიიჩნდა შესაძლებლად კოცებუს მუქარის სისრულეში მოყვანა. და ალბათ ამის გამო მან არ მიიჩნია საჭიროდ ვინმესთვის მიემართა ამ საკითხის შესახებ.

ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველის რაპორტზე მზრუნველმა პასუხი არ დააგვიანა და 20 თებერვალს მიღებულ პასუხით გამოიარკვა, რომ თითქოს „თავის საკუთარი გამოძახილითვე სწავლების შეუძლებელ მყოფი მაისურაძე“ განთავისუფლებული იქნა და მის ადგილზე დაინიშნა ახალი მასწავლებელი. ამ ახალი მასწავლებლის დანიშვნისათვის სასწავლებელთა მმართველი კოცებუ განსაკუთრებით იწუხებდა თავს. ეს იყო იმეამად ქუთაისში

მომუშავე საგუბერნიო არქიტექტორი ვასილიევი, რომელსაც თურმე თვითონ კოცებუ შუადღამლობდა.

მაგრამ მზრუნველის სამმართველო იქვე აფრთხილებდა კოცებუს, რომ ვასილიევი თქვენთან დარჩება მანამ, სანამ ახალ მასწავლებელს გამოვძებნიდეთო და თანაც დასძენდა, რომ ამ საგანზე, ვეცდები გამოვითხოვო ნებართვა მისი ბრწყინვალეების მეფისნაცვლისაო¹⁹⁹.

ამ დოკუმენტიდან ირკვევა რომ ქუთაისში იმ დროს უმუშავნია არქიტექტორ ვასილიევის. ვასილიევის გარდა, შემდეგ ქუთაისში დანიშნეს კოვალიოვი. კოვალიოვის შესახებ ჩვენ შევჩერდებით ქვემოთ.

გ. მაისურაძეს, როცა მოხსნის ფაქტის წინ დამდგარა, მიუმართავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის იმავე წლის მარტის შუა რიცხვებში. პასუხი მზრუნველისა არ შემონახულა ჩვენ დრომდე. მაგრამ არის ერთი დოკუმენტი მზრუნველის სამმართველოდან ქუთაისის სასწავლებელთა დირექციისადმი მიმართული, რომლიდანაც ირკვევა, რომ მაისურაძისათვის მისი მოხსენებითი ბარათის გამო პასუხი მიუციათ. ირკვევა, რომ მაისურაძეს უთხოვნია მზრუნველისათვის მისი ხატვის მასწავლებლად დატოვების შესახებ იმ პირობით, რომ სუფთა წერის გაკვეთილები მოეშორებინათ მისთვის. იგი თანხმობას აცხადებს მისი ხელფასის ერთი მესამედის იმ პირზე გადაცემის შესახებ, რომელიც იმუშავებდა სუფთა წერის მასწავლებლად.

სამმართველო, მაისურაძის ამ თხოვნის გამო, ავალებს დირექციას მოახსენოს ბ-ნ მაისურაძეს, რომ ვინაიდან ხატვისა და სუფთა წერის მასწავლებლის, ადგილი დაკავებულია, მაისურაძის თხოვნას სამმართველო ვერ დააკმაყოფილებსო²⁰⁰.

ეს მიმოწერა ერთხელ კიდევ ზედმეტად ადასტურებს იმ წინასწარ განხარახულობას მაისურაძის დათხოვნის საქმეში, რაც კოცებუს ჰქონია. გადმოცემის მიხედვით კოცებუ მაშინ გაცხარებით იბრძოდა თურმე მხატვრის წინააღმდეგ. ამ ინციდენტს მოხუცებულობისას მხატვარი ყოველთვის გულისტკივილით იხსენებდა ხოლმე²⁰¹.

ჩანს, რომ ინციდენტის გამო მაისურაძეს მაშინვე არ მიუმართავს არც ნინო და არც ეკატერინე ჰავჭავაძეებისათვის, უნდა ვფიქროთ არც უმცროსი სოფიოსათვის. მათ, რასაკვირველია, შეეძლოთ დახმარებოდნენ მხატვარს.

1851 წლის წლიურ ანგარიშში ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ დანიშვნის უწყებათა ერთ-ერთ გრაფაში ნათქვამია, რომ სუფთა წერისა, ხატვისა, ხაზვისა და სამოქალაქო არქიტექტურის მასწავლებლად დაინიშნა კოვალიოვი, ხოლო დათხოვილითა გრაფაში კი ჩაწერილია მასწავლებელი ხატვისა და სუფთა წერისა მხატვარი მაისურაძე, — კავკასიის სასწავლო ოლქის ბ-ნ მზრუნველის განკარგულებით მისი სხვა საქმეებზე გამოსაყენებლადო²⁰².

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი: კოვალიოვი თავის თავს

პირველ რიგში უწოდებს სუფთა წერის მასწავლებელს, მაისურაძე კი, როგორც ყოველთვის, ისე აქაც, პირველ რიგში სწერს — მასწავლებელი ხატვისაო.

ამ წლიური ანგარიშის მიხედვით საბოლოოდ გაიჩვენა ბედი მაისურაძისა. 1851 წლის შემდეგ, ვიდრე კავკასიის სასწავლებელთა ოლქის სამმართველოში მის ბედზე სათანადო მზრუნველი არ გაჩნდებოდა, მაისურაძე აღარ მსახურობდა.

მეთისნაცვალ ვორონცოვს, ცხადია, მაისურაძის საქმეები არ შეაწუხებდა. იგი არ შეაწუხებდა არც ოლქის მზრუნველ სემიონოვს.

1851 წლის „კავკასიი კალენდარი“, მიუხედავად გ. მაისურაძის სამსახურიდან განთავისუფლებისა, მაინც იუწყებოდა, რომ მასწავლებლად ხატვისა, ხაზვისა, სამოქალაქო არქიტექტურისა და სუფთა წერისა — მხატვარი გიორგი ივანეს-ძე მაისურაძე მუშაობს ქუთაისის გიმნაზიაშიო.

ვასილიევი კი ამ დროს, ე. ი. 1852 წელს, ამავე კალენდარში მოიხსენიება როგორც არქიტექტორი, ხოლო გიმნაზიაში კი მასწავლებლის ადგილის ვაკანსიაა გამოცხადებული. ცნობილია, რომ „კალენდრისათვის“ მასალებს შემდეგი წლისათვის კრებდნენ წლის დასასრულს, მაშასადამე, ამის მიხედვით შეიძლება დავსკვნათ, რომ კოვალიოვი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო გაფორმებული სათანადოდ. ნაშევილად კოვალიოვმა იქ მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1851 წლის დასასრულს და 1852 წლის დასაწყისს ე. ი. მაისურაძის მასწავლებლიდან წასვლის წომდევნოდ დროში, მანამ კი იქ, უნდა ვიფიქროთ. ვასილი ვასილის-ძე ვასილიევი მუშაობდა.

კოვალიოვი უკრაინულ სახვითი ხელოვნების ერთი იმ წარმომადგენელთაგანია, რომელთაც საქართველოში უმუშავნიათ.

ვიდრე კოვალიოვის შესახებ, ვიტყვოდეთ რაიმეს, უნდა ითქვას იმ ატესტატის შესახებ, რომელიც ქუთაისის ღირექციას მიუცია მაისურაძისათვის. ეს ატესტატი არსებობდა ახასიათებს საქმის ვითარებას; მასში, სხვათა შორის, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მასმსახურის გაგრძელებისათვის ყოველთვის უნარიანად და ღირსად იყო ცნობილიო. რადგანაც ეს დოკუმენტი საყურადღებოა და ინტერესს არაა მოკლებული, მას ჩვენ დანართში ვაქვეყნებთ²⁰³.

გ. მაისურაძის ცხოვრებასთან დაკავშირებულ მასალების არქივში ძიების დროს, ჩვენს მიერ ნახული იქნა საინტერესო მასალები უკრაინულ მხატვარზე — ვიქტორ ვასილის-ძე კოვალიოვზე. ჩვენ ვნახეთ მისი ფორმულარული სია, ატესტატი ხარკოვის მეორე გიმნაზიის ღირექტორის მიერ მასზე მიცემული, მიმართვა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიისა კოვალიოვისადმი, სადაც აცნობებენ, რომ სამხატვრო აკადემიამ მას მიანიჭა მხატვრის წოდება 1851 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე²⁰⁴.

კოვალიოვი უკრაინული და ქართული ხელოვნების ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით უდავოდ საინტერესო პიროვნებაა.

გ. მაისურაძე შემდეგში, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ადგილი ბარონ ნიკოლაიმ დაიკავა, კვლავ აღდგენილი იქნა თავის უფლებებში. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მხატვარი თითქმის ოთხი წელი ხეტიალობდა ქუთაისსა და ქუთაისის ახლომახლო მიდამოებში — იმერეთსა, რაჭასა, ლეჩხუმსა, გურიასა და სამეგრელოში. ოთხი წელი იგი მუშაობდა დაბა-სოფლებში და ხატავდა იქ მცხოვრებ ადამიანთა პორტრეტებს. მაგალითად, აქ შეიძლება დავასახელოთ მასწავლებელ ივანე კიკინაძის პორტრეტი, რომელიც ახლა ხელოვნების მუზეუმის ფონდშია დაცული. იგი რამდენიმე წლის წინათ მუზეუმში მიიტანა მეცნიერ მუშაკმა ს. კიკინაძემ.

ამავე წლებს მიეკუთვნება ქუთაისის სკოლის მუშაკის ნ. აბულაძის პორტრეტი. ამავე პერიოდში უნდა დაეხატა მაისურაძეს სხვა მრავალი პორტრეტიც.

გ. მაისურაძემ თავისი ცხოვრება, როგორც თვითონ წერს, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ განცხადებაში, ძირითადად ქუთაისში გაატარა.

გ. მაისურაძის შეგნებული ცხოვრება, მისი მოღვაწეობა, როგორც მხატვრისა და პედაგოგისა, მკიდროდაა დაკავშირებული ქუთაისთან.

1854 წელს გ. მაისურაძე კვლავ იქნა აღდგენილი სამუშაოზე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ჩანს რომ, ბარონ ნიკოლაის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად მოსვლის შემდგომ, ეკატერინე ქავკავაძისა და საერთოდ ალექსანდრე ქავკავაძის ოჯახის წევრთა ზრუნვით მაისურაძე კვლავ აღუდგენია თავის უფლებებში და 1854 წელს იგი კვლავ დაუნიშნავთ ქუთაისის გიმნაზიის ხატვის, ხაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლად. ამ წლიდან მოკიდებული ვიდრე სიკვდილამდე იგი ასწავლიდა გიმნაზიაში და მკვიდრი ბინადარი იყო ქუთაისისა.

ფორმულარული სია, შედგენილი 1854 წელსა და შემოწმებული საქმის მწარმოებლის კანცელარისტ — ტატიევის მიერ 1855 წელს, ნათელყოფს მაისურაძის ოჯახის ამბებს. ეს ფორმულარული სია არკვევს იმ თარიღებსაც, რომლებიც საინტერესოა ყველასათვის, ვისაც კი მხატვრის ცხოვრება აინტერესებს²⁰⁵.

ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიის ცხოვრებაში 1852 წელს არსებითი ცვლილება მოხდა, რაზედაც ბევრად იყო დამოკიდებული გ. მაისურაძის არა მარტო უფლებებში აღდგენა, არამედ მისი წარმატებანი და მომავალი მუშაობის სეე-ბედიც.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1852 წლის 20 ოქტომბერს № 2.137 ბრძანებულებით გარდაცვლილი დირექტორის კოცებუს ნაცვლად ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის მმართველად, ქუთაისის გიმნაზიის საქმეთა მოსაწესრიგებლად ბარონი ნიკოლაის განკარგულებით იგზავნება თბილისის კომერციული გიმნაზიის დირექტორი რაევსკი-კრესტიანოვი ალექსანდრე ივანეს-ძე²⁰⁶.

სწორედ ამ დროს ქუთაისის გიმნაზიაში ხელახლა იწყებს მუშაობას მაისურაძე. ცხადია, რომ ამ საქმის მოგვარებაში გარკვეული ღვაწლი ექნებოდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილებსაც — ეკატერინეს, ნინოს და სოფიოს — მეუღლეს ნიკოლაისა.

1854 წლის 10 ოქტომბერს შედგენილ ქუთაისის ღირექციის მასწავლებელ-მოსამსახურეთა აღფაბეტურ სიაში, რომელიც დართულია ბ-ნ მზრუნველთან წარსადგენ ფორმულარულ სიებზე, რიგითი ნომრის 15-ის პირდაპირ ჩაწერილია მაისურაძე გიორგი ივანეს-ძე და იქვე ნაჩვენებია, რომ მისი საქმე იწყება 32 გვერდზე.

ამ ფორმულარულ სიას უკავია 63, 64, 65 და 66 გვერდები, შემდეგ კი სხვა ხელით მიწერილია რუსულად: „ნახეთ დამატებითი სია 19/1855“. აქედან აშკარად ჩანს, რომ ამ დროისათვის მაისურაძეს უკვე უმუშავნია გიმნაზიაში²⁰⁷ და იქ მუშაობა დაუწყია თებერვლის 17-დან²⁰⁸ 1854 წლისა.

არქივში დაცულ ერთ-ერთი საქმის მიხედვით²⁰⁹ 1856 წელს გ. მაისურაძე შეუტანიათ ჯილდოზე წარსადგენ პირთა სიაში. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მაისურაძეს 1855 წელში ჯერ კიდევ ცოლი არა ჰყოლია და რომ კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ იგი თანამდებობაში დამტკიცებული ყოფილა 1855 წლის 27 აპრილს, რაც საბოლოოდ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მხოლოდ 1855 წლის 23 ივნისს დაუმტკიცებია. ეს ფორმულარული სია გ. მაისურაძის ფირწერულ ნამუშევრებს მატებს ერთ ნამუშევარსაც. ეს ნამუშევარი ლიტერატურაში დღემდე ცნობილი არ იყო. მითითებული დოკუმენტის 96-ე გვერდზე ორი მინაწერია: ერთი მათგანი გადახაზულია, მეორე კი არა. ტექსტი გვამცნობს, რომ გ. მაისურაძეს 1855 წლის 6 აპრილს ქუთაისის საგიმნაზიო ეკლესიისათვის შეუწირავს ნამუშევარი, დახატული ზეთის ფერებით: ხატი მაცხოვრისა — ღირებული დაახლოებით 200 მანეთად (ვერცხლით). რის გამოც მისთვის ბ-ნ მზრუნველს სასწავლო ოლქისა 1855 წლის 27 აპრილს მადლობა გამოუცხადებია. ამ ფორმულარულ სიას აქვს მინაწერი ფანქრით იმის შესახებაც, რომ მაისურაძე წარდგენილ უნდა იქნას ჯილდოზე 316 და 600 სტატიის საფუძველზე და რომ საჭიროა საბუთების გაგზავნა განსაზღვრებისათვის.

1857 წლით დათარიღებული ისეთი დოკუმენტი, რომელიც მაისურაძის პირად ცხოვრებაზე მიუთითებდეს, არაა შემონახული. ყოველ შემთხვევაში. ასეთი რამ ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

მაგრამ არის დოკუმენტები, შედგენილი 1856 წელს. ამ დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ მაისურაძეს 1856 წელს შეურთავს ცოლი ქუთაისში. შეურთავს არაუგვიანეს 26 აგვისტოს 1856 წლისა და არა უადრეს 1855 წლია დასაწყისისა.

1858 წელს შევსებული ფორმულარული სიის მე-15 გრაფაში შემავსებელი იძლევა პასუხს კითხვაზე — ცოლიანია თუ არა მაისურაძე და ყავს მას ბავშვები თუ არა. ეს ფორმულარული სია შევსებული ²¹⁰ არის განსაკუთრებული საქმის გამო.

ამ და სხვა ფორმულარულ სიებთან ²¹¹ ერთად დაცულია ქუთაისის დირექციის მიმართვა მზრუნველისადმი № 977 ²¹² დათარიღებული 1858 წლის 13 აგვისტოთი. ამ სიიდან ვგებულობთ, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს დირექცია უგზავნის სიებს თანახმად მზრუნველს მოთხოვნისა. ამ მიმართვას თან ახლავს ალფაბეტური სიაც. ამ სიაში მაისურაძეს 34-ე ადგილი უჭირავს.

ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული ფორმულარული სია სწორედ ამ საქმიდან არის ამოღებული. ამ სიის მიხედვით კი ირკვევა, რომ მაისურაძეს 1858 წლის 13 აგვისტოსათვის უკვე ცოლი ჰყოლია. ვილაცას მე-15 გრაფაში უცოდნელობისა თუ გულმავიწყობის გამო ოჯახური მდგომარეობის შესახებ დასმულ კითხვაზე ჩაუწერია „Холост“ ^{212ა}, შემდეგ კი იგი გადაუშლია ფანქრით და ქვემოდან მუწერია მელნით „Женат“ ^{212ბ}; ამის მიხედვით, ცხადია, რომ მაისურაძე 1858 წლის 13 აგვისტოსათვის ცოლიანი ყოფილა.

ვიდრე მაისურაძის ქუთაისის პერიოდის (1850 — 1860 წლამდე) პირად ცხოვრებას შევხებოდეთ, აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმ ამბების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა მხატვრის პირად ცხოვრებაში ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალთა ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მაისურაძის დაწინაურების და ჩინისა, აგრეთვე ხარისხში აყვანის საქმეც.

1859 წლის მოკლე ფორმულარული სიის მიხედვით ირკვევა, რომ მაისურაძე ამ წელს წარუდგენიათ. როგორც ჩინში, ასევე უფროსობაში დასამტკიცებლად. ფორმულარულ სიაზე მიწერილ შენიშვნაში ვკითხულობთ: „მასწავლებელი მაისურაძე იმსახურებს კანონით მის დამტკიცებას საგუბერნიო მდივნის ჩინში — უფროსობით. მისმა დროულად წამოუყენებლობამ მას არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება უფროსობის მიცემაში და ეს არც უნდა დაბრალდეს მას, რადგან ეს მოხდა იმის გამო, რომ სასწავლებელთა დირექციას ამ დრომდე არა ჰქონდა მაისურაძის შესახებ მეტრიკული მოწმობა მისი დაბადებისა და მონათვლის საგანზე“ ²¹³. მოტანილი დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დამოკიდებულებას. რომელიც ქონია მაისურაძესთან კოცებუსა და მის მომხრეებს.

მზრუნველის კანცელარია ქუთაისის დირექციას ატყობინებს, რომ სენატის 1860 წლის 18 მაისის №115 დადგენილებით, ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელს გიორგი მაისურაძეს დამსახურებისათვის, მიეცა უფროსობით გუბერნსკი სეკრეტარის წოდება მასწავლებელს ქუთაისის გიმნაზიისა... გიორგი

მაისურაძეს 1850 წლის 31 იანვრიდან და რომ ამ მომართვასთან ერთად ბ-ნ მაისურაძისა და იაკობიძის 5 დოკუმენტი იგზავნებოდა²¹⁵.

ქუთაისის დირექციის არქივში მოხელეთა ჩინზე წარდგენის შესახებ ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტია შენახული და იგი, ასე ვთქვათ, ნათელს ქვენს მაისურაძის ცხოვრების ამბებსაც²¹⁶, როგორც ახლა ირკვევა მაისურაძე ჩინში დაუმტკიცებიათ სენატის № 15 ბრძანებულების საფუძველზე 1860 წლის 18 მაისს. ამის შესახებ შეუტყობინებიათ ამიერკავკასიის სახაზინო პალატისათვის, ხოლო სახაზინო პალატას კი ქუთაისის სასწავლებელთა დირექ-



ციისათვის გაუგზავნია საგადასახადო უწყისი მისურაძისათვის პატენტის დაბეჭდვისა და პერგამენტის საფასურის გადასახდევინებლად. პატენტის დაბეჭდვისათვის მისურაძეს გადაუხდია მთლიანი წლიური ხელფასის მიხედვით 39 მანეთი და 72 კაპ. 217.

მისურაძე, ამავე დროს, დაჯილდოებული იქნა 1856 წლის 26 აგვისტოს მანიფესტით: მუქი ბრინჯაოს მედლით წმინდა ანდრია პირველ მოციქულის ლენტეხე, სახსოვრად ოსმალეთთან წარმოებული ომისა 1853-56 წ.წ. 218.

ცნობილია, რომ მისურაძე 1851 წლის თებერვლიდან ვიდრე 1854 წლის თებერვლამდე გიმნაზიაში არ იმყოფებოდა. ფორმულარულ სიაში მითითებული დაჯილდოება კი ადასტურებს და უეჭველს ხდის იმ გადმონაცემს 219, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩაწერილი მხატვრის ქალიშვილის ოლიმპიადას ზონათხრობის მიხედვით: „მამა სასწავლებლიდან დათხოვილი იქამად უცოლშვილო და თავისუფალი ბევრს დადიოდა თურმე იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიაში. ამბობდა ხოლმე, რომ თურქეთ-რუსეთის ბრძოლის დროს (1854 — 1856) იგი დედოფალ ეკატერინესთანაც კი ყოფილა. სადაც მას დაუხატავს არა ერთი და ორი სამხედრო პირის პორტრეტი, განსაკუთრებით ეკატერინეს კარზე ახლო მდგომ ქართველებსა; იგი თავისი შესაძლებლობით მონაწილეობდა იმ ამბებში და დაჯილდოებული იყო მედლითაც“. საერთოდ უნდა ვიფიქროთ, რომ ფორმულარულ სიაში მითითებული დაჯილდოება ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ პერიოდთანაც, როცა მისურაძე გიმნაზიაში არ იყო. მართლაც მისურაძის შთაბოძავალთა შორის მტკიცედ იყო შემონახული გადმოცემა იმის შესახებ, რომ მისურაძე დაჯილდოებული იყო ომთან დაკავშირებით ნათელ ბრინჯაოს მედლით ანდრია პირველ მოციქულის ლენტეხე ოლღა გიორგის ასული სწორედ ამის გამო, მამის შესახებ საუბრის დროს. ხშირად იტყოდა ხოლმე — „ანდრიას ორდენის კავალერიო“.

ამ პერიოდში გიორგი მისურაძეს ურთიერთობა ჰქონდა საკმაოდ მრავალრიცხოვან პედუგოსონალთან, რომლებიც ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდნენ 220.

1861 წლისათვის გიმნაზიაში მასთან ერთად მუშაობდნენ საპატიო მზრუნველი პოდპოლკოვნიკი გ. ი. აბაშიძე, სასწავლებელთა დირექციის უფროსი ი. ლ. პესოჩინსკი, ინსპექტორი ო. ვ. განგესოვი — მისურაძისადმი მტრულად განწყობილი პირი; აქვე იყვნენ ოთხი უფროსი და 11 უმცროსი მასწავლებელიც. გიმნაზიას ჰყავდა ასევე ექიმიც.

იმერეთის ეპარქია მაშინ განათლებულ კაცს, ყოვლად სამღვდელო პირს გაბრიელ ეპისკოპოსს ებარა. არქიტექტორი ქალაქისა კი ვ. ვ. ვასილიევი იყო.

ქუთაისში ცხოვრების პერიოდში (1850 — 1860) მისურაძეს ხშირად უხდებოდა შეხვედრა ეკატერინე, ნინო და სოფიო ჰავეკავაძეებთან. გიორგის, გადმოცემის მიხედვით, სცნობია ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინიც — ქუთაისის გუბერნატორი და იქამად იქ მომუშავე ცნობილი ქართველი პოეტი, რომელიც კოლუბიაკინთან განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის თანამდებობაზე მუშაობდა — რაფიელ ერისთავი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან მაისურაძის მიერ ქუთაისში შესრულებული რ. ერისთავის პორტრეტი უსათუოდ აღმოჩნდება.

ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია ამ დროისათვის უკვე ქვის შენობაში იყო მოთავსებული. ეს იყო დიდი ორსართულიანი შენობა. მას მიღებული ჰქონდა ერთსართულიანი სამი ფლიგელი. გიმნაზიას 43 ოთახი ექირა. სულ აქ შედიოდა კლასების, ფიზიკური კაბინეტის და ბიბლიოთეკის მიერ დაკავებული 29 ოთახი; 14 კი მოხელეებს, მსახურებს, საშვარეულოს, სამრეცხაოს და აბანოს ჰქონდა დაკავებული. ამ დროს ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიასთან არსებობდა პარალელური და მოსამზადებელი კლასები. ასევე პანსიონიც. შენობის ქირას წელიწადში იხდიდნენ 4.350 მანეთს²²¹.

გ. მაისურაძე, როგორც ამ დროს, ისე ადრეც, ცხოვრობდა დაქირავებულ ბინაში. მხატვრის ქალიშვილის გადმოცემით მათ უცხოვრიათ მწვანეყვავილაზე, გუბერნატორ გაგარინის სახლთან ახლოს, დაცოლშილებამდე კი გიორგის უცხოვრია ბალახვანში. როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, მაისურაძე ოჯახს საკმაოდ გვიან მოეკიდა.

გ. მაისურაძემ ქუთაისში შეირთო ცოლად იოსებ (ფორტუნატი) ცეხანოვსკის²²² ქალიშვილი პელაგია. მამა პელაგიაში — იოსები, წარმოშობით პოლონელი ყოფილა და საქართველოში გადმოსახლებიან პოლონეთში მომხდარი აჯანყების მარცხის (1831 წ. სექტემბერი) შემდეგ.

იოსები — ფორტუნატი, როგორც მას ეძახდნენ თურმე პოლონეთში. ქუთაისში ჩამოსულა გადმოსახლებაში და აქ მოჰკიდებია ოჯახს. ცოლად შეურთავს პელაგია, იოსებ ბიბლიაშვილის ქალიშვილი, რომელიც წარმოშობით რაჭიდან ყოფილა. პელაგიასთან იოსებს შესძენია ქალიშვილი პელაგია, შემდეგში მეუღლე მხატვარ გ. მაისურაძისა. გადმოცემის მიხედვით ფორტუნატს უმსახურია ქუთაისშივე — სამოქალაქო გუბერნატორთან, მაგრამ ჯერჯერობით ამის დამადასტურებელი საარქივო მასალები მოპოვებული არ არის. და ჩვენ აქ ვეძვარებით ნათესავთა გადმონაცემს.


ფ. ცეხანოვსკის, გარდა მხატვრის მეუღლის პელაგიასი, ჰყოლია ვაჟი ამბროსი, რომელსაც ქუთაისის გიმნაზიაში უსწავლია. ამბროსის, იმერელი ქალი ბარბარე (ფეფინო), ინანია ბერიძის ასული ჰყოლია ცოლად. ამბროსის სანი შვილი ჰყოლია: — სერაფიონი და აპალონი ბავშვობისას გარდაცვლილან. ხოლო ვაჟიშვილი იროდიონი კი შემდეგში ცნობილი ექიმი იყო. იროდიონის მეუღლე პელაგია ალექსი გვენცაძის ასული იყო, მამა პელაგიასი „მარკიორი“ ყოფილა. იროდიონს და პელაგიას კი ჰყავდათ სამი შვილი: ბარბარე, ფორტუნატი და ნინო. ამბროსიზე და იროდიონზე საკმაოდ დიდი ღვაწლი აქვს დადებული გიორგი მაისურაძის ოჯახს. ცეხანოვსკების გადმოცემით, სიმპარის გარდაცვალების შემდეგ მაისურაძეს თავისთავზე აუღია ზრუნვა, როგორც ბავშვების აღზრდისა, ასევე სიღვდრის მიმართაც.

გიორგი და პელაგია მაისურაძეებს ჰყავდათ ორი ქალიშვილი — ელისაბედი

და ოლიმპიადა. ელისაბედი გათხოვდა ამირაჯიბზე, ოლიმპიადა კი თევზაძეზე — მამის გარდაცვალების შემდეგ.

გ. მაისურაძის ქალიშვილებს თავის დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდათ მიღებული. ქუთაისში ყოფნის დროს ისინი მუსიკას სწავლობდნენ მიზანდართან. ელისაბედმა დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს დახურული სასწავლებელი. ელისაბედი გადმოცემით ყოფილა ნათლული ალექსანდრე ქავჭავაძის ქალიშვილის — სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანისა და მას ნათლის ხარჯზე უსწავლია.

ელისაბედმა კარგად იცოდა ფრანგული, შესანიშნავად უკრავდა რეორგანიზაციის ოლიმპიადის ოლიმპიადის გიორგის ასული კი ცოლად გაჰყვა მემანქანე გიორგი თევზაძეს.



მხატვრის ქალიშვილი — ელისაბედი და სიძე რ. ამირაჯიბი.

ცხოვრების პირობებმა მაისურაძე თითქმის მკვიდრი გახადა ქუთაისისა. აგი ყოველდღიურად ეცნობოდა ქალაქს, ადამიანებს, მიმოდროდა ნაცნობებთან. სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა. მაისურაძე ასევე ასწავლიდა ხატვასა და სუფთა წერს ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელშიაც.

იგი დადიოდა ახლო-მახლო სოფლებში და ცდილობდა ტილოზე აღებეჭდა თანამედროვე ადამიანთა პორტრეტები. დღესაც დგას რიონის სანაპიროზე შემდეგი დროის მინაშენითურთ ის შენობა, რომელიც ერთ დროს ქუთაისელი 120

ოლიმპიადისათვის სათანადო კარგი განათლება ჰქონია მიღებული. იგი მეტისმეტად გაბედული ყოფილა და დაუკითხავად გათხოვილა. ქალიშვილის მიერ გადადგმულა ნაბიჯის გამო დედამ იგი სამუდამოდ დაკარგა და ისე გარდაიცვალა 1906 წლის 22 ოქტომბერს, რომ ქალიშვილს არ დალაპარაკებია. გადმოცემა ამბობს, რომ პელაგია იოსების ასული, მეუღლე მაისურაძისა, დიდი ნებისყოფის, ამაყი და მეტად გულფიცხი ქალი იყო ²²³.

სიმამრის—იოსებ ცეხანოვსკის გარდაცვალების შემდეგ გ. მაისურაძეს დიდი საზრუნავი გაუჩნდა. ამის შემდეგ იგი ბევრს მუშაობდა კერძო დაკვეთებზედაც.



ზუბალაშვილისაგან შეისყიდეს. სწორედ ამ შენობაში რიგი წლების განმავლობაში ასწავლიდა გ. მაისურაძე. აქ სწავლობდნენ მასთან აკაკი, ნ. ლოლობერიძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. ნაზაროვი, ს. ქვარიაძე, ბ. ლოლობერიძე, ნ. მარი, ი. ოცხელი, ა. ნანეიშვილი, გ. იოსელიანი, ა. ჭიჭინაძე, გ. აბაშიძე, შარვაშიძე და სხვა მრავალი.

გიორგის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისის მოწინავე საზოგადოებასთან და ასევე იმ მოსწავლე ახალგაზრდობასთანაც, რომლებიც მასთან სწავლობდნენ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მინც.

„გაკვეთილის დროს, მოგვემდა რა დავალებას, თვითონ დადებოდა ხოლმე ფანჯარასთან და ხელში ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნი ეკირა... იგი არც ჩვენ გვაკლებდა ყურადღებას და არც წიგნს. კითხვის დროს უღვაშებში იცოდა ხოლმე გაღივება. მას გაკვეთილებზე ხშირად შემოჰქონდა თან ხან სერვანტესის „დონ კიხოტი“, ხანაც „ილიადა“, ხან კი „ოლინგია“. დავალების მოცემის წინ ხანდახან, თუ კომპოზიცია უნდა გაგვეკეთებია, პუშკინის ზღაპრებსაც გვიკითხავდა“²²⁴.

ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში გადმოცემა გ. მაისურაძეს ნიაწერს იმ დროის ცნობილ მოღვაწეთა მრავალი პორტრეტის შექმნას. კაცმა რომ თქვას, ამაში დაუჯერებელი არაფერი არ არის, თუ ნივილიზმ მხედველობაში იმას, რომ გ. მაისურაძე, აღზრდილი კ. ბრიულოვის მიერ, დიდი არტიტულობით და დაჯერებულობით მომუშავე მხატვარი, ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე, მცხოვრები ქალაქის გარემოცვაში, — ცხადია, ვერ დარჩებოდა გულგრილ მაყურებლად და უსათუოდ შეასრულებდა პორტრეტებს.

ცხადია, რომ იგი, როგორც მხატვარი, მის თანამედროვეთა სიყვარულსა და ყურადღებასაც დაიმსახურებდა.

ტყუილად კი არ ნიაწერს გადმოცემა იმ დროის ქუთაისის ერთ-ერთ განათლებულ სასულიერო პირს, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს, მაისურაძის მისამართით ნათქვამს, რომ — „იგი, მსგავსად ლეთისა, ქმნიდა სახეს ადამიანისაო“.

თავი რომ დავანებოთ იმ ინტერესს, რომელიც იმ ხანის ქუთაისის საზოგადოების სხვადასხვა ფენებს უნდა ჰქონოდათ ღერწმურული პორტრეტისადმი, საჭიროა გვახსოვდეს, რომ გ. მაისურაძეს, როგორც მხატვარს, თვითონაც არანაკლები ინტერესი ექნებოდა ამ დარგში მუშაობისა. ამიტომ, გადმოცემით მაისურაძეზე მიწერილ სურათების სიმრავლის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ დაუჯერებელი ამ გადმოცემაში არაფერი არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, გადმოცემა მაისურაძეს ნიაწერს, მაგალითად, დიმიტრი ნაზარეიშვილის პორტრეტის შესრულებას.

„ჩვენები აღრე იქ ცხოვრობდნენ, სადაც მარჯანიშვილები ცხოვრობენ ეხლა. ეს იყო ბაგრატიის ტაძრის ნანგრევის მახლობლად, ეკლესიასთან მისელამდე. მამას, — გვიამბობდა ელენე დიმიტრის ასული, — 1850 წლიდან ნიკო

ნიკოლაძესთან, აკაკისთან, კირილე ლორთქიფანიძესთან და სხვა ზოგიერთებთან ერთად უსწავლია ქუთაისის ვიმნაზიაში. იგი მისურაძეს, როგორც მასწავლებელს, ბავშვობიდანვე იცნობდა. ვიმნაზიის დამთავრების შემდეგ მამაჩემი სწავლობდა პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში და იგი დაახლოებით 1878 წელს დამთავრა. სხვათა შორის, როგორც ექიმი, მამა მონაწილეობდა ბალკანეთის ომში. ქუთაისში დაბრუნდა დაახლოებით 1880 წელს. მამაჩემი სცემდა დიმიტრი დადიანთან ერთად 1881—83 წლებში გაზეთ „ზრომას“ და მორიგეობით ხან ერთი რედაქტორობდა, ხან მეორე²²⁵. მამა დაბადებული იყო 1854 წელს და არც თუ ისე შეუხედავი ყოფილა. მოხუცობის ემას კი იტყოდა ხოლმე, მე ისეთი ლამაზი კაცი ვიყავი, რომ მხატვდენო... და ჩემგან იესოს სახეც კი დაუხატავოო. და მიუთითებდა იმ ხატზე, რომელიც მამან ერთ-ერთ ეკლესიაში იყო. ჩვენ ოჯახში მამა ყოველთვის ახსენებდა მხატვარ მაისურაძეს, როგორც გაწაფულ და დაოსტატებულ მხატვარ-პორტრეტისტს. მამას ჰყავდა მეგობარი ექიმი ვორონოვი, რომელიც ყოფილ ბალახნის ქუჩაზე (ეხლა წერეთლის) ცხოვრობდა, ის სახლი ეხლა ექიმ ჩხეიძეს უჭირავს. ადრე კი ვორონოვიდან გოკიელმა იყიდა. ჩვენ მაშინაც აქ ვცხოვრობდით. სადაც ეხლა ვართ (გოგებაშვილის № 15. შ. კ.). ეს სახლი მამის დროს იყო აშენებული. ვორონოვს ჰყავდა ცხენები, ამ ცხენებით ჩვენც ვსეირნობდით. რამდენადაც ეხლა მაგონდება გ. მისურაძის მიერ დახატული პორტრეტები ეკილა ვორონოვის ოჯახშიაც“²²⁶.

ინტერესს არ არის ამ მხრივ მოკლებული ჩვენამდე შემონახული და პირადად ჩემს მიერ ჩაწერილი მოგონებანი, მხატვარ გ. ი. ზაზიაშვილისა, რომელსაც არა ერთი და ორი წელი გაუტარებია ქალაქ ქუთაისში და ირგვლივ მდებარე დაბა-სოფლებში, მას შემოუნახავს ჩვენამდე მეტად საინტერესო ცნობები დაკავშირებული გ. მისურაძესთან.

მხატვარ ზაზიაშვილს იმერეთში უმუშავია მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის პირველ წლებში. ზაზიაშვილის გადმოცემით, ქუთაისის სამხედრო საკრებულოში და მოწამეთაში მისურაძის მიერ შესრულებული არა ერთი და ორი ნამუშევარი ყოფილა. ზაზიაშვილი გადმოგვცემდა აგრეთვე მის მიერ იმერეთის სოფლებში ნახულ მასურაძისაგან შესრულებული პორტრეტების შესახებაც. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც მისი ერთ-ერთი მითითება არის: „მე მაშინ იმერეთში ჰტუმრად ყოფნა მომიხდა, სოფელილეში — შორაპნის მაზრაში — მღვდელ ბესარიონ შიოს-ძე გორგაძის ოჯახში²²⁷. სადაც მე ვნახე მართლაც დაუჯერებელი ოსტატობით შესრულებული პორტრეტი ახალგაზრდა მღვდლისა. მის გამოხედვაში სათნოება და სიკეთე ღვაოდა. ფუნჯი ისე არტიტულად იყო ნახმარი თმების და ტანსაცმელის გადმოსაცემად, რომ კინაღამ იყო არ შემშურდა. საოცარია მაინც როგორ გაქრა ასე უკვალად ჩვენი ცხოვრებიდან ისეთი კარგი პორტრეტის დამწერი მხატვარი“. გ. ზაზიაშვილი მიუთითებდა ასევე გ. მისურაძის მიერ შესრულებულ

გაბრიელ ეპისკოპოსის პორტრეტზედაც. იგი აღნიშნავდა, რომ მას უნახავს ასევე მაისურაძის მიერ შესრულებული ხატები ილემში, მოწამეთაში, დილოში და ქართლში — ბაგრატიონთა სოფელ ახალქალაქში.

ისტორიკოს სიმონ ქვარიანის გადმოცემით (მოწაფე იყო მაისურაძისა), გიორგი ყოფილა „წყნარი და პატიოსანი აღამიანი. იგი გამოირჩეოდა თავისი ხასიათით და თავისებურებით სხვა მასწავლებლებისაგან. არტიტული ბუნების აღამიანი იყო, საოცარი მეოცნებე, გულჩათხრობილი და თავისთავში ჩაკეტილი. გულისმოსვლა უცებ იცოდა. ტანათ საშუალო, მხარბეჭიანი და წარმოსადევი იყო. ცოტათი უყვარდა სმაც. ამბობდნენ მაშინ, რომ ეს მას კარგ ხასიათზე აყენებო. ზაფხულობით ტანზე იცვამდა ლურჯ სერთუკს და თეთრ შარვალს. ქილეტის ერთ ჯიბეში ჩადებული საათი მეორე ჯიბეზე ჰქონდა მიმაგრებული ძეწკვით. რამდენადმე გაფანტული იყო, მუდამ თავის საქმით დაკავებული.

ხატვა იყო მისი სული და გული. ერთხელ გაკვეთილზე ნატურმორტი-სათვის გამხმარი თევზი — ტარანი მოიტანა, შესვენებისას გადავიწყდა და დე-კარგა... გაკვეთილის დაწყების შემდეგ ერთ-ერთ მოწაფეს ნახატს სწორება დაუწყო და ისე ასწორებდა, რომ სულ იმ ადგილს მისჩერებოდა. სადაც თევზი იყო. გატაცებით ხატავდა ისე, თითქოს ნატურა წინ სდებოდეს... ამის გამო ერთ-ერთმა მოწაფემ სიცილა ატეხა... გაბრაზებული გიორგი ივანიჩი შემობრუნდა და მრისხანედ ჰკითხა მათ: „Пагава, как твоя фамилия“ 229.

რაც შეეხება გიორგის ოჯახურ ცხოვრებას. ამის შესახებ მხატვრის ქალიშვილი გადმოგვცემს:

„ოჯახში დაბრუნების შემდეგ, მამას ჩვეულებად ჰქონდა ჯერ დასვენება, შემდეგ კი მუშაობდა ხანგრძლივად. მთელი არსებით და თავდავიწყებით. ხატვის დროს მუდამ გვერდზე ედგა კონიაქნარევი ცივი ჩაი და ნელნელა სვამდა. შესვენებისას ძლიერ უყვარდა კითხვა ქართველი თუ რუსი პოეტების ლექსებისა. ხშირად კითხულობდა ს. ორბელიანის იგავ-არაკებს ხმამაღლა და თან იცისოდა სახლში უფრო ხშირად წერდა ზეთით ტილოზე ან ხეზე. განსაკუთრებით უყვარდა აკვარელით მუშაობა. ნახატებს უმთავრესად



მხატვრის მუდამ და ქალიშვილი — ელისაბედა.

აკეთებდა ფანქრით; მაგრამ ფანქარი არ უყვარდა, უპირატესობას ნახშირს აძლევდა. მისთვის საყვარელ და ძვირფას ადამიანთა პორტრეტებს უფრო ხშირად აკვარელით ხატავდა“ 229.

გ. მაისურაძემ ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში აღზარდა თითქმის ყველა ის ახალგაზრდა, რომლებიც მაშინ გიმნაზიაში სწავლობდნენ, მათ გიორგი-საგან შეისწავლეს ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერის საქმე. გიორგი ზრუნავდა მათთვის და აყვარებდა მათ სახვითი ხელოვნებისა და წერის საქმეს.

მაგრამ უმთავრესი გ. მაისურაძის მოღვაწეობაში ეს მაინც არ არის. იგი ჩვენი ხელოვნების ისტორიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც მხატვარი პორტრეტისტი, მხატვარი, რომელმაც თავისი ეპოქის ადამიანები რეალისტურად ასახა და შთამომავლობას დაუტოვა მართალი, მხატვრული სურათები ადამიანთა ხასიათზე და გარეგნობაზე.

ქუთაისში, მაისურაძის მიერ შესრულებულ ადრინდელ პორტრეტებიდან დღეისათვის ნაპოვნია მხოლოდ ერთი პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მე-19 საუკუნის მხატვრობის ექსპოზიციაშია წარმოდგენილი. ამ სურათის ჩარჩოზე მიმაგრებულია წარწერა: „მაისურაძე გ. ი. (1814 (?). შ. კ.) — 1885) კიკინაძის პორტრეტი (1853)“ როგორც ვხედავთ წარწერის მიხედვით მოცემული არ არის გამოსახული პირის არც სახელი და არც მამის სახელი. ეს პორტრეტი სინამდვილეში გამოხატავს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ივანე იაკობის-ძე კიკინაძეს 230.

ივანე კიკინაძის პორტრეტი მრავალმხრივია საყურადღებო. უპირველესყოვლისა იგი გვიჩვენებს, რომ მხატვარს, შერისხულს კოცებუს მიერ, გულზე ხელი კი არ დაუტრეფია, არამედ ხალხში გასულა და თავის საყვარელ საქმეზე უმუშავნია, რომ მაისურაძე, როგორც მხატვარი, მისთვის მძიმე წლებშიაც კი გატაცებით მუშაობდა მხატვრობაში.

ი. კიკინაძის პორტრეტი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი აკადემიის დამთავრების მომდევნო დროში მიღწეულ მხატვრის შემოქმედებით წარმატებულსაც აჩვენებს. იგი იმითაც არის საინტერესო, რომ საქმოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა საერთოდ 50-იან წლების ეართულ საპორტრეტო ეანრის ფერწერაზე საერთოდ და კერძოდ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის შესახებ.

პორტრეტის კომპოზიციის მხრივ, კიკინაძის პორტრეტი, ერთი შეხედვით, ფიგურის დაყენებისა, მისი პოზის და ფიგურის სასურათო ფონთან ურთიერთობის მხრივაც, ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ კომპოზიციურ სქემებს უნათესავდება; მაგრამ განსხვავებით მისი წინა პერიოდის პორტრეტებიდან, ამ პორტრეტში ნაჩვენებია მხატვრული ოსტატობის, როგორც ფერის გრძნობის, ასევე ფერწერული მოდელირების გაცილებით მაღალი დონე.

აქ მონასმები გამოლიანებულია და მოხმარებულია ზორცისა თუ თმის, მატერიისა თუ ლითონის — ფაქტურის მხატვრული გადმოცემისათვის.

აქ ფიგურული კომპოზიცია, რამდენადმე ჩაქვილი სასურსათო სქემაში, ფიგურის თავის დაყენებით, გამოხედვის ფსიქოლოგიური შინაარსით და საერ-
თოდ, განწყობილების მიხედვით, ქმნის დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეს
ისეთი ადამიანისა, რომელიც საკუთარი თავის ღირსებას მხოლოდ თავის მოღ-
ვაწვობაში ხედავს.

ეს არის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულის და მეორე ნა-
ხევრის დასაწყისის ახალგაზრდა ქართველი კაცის ტიპური სახე. და ამდენად
იგი მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ფერწერული პორტრეტის ისტო-
რიის თვალსაზრისით, არამედ ამავე ხანის ქართველი ახალგაზრდა კაცის ფსიქი-
კურ სამყაროსთან გაცნობის და მხატვრული დახასიათების თვალსაზრისითაც.

ეს პორტრეტი მაყურებელს თითქოსდა უამბობს მე-19 საუკუნის შუა-
წლების ახალგაზრდა კაცის სულის სიღრმემდე ჩამწვდენ ცხოვრების ისტორიას.
თმების, წარბების და უღვაშების, თვალითა გუგების და პირისახის კან-
ფერწერა, საოცრად ფაქტურული და მოცულობითია. ტონის მხრივ პორტრეტი
ერთი ტონალობით არის გაერთიანებული.

პორტრეტი ნათლად აჩვენებს მხატვრის მიერ დიდ მასწავლებელთან
მიღებულ ცოდნის თავისებურ გადამუშავების ნაკვალევს. აჩვენებს მხატვრის
ახლებურ დამოკიდებულებას ქართული სამხატვრო სკოლის ტრადიციებისადმი.

თუ კვიკინაძის პორტრეტი მხატვრის ზრდაზე მიუთითებს საერთოდ, ამ
მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისიურაძის მიერვე შესრულებული მეორე
პორტრეტი, რომელიც ასევე საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია გამოფე-
ნილი ახალი ქართული ხელოვნების ექსპოზიციაში. ჩვენ აქ მხედველობაში
გვაქვს, ნ. აბულაძის პორტრეტი²³¹.

ეს პორტრეტი მუზეუმში მოიტანა (1940 წ.) ანა ალექსანდრეს ასულმა
ბაგრატიონმა. პორტრეტი დაწერილია მუყაოზე (24,5X19,5) და გამოხატავს
შუახნის მამაკაცს 41-45 წლისა. გამოსახული პირი, როგორც ეს შეიძლება
დავასკვნათ მდგომარეობის მიხედვით, ფეხზე მდგომ სამ მეოთხედ ან ფაქსში
გამოხატულ მამაკაცს წარმოგვიდგენს. გამოსახულს თავი და ცქერა მიბრუნე-
ბული აქვს მარჯვნივ. ჩანს, რომ მხატვარი მჯდარა მოდელიდან მარცხენა მხა-
რეს და არა პირდაპირ.

ეს პორტრეტიც ისე, როგორც გ. მისიურაძის მიერ შესრულებული სხვა
პორტრეტები განსხვავებულია სხვა მხატვართა მიერ იმ დროში შესრულებულ
პორტრეტებიდან ისევე, როგორც საერთოდ ყოველი ნამუშევარი მისიურაძისა.

მისიურაძე ამ პორტრეტშიაც ცდილობს ღრმად და ყოველმხრივ ჩასწვდეს
გამოსახული პირის შინაგან სამყაროს. მხატვარი ნატურას უდგება შემოქმე-
დებითად, თავისებურად და ცდილობს წინა პლანზე წამოწიოს შინაგანი ბუნება
ადამიანისა.

პორტრეტი გამოხატავს 40 — 45 წლამდე მიღწეულ ინტელიგენტს. ფიგურ-

რა შემოსილია იმ დროისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობით. თმის გაყოფა და უღვაშიც ეპოქისათვის ნეტად დამახასიათებლად არის გამოსახული. პორტრეტის კომპოზიკიაში მაყურებლის ყურადღებას მოდელის პირისახე იპყრობს: მხატვარი ცდილობს პორტრეტულ-მსგავსებასთან ერთად ხასიათის გადმოცემასაც. ამისთვის იგი იყენებს არა მარტო ნახატს, არამედ ფერწერის ყველა საშუალებასაც, აქ მხატვრის მიერ დამახასიათებელი და ინდივიდუალური ხაზგასმულია წარბების, უღვაშების და თვალთა განაჭერის თავისებური გადმოცემით. ასევე განსხვავებულია თვით მაისურადის მიერ შესრულებულ სხვა პორტრეტებთან შედარებითაც კი, ამ პორტრეტის ფერწერული გამა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მხატვრის მუშაობისათვის დამახასიათებელი საერთო ხელი აქაც გარკვევით საგრძნობია. ამ პორტრეტშიაც ისევე, როგორც სხვა პორტრეტებშიაც, ყურადღებას იქცევს მხატვრის დიდი სიყვარული სინამდვილის მხატვრული გადმოცენისადმი. ხსენებულ პორტრეტში აბულაძე გამოსახულია მკერდამდე. თავი და ხედა მიბრუნებულია მაყურებლის მარცხენა მხრისაკენ. სახის ნაკეთები და სხვა დეტალები მხატვრის მიერ ამოწერილია დიდი ყურადღებით და თხლად. მხატვარი გამის დაპირისპირებით ქმნის ჩრდილ-სინათლის საკმაოდ მეტყველსა და ფერწერულ ეფექტებს. აღსანიშნავია, რომ მხატვარს სახის ნაკეთები — ფორმები დაწერილი აქვს საგრძნობი რელიეფურობით. სწორედ ამ შთაბეჭდილების გაძლიერებას ემსახურება ფონიც სურათისა. ასე მაგალითად, მხატვარი პორტრეტის ჩრდილებიან მხარეს აყდერებს და აძლიერებს ნათელ-ღია ფერებით დაწერილ ფონით მაშინ, როცა პორტრეტის ნათელ გამაში დაწერილ მხარეს იგი უპირისპირებს მინორული გამის ფონს.

ყველაფერი ეს მხატვარს, გარდა წმინდა შემოქმედებითი მიზნებისა, ემსახურება ტექნიკურად, რელიეფურობისა და მოცულობის გადმოცემამდე. შუქჩრდილის ასეთი თამაშით მხატვარი აცოცხლებს პორტრეტს. ამის გამოა, რომ იგი მართლაც პოეტურია და არ არის მოსაწყენი.

შუქდაკრულობის (длинки) გადმოსაცემად, მის მთლიან მანერასთან შედარებით, მაისურაძე ამ პორტრეტში ხმარობს მეტად გაბედულ მონასმებს, დადებულს სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა ძალით და სხვადასხვა მიმართულებით, იმის მიხედვით, თუ სად ადებს მას — ლაქას. ასე მაგალითად, შუბლის არეზე მას აქვს ფორმის მიხედვით დადებული უძრავი „ბლიკები“, ხოლო ცხვირზე კი დენადი და ზემოდან ქვემოთ მიმართული. იგივე უნდა ითქვას ტანსაცმელის შესახებაც. ასე მაგალითად, „ბლიკების“ დადება საყელოზე და ტანსაცმელზე აქ მიზნად ისახავს ერთის მხრივ ფაქტურის მხატვრული სიმართლით გადმოცემას, ხოლო მეორეს მხრივ კი, შავ ლაქებთან დაპირისპირებისას, პორტრეტში მეტი ფერწერული ელერადობის შეტანას. რაც მთავარია, მხატვარი შუქდაკრულობით პორტრეტს სიმარჯეს და მოცულობითობას აძლევს. მხატვარი ამით მოდელს მხატვრულად ავსებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა თეთრიდან შავზე

გადასასვლელად გამოყენებული მოლურჯო ფერების აკორდი. ეს მოლურჯო აკორდი, გაშის მხრივ, თეთრსა და შავს შორის დგას. არანალებს საინტერესოდ არის აღებული, ფერწერის მხრივ, მხატვრის მიერ ღილების ტონი შავ სამოსზე. ამით მხატვარი ერთის მხრივ აცოცხლებს შავ ტანსაცმელს, ხოლო მეორეს მხრივ კი ერთგვარ ეხოდ ეხმაურება სურათზე მიმობნეულ ნათელ ტონებს. მხატვარი ამავე ხერხის საშუალებით მეტად დამაჯერებლად გადმოსცემს ადამიანის კანის ფაქტურას. კანი თითქოს კიდევაც სუნთქავს.

გ. მაისურაძის მიერ შესრულებული აბულაძის პორტრეტი ადამიანის ხასიათისა და თავისებურებათა მხატვრული გახსნის შესანიშნავი ნიმუშია.

ცხადია, რომ მხატვარს, რომელმაც ეს პორტრეტი შეასრულა, ქუთაისში ცხოვრების პერიოდში მართო ეს პორტრეტი არ ექნებოდა შექმნილი. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ გადმოცემა მაისურაძეს აბულაძის პორტრეტთან ერთად მიაწერს ქუთაისის გიმნაზიაში მომუშავე მასწავლებელთა სხვა პორტრეტთა შექმნასაც. ასევე მიაწერენ მას ქალაქ ქუთაისში მცხოვრებ არა ერთი და ორი ადამიანის პორტრეტთა შექმნასაც.

გ. მაისურაძის მიერ შექმნილი ნ. გ. აბულაძის პორტრეტი. მის სხვა ნამუშევრებთან ერთად, ცხადყოფს, თუ რაოდენ საინტერესო იქნებოდა ის ნამუშევრები, რომლებიც მხატვარს ჰქონდა შესრულებული აქ პერიოდში და ჯერჯერობით კიდევ არ არის ნაპოვნი და გამოვლენილი.

გ. მაისურაძის ნაწარმოებთა შორის ვხვდებით ისეთ სურათებსაც, რომლებიც რელიგიურ თემატიკას ემყარებიან. იმ მრავალ ნამუშევართა შორის, რომლებიც მხატვარს ამ სფეროშიც უნდა შეექმნა, ჩვენამდე ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა არის მიღწეული.

დიდი უმრავლესობის ადგილსამყოფელი თუ ბედი დღესაც გაურკვეველია. უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალი მათგანი სხვადასხვა მიზეზთა გამო ალბათ სამუდამოდ დაიღუპა, დანარჩენები კი ალბათ დროთა განმავლობაში გამოვლინდებიან.

ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში ჩვენ რამდენიმე დღე ვათვალიერებდით მუზეუმში დაგროვილ ხატებს, მაგრამ მთლიანი კოლექციის შესწავლა იმხანად მაინც ვერ მოვასწარი... არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქუთაისის ყოფილი გუბერნიის ტერიტორიაზე მოპოვებულ იქნას გ. მაისურაძის როგორც სხვა, ისე რელიგიურ თემაზე შესრულებული ნაწარმოებები.

როგორც შეიძლება ეხლა დავასკვნათ მასალების მიხედვით, მაისურაძეს არა ერთი და ორი ხატი ჰქონია შესრულებული, მაგრამ დღემდე ნაპოვნი არის მხოლოდ სამი ხატი. ორი მათგანი მაცხოვრის გამოხატულებას იძლევა, ერთი კი იოანეს წარმოგიდგენს.

ამ ხატებზე შეიძლებოდა აქ არც კი შევჩერებულიყავით, მაგრამ იმდენად,

რამდენადაც მათში მაისურაძე, ახალი ქართული მხატვრობის შესატყვისად, გამოსახვის რეალისტურ ხერხებს ემყარება, ამ კომპოზიციებზე ყურადღების შეჩერებაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ამ კომპოზიციებში მხატვარი უპირველეს ყოვლისა კატეგორიულად საპირისპირო მანერით მუშაობს თავის წინაპრებთან შედარებით. მაისურაძესთან ე. წ. ხატ-წერული მანერის თუ მიდგომის ნიშანწყალიც აღარ არის. მაისურაძე ხატს ქმნის როგორც გარკვეული, წარმოსახვითი პირის პორტრეტს, და ხშირად ნატურის მიხედვითაც. მისთვის ამ შემთხვევაში მაცხოვარი, როგორც ეს ცნობილია რუს მხატვართა მაგალითზედაც, წარმოდგენს მართოდენ ჰუმანისტური იდეის გამოსახვის საშუალებას, ერთგვარ გარსს. ეს არის მაისურაძისათვისაც მხატვრის ფიქრისა და გრძნობების ნამდვილი გამოსახვის ერთგვარი საშუალება.


ერთი ამ ხატთაგანი — „სახე იესოსი“²³², იძლევა მაცხოვრის მკერდამდე გამოსახულებას. ფიგურა დაყენების მიხედვით სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს იგი უძრავად იდგეს ფეხზე ცის სივრცეში. სახის ოვალი, რომელიც გარშემორტყმულია შუაზე გაყოფილი თმით, სიმშვიდით და სიწყნარით არის აღსაყვ.

მხატვრის გამოსახვაში სახის იერი დარბილებულია და აყვანილია უაღრესად ადამიანურ მომენტამდე: დიდი, მრგვალი, ნოკებიანი უზბლი აქცენტირებულხა ძლიერი სინათლით და ამდენად მხნედ და ძალოვანად გამოიყურება. ბრწყინვალეა და დაწერილი აბრეშუმისებოთ სათუთი მოწაბლისფერო თმის მსუბუქი კულულები, უღვაშების ბუსუსი. წვერი ღია ფერისაა და ფაქტურის მიხედვით რბილია.

მხატვარი კონტრასტებით ერთმანეთს კარგად უპირისპირებს ჩრდილისა და ნათელის საწყისებს არა მარტო მათი გარეგნობის, არამედ ადამიანის სულიერი ყოფის მნიშვნელობის თვალსაზრისითაც. სურათი მთლიანად ძალზე მინორულ ტონშია შესრულებული. ნათელი ტონის იერი მხატვარს გამოყენებული აქვს როგორც ერთგვარი მხატვრული სინონიმი. იგი თითქოს წამებაში ხედავს ადამიანების განწმენდას.

მაცხოვრის დაჯინებული და მამხილებელი გამომეტყველება — შინაგანად მშვიდი, წმინდა და უმანკოა, თითქოსდა მხატვრის მიერ გაკეთებული ეს სურათი მაყურებელს ეუბნება: „მიუტავე, რამე თუ არა იციან რასა იქმნენო“.

სურათზე მხატვარს თვალის არეში — არც ბროლზე და არც გუგაზე არაა სად არა აქვს გაკეთებული ელვარება, ეს კი მას აძლევს საშუალებას უძირო სევდით აზავსოს გამოხედვა ფიგურისა. მთლიანი ფიგურა დაყენებისა და ნახატის მიხედვით იძლევა შინაგანად მტკიცე, გაბედული და მძლავრი ადამიანის გარეგნობას. „მაცხოვარი“ მხატვრის გამოსახვაში უფრო ღმერთკაცია, ვინემ უხორცო ღვთაება. ჩანს ანატომიისა და აგების კარგი ცოდნა. სამოსელი რამდენადმე ორიგინალურად არის მოფიქრებული. ყვეთელი ქობის მუქ-ლურჯი



ფერის ნაქარგობა, ქვედა სამოსელი და თეთრი არშია; ინტენსიური მწვანე ფერის ფარჩა, რომელზედაც დაბნეულია მედალიონი ჯვარის ფორმისა, სურათის ფერადოვნების მხრივ, უდავოდ საინტერესო გამას ჰქმნიან.

მედალიონში ჩაწერილია ბერძნული ასოები ალფა და ომეგა მონოგრამით, რაც ნიშნავს ქვეყნის დასაწყისსა და დასასრულს. საერთოდ ეს სურათი არსებითად განსხვავდება მაისურაძემდელ პერიოდის ხატმწერლობის მეთოდით დაწერილ ხატებისაგან.

აღსანიშნავია, რომ მაისურაძე პირველია ამ დარგში იმ ქართველ მხატვართა შორის, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა ფერწერულ მანერით. ამით მაისურაძემ ფართოდ გაუხსნა გზა ახალ ქართულ მხატვრობაში ძველი ხატმწერლური მანერის საპირისპირო მეთოდს — მეთოდს ფერმწერლურს.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ეს სურათი დაწერილი იყოს 1862 წელს, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც როგორც გადმონაცემის მიხედვით, ასევე რესტავრაციის დროს წაკითხულ თარიღის მიხედვითაც, რაც ჩვენს მიერ მაშინვე იყო ჩაწერილი, სურათი დაწერილია 1869 წელს.

რაც შეეხება დიღმის დასახელებული ხატების ფერწერისა და სხვა მხრივ შეფასების საკითხს, ასეთი რამ არაპიკტუ ძნელია, არამედ ჯერჯერობით მართებულიც არ იქნებოდა. საკიროა ჯერ დიღმის ხატების გაწმენდა და რესტავრირება მოხდეს.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მსჯელობა, როგორც ამ სურათების შესრულების „უფრო რბილ და ამასთანავე თავისუფალ მანერაზე“, ასევე „რბილ ნათელ-ჩრდილებით მოდელირებაზე ღია იასამინის და მიხაკის ფერით“, ასევე „მოწითალო ჩრდილებსა“ თუ „კოლორიტზედაც“. მანამ კი, სანამ ეს ნაწარმოებები არ გაწმენდილა დროისა და მექანიკურ დანალექებისაგან, ვფიქრობთ, ამის შესახებ ლაპარაკი, რამდენადმე უხერხულია და პიპოტიტურ მსჯელობას კი არა, მკითხაობას უფრო წააგავს.

რაც შეეხება ფიგურას წიგნითა და გრაგნილით, რომელიც იოანე მახარობელს წარმოგვიდგენს, მასზე ნაჩვენები არის შესრულების თარიღი — 1870 წელი, ამოკაწერის წესით²³³. მაგრამ მაცხოვრის ხატის თარიღის ამის მიხედვით გადაწვევა შეუძლებელია და არაა სწორი. საერთოდ დამკვეთელმა ისინი ალბათ მხატვარს ერთდროულად დაუკვეთა და გ. მაისურაძეც, ამზადებდა რა მთლიანად კანკელისათვის ხატებს, საფიქრებელია, რომ მასზედაც მუშაობდა (1868—69—70 წწ.). მაშასადამე, აქედან ცხადია, რომ დიღმის წმინდა გიორგის კანკელი მაისურაძეს შესრულებული აქვს სწორედ ამ წლებში. შარვაშიძეთა „სახე უფლისაც“ სწორედ ამ პერიოდსავე ეკუთვნის და იგი წარმოადგენს არა „პირს“, არამედ თავისუფალ განმეორებას მაცხოვრისა „დასაწყისისა და დასასრულისა“.

რაც შეეხება დამკვეთელის ვინაობისა და დაკვეთის საბაბს, ჩვენამდე შე-

მორჩენილ მასალების მიხედვით იგი ასე წარმოგვიდგება: უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სურათზე გაკეთებულ მინაწერში მოხსენებული ელიოზიშვილის გვარი სასულიერო წოდებას ეკუთვნის. ცნობილია, რომ არა ერთი და ორი ელიოზიშვილი ყოფილა მღვდელი ქართლსა და კახეთში. ელიოზიშვილები იყვნენ ასევე მოხელეებიც.

დიღმის წმინდა გიორგის კანკელის დაკვეთის ინიციატივა ალბათ ეკუთვნოდა თბილისის სიონის დეკანოზს ელიოზიშვილს, რომელსაც კავშირი ჰქონია დიღომთან ²³⁴, მაგრამ ეს გარემოება თავისთავად სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დონატორობიდან გამოვითქვით მიხილ ელიოზიშვილი. მით უმეტეს, რომ იგი 1869 — 70 წლებში ქუთაისში იმყოფებოდა. მხატვრის ქალიშვილის გადმოცემით, მიხილ ელიოზიშვილი მამასთან არა ერთხელ მისულა ხოლმე. სხვათა შორის, სიონის დეკანოზის ურთიერთობაზე დიღმის ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ჩვენ სათანადოდ მიგვითითეს კიდევ ²³⁵.

საერთოდ, გ. მაისურაძისათვის დიღმის კანკელის დაკვეთის ფაქტი უფრო საინტერესო არის სხვა მხრივ. კანკელის დაკვეთის გარემოება პირდაპირ მიუთითებს და ადასტურებს იმ ავტორიტეტისა და სახელის საკითხს, რომელიც ჰქონია მაშინ საქართველოში გიორგი მაისურაძეს. საგულისხმოა, რომ ერთის მხრივ ცნობილი სახელმწიფო მოხელე, მკვიდრი თბილისისა, მეორე მხრივ კი სასულიერო პირი, უნდა ვიფიქროთ, ძმის რჩევით — კანკელის შესრულების დაკვეთას აძლევს არა თბილისში მცხოვრებ რომელიმე მხატვარს, არამედ გ. მაისურაძეს, მცხოვრებს ქალაქ ქუთაისში, რაც ნათლად მიუთითებს მხატვრის პოპულარობაზე.

ამას გარდა საფიქრებელია ისიც, რომ მაისურაძე დიღმის კანკელის შესრულების დროს შეასრულებდა ელიოზიშვილის ფერწერულ პორტრეტსაც. ვფიქრობთ, რომ ეს ნამდვილად უდავოა. ამას გვაფიქრებინებს და ადასტურებს თვით ელიოზიშვილის ინტერესიც ფერწერისადმი საერთოდ. განსაკუთრებით კი ამასვე გვაფიქრებინებს ელიოზიშვილის მდგომარეობა და მატერიალური შესაძლებლობანი.

ქუთაისის პერიოდში, სხვათა შორის, მხატვარს ჰქონია შესრულებული ფელიქს მიზანდარის პორტრეტი. გ. მაისურაძის ქალიშვილები მუსიკას ფ. მიზანდართან სწავლობდნენ. მიზანდართან სწავლობდა ასევე მხატვრის შვილისშვილი მარგალიტაც ²³⁶.

გ. მაისურაძის დღემდე ცნობილ და აღმოჩენილ ნაწარმოებთაგან მხატვრის ავტოპორტრეტს, არამც თუ მაისურაძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდაც, ახალი დროის საპორტრეტო ქანრის ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ²³⁷.

გ. მაისურაძის ავტორიტეტი, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნულ, საყოველთაოდ ცნობილი გახდა ერთი შემთხვევის გამო. ამ ავტოპორტრეტის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში მოხვედრის ისტორია არ არის

ინტერესს მოკლებული. ეს ავტობორტრეტი მამისა და დედის გარდაცვალების შემდეგ მოხვედრილ. და დაუცავთ მხატვრის უფროსი ქალიშვილის ელისაბედის — ამირეჯიბიანთ ოჯახში, ხოლო მხატვრის შვილიშვილისათვის — ნადეჟდასათვის იგი მზითვებში მიუციათ, როგორც კეთილსათხოვარი და საამო მოსაგონარი.

ნადეჟდა ამირეჯიბი იყო ცოლი მწერალ პოლიო ირეთელისა (პ. ა. კალანდაძე). მწერალ ირეთელთან ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ცნობილი ქართველი მოღვაწე და მწერალი იოსებ იმედაშვილი. პ. ირეთელის გარდაცვალების შემდგომ (1931 წელი 10 აპრილი), ოჯახის მარჩენალის დაკარგვის შემდეგ, იოსებ იმედაშვილს, ზრუნავდა რა ამ ოჯახისათვის²³⁸, ურჩევია ნადეჟდასათვის მათ ოჯახში დაცული პაპის ავტობორტრეტი დაეთმო სასყიდლით საქართველოს ეროვნულ გალერეასათვის, რაც ნადეჟდას შეუსრულებია. ამრიგად, გ. მაისურაძის ავტობორტრეტი საქართველოს ეროვნულ გალერეაში პირველად მოხვედრილა 1933 წლის 16 ნოემბერს ნადეჟდა რევაზის ასულ ამირეჯიბისაგან. გალერეას მაშინ საფასურად ასი მანეთი გადაუხდია²³⁹.

ამ ექსპონატს ზურგის მხარეს, სიყვითლეგადაკრულ გლუვ მუყაოს ზედაპირზე, გაკეთებული აქვს წითელი მელნით გაკრული ხელით მინაწერი პირად — როგორც თვითონ იტყვოდა ხოლმე ამას — იოსებ იმედაშვილის მიერ: „მაისურაძე გრიგოლ ივანეს ძე () ერთი პირველი მხატვართაგანი, პეტერბურგის სამხატვრო კურს დამთავრებული; ქუთაისში დაიწყო მასწავლებლობა გახსნისთანავე, სადაც 35 წელი ასწავლიდა. დაახლოებით 50 — 80 წლებში (მისი მოწაფე ყოფილა აკაკი და სხვა)“. ინტერვალის შემდეგ იმავე ხელით გრძელდება ტექსტი: „ეს ცნობა ჩაეწერე მისი შვილიშვილის ნადეჟდა რევაზის ასულის ამირეჯიბის გადმოცემით. უნდა შემოწმდეს. იოსებ იმედაშვილი 7/VI — 31 წელი“. ამავე გვერდზე გალერეის ყოფილი დირექტორის დ. შევარდნაძის ხელით მიწერილია ლურჯი ფანქრით: „ი. გ. № 1229, 016 X 0, 18,9“. ეს ავტობორტრეტი მხატვრის სიცოცხლეში და ასევე მისი მეუღლისაც († 1960 წ. 22 ოქტომბერი) დაკრული უნდა ყოფილიყო მუყაოზე, შემდეგ კი იგი ვილაძას აუძვრია და უბლაჯინა. ჩანს, რომ ეს ბავშვის ხელით არის ნაკეთები. ტექსტი ზურგის მხარეზე შედგება ათი სტრიქონისაგან, პირველი აბზაცო 7 სტრიქონია, მეორე კი — თარიღის ჩათვლით — 3.

გ. მაისურაძის ავტობორტრეტი დაწერილია აკვარელით საოცრად მინიატურულად. აქ მხატვარი საზურგიან სავარძელზე ზის²⁴⁰. იგი მარჯვენა მკლავის ილიითა და წყრითთ სავარძელზეა დაყრდნობილი. მარჯვენა ხელის თითები შეკდობილი აქვს მარცხენა ხელის თითებში. სხეულის სიმძიმის ცენტრი გადატანილია დაჯდომის მხარეს. სხეულის ბუნებრივი და ანატომიურად სწორი დაყენება შესანიშნავად გადმოსცემს სხეულის სიმძიმეს, სიმკვრივეს და, რაც მთავარია, მხატვრის ბუნებისათვის დამახასიათებელ სიღინჯეს. პოზა გარკვეულად მიუთითებს მაისურაძის მართლაც და დიდ არტისტულ ბუნებაზე.

ფაგურის კომპოზიციად აღვსილია იმ უძირო სევდის გრძნობით, რითაც აღსავსე ყოფილა თურმე მხატვრის პირადი ცხოვრება. განსაკუთრებული ვირტუოზულობით არის შესრულებული დეტალები, კანისა და სამოსის ფაქტურა.

ავტობიოგრაფიულად გამოსახული ხელები მხატვრის ფსიქიკური ბუნების შემოქმედებითი გახსნის უტყუარ საშუალებად არის აქ გადაქცეული:

იშვიათად შეიძლება მოიძებნოს ქართულ მხატვრობაში მეორე ასეთი არტიტული ტემპერამენტით და იმავე დროს, აკადემიური ცოდნით დაწერილი ხელები. პორტრეტზე თავი ოდნავ წინ არის დახრილი და მაყურებლისაკენ სამი მეოთხედით არის მიბრუნებული. მხატვრულად ხელსაყრელი რაკურსი აქ პორტრეტზე გამოსახულ პიროვნებას მალა წევს და ისე აჩვენებს მაყურებელს, თითქოს გამოსახული პირი მალა იდგეს და მაყურებელი მას დაბლიდან უცქეროდეს.

რამდენადმე გვერდითი ცქერა, დამახასიათებელი მაისურაძის სხვა პორტრეტებისათვის, აქაც საგრძნობლად შეინიშნება. ხედვა მიმართულია მარცხნივ და ოდნავ ქვემოთ. მხატვრის გამოხედვაში აქ არ კრთის არც ღიმილი და არც მრისხანება. არ ჩანს არც აღლევა, და სახე ისეა გამოხატული, თითქოს ყოველგვარი სახეობა სულიერი აფექტისა მხატვრისათვის საერთოდ უცნობი ყოფილიყოს. მისი ხედვა გამჭვრეტი, ღიანი და აუღელვებელი, სევდიანი და ოდნავ ეპიური, აღვსილია ცხოვრების ცოდნის სიბრძნით.

იგი მსკვალავს მაყურებელს ღრმა ლირიული მწუხარებით. ესაა პორტრეტი ადამიანური სიმშვიდისა და ღუმილის მეტყველებისა, გადმოღვრილი მართლაცდა დიდი ბუნების მხატვრის შინაგანი „მეს“ სახით.

ამ ავტობიოგრაფიულ ხედვაზე მეტად ჩანს რესტატი, რომელიც ქვეყანას შემომქმედის, არტიტის თვალთ უცქეროდა.

მხატვრის სახის გარეგნული იერი ამ ავტობიოგრაფიის მიხედვით მომხიბლავია და გულში ჩამწვდომი: შთით და თხელი, აბრეშუმით მსუბუქი თმა, მალალი შუბლი, მხატვრულად გაცოცხლებული, ძარღვებში მფეთქავი სისხლის პლასტიკური ამეტყველებით რომა აქვს მხატვარს გადმოცემული, საკმაოდ სქელი წარბები, გრძლად გაჭრილი ქუთუთოები, გრძელი წამწამები — უბეში რომ ნაჩრდილევს სტოვებს თითქოს, ნიკაპის რბილი ოვალი და ფაფუკი უღვანში — ზედა ტუჩს რომ უფარავს... და ომახიანი ცხვირი, ქმნიან იმ წარუშლელ და დაუეწყარ სახეს მხატვრისას, რომელსაც ამ სახის ერაზხელ მნახველი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.

ავტობიოგრაფიის მიხედვით, მხატვრის გარეგნობის მიხედვით, იგი ყოფილა საკმაოდ ძვალმსხვილი, ვაქცატორი იერის მამაკაცი, მაგრამ თავისთავში ჩაქტილი და მწუხარე, სევდით აღსავსე ადამიანი.

აქ, საჭკრეტად მიმართულ ხედვას მხატვარი აძლიერებს განათების წყბ-

როს სათანადო მოხმარებით და წარმართვით, სინათლე თითქოს თან გასდევს მხატვრის ხედვის მიმართულებას.

„ შავი ფერის სამოსი პირისახეზე გამოსახულ განწყობილებას ერთგვარ მუსიკალურ აკომპანიმენტს უქმნის. განსაკუთრებით კარგად გადმოსცემს მხატვარი არა მარტო ტანსაცმლის ფაქტურას და ხასიათს, არამედ ეპოქისათვის დამახასიათებელსა და ტანსაცმელის ტარების თავისებურ წესსაც კი.

1. მხატვრის წერის მანერა აქ შორეულად აკადემიკოს კ. პ. ბრულოვის — მისი სახელოვანი მასწავლებლის — მანერას გვაგონებს, მაგრამ ეს მაინც სულ სხვაა და ახალია.

პირისახისათვის აღებული საღებავთა ძირითადი გამა მოყავისფერო-მოწითალოა. ნიკაპისა და პირისახის მარცხენა ნაწილი გაღიაფერებულია მათეთრით, რომელსაც მხატვარი ძირითად ტონებზე ზემოდან ადებს ხოლმე ფუნჯით. თმების დასახატად იგი პირდაპირ შავ საღებავს იყენებს.

სახე დაწერილია იმდენად გულმოდგინედ, ისეთი ცოდნით და მინიატურულად, რომ მისი გამაღიღებელი შუშის ქვეშ გასინჯვის დროსაც კი მეტად საგრძნობია ყოველი დეტალის ბრწყინვალე დამუშავება. მხატვარი დიდი ცოდნით ძერწავს მოცულობებს და პირისახის რელიეფს.

ეს ავტოპორტრეტი, ჩვენი აზრით, შესრულებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში.

1 იგი, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარად, ალბათ, გედის სიმღერაც იყო მხატვრისთვის.

„ უახლოესი დროის დღემდე ცნობილ ქართველ მხატვართა ავტოპორტრეტებს შორის, ვფიქრობთ, რომ მაისურაძის ავტოპორტრეტი არა მარტო ერთი-მხრეველთაგანი რეალისტური ავტოპორტრეტია, არამედ იგი ასევე ერთ-ერთი უშესანიშნავესი ავტოპორტრეტიც არის.

„ იგი გაკეთებულია რეალისტური მეთოდის გაბედული და სრულყოფილი გამოყენებით. ამ ავტოპორტრეტზე გამოსახული პირის ხასიათი შესანიშნავად არის შეხამებული, როგორც სურათის ფერადოვან გამოსთან, ასევე საპორტრეტო კომპოზიციასთანაც.

გ. მაისურაძე ამ ავტოპორტრეტით თითქოს იძლევა სახვითი ხელოვნების საშუალებით ერთგვარ Pro domo Sua-ს. ეს ფიქტობ მხატვრის მთლიანი ფსიქიკური განწყობის ერთი უწყვეტი სიმფონია არის; სიმფონია ძალზე მინორული, მაგრამ იმავე დროს ჰეროიკული და ვაჟაკური.

„ გ. მაისურაძის სევდით დამძიმებული ეპიური გამოხედვა ავტოპორტრეტის ერთხელ მნახველს, შეუძლებელია, რომ ოდესმე დაავიწყდეს. ამ ავტოპორტრეტიდან გვცემს საგრძნობლად ძლიერი არომატი ბრგვეთურად. განწყობილი შემოქმედისა.

1-1 მაისურაძის ავტოპორტრეტი ნამდვილად დიდი მხატვრულობით აჩვენებს

მხატვრის შინაგან სამყაროს იმ სახით, როგორადაც ხედავდა მას ხოლმე, ალბათ, მხატვარი საკუთარ თავთან მარტო დარჩენისას.

მე-19 საუკუნის ქართული საპორტრეტო ეპოქის ამ ერთ-ერთ მართლაცდა საუკეთესო ნიმუშს დაქარავს სურნელი დავით გურამიშვილის „წუთისოფლისადმი სამღერავისა“ და მხატვრის დიდი თანამედროვის ნიკოლოზ ბარათაშვილის მწუხარე პოეზიისა.

ახალი ქართული საპორტრეტო ეპოქის დიდ დანაქარგს წარმოადგენენ ის ნამუშევრები, რომლებიც მაისურაძეს მიეწერება²⁴¹, მაგრამ რომელთა ადგილსამყოფელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, დღემდე სამწუხაროდ არ არის ცნობილი.

მძიმე პირადი ცხოვრების პირობებით და საზოგადოებრივი ყოფის უკულმართობით გადაქანცული, ილაჯწართმეული და სასოებაშიღლეული მხატვარი, რომელმაც რუსეთის იმპერიის თვალწვედნელი სივრცეები გადასერა მცხუნვარე წინანდლიდან ვიდრე ნისლიან პეტერბურგის მიწამდე, რომელმაც, პეტერბურგიდან გამოსულმა, კვლავ გადმოლაზა კარი დარიალისა და სევარდო და სამაისო ქუთაისში 35 წლის განმავლობაში დაუღალავად და შეუსვენებლად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასა და შემოქმედებითი ალტყინებით, იწოდა, ნელა, მაგრამ თანდათან უახლოვდებოდა თავის სიბერეს და მიხრწნილებას.

იმდროინდელ ცხოვრების პირობების გამო, კაცი, რომელსაც ესოდენ დიდი ღვაწლი ჰქონდა თავის სამშობლოს ქვეყნის წინაშე, კაცი, რომელმაც თავის თანამედროვეთა შესანიშნავი, მხატვრული ძალით დახასიათებული პორტრეტები შექმნა და ფართოდ გაუღო გზა ქართულ სახვით ხელოვნებაში რეალისტურ პორტრეტს, — ერთ-ერთ თავის განცხადებაში საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საბჭოს სახელზე, მოიხსენიებდა რა თავისთავს, როგორც თავისუფალ მხატვარს, იერემიას გოდებითა და დავით გურამიშვილის მოთქმით მოსთქვამდა იმ უბედურებაზე, რასაც მას, მიუხედავად მისი დიდი ღვაწლისა, უქადა და მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები.

იგი მოსთქვამდა და გოდებდა: „სამსახურიდან გასვლის შემდგომ მე არავითარი იმედი არა მაქვს პენსიის, თუნდაც ჩემი ხელფასის ნახევრის რაოდენობის მიღებისაც, ეს მაშინ, როცა მე სინდისიერად და ერთგულად ვიღწვოდი 35 წელი.

დაეკარგე ძალა, ჯანმრთელობა და მთელი ჩემი ცხოვრება გავხარჯე და დავეცე ყმაწვილკაცობის აღსაზრდელად. და შედეგად ყოველივე ამისა სამსახურიდან გასვლის შემდეგ მე თითქმის მშვიერი უნდა მოვკვდე. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ 35 წლის მანძილზე მე დიდი ოჯახი — ცოლი და ბავშვები — გოგოები — მოვიზარე; მე არაფერი, მაგრამ ჩემს გარდა ეს უბედურებანი ჩემთვის ასე ძვირფასმა და საყვარელმა აღამიანებმაც ამათაც ხომ უნდა გადაიტანონ“. და იგი შესთხოვდა აკადემიის საბჭოს აღმოეჩინა მისთვის — „უამსა სიბერისა სათანადო ყურადღება და დახმარება, რადგანაც შრომითა, წლოვანე-

ბითა და ჰავითა ჯანმრთელობა ჩემი სახეობით მოწყდაო“¹⁴². ასე სწერდა ქუთათელი მხატვარი 1885 წლის 15 თებერვალს ქუთაისიდან პეტერბურგში საიმპერატორო აკადემიას.

15 თებერვალს გაგზავნილი მაისურაძის წერილი აკადემიაში მხოლოდ 27 თებერვალს მიუღიათ. არავინ იცის დღესდღეობით (ყოველ შემთხვევაში, არქივში ამის კვალი არ შემონახულა), აკადემიის საბჭომ გაასტა თუ არა პასუხი მაისურაძის თხოვნას, მაგრამ რომც გაეცა, იგი უკვე დაგვიანებული იქნებოდა.

გ. მაისურაძე უკანასკნელად ქუთაისის სასწავლებელთა მიერ გამართულ ბანკეტზე ყოფილა მიწვეული. სახლში დაბრუნებისას გაცივებულა და ფილტვების ანთებით მეორეჯერ გამხდარა ავად. პირველ შემთხვევაში მისთვის უმკურნალია მის ახლო მეგობარს ექიმ ვორონოვს. მეორედ კი ვორონოვი ქუთაისში აღარ ყოფილა, ვერც ნაზარიშვილი უნახავთ და სხვა ექიმი მოუწვევიათ (გრიგორევი), რომელსაც ვერ უმკურნალია სათანადოდ კრუპოზული ანთებისათვის.

ძალზე დასუსტებულ და მოხუცებულ ორგანიზმს ვეღარ გადუტანია ანთება და მაისურაძე გარდაცვლილა.

მხატვრის სიკვდილი სათანადოდ აღუნიშნავს ქუთაისის მოწინავე საზოგადოებას და პრესას. გადმოცემის მიხედვით ქადაგებით გამოსულა გაბრიელ ეპისკოპოსი. მხატვრის ქალიშვილის გადმოცემით — „იგი (გაბრიელი. შ. კ.) კარგად იცნობდა მამას, იგი კერძო საუბარში ეუბნებოდა თურმე: გიორგი, ნუ ხატავ ღვთისმშობელს ასე მშვენიერს და მიწიერსო, მამა კი მაშინვე თურმე იტალიელ ოსტატებს და თავის მასწავლებელ ბრიულოვს მოიშველიებდა ხოლმე“²⁴⁸.

გადმოცემის მიხედვით გაბრიელ ქიქოძეს ფრიად შინაარსიანი სიტყვა უთქვამს და ის აზრი გაუტარებია, რომ გ. მაისურაძის სიკვდილით საქართველომ ერთ-ერთი უწყინარი, ალალი და ქართული კულტურის მესვეური, დიდად ნიჭიერი ოსტატი დაკარგაო.



მხატვრის მეუღლე პელაგია.



მხატვრის საფლავი მწვანეყვავილას გალაჯანში. ადგილი აღნიშნულია თეთრი ქვებით.

დაახლოებით ამგვარივე ყოფილა გამოსვლა მხატვრის ყოფილი მოწაფე ქალის ჯანდიერისა.

სიტყვებისა და პატივისცემის შემდეგ მხატვრის ნეშტი დიდი პროცესიის თანხლებით წაუსვენებიათ მწვანეყვავილაზე. მოხუც მხატვარს უკან მიჰყვებოდნენ თურმე მგლოვიარე ქალიშვილები და სტიროდნენ მამას²⁴⁴. მაისურაძე დაუსაფლავებიათ მწვანეყვავილას ძველი ტაძრის მახლობლად სამხრეთის მხრიდან²⁴⁵.

გ. მაისურაძის დეაწლი საკმაოდ თვალსაჩინოა ქართული კულტურის წინაშე.

გ. მაისურაძე, იყო რა თავისი საუკუნის შვილი, სავსებით თანამიმდევრულად ასახავდა თავის შემოქმედებაში ჩვენი ქვეყნის ადამიანების ხასიათსა და ცხოვრებას.

ეპოქამ პორტრეტულ ჟანრზე ყველაზე მეტი მოთხოვნილება წამოაყენა და მას გაბატონებული მდგომარეობაც შეუქმნა. პორტრეტული ჟანრი მხატვრისაგან დიდ დახელოვნებას მოითხოვდა. საჭირო შეიქმნა ადამიანთა არა მარტო მსგავსებით გამოსახვა, არამედ მათი მხატვრული შემოქმედებითი დახასიათებაც. ამოცანები, დასმული ცხოვრების მიერ ქართული საპორტრეტო ჟანრის

წინაშე, არა მარტო რთული და ძნელი იყო, არამედ იგი იმავე დროს მოითხოვდა მხატვრისაგან დიდ აკადემიურ მომზადებასაც.

ჩვენში ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ახალ დროში ცნობილ მხატვრებიდან პირველად წილად ხვდა მხატვარ გიორგი ივანეს ძე მაისურაძეს: მან მიზნად დაისახა თავისი დროის ადამიანის არა მარტო გარეგნული მსგავსებით, არამედ მისი, სულიერი სამყაროს ყველა თვისებათა გადმოცემაც. ამიერიდან გიორგი მაისურაძემ ქართულ პორტრეტს დააკისრა ადამიანის ხასიათის, ფსიქიკური განწყობილების გახსნა და მის მხატვრული სიმართლით ასახვის ამოცანები.

გ. მაისურაძისათვის ეს მომენტი გახდა კრატერიუმად გარეშე სამყაროსთან მხატვრის დამოკიდებულების საკითხში. ასე განმტკიცდა და გაბატონდა რეალისტური მანერა ახალი დროის ქართულ პორტრეტის სფეროში ჯერ თვითონ გ. მაისურაძის, ხოლო შემდგომ კი ქართველ მხატვართა მიმდევრობის თაობების ღვაწლითა და შრომით.

გ. მაისურაძე მიზნად ისახავდა დაეხატა ადამიანი მთელი მისი თავისებურებით. ჩანს, რომ იგი გამოსახული პირის ნაწილობრივ მხატვრულ შევსებასაც კი მიმართავდა ხოლმე. ჩანს, რომ მხატვრისათვის უცხო არ იყო ნაკვთების განზოგადება და მთლიანი სახის გაპოეტურების ტენდენციაც.

გ. მაისურაძე გამოსახულ პირს წარმოადგენს არა ცალკე რომელიმე მომენტის, არამედ მთლიანად მთელი მისი ცხოვრების. მწუხარებისა და სიხარულის მიხედვით.

გ. მაისურაძე ის პირველი ცნობილი ქართველი მხატვარია, რომელიც ყმა-გლეხთა წრიდან გამოვიდა და რომელმაც ყურადღებიან პატრონთა წყალობით უმაღლესი სამხატვრო განათლება მიიღო პეტერბურგის აკადემიაში.

გ. მაისურაძე ის პედაგოგი-მოდერნიზატორია, რომელმაც თავისი ცხოვრების 35 წელი ქართველ ახალგაზრდობაში მხატვრული გემოვნებისა და სამხატვრო ცოდნისა და რეალისტური ფერწერის დანერგვას შეაღია.

გ. მაისურაძე ის მხატვარი-შემომქმედია, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა თავის თანამედროვეთა მხატვრული პორტრეტების გალერეა. ამ პორტრეტებში გ. მაისურაძემ პირველმა წამოსწია წინა პლანზე ასასახავი სინამდვილის დიდი მნიშვნელობა ფერწერისათვის. მან პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ნატურიდან მუშაობას და მოდელის მხატვრულ შემოქმედებითი გახსნის ამოცანას. გ. მაისურაძემ ქართულ ფერწერაში პირველმა ასახა რეალისტურად ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული ფენებიდან გამოსული პიროვნებანი.

გ. მაისურაძე ქართველ მხატვართა შორის თავისი შემოქმედებით პირველი დაუპირისპირდა ირანული მხატვრობაში გაბატონებულ მუშაობის წესებსა და მეთოდებს, და საპირისპიროდ ირანულისათვის დამახასიათებელი პირობითობისა და სტილიზირებისა, ქართულ მხატვრობაში დაამკვიდრა და წინა პლანზე

წამოსწია სამოქალაქო, ახალი დროის შესაფერისი რეალისტური ფერწერის მეთოდი.

მაისურაძემ მთელი არსებით, შეუპოვრად იბრძოდა თავისი ეპოქის დიდი იდეალებსათვის, რისთვისაც იბრძოდა მაისურაძის თანამედროვე ქართული მწერლობა და ქართული თეატრი.

გ. მაისურაძემ ქართულ სახვით ხელოვნებაში წინა პლანზე წამოსწია და აჩვენა ადამიანი მთელი თავისი მრავალფეროვნებით და რთული ბუნებით.

მაისურაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ადამიანსადმი დიდი სიყვარული და ჰუმანიზმი. მხატვარმა სწორედ ადამიანი გახადა თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად და მისი მხატვრული ჩვენების გზად აირჩია ერთადერთი გზა, გზა სამყაროს რეალისტური ასახვისა.

სწორედ ამას მდგომარეობს გ. მაისურაძის ისტორიული როლი ქართული სახვითი ხელოვნების წინაშე, აგრეთვე აზროვნების ისტორიაშიაც.


საბოლოო განსვენება ამ დაუღეგარმა კაცმა და მხატვარმა ქუთაისის მწვანეყვავილას სასაფლაოზე ჰპოვა იქ დაკრძალულ მრავალთა შორის.

გიორგი მაისურაძის სახელი, მხატვრის საფლავივით მივიწყებული და გამოჩენილი, კინაღამ არ დაიკარგა...

მაგრამ ჩვენი დრო, დრო სოციალისტური კულტურისა, ჩვენი ქართველი ხალხი, გაღვიძებული და მცნობი ავისა და კარგისა, ისევე, როგორც ყოველივეს დადებითსა და ხალხისათვის საყვარელს, უმათავან გამოსულ მხატვარს — გიორგი ივანეს-ძემ მაისურაძესაც თავის საპატიო ადგილს აძლევს ახალი დროის ქართული მხატვრობის ისტორიაში.

ქართველი ხალხი გიორგი მაისურაძის სახელს, როგორც მხატვრისა და საზოგადო მოღვაწისა, საშვილიშვილოდ შეინახავს არა მარტო მწვანეყვავილას ბანთონში, არამედ თავის მოსიყვარულე გულშიაც ²⁴⁶.

7



უენიუვნეხი

ღე

ღაგაგაგანი

/სააკჟივო ვასალეხი/

შენიშვნები

1. ნ. ბარათაშვილი, რედაქტორები ი. თავაძე და ა. გაწერელია, გამოც. „ფედერაცია“, 1938, გვ. 32.
2. ალ. კვაკვაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით და ლექსიკონით — 1940, „ფედერაცია“, გვ. 78.
3. ილ. კვაკვაძე, „ისი წლის წინაღ“, თხზ., ტ. V, 1927 წ., თბილისი, გვ. 273. იხილეთ აგრეთვე ვაზ. ივერიაში — რუსეთთან შეერთებისადმი მიძღვნილ ნომერში.
4. ალ. კვაკვაძე, თხზ. ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. XXIV.
5. საქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონ. 426, საქ. 128, ფურ. 120; მხატვრის პაპის სახელი — სულხანი, გ. მისურაძის გადმონაცემით, პირველად მიგვიტოთა მხატვრის ქალიშვილმა — ოლიმპიადამ; იხ. ჩვენთან „ჩანაწერებისა და საარქივო მასალების კოლექცია“. არქივში აღმოჩენილმა დოკუმენტმა № 424, ეს გადმონაცემი სავსებით დაადასტურა.
6. იხ. დისახ. „ჩანაწერებისა და საარქ. მასალ. კოლექცია“ — „მხატვრის ქალიშვილის“ — ოლიმპიადას მონათხრობი“.
7. საქ. ცენტრ. საისტ. არქ. ფონდი 426, საქ. 128, ფურ. 117 — 121; წინამდებარე მონოგრაფიაში, როგორც ეს საქმე ასევე სხვა საარქივო მასალებიც ბირველად ქვეყნდებან. ისინი აღრე არ იყვნენ ცნობილი.
8. იხ. დისახ. „ჩანაწერებისა და საარქივო მასალების კოლექცია“ — „ოლიმპიადა მისურაძის მონათხრობი“.
9. იხ. მონოგრაფიაზე დართული სქემა № 1, შენიშვნებით.
10. იხ. გ. ი. ბაქრაძე — ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947 წ., ვ. უნატაშვილის რედ., გამოც. საქ. სსრ. წიგნის პალატა, გვ. 6.
11. მ. დუღუჩავა — „ახალი ქართული ხელოვნება“, გამ. „ხელოვნება“, 1950, გვ. 12.
12. Акад. Худ. ССР „Искусство Советской Грузии“, Москва, 1952, გვ. 7.
13. იხ. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., № 13,26/3, გვ. 4. „ა. კვაკვაძე და გრ. მისურაძე“. სხვათა შორის რედაქციას და როგორც ჩანს თვითონ წერილის ქართული თარგმანის გამკეთებელსაც, ავტორის გვარი „ფ. როზინსკია“ არასწორად აქვთ დაწერილი — უნდა იყოს როგინსკია; ეს შეცდომა მომდევნო ნომერშიაც არ ყოფილა გასწორებული რედაქციის მიერ.

14. БСЭ, ტ. 13, გვ. 83.
15. გ. ჩუბინაშვილი — საბჭოთა საქართველოს მიწვევები ხელოვნების ისტორიის დარგში — თბილისი, 1952, გვ. 39 — 42.
16. ლ. შარვაშიძე — გ. მაისურაძის ახლად ნაპოვნი სურათი — ეურ. „დროში“, 1953 წ., № 6, გვ. 18.
17. მაისურაძის შესახებ, ზემოხსენებული ავტორების შრომები 1953 წლისათვის უკვე დაბეჭდილი იყო. ამას გარდა ამ სტრუქტურების ავტორის მიერ წაქითხული იყო ასევე მოხსენებები თბილ. სამხატვრო აკადემიაში, თბილისის სამხატვრო სასწავლებელში და საქ. საბჭ. მხატვ. კავშირის კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციის ღია საჯარო სხდომებზე. იხ. ასევე „ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტ. XI სამეც. სესია“, 1956, გვ. 6 — 7.
18. იხ. „ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია“, 1956 წლის 6 და 7 ივნისი, გვ. 6 — 7; მომხსენებელმა არც მოხსენებისას გაითვალისწინა ჩვენს მიერ ზემო შენიშვნაში მითითებული მასალა და ასევე არც 1953 წელს დაბეჭდილი (იხ. გვ. „სტალინელი“, ქ. ქუთაისი, 1956 წ. 14 ნოემბერი, № 225, გვ. 3 — 4. „ქუთაისი და ახალი ქართული მხატვრობის ერთი წარმომადგენლის ცხოვრება“). არაა დასახელებული არც მ. დუდუჩავას „ახალი ქართული მხატვრობა“, 1951 წ.
19. მხატვრის ასაკი, ჩვენს მიერ 1940 წელს მოცემული, ერთის მხრივ ემყარებოდა ცნობებს დაბეჭდილს გვ. „დროებაში“ (1885 წ. № 129), მეორეს მხრივ კი მხატვრის ქალიშვილის ოლა გიორგის ასულ მაისურაძე-თევზაძის გადმონაცემს: „მამა გარდაცვალების დროისათვის ზომავზე მეტად იყო მოხუცებული, იგი თითქმის აღარც ხატავდა, ძნელად იცოდა ხატვა“ — იხ. ჩვენთან „ჩანაწერებისა და საარქ. მას. კოლექ.“ ამგვარივე ხასიათის ცნობა მოგვწოდებდა — დედის გადმონაცემის მიხედვით, — მხა-

ტერის შვილიშვილმა — პიანისტმა ქალმა მარგარიტა რევაზის ასულმა ამირჯიბმა-ჩაპოძისამ.

„ძნელად ესმოდა, საგნებს ხელის მოხრითლებით უცქეროდა ხოლმე და მეტისმეტად ნელა მოძრაობდა. ჩვენი მასწავლებელი, გიორგი ივანიჩი ღრმა მოხუცი იყო, მიხრწნილობამდე მისული“ (სიმონ ქვარიაშვილის მოგონება „იხ. ჩვენთან „ჩანაწერებისა და საარქ. მას. კოლექცია“). ამასვე იდასტურებდა საფლავის ლოდის წარწერაც, რომელიც ჩვენი წერილის ეურ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნების შემდეგ, 1940 წელს ოლა მოგვანინეთ, ოლა გიორგის ასულისა და მარგარიტა რევაზის ასულის მითითებათა საფუძველზე; საფლავზე მიგვიითო ასევე განსვენებულმა ისტორიკოსმა სიმონ ქვარიაშვილმა; 1940 წლის ოქტომბრის მიწურულში, ჩვენ მოვინახულეთ ქალაქ ქუთაისში ე. წ. „მწვანევევილას“ სასაფლაო, სადაც მაშინ მართლაც იქნა ნახული ჩვეულებრივი საფლავის ქვა სათანადო წარწერით (ნახეთ შენიშვნა 245, გადმონაწერი საფლავის ქვიდან, ინახება ჩვენთან).

გ. მაისურაძის საფლავი მწვანევევილაზე, — გალავანში შემონახულ მე-10 საუკუნის ბაზილიკიდან (მთავარ-ანგელოზის სახელობის ერთნაირი ტაძრის), — მდებარეობდა სამხრეთ აღმოსავლეთით.

იგი აღმოსავლეთის ფახლის სამხრეთ კუთხიდან პირდაპირი ხაზით, დაახლოებით 19 მეტრით იყო დაშორებული. ლოდთან ერთის მხრივ 10 მეტრის დაცილებით შაშინაც იდგა აკაკის ხე, ხოლო მეორეს მხრივ კი ცახციხე. მაშინ ადგილის ფორტაგადლება და ასევე აგვგმვაც, ჩვენ ვერ მოვახერხეთ. სამამულე ომის ამბების პირობებშიაც ეს საქმე გაუკეთებელი დარჩა. ომის დამთავრების შემდგომ კი იმეამად გენანთელმა ეპისკოპოსმა (ერისკაცობაში ჯუჯარაძემ) და ქუთაისში მცხოვრებმა მოქანდაკემ ვალერიან მიზანდარმა შემატყობინეს, რომ ქუთაისის საქალაქო საბჭოს მა-

მინდელი ადმინისტრაცია საქალაქო მშენებლობასთან დაკავშირებით „ქუთაისის სასაფლაოებთან და კერძოდ მწვანეყვავილადახაე ლოდებს იღებს და მხატვარ ვ. შიხურაძის სამარის ქვაუ საფრთხეში არისო“...

ამ საქმის გამო ჩვენ მაშინვე მიემართეთ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, მაგრამ სამწუხაროდ უშედეგოდ. საფლავის ქვა ვერ იქნა გადაჩენილი ვერც მოქანდაკე ვ. შიხურაძის და ვერც სიძველეთა კარგი მცოდნის პ. ჰაბუციონის თავგამოდებით. საფლავის ქვა აღებული და მოხმარებულ იქნა მშენებლობაზე.

1954 წლის ნოემბერში, საქ. საბჭ. მხატვ. კავშირის, კერძოდ ხელ. დამს. მოღვაწის მხატვარ ა. ყ. ქუთათელაძის უკრადღებით და ცდილობით მე მივლინებულ ვიქნე ქუთაისში შიხურაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის საქირო დამატებითი კვლევის ჩატარების მიზნით.

ამ მივლინების დროს ვ. შიხურაძის, პ. ჰაბუციონის და ასევე ჩემს მიერ აღრე ნახულისა და დამახსოვრებული ადგილის მიხედვით, აღვადგინეთ მხატვრის საფლავის ადგილსამყოფელი და ქუთაისის საქ. კ. საქალაქო კომიტეტის ორგანოში („სტალინელი“) მე გააოთქკე აზრი მწვანეყვავილას გოლავანში, ქუთაისელ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შექმნის შესახებ, სადაც რასაკვირველია შიხურაძესაც, მისი სამარის მიხედვით სათანადო ადგილი მიეცემოდა (იხ. გაზ. „სტალინელი“, 1954, № 225).

საქიროა, რომ ქუთაისის საქალაქო გაზეთში გამოთქმულ მოსაზრებას, მწვანეყვავილაზე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შექმნის შესახებ, მხარი დაუჭიროს ყველამ, ვისაც კი ეს ეხება და ქუთაისელთა კარგ ინიციატივას ფართო გზა მისცენ. განსაკუთრებით ამას უნდა ცდილობდეს საქართ. საბჭოთა მხატვრების კავშირის პრეზიდიუმი.

საქ. ცენტრ. საისტ. არქ., ფ. 426, საქ. 2,

ფურ. 30 — 31, формулярный список о службе и достоинстве за 1850; იგივე ფონ., საქ. 104, ფ. 303 — 305. Формулярный сп. за 1856 г.

21. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონ. 426, საქ. 121, ფურ. 112, „О годичных отчетах за 1858“; იგივე ფონდი, საქ. 182, ფ. 104, „Годовой отчет о действиях в состоянии Кутаисской дирекции за 1862“.

22. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონ. 426, საქ. 104, ფ. 303 — 305, Формулярный список за 1858 г.

23. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონ. 426, საქ. 128, ფ. 104, Именной список чиновников и учителей Кутаис. Дирек. училищ за 1864.

24. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონ. 424, საქ. 128, ფ. 117 — 121. „Свидетельство“ № 424.

25. ც. ს. ო. ა. ლენინგრადში ფ. 789, აღ. 14, საქ. 95 — მ. 1840 წ., ფ. 5.

26. ც. ს. ო. ა. ლენინგრადში ფ. 789, აღ. 14, საქ. 95 — მ. 1840 წ., ფ. 4.

27. „მნათობი“, 1933, № 6 — 7, გვ. 326, ო. ენიკოლაშვილის პუბლიკაციით.


28. საქ. ცენტ. საისტ. არქ. ფონ. 426, საქ. 128, ფ. 117 — 121. საარქივო საბ. № 1.

29. იქვე, ფურც. 118.

30. ონა მეუნარგია — „ქართული მწერლები“, 1941; ონა მეუნარგია — „აღუქსანდრე ჰაქაბაძე“ — სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბლ., 1937 წ.

31. М. В. Нечкина „Грибоедов и декабристы“, 1951, Москва, Ак. Наук СССР. ამ ურთიერთობას ეხება რამდენიმე უფრო ვრცელ აგრეთვე ირაკლი ანდრონიკაშვილი, იხ. — „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“, თბ., 1953 წ., ლ. ასათიანი — „Пушкин и Грузинская культура“, Тб, 1949; ო. ხმალაძე „წინანდლის ბაღი“, თბ., 1946; ილ. ჰაქაბაძე — თხზ. ო. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით... „ფედერაცია“, 1940 წ.; И. Ениколопов, Пушкин в Грузии“, Тб., 1950; იაკობ ბალახაშვი-

- ლი — „ლიტერატურული წიგნები და სალონები საქართველოში“, საბლიტგა-
ში, 1940 წ.
32. А. Фадеев, „Воспоминания“, 1897 წ.,
გვ. 116 — 117.
33. „Русский Вестник“, 1869 წ., № 4.
34. В. Потто, „История 44-го Драгун-
ского Нижегородского полка, т. II.
СПБ, 1893 г., გვ. 152 — 154.
35. სოლ. ცაიშვილის სტატია — „მასალები
აღ. კავკასიის ბიოგრაფიისათვის“, ლი-
ტერატურის მატთან, წიგ. I — II, თბ.,
1940 წ., გვ. 390.
36. იხ. იქვე, გვ. 390.
37. იხ. დ. ყიფიანის „ნეკროლოგი“, გაზ
„Кавказ“, 1846 წ., № 5.
38. იხ. ი. ანდრონიკაშვილის დასახ. შრო-
მა, გვ. 57 — 83.
39. ამ გარემობას განსაკუთრებით ადას-
ტურებს თბილ. კარლ შარქის სახ. საჯ.
ბიბლიოთეკაში დაცული ახვევროვას
ალბომი — რაბიტეტის ფონდი.
40. იქვე, გვ. 65.
41. იქვე, გვ. 67; ინტერესს არაა მოკლებუ-
ლი აგრეთვე ის საარქივო მასალა, რო-
მელიც შუქსა ფენს თბილისში ახვერ-
დოვების ცხოვრებისა და საცხოვრებელი
საზღის ადგილსამყოფელის ცალკეულ
საკითხებს, ნაპოვნია საქ. არქ. ს. გ.
ანდლელაძის მიერ; მითითებისათვის
მადლობას მოგახსენებ. იხ. ფონ. 1457.
რე. V, ფ. 1032 — 1033.
42. იხ. А. Федоров-Давыдов, „Русский
пейзаж“, Искусство, 1956, стр. 120.
მ. ივანოვის შესახებ რეიმერსი წერდა:
„Иванов, хороший рисовальщик и
привосходный пейзажист — многие
из которых изображают виды...
Грузии... и Тбилиси“, стр. 303.
А. Федоров-Давыдов, „Михаил Ми-
хайлович Иванов“, 1950, Москва.
43. ვლადიმერ ივანეს-ძე მასკოვი (1792 —
1839), მისი შემოქმედება კავკასიის დაპ-
ყრობის ეპოქასთან იყო დაკავშირე-
ბული, 1816 — 18 წწ. იგი იმყოფებოდა
ერმილოვის ამაღში — სპარსეთში, ხო-
ლო მომდევნო დროში კი ვ. მასკოვი
- მხატვრად მუშაობდა მთავარმართებელ
პასკევიჩთან; ჩვენამდე დარჩენილი მისი
ხელით გაფორმებული ლიტოგრაფიები.
განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს.
თბილისის ხედი, შესრულებული 1829
წელს, „კავკასიის მთები“ და სხვ. (იხ.
А. Федоров-Давыдов, „Русский пей-
заж“) გვ. 136; პასკევიჩის დროსვე მუ-
შაობდა ფერმწერალი ვ. ზალესკი, რო-
მელსაც სხვა სურათებთან ერთად შეუ-
სრულებია პასკევიჩის „პირველი შეხ-
ედერა აბას მირზასთან“, და „ტურქმენ-
ჩაის დაზავება“. დაცულია ქ. გამელის
მუზეუმში, იხ. „Литературное насле-
дие“, 1935, გვ. 153 — 175.
44. ც. ს. ი. ა. ლენინგრადში ფონ. 1341, აღ.
62, საქ. 86, ფურტ. 7. ზ/მ 1846.
45. იხ. საქ. ცენტ. საის. არქ. ფონ. გსფ.
№ 167, ფ. 444, 448, 454, 483. აღნიშ-
ნული მასალები ნახულია ს. გ. ანდლუ-
ლაძის მიერ.
46. А. Хаханов, „Очерки по истории
Груз. словесности“, вып. III, 1901 г...
стр. 350.
47. ამ ყმა მხატვრის ნამუშევარი დაცუ-
ლია საქ. ხელოვნების მუზეუმის ფონდ-
ში და წარმოადგენს აღ. ჩოლოყაშვი-
ლის პორტრეტს. სურათი გამოფენილი
იყო მოსკოვში ქართული ხელოვნების
დეკადაზე (Каталог, изд. „Искус-
ство“). რაც შეეხება თვით ჩოლოყა-
შვილს და მის ფერწერის დარგში მუ-
შაობას, არქიტექტურის კანდიდატის
არქიტექტორ მიხეილ არჩილის-ძე ჩხიკ-
ვაძის მოწმობით: იმ ტაძარში, რომელიც
ზუროთმოძღვრის მამის — არჩილის სამ-
რეელოში შედიოდა, ყოფილა კანკელი,
შესრულებული ტილოზე ფერწერით.
მის ზურგის მხარეზე მოთავსებულია
წარწერა თურმე ახედლობარ მხატვარ
ჩოლოყაშვილს მოიხსენიებდა. მ. ა. ჩხიკ-
ვაძის გაღმობით არჩილ ჩხიკვაძეს
კანკელი რეკონსტრუირდა ჩუბარები
სათანადო მუზეუმში.
48. მხატვარ ანდრონიკაშვილის მიერ შეს-
რულებული ჯანდიერის პორტრეტი, ნი-
ნო თორნიკე ქსნის ერისთავის ასული-



- სა (1829 წ. დაწერილი) და ასევე მწერალ მიხეილ კალოუბნელის პორტრეტთან ერთად გამოფენილი იყო მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე; დღეს ეს სურათები დაცულია ხელოვნების მუზეუმში. პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოწმობით მხატვარ ანდრონიკაშვილს ჰქონია სხვა ნამუშევრებიც, გაბნეული კახეთსა და თბილისში, მაგრამ დღემდე ისინი აღმოჩენილი არ არიან.
49. იხ. ასევე იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, ტომი II, გვ. 8.
50. პროფ. მ. პოლივეკტოვი. საარქივო მასალები 1832 წ. შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. იქვეა მოცემული აღწერილობა სურათისაც (იხ. „ენტერაქციი“, საქართველოს არქივი, წიგნი II, თბ., 1927 წ., გვ. 110).
51. ი. ი. ხმალაძე — „წინანდლის ბაღი, მეგზური“, თბ.; 1946 წ., „ტექნიკა და შრომა“.
52. იხ. ჩემი „ჩანაწ. და საარქ. მას. კოლექც.“
53. იქვე.
54. საქ. ცენტ. საის. არქ. ფონ. გსფ. № 167, ფ. 444.
55. იხ. იონა მეუნარგია — „ქართველი მწერლები“, გვ. 24.
56. იხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე — იოსებ გრიშაშვილის რედ., გვ. XXVIII.
57. საქ. ცენტ. საის. არქ. ფონ. გსფ. 164, ფ. 169. ამ ფონდის მიხედვით ჩვენ შრომაში მოტანილი ყველა მასალა გადმოგვცა ს. გ. ანდლუაძემ.
58. ვინაიდან ეს მარშრუტი არ არის ცნობილი ლიტერატურაში და იმავე დროს იგი დაკავშირებულია ისეთი დიდი პოეტის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძეა, ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით და მას აქ, საბუთის მომპოვებლის ს. გ. ანდლუაძის ნებართვით ვაქვეყნებთ.

От Тифлиса до Тамбова

- Душети — 51
 Аянури — 11½
 Владикавказ — 114
 Екатеринбург — 105½
 Георгиевск — 80

10. შ. კვასხაძე

- Александрград — 78
 Ставрополь — 92½
 Витебск — 316½
 Новочеркасск — 96
 Константиновская — 30
 Сухочевская — 225
 Казанская — 95
 Александровская — 95
 Триваторская — 24
 Новокоперск — 71
 Рязанская — 84½.
 Тамбов — 89
 1512½

59. იგივე საქმე, ფ. 170.
60. საქ. ცენტ. საის. არქ. ფონ. გსფ. № 164, ფ. 279 — 300.
61. ი. ანდრონიკაშვილის დასახელებული შრომა, გვ. 100; იხ. ს. მაღლაკელიძე, „მასალები აღ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“, საისტორიო მოამბე, № 2, 1946 წ., გვ. 245 — 247.
62. იხ. ი. ანდრონიკაშვილის დასახელებული შრომა, გვ. 101.
63. იხ. „АКТЫ“, ტომი 8, გვ. 423 და ი. ანდრონიკაშვილის დასახელებული შრომა, გვ. 101.
64. იხ. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, აკაკი ვაწარეღის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936 წ., გვ. 33.
65. იქვე.
66. იხ. აღ. ჭავჭავაძის თხზ. ი. გრიშაშვილის შესავალი... წერილით, გვ. XII; ი. ანდრონიკაშვილის დასახ. წიგნი, გვ. 102; საქ. მუზეუმის წ. კ. ფონდი № 1826.
67. ფ. როზინსკაია (უნდა იყოს როგინსკაია), „ა. ჭავჭავაძე და გრ. მისურაძე“, იხ. დასახ. გაზეთი.
68. უ. ს. ი. არქ. ლენინგრადში, ფ. 1341, აღ. 62, საქ. 86, 1846.
69. ესაა აწინდელი შრომის სასახლე, რუსთაველის პროსპექტზე ფასადით რომ გამოდის, ხოლო სამხრეთით აღ. ჭავჭავაძის ქუჩაზე, დასავლეთით კი გრიბოედოვის სახელობის ქუჩაზე (რუსთაველის პროსპექტი — მაშინ გოლგოფინს-იხ. „Путеводитель по Тифлису“.

1929—30 წ., გვ. 24). ალ. ჭავჭავაძის ქუჩა თავიდანვე მისი სახელით იწოდებოდა, იგი გაიყვანეს 1842 წელს; გრიბოედოვის ქ. აღარე კომენდანტის ქუჩად იწოდებოდა. ჭავჭავაძის ქუჩის № 6 და კომენდანტის ქუჩის № 16 კუთხის სახლში, რომელიც ლბინსკის ეკუთვნოდა, მოგვიანებით გახსნეს კავკასიის მუზეუმი (1851 წ.).

70. იონა მეუნარგია — ალ. ჭავჭავაძე, თბ., 1937 წ., გვ. 38 — 39; იგივე ავტორი „ქართული მწერლები“, თბ., 1941 წ., გვ. 25; ალ. ჭავჭავაძე ი. გრიშაშვილის წინაშე (1851 წ.).

71. Воспоминания, 1897 წ., გვ. 117.

72. იხ. ჩემი „ჩანაწ. და საარქ. მას. კოლექცია“.

73. იქვე.

74. გიორგი ავალიშვილი მართლაც იყო გარსევან ჭავჭავაძის ცოლის ძმა, ბიძა ალ. ჭავჭავაძისა. იხ. პლატონ იოსელიანი — „ესოვრება გიორგი XIII-ისა“, 1895 წ., გვ. 104 — 105; ავადმივისი კ. კეკელიძე — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, თბ., 1924 წ., გვ. 496 — 98; გრ. ორბელიანი, წერალები... თბ., 1936 წ., ტ. I, გვ. 3, — წერილი გიორგი ავალიშვილისადმი; ამ წერილში ორბელიანიც აღნიშნავს: „ოდესღაც ვიცი მამობრივი თქვენი ჩემდა სიყვარული“. ამავე წერილიდან ჩანს, თუ რაოდენ მომთხზენი ყოფილა გ. ავალიშვილი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ორბელიანის წერილის ასეთი ადგილი: „დროს ამასა ვმეცადინებოდი ხილვასა ყოველისა, რაიკა იყო ღირს სახილველ“ და შემდეგ: „მარამა აღარ დამცალდა ხილვა ერმიტაჟისა (ნაზი ჩვენია. შ. კ.) თუმცა სასახლის მასკარადის დროს შე; იძლებოდა; მაგრამ ფდ. ერის სიმრავლესა ვეღარ გაეღწიე. უმეტეს ორმოცე ათასისა იყვნენ შეკრებულნი... მრავალჯერ ვიყავ თეატრშიცა მარამა მოსკოვის თეატრი არს უმჯობეს ძვირფასი შენობითა და სიდიდითა. კაზანსკის სობორო, სადაც ხშირად ვიდოდი წირვაზე, არის ერთი უდიდებულესთა შენობა.

თავანი, რომელიცა შეამკობენ პეტერბურგს“, გვ. 4).

რედაქტორ ა. გაწერელას თავის მეტად საყურადღებო შენიშვნებში (იხ. გვ. 218) საკმაოდ ვრცელი და საინტერესო კომენტარი აქვს მოცემული, მაგრამ გ. ავალიშვილის დაბადების თარიღთან იგი არ იძლევა გარდაცვალების თარიღს; გარდაცვალების თარიღს არ იძლევა არც ავად. კ. კეკელიძე; ავალიშვილის შესახებ იხილეთ პროფ. გ. ნ. გეხტმანი „გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურნი“ — „გეოგრაფიული საზოგადოება“, 1942 წ., გვ. 11 — 12) — რომელსაც თარიღებად მოცემული აქვს 1769 — 1850 წწ.; ამავე თარიღს იძლევა БСЭ II გამოცემა. ტ. I, გვ. 59; იხილეთ ასევე ტრიფონ რუხაძე — „ქართული ეპოსი გარდასავალი ხანის ლიტერატურაში“, თბილისი, 1939 წ., გვ. 164 — 173; იმავე ავტორის — „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, თბ., 1949 წ., გვ. 211 — 220, 237 — 240 და სხვა გვერდები. იხ. აგრეთვე მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის — „სოლომონ დოდაშვილის წერილები“ — ს. ხუციშვილის შესავალი წერილთა და შენიშვნებით, გვ. 15; საქ. სახ. მუზეუმი ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხელნაწერთა ფონდი № 1532; ამ მხრივ ასევე საყურადღებოა იონა ხელაშვილის ის წერილი სოლომონ დოდაშვილისადმი, სადაც ხელაშვილი მოაგონებს დოდაშვილს, რომ გ. ავალიშვილმა — „გიზოშინათ ჩემდამი“ — იხ. წერაკითხვის ფონდი 2226, ფ. 255 — 57.

75. გ. ორბელიანის „წერილები“, ტომი I, გვ. 118 — 119.

76. მ. გოცაძე — სოლომონ დოდაშვილი, თბილისი, 1955 წ., გვ. 45.

77. იხ. ი. ანდრონიკაშვილის დასახ. შრომა, გვ. 100 — 1 — 2. ალ. ჭავჭავაძის დასახელებული თხზულება, გვ. XII, LXV, — და „თარხნობის სიგელი“ მიცემული გ. მაისურაძეზე.

78. იქვე, გვ. LXV; საქ. ცენტ. არქ., ფონ. 3522 და ფონ. 158, № 210, რაზედაც

- ი. გრიშაშვილისათვის მიუთითებია ი. ენიკოლოპოვს.
79. ს. შალაველიძე — მასალები ალ. ჯავახიშვილის... „საისტორიო მოამბე“, № 2, 1946 წ., გვ. 247.
80. K. Koch, Reise durch Russland nach dem Kaukasischen Isthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838 Stuttgart und Tubingen, 1843 წ., B.II, 191, 310, 314.
81. Trowers in the Transcaucasian provinces of Russia in the autumn and winter of 1837 by captain Wilbrahem. London, 1839. გვ. 259. ზემოთ დასახელებული ორივე წიგნის შესახებ მითითება აქვთ თავის წიგნში ი. ანდრონიკაშვილს და ი. ბალახაშვილსაც. იხ. წიგნი „ლიტერატ. წრეები და სალონები საქართველოში“, 1949 წ.
82. იხ. ცისარქ. ლენინგრადში, 1846 წ., ფონდი 1341, აღ. 62, საქ. 86, ფურ. 7 ზ/შხ.
83. იხ. ალ. ჯავახიშვილის დასახ. თხზულ., გვ. LXI — LXI. ეს მეტად სიხრტრესო დოკუმენტი განსაკუთრებით საყურადღებოა გ. მაისურაძის ზიოგრაფიისათვის; გამოქვეყნებულია პირველად აკად. პოეტ. ი. გრიშაშვილის მიერ.
84. იხ. ა. ანდრონიკაშვილის დასახ. შრომა, გვ. 82; ასევე „Пленницы Шамиля“, Воспомин. г-жи Дранси — Тифлис, 1858 г.
ი. ხმალაძე, „წინანდლის ბაღი“, 1946 წ., თბ., გვ. 8 — 9.
85. იხ. სოფიო გიორგის ასული ანდრეასის საყანდილადო შრომის მესამე თავი; ხელნაწერი, სადაც მოცემულია მანძილებისა და მათი გავლის გამოანგარიშებანი — საარქივო მასალების საფუძველზე.
86. სოლომონ დოდაშვილის წერილი იონა ხელაშვილისადმი, № 23, გვ. 85, 86, 87. იხ. მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკ. II... და სხვა. ს. ხუციშვილის წინასიტყვაობა.
87. იხ. „Кавказский календарь“, 1866 წ., საქ. ცენტ. საისტ. არქ. გსმფ, № 164. ფ. 129 — 130. Вл. Орлова, „Судьба литературного наследства Дениса Давидова“, стр. 330—331, იხ. Литер. наслед. 1935 წ., № 19—21.
88. გრიგოლ ორბელიანი — წერილები... ტ. I, გვ. 218. ა. გაწერელისა შენიშვნების მიხედვით.
89. П. Корнилов, „Арзамасская школа живописи“, Лен.—Москва, 1947 г., „Искусство“, стр. 8.
90. Академия Художеств СССР, „К. П. Брюлов в письмах, документах и воспом. совр.“. Сост. книги и автор предисловия Н. Г. Машковцев, изд. Акад. Худож., М., 1952 г., стр. 7.
91. იქვე, გვ. 8.
92. იქვე, გვ. 9.
93. Н. А. Рамазанов, „Материалы для истории худож. в России“, стр. 185—186.
94. ს. დოდაშვილის წერილები, გვ. 36.
95. იხ. ა. ს. ჰუმბოლტი, საიმპერატორო აკადემიის გამოცემა, ტომი 10, გვ. 573, 575, 581, 582, საიდანაც მოტანილია ამონაწერები.
96. А. С. Пушкин, изд. импер. Акад. Наук. Переписка под редакцией и с примечаниями В. И. Сантова, том III, 1625—1637, С. П. Б. 1911 г., стр. 459; ნახეთ ასევე А. С. Пушкин, Полное собр. соч. в 6-ти томах. М. 1938 г. под редакцией М. А. Циполовского. Письма 1815—1837 г., стр. 602; შენიშვნა № 793; წერილი პირველად დაიბეჭდა როგორც ნახევრები იქვე ჟურნალ „ВЕСЫ“, № 2, 1908 წ.
97. იხ. „Вестн“, 1908, № 2, февраль, стр. 40.
98. „Звенья“ — сбор. материалов и док. по истории лит., искусств. и общест. мысли XIX в., под ред. Вл. Боич-Бруевича, V, „Academia“, 1933 г., стр. 48.
99. რეზანოვი ალექსანდრე ივანეს ძე (1817—1887 წწ.) იყო რუსი არქიტექტორი. სწავლობდა პეტერბურგის აკადემიაში 1827—39 წწ., 1850 წლიდან მიენიჭა აკადემიკოსობა, 1852 წლიდან — პროფესორი, 1871 წ. დაინიშნა რექტორად აკადემიის არქიტექტურის დარგში. მისი გეგმითაა აშენებული რამდენიმე ტაძარი

- ვილინისში, სასახლე ლივადიაში, პეტერბურგში დიდი მთავრის ვ. ა. რომანოვის სასახლე — აწინდელი მ. გორკის სახელობის მემორიალთა სახლი და სხვ.; იხ. БСЭ, ტ. 36, გვ. 261 — 613. „რუსული არქიტექტურის ისტორიის მოკლე კურსი“, მოსკ., 1951 წ. (რუსულ ენაზე).
100. გრიგორივიჩი დიმიტრი ვასილისძე (1822 — 97 წწ.) რუსი მწერალი. დაიბადა სიმბირსკში (აწინდელი ულიანოვი). სწავლობდა საინჟინერო სასწავლებელში პეტერბურგში, შემდეგ კი სამხატვრო აკადემიაში. 1845 წელს ნ. ა. ნეკრასოვის მიერ გამოცემულ კრებულში „Физиология Петербурга“ დაიბეჭდა მისი ნარკვევი „პეტერბურგისკი უარმანშიჩი“. მის ნაწერებში სიმართლით იყო გამოსახული ყმა გლეხობის ცხოვრება. ორმოციან წლებში იგი რეალისტური სკოლის მწერლების წინა რიგებში იდგა. კახადა ცნობილი „სოფერმენისი“ თანამშრომელი. მომდევნო დროში ლიბერალებისკენ გადაიხარა, ჩამოშორდა „სოფერმენისს“. 20 წლის განმავლობაში ეკავა „მხატვრობის წამახალისებელი საზოგადოების“ მდივნის თანამდებობა. დაასრულა სამხატვრო სკოლა, სამხატვრო მუზეუმი. ოთხმოციან წლებში დაუბრუნდა ისევ ლიტერატურულ მოღვაწეობას. БСЭ, ტ. 12, გვ. 603.
101. იხ. И. Еннколов, „Пушкин в Грузии“, Тб., 1950 г., его же, „Грибоедов в Грузии“, Тб., 1954 г., იხ. ასევე „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“ — შედგენილი ვანო შადურის მიერ, ტ. I, 1949 წ.; იგივე რუსულად — გამოც. „ზარია ვოსტოკისი“; პიეტი აკადემიკოსი გ. ლეონიძე — „პუშკინის ქართული ნაწარმები“ — „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. № 5; ვ. დონდუას წერილი კრებულში — „პუშკინი საქართველოში“, იქვე ო. გრიშაშვილის წერილი და Г. Леонидзе, „Гость Грузии“ — „Заря Востока“, 1945 г., от 5 июня.
102. იხ. Ак. Собр. соч. Пушкина, т. VIII, პირველი ნახევარი ტომი, გვ. 443; ამავე საკითხზე აქვე მითითება ი. ნიკოლო-
- პოვსაც წიგნში „პუშკინი საქართველოში“ (რუსულად). განსაკუთრებით საინტერესოა აკად. პიეტის გ. ლეონიძის წერილი „საქართველოს სტუმარი“.
103. Полн. собр. соч. Пушкина, изд. Импер. Ак. Наук, т. III, 1831—1837; ასევე Пушкин, пол. собр. соч., т. X, стр. 573.
104. სსრკ ცსია ლენინგრადში ფონ. 1341, აღ. 62, 1846 წ., საქ. 520, ფურ. 7 — 8/მ. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა გავ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (1950 წ. № 13-ში, გვ. 4). „ალ. ქავჭავაძე და გ. მისურაძე“ — ფ. როზინსკიაი. ეს დოკუმენტი არქივში ნახა პირველად ხელოვნებათმცოდნე ნ. ა. ეზერსკაიამ, ჩვენ კი ვადაბეჭდეს ფ. როზინსკიაიმ. შემდეგში ეს დოკუმენტი ჩვენ თვითონ შევეუდარეთ დედანს ლენინგრადის არქივში მუშაობისას და ვამოიკვცა, რომ ზოგი რამ ასლში არ იყო სწორად მოცემული; ასევე ვადაბეჭდესისას საქმის ნომერიც შეცდომით იყო მოცემული. ლენინგრადის არქივზე მუშაობისას ამ საქმესთან ერთად, ჩვენ ამოვიღეთ ამავე არქივში პირველად მიკვლეული ტ. გ. შვეჩენკოს თარხნობის აქტი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა, მისი გ. მისურაძის განთავისუფლების აქტის ტექსტთან შედარების თვალსაზრისით. გაზეთში მოტანილი აქტი ნაწილობრივ გამოქვეყნებული აქვს ხელოვნებათმცოდნე მ. დულუჩავასად („ახალი ქართული ხელოვნება“, გვ. 17 — 18). მ. დულუჩავა მიუთითებს ფ. როზინსკიაის 1950 წელს დაბეჭდილ წერილზე, მაგრამ ფონდის ნომერს არ მითითებებს; აქტი დაბეჭდილია გაზეთში გამოქვეყნებულ ტექსტის ნაწილობრივ გამოყენებით, აქვს ნაწილობრივ ცვლილებანიც; შესატყვისია დედნისა.
- გაზეთში, სკოლიაში მოცემული დოკუმენტის ფონდი, ფურცელი და აღწერილობა სწორად არის მითითებული, შეცდომით არის ნაჩვენები საქმის ნომერიც (36 — უნდა იყოს 520); როზინსკიაის, წერილის მე-6 აბზაცში თარიღის

უხეში დარღვევაყა დაშვებულე:
 „1827 წელს პეტერბურგშივე ილექსან-
 დრე ქავკავაძემ... და სხვ. (უნდა იყოს
 1837 წელს).

მიუტყვებელ შეცდომასთან და თით-
 ქმის გაუგებრობასთან გვაქვს სიქმე-
 ამ წერილის მე-12 აბზაცის დასაწყის-
 შივე, სადაც ილექსანდრე ქავკავაძის
 გარდაცვალების თარიღად მითითებუ-
 ლია შეუფერებელი თარიღი (1848).
 ეს შეცდომა, როგორც ჩანს, არც წერი-
 ლის დაბეჭდვამდე და არც წერილის
 დაბეჭდვის შემდეგ, არც რედაქციის
 და არც სხვა ავტორებს, რომლებიც მათ-
 სურაძეზე და ა. ქავკავაძეზე მუშაობდნ
 და დაბეჭდნენ, არ გაუასწორებიათ. გა-
 ზეთში იკითხება: „1848 წელს ილ. ქავ-
 კავაძე გარდაიცვალა“... და სხვ.

ილექსანდრე ქავკავაძეზე საკმაო ლი-
 ტერატურა არსებობს იმისათვის, რომ
 მისი გარდაცვალების წელი (1846) სწო-
 რად მივცეთ; ასეთი არასწორი თარიღის
 მიცემა კი მკითხველსაც ერთგვარად
 აბნევს.

სხვათაშორის ეს შეცდომა ვერ გაითვ-
 ლისწინა ვერც მკვლევარმა მ. დუდუ-
 ჩავამ და ამის გამო, მიუხედავად მისი
 დაკვირვებული მუშაობისა იგი უხეშ
 შეცდომას უშვებს, როცა წერს: „უნდა
 ვიფიქროთ, რომ თანახმად ყოზობიდან გან-
 თავისუფლების პირობისა, იგი ამის შემ-
 დეგ თუ ხუთი წლის განმავლობაში არა,
 რამდენიმე წელს მაინც მუშაობდა
 ილ. ქავკავაძის ხასარგებლოდ“ (ხაზი
 ჩვენია, შ. კ. იბ. მ. დუდუჩავას დასახე-
 ლებული წიგნი, გვ. 21 — 22); იგი ფიქ-
 რობს, რომ რადგანაც მისსურაძემ მხო-
 ლოდ 1850 წელს დაიწყო სამსახური
 ქ. ქუთაისში, ხოლო ავადმთა კი და-

ამთავრა 1844 წლის 12 სექტემბერს.
 ამიტომ — იმით უმეტეს საფიქრებელია,
 რომ იგი ამის შემდეგ თუ ხუთი წლია
 განმავლობაში არა, რამდენიმე წელს
 მაინც მუშაობდა ილ. ქავკავაძის ხასარ-
 გებლოდ“.

ფაქტური მდგომარეობის მიხედვით
 ეს მოსაზრება არ შეეფერება სინამდვი-
 ლეს. ამას გარდა ცნობილია ისიც, რომ
 განთავისუფლებული ყმის ძველ მდგო-
 მარებაში დაბრუნებას კანონიც კრძა-
 ლავდა საერთოდ.

105. სხენებელი მოწმის — ზაქარია ონისიმეს
 შვილის იოსელიანის — ვინაობის გარკ-
 ვევის ცდა არც ერთ იმ მკვლევარს არა
 აქვს მოცემული, რომლებიც კი ოდესმე
 შეხებიან მისსურაძის განთავისუფლე-
 ბის აქტს. მათ ეს საკითხი მხედველო-
 ბიდან აქვთ გამოჩინილი. ჩვენ ვფიქ-
 რობთ, რომ დღეს ჩატარებული კვლევის
 შედეგად ეს საკითხიც გარკვეულად უნ-
 და ჩაითვალოს.

განთავისუფლების აქტში მოწმედ და-
 სახელებული პირი არის ზაქარია ონი-
 სიმეს ძე იოსელიანი. იგი იმ დროს პე-
 ტერბურგში ცხოვრობდა და გენერალ
 მაიორის ჩინი ჰქონდა. ზაქარიას მამა
 იყო ონისიმე იოსელიანი, მღვდე-
 ლე გიორგი მე-12-ისა. ონისიმეს შვილი
 იყო ასევე ეგნატე, რომელიც მამის
 სიკვდილის შემდეგ იქვე მუშაობდა
 მღვდლად. ეგნატე იყო მამა ცნობილი
 ქართველი მეცნიერის პლატონ იოსე-
